ლადო ავალიანი

ავალი პოლიზონელი

რომანი

სახელმწიფო გამომცემლობა
19 თბილისი

სამი წლის ბიჭუნას მარცხენა ხელი დედის კაბის აკეცილ კალთისათვის ჩაევლო, მარჯვენათი კი საპნის ქაფზე მოსეულ თევზების დაჭერას ლამობდა; პაწაწინა ხელს ხან ფრთხილად ჩააპარებდა წყალში, ხანაც უცებ ჩაჰყოფდა; თვითონაც უნებლიეთ ნახევრად ჩაიჩოქებდა თუ არა, ნაპირებდასველებული პერანგი მის გარშემო ბუშტივით იბერებოდა. ბავშვის ხელის ყოველ მოძრაობაზე თევზები სწრაფად ქრებოდნენ. ბიჭუნა დამუშტული ხელის წყლიდან ამოღების უმალ თითებს გაშლიდა... გულდაწყვეტილი და გაკვირვებული, ჯერ დედას შეხედავდა, მერე ისევ გაშლილ ხელის-გულს დააცქერდებოდა და თევზის სისწრაფით და მიუკარებლობით გულმოსული, ერთი წუთის შემდეგ უფრო მეტის გულმოდგინებით ეპარებოდა ხელახლა ჯგროდ მოსეულ ლიფსიტებს. დროდადრო ზოგი მათგანი წყლის სიღრმეში ისე მარჯვედ, თვალის მომჭრელად გაიელვებდა, რომ ბავშვს გული

შეუფანცქალდებოდა ხოლმე; რაც უფრო მეტად ცდილობდა თუნდაც ერთი მათგანის ხელში მოგდებას, თევზები მით უფრო მიუკარებელი და ლამაზი ეჩვენებოდა.

მაიას ბავშვისათვის არ ეცალა, დინჯად, გულმოდგინედ რეცხავდა ქმრის ტანსაცმელს — ქვანახშირის მტვერით გაშავებულ და ალაგ-ალაგ ლაფით დალაქავებულ ბრეზენტის პიჯაკსა და შარვალს; ხანდახან თუ შენიშნავდა ხოლმე ბავშვს, როცა იგი ღონივრად დასწევდა კაბის კალთას — „გადი, გია, ნაპირზეო“ — მაგრამ გიას წყალში დგომა ეხალისებოდა, თანაც თევზების დაჭერის სურვილი არ ასვენებდა. ბოლოს, იმედგაცრუებული ბავშვი, თითქო სიძულვილს უცხადებსო, როგორც კი თევზები გამოჩნდებოდნენ, უმალ ფეხით წყალს აადგაფუნებდა და თან რაღაც გაუგებარს გაჰყვიროდა. მიეშხეფებოდა თუ არა სახეზე და გულმკერდზე წყალი მაიას, გულმოსული მოუბრუნდებოდა ბიჭს და სველ ხელს მსუბუქად სტკიცავდა ტუჩებზე, ან ღაჟღაჟა ლოყაზე; ბავშვი ალმაცერად გახედავდა დედას, გაბუტულივით წაიშვერდა წინ ტუჩებს, და ლოყასაც მალულად შეიმშრალებდა დამუშტული ხელით, მერე ისევ შეუტევდა საპნის ქაფზე კვლავ თამამად მოსეულ თევზებს. ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა ასე, მაიას რომ მწყრალად არ შეეტია ბავშვისათვის — „ბიჭო, გაჩერდი, წყალს ნუ მიმღვრევო...“

წყალს თითქო ერთ წამში მართლაც შესამჩნე-

ვად ეცვალა ფერი, გამუქებულიყო. ახლა შორეულმა უჩვეულო შმაშურმაც, წყლის დინების ჩვეულებრივ ხმას რომ არ ჩამოჰგავდა, უნებლიეთ მიიქცია მაიას ყურადღება. ვიდრე მდინარეს აღმა გახედავდა, შარვალი წურვით ამოზიდა და ახლა უკვე სათლად შენიშნა, რომ ერთი წუთის წინ ანკარა წყალი, რომლის ფსკერზე რიყის ქვებიც და აქა-იქ მუქმწვანედ ალივლივებული ხავსიც კი მკაფიოდ მოჩანდა, ახლა ისე ამღვრეულიყო, მის სიღრმეში აღარაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. მაიას, ცოტა არ იყოს, ეუცხოვა ეს ამბავი; სველი შარვალი მუხლებს შუა მოიგდო, ტოტების ბოლოდან კი მის გრეხას შეუდგა; სახელდახელოდ გასწურა პიჯაკიც, ორივე ნაჭერი მხარზე გადაიკიდა და წამოდგა. ბავშვსაც უკვე აღარ აინტერესებდა ამღვრეულ წყალში დგომა; აღარც თევზები ჩანდნენ და წყალიც უფერულად მოედინებოდა. გია დედას ცალ ხელს ხან მუხლს ზემოთ მოხვევდა, ხან კალთაზე ეჭიდებოდა და ნაპირზე გაყვანას სთხოვდა. მაიამ მდინარეს რომ აღმა გახედა, თითქო დანახულმა გააოცაო, თვალები დაახამხამა, სახეზე შიში აღებეჭდა; ბავშვი მარჯვედ აიტაცა და ნაპირს მიაშურა. ნაპირზე, კუნძის ფესვებზე გადაფენილი ნაჭრები მოაგროვა, ბრეზენტის გაწურულ-დაგრეხილ პიჯაკ-შარვალთან ერთად წნულ ჩელტში ჩაყარა, ჩაჩოქილს წამოდგომა ახლა წეღანდელზე უფრო გაუჭირდა, ბავშვის და სარეცხის სიმძიმით ხელებგაკავებულმა ღონით რომ ვერ სძლია, არ გაკვირვებია.

უეცარ შიშს მისთვის მუხლიც მოეკვეთა. გულის ლაშოშმინებისა და ღონის მოკრების დრო არ იყო. ერთი პირობა, მაიამ იფიქრა კიდეც — ჩელტისა და სარეცხისათვის თავი დაენებებინა, ტვირთი შეემსუბუქებინა, ბავშვისა და თავის თავის შველაზე ეფიქრა, მაგრამ, თითქო ამ განზრახვამ გამოაფხიზლაო, გუნებაში უმალ დაცინვით შეესიტყვა თავის თავს — „რამ შეგაშინა ქალო, ჯერ ხომ ისეთი არაფერია!..“ ერთხელაც რომ გახედა მდინარეს და ერთი წუთის წინ რიყით მოფენილ ვრცელ ნაპირს, წელანდელზე უფრო გაოცდა. ალაგ-ალაგ ჩაღრმავებულ ადგილებში მღვრია ნაკადი უკვე შემოჭრილიყო და სწრაფად მატულობდა, მთელ ნაპირს ედებოდა; ორმოები და ნაპრალები უკვე ამოევსო. რაც კი ნაპირზე ხმელი ფიჩხის ნამტვრევები, ნაფოტები და კონსერვის ცარიელი ჟანგიანი კოლოფები იყო, ჭუჭყიან ქაფში სულ წყლის ზედაპირზე ტივტივებდა და დინების მიხედვით ზოგან სწრაფად მიექანებოდა, ზოგან ერთ ადგილზე ბრუნავდა. ის ადგილი ნაპირზე, სადაც მაია გამოვიდა, შედარებით ამაღლებული იყო, პატარა ბორცვივით ჩანდა და წყალი ჯერ ვერ სწვდებოდა. ქალი გულს იმშვიდებდა — ვიდრე იმ ორმოციოდე ნაბიჯს გაივლიდა და სამშვიდობო ალმართს—გორაკის ფერდობს მიაღწევდა, წყალი ისე ვერ მოიმატებდა, რომ გზა მოეჭრა; მაგრამ გადადგა თუ არა მაიამ რამდენიმე ნაბიჯი, დაინახა, რომ ვარაუდში ტყუვდებოდა. წყალი სწრაფად მატულობდა, თუმცა

მის ნაკადს ნაპირზე იმდენი სისწრაფე და ძალა ჯერ კიდევ არა ჰქონდა, რამდენიც კალაპოტში.

სიჩქარეში მაიამ ერთი-ორჯერ წაიბორძიკა. ახლა წყლით დაფარულ რიყეზე ძალიან სჭირდა ფეხის ისე დაბიჯება, რომ წონასწორობა შეგენარჩუნებინათ. გორაკის ფერდობს რომ უახლოვდებოდა, უეცრად ერთგან ისე ღონივრად ჩაბუქნა, ეგონა ვიღუპებიო; წყალი წელამდე შემოსწვდა. ინსტინქტიურად მკლავი კიდევ უფრო მაგრად მოხვია ბავშვს და დაიკივლა, მაგრამ მის ძახილს არავინ გამოხმაურებია. ირგვლივ მდინარის მოღონიერებულ ტალღების ტლაშუნის მეტი არა ისმოდა-რა. ქალი მიხვდა, რომ ორმოში ჩაუვარდა ფეხი, და ეს მარცხი არც თუ ისე საბედისწერო იყო. ის ახლა ცდილობდა შვილის გამხნევებას, დაუსრულებლად იმეორებდა „ნუ გეშინიაო“, რითაც ბავშვს უფრო მეტად აშინებდა. ბავშვი მაგრად ჩაკვროდა დედას, მკლავები მისი კისრისათვის შემოეჭდო, ყელით მხარზე დაბჯენოდა, ხოლო ფეხები ისე მარჯვედ შემოესალტა წელზე, რომ ქალს თავისუფლად მოძრაობასა და სუნთქვას უშლიდა. მაიას სწორედ იმ მხარეს ჩაუვარდა ფეხი უხილავ ორმოში, საითაც ჩელტით სარეცხი ეჭირა, ჩელტი წყლის ზედაპირს დაენარცხა და ქალი წაქცევისაგან იხსნა. წელან გადაგდებას რომ აპირებდა, ახლა უფრო მაგრად უჭერდა ხელს თეძოზე მიბჯენილ ჩელტს და გულისფანცქალით თვლიდა გუნებაში, კიდევ რამდენი ნაბიჯი უნდა გადაედგა, რომ სამშვიდობოს

გასულიყო. ამ ფიქრებში, პირველი მარცხისაგან ჯერ კიდევ გონდაბნეულმა ქალმა უცებ ხმამაღლა შეჰკივლა და ტუჩზედაც ისე იკბინა, თითქო ტკივილის შემსუბუქებას, ტკივილითვე ლამობდა. არც გაუგია, ჩელტს როგორ უშვა ხელი; ცალი ნაპირით დაყირავებული ჩელტი ერთხანს კიდევ ჩანდა წყლის ზედაპირზე, შემდეგ სწრაფად ჩაიძირა. ქალს ახლა ბავშვის გადარჩენის მეტი აღარაფერი ახსოვდა. კიდევ გადადგა გაჭირვებით რამდენიმე ნაბიჯი და სამშვიდობოს გავიდა. ნაპირზე კოჭლობით გაიარა თუ არა მცირე მანძილი, მახლობელ ღობის ძირას დასვა ბავშვი, და თვითონაც უღონოდ დაეცა მიწაზე. თმაგაწეწილს, გაფითრებულს, კიდევ არა სჯეროდა, რომ სტიქიას თავი დააღწია და სამშვიდობოს იყო გამოსული; უნდოდა, მდინარისაკენ ზურგი შეექცია, სულაც რომ არ ეხილა ლაღად მონავარდე, უამრავ ფაფარივით აშლილი ქაფიანი ტალღები. ტკივილმა კვლავ მიიქცია მისი ყურადღება. ფეხზე რომ დაიხედა, მიხვდა, ტერფი რალაც ბასრ საგანზე გაეფატრა. სისხლი უხვად მოდიოდა ჭრილობიდან და გაბანილ ტერფს წითლად ღებავდა. ქალმა სველი ხელებით თმები გადაივარცხნა და თავისდაუნებურად მდინარესაც გადახედა თუ არა, იმ შიშისა და განსაცდელის შემდეგ, რაც გამოიარა, ახლა უჩვეულო სიხარულმა გაუბრწყინა თვალები; უცებ ბავშვს სტაცა ხელი, გადაჰკოცნა, გულში ჩაიკრა. ბავშვი ხმას არ იღებდა, გაბუტულივით შუბლს ქვემოდან სულ ერთ-

თავად მდინარისაკენ იცქირებოდა. მას ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა მოხდა. ასე უეცრად მოზღვავებულ წყალს პირველად ხედავდა და ეს სანახაობა ახლა უფრო აოცებდა, ვიდრე აშინებდა.

სულიკომ მატარებელშივე შეიტყო, რომ შახტების უბანი სადგურიდან ხუთი კილომეტრითაა დაშორებული. ისიც უთხრეს, ამ გზაზე სპეციალური ავტობუსი დადისო. „სპეციალური ავტობუსის" ვაგონებზე ერთ-ერთმა მგზავრმა ისე გაიღიმა, სულიკო უმალ მიხვდა, არც ისე იყო საქმე, როგორც ზოგი არწმუნებდა. მართლაც, გადმოვიდა თუ არა ხალხი სადგურზე, იმ ადგილას, სადაც ავტობუსი უნდა მოსულიყო, მარტო ორი-სამი მგზავრი გაჩერდა თავისი ბარგით. მათ ვერ შეატყობდით, რომ ავტობუსს ელოდებოდნენ. ოდნავაც არ ამჟღავნებდნენ მოლოდინით აღძრულ მოუსვენრობას. არც იქით იცქირებოდნენ ხშირ-ხშირად, ამ შემთხვევაში მგზავრისათვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობით, საიდანაც, მოასფალტებულ გზატკეცილზე ავტობუსი უნდა გამოჩენილიყო.

ვაგონებიდან გადმოსული ხალხი ერთხანს სადგურის ბაქანსა და უკანა მოედანზე რომ ფუსფუსებდა, რამდენიმე წუთის განმავლობაში შეუმჩნევლად მიმოიფანტა. როგორც ეტყობოდა, ვისაც ეჩქა-

რებოდა ყველა ფეხით მიეშურებოდა ან, შემთხვევით შემოხვედრილ საბარგო მანქანის ძარაში სხდებოდნენ გზადაგზა. ავტობუსის მოსაცდელთან მხოლოდ „მოცლილებს“ მოეყარათ თავი. ამ მოცლილთა მცირე ჯგუფს შეუერთდნენ სულიკო და მისი და მეგი. სულიკომ ჩემოდნების ტარება ოცი-ოდე ნაბიჯზედაც არ იკადრა; პატარა ბიჭს წამოაღებინა ისინი და ხის ქვეშ, ჩრდილში დაფენილ გაზეთის ნახევზე დააწყობინა.

მეგიც და სულიკოც ახლა ისე უცხოდ გამოიყურებოდნენ, ყველა გამვლელი ძალაუნებურად აქცევდა ყურადღებას. მეგისაც და სულიკოსაც ფართო ფარფლიანი საზაფხულო ქუდი ეხურა. სულიკოს ქუდს სპილოს ძვლისფერი გადაჰკრავდა, მეგის გაკრახმალებული ქუდი კი თოვლივით თეალისმომჭრელად ქათქათებდა. თავისუფლად ბოლოებგაშვებული შავი ლენტი კიდევ უფრო მეტად უსვამდა ხაზს ქუდის სითეთრეს. როგორც მეგის, ისე სულიკოს ქუდის ფარფლის წინა პირი კოხტად იყო მოხრილი და მათი სახის ზედანახევარს ჩრდილს ჰფენდა. სულიკო მოუსვენრად იცქირებოდა აქეთ-იქით, მარცხენა ხელსაც განზე სწრაფად გაიქნევდა ხოლმე და უკან წამოცურებულ სახელოს ადგილას, მაჯაზე ოქროს საათს თვალს შეავლებდა თავმომწონე ყმაწვილის მედიდურობით. ამ გაურკვეველ მოლოდინში კაცს უფრო მეტად აღიზიანებდა საბარგო მანქანების გაბმული ზუზუნი და რახრახი. თითქო აუცილებელიაო, გზატკეცილიდან მანქანები უსა-

თუოდ სადგურის მოედნისაკენ ჩამოუხვევდნენ, ერთი წუთით შეჩერდებოდნენ, შემდეგ მოედანს შემოუვლიდნენ და კვლავ გზატკეცილისაკენ გაიჭრებოდნენ. ზოგი მანქანა ცარიელი ჩანდა, უმეტესობა კი დატვირთული იყო კირით, ქვიშით, ხეტყით, რკინეულობით. საბარგო მანქანების შოფრებმა იცოდნენ-რა ავტობუსის ამბავი, მგზავრებს უსიტყვოდ სთავაზობდნენ თავიანთ მანქანას, მაგრამ სადგურის ბაქანზე ამჟამად ისეთი არავინ ჩანდა, რომ საბარგო მანქანით მგზავრობაზე დათანხმებულიყო.

უცებ სულიკოს სახე გაებადრა, მეგის ხმადაბლა გადაულაპარაკა — ახლავე დავბრუნდებიო და ჩქარი ნაბიჯით სადგურის შენობისაკენ გაემართა.

სულიკო მართლაც რამდენიმე წუთში დაბრუნდა. წარმატებას ის საერთოდ ვერასოდეს ვერ ფარავდა და ახლაც სახეზე კმაყოფილების აშკარად გამომხატველი ღიმილი უთამაშებდა. გაოცებული მეგის ყოველ გამეორებით შეკითხვაზე — რა გიხარიანო? — სულიკო ცალი წარბის მედიდური შეტოკებით პასუხობდა. მეგის გული მოუვიდა. ძმას ზურგი შეაქცია, განზრახ მის ჩემოდანზე ჩამოჯდა. მოწყენით მიწას გაუშტერა თვალი. წამით მეგი კიდეც გაიტაცა ხის ძირას მიყრილ ლეღვის კანებსა და მწიფე მსხლის ნათლებზე მისეულ ფუტკრების გულმოდგინე ბზუილმა და გარჯამ.

ასე დაჰყვეს ხუთმეტიოდე წუთი.

მეგი ძალიან გაოცდა, როდესაც სულიკომ შორი-

ახლოს შეჩერებულ „M—1-“ზე ანიშნა და უთხრა: ჩავსხდეთო. შოფერი სწრაფად გადმოვიდა, ჩემოდნებს ხელი დაავლო და მანქანაში ფრთხილად, თანაც ისე მოათავსა, რომ მგზავრები არ შეევიწროვებინა.

ერთი წუთის შემდეგ მეგი და სულიკო გზატკეცილით რაიკომისაკენ მიჰქროდნენ.

მაიას თავისი უფროსი ვაჟი — გურამი ჯერ კიდევ მაშინ მოაგონდა, წყალმა რომ ამღვრევა და მატება იწყო. მაია რომ მდინარეში სარეცხს რეცხავდა, გურამი ტოლებთან ერთად წითურთმიანი ამხანაგის ეზოში თამაშობდა. რახან გურამი ახლომახლო არსად ჩანდა, მაიამ იფიქრა, შინ თუ დაბრუნდა, ან იქნებ სადმე ახლოს კვლავ ტოლებთან თამაშობსო. მერე პერანგის ჩამონახევით შეიხვია თუ არა ფეხი, კვლავ გაახსენდა გურამი და, ისე ულაცრად, თანაც გულუბრყვილოდ წამოიძახა — „ნეტავი ის ბიჭი სად უნდა იყოს“, ვერ გაიგებდით, გვერდით, ღობესთან ატუზულ პატარა გიას ეკითხებოდა, თუ თავისთავს. მაია წამოდგა, ხელი შუბლზე მოიჩრდილა და მდინარეს ერთხელ კიდევ გახედა. ჟრჟოლის მომგვრელი და თავბრუდამხვევი იყო ახლა ამოდენა სივრცეზე ლაღად მიმავალი, ტალღებატოტებული მდინარის ჭვრეტა.

წყლის მოდიდებამდე, სადაც რიყით მოფენილი მდინარის ნაპირი იწყებოდა, ძველი არხის, მიწით ნახევრად ამოვსებული კალაპოტი ჩანდა: არხის გაღმა ნაპირს წყვეტილად გასდევდა პატარა გორაკისებური მიწაყრილი. მიწაყრილიდან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით რამდენიმე ხე იდგა. არხის გაყვანის დროს, ვისი ეზოს ბოლოც მდინარის ძველ ნაპირს ებჯინებოდა, ნაწილი ჩამოეჭრა და თავისი ხეხილით არხის გადაღმა მოექცა. ეზოს პატრონები ხეხილს მაინც თავისად თვლიდნენ და პირველ ხანებში გულმოდგინედაც იცავდნენ მეზობლების გათამამებული ბავშვებისაგან. განსაკუთრებით გულმოდგინედ დარაჯობდა პატრონი არხის გადაღმა დარჩენილ შავ ლეღვის ხეს. რადგან ლეღვის ხის პატრონი ახირებული მეზობელი იყო, მშობლები ბავშვებს ყოველთვის აფრთხილებდნენ, რომ მაქსიმელას ლეღვს არ გაკარებოდნენ, მაგრამ რაწამს თავის ეზოს გასცდებოდნენ, ბავშვებს მშობლების დარიგება ავიწყდებოდათ. სიმწიფის დროს, შავი ლეღვის დანახვის უმალ ხომ, ხეზე ასვლის ცდუნება ერთიორად მატულობდა მათში. მაგრამ საკვირველი ის იყო, თითქო პატრონის გასაღიზიანებლად ამ ხეს სხვა დროსაც რომ ეტანებოდნენ; ლეღვის ხეზე ასვლა გმირობად მიაჩნდათ და თუ გამბედაობაში ერთმანეთის გამოცდა უნდოდათ, პირველად იმას წამოიძახებდნენ — „თუ ბიჭი ხარ, მაქსიმელას ლეღვზე ადიო“.

გურამი ახლა სწორედ ამ ლეღვის ხეზე იჯდა და

ტოტებსა და ფოთლებს ისე მარჯვედ ეფარებოდა, რომ ნაპირიდან თითქმის შეუძლებელი იყო მისი დანახვა. დედის ძახილზე ბავშვი ხმას არ იღებდა, ელოდა მშობლის წასვლას; მაია კი ფეხს არ იცვლიდა ნაპირიდან, მოჯადოებულივით, ერთთავად სულ მდინარისაკენ, ხეებისაკენ იცქირებოდა. ერთი შეხედვით ისე მოგეჩვენებოდათ, თითქო ხეები წყალში ამოსულანო. მდინარემ უკვე გადმოლახა არხის მიწით გადასწორებულ-მოტკეპნილი სათავე ჯერ ნელი შმაშურით იკვლევდა გზას მის კალაპოტში, შემდეგ, როცა ძალა მოემატა, შხუილით წამოვიდა და სწრაფად იწყო მატება. რამდენიმე წუთში არხის კალაპოტი ნახევრად წყლით გაივსო. მაია გაფაციცებით აკვირდებოდა არხში შემოჭრილ წყალს, ის ახლა ისე იყო დაშინებული, რომ არხში წყლის გამოჩენის უმალ ადგილი მოინაცვლა, საურმე გზაზე გავიდა; მალე წყალი მდინარის პირას მობინადრეთა ეზოების ღობესაც მისწვდა, სარები უკან მოიტოვა და ბოსტნის კვლებს მოედო.

უცებ ბავშვების ჟივილი ატყდა, ისინი მდინარისაკენ იცქირებოდნენ, თან ხელებს იქნევდნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ გასჭყივოდნენ — „ნუ გეშინია, ნუ გეშინიაო“.

მაიამ გაოცებით გაიხედა იმ მხარეს, საიდანაც ბავშვების ხმა ისმოდა. ჯერ ეგონა წყალში ვინმე შენიშნეს და ამხნევებენო, მაგრამ მდინარის ვერც გაღმა, ვერც გამოღმა ნაპირის გასწვრივ, რომ ვერავინ შენიშნა, გაუკვირდა. ვერ გაეგო, რას ნიშნავდა

„ნუ გეშინია“-ს ძახილი. მოულოდნელად ხუთიოდე ბიჭი, ერთმანეთის მიყოლებით გამოძვრა ღობეში; მაიას დანახვაზე თავიანთი ჯოხის ცხენებით ისე მოკურცხლეს, თითქოს ერთმანეთს სირბილში ეჯიბრებიანო. სწრაფად აირბინეს გორაკისაკენ, საურმე გზაზე. მაიას კითხვა — გურამი სადღააო, — თითქო არც კი გაუგონიათ. ისინი დროდადრო თუთის ხის გრძელი წკეპლის მათრახებს ხან ხის ცხენს უჭირებდნენ, ხანაც ეზოებიდან წამოწვდილ ხეხილის ტოტებსა და ფოთლებზე გაატკაცუნებდნენ; დაკუწული ფოთლები მტვრიან მიწაზე იფანტებოდა, თუ ნაყოფიც ჩამოვარდებოდა, უმალ აიტაცებდნენ „ცხენოსნები“ და ისევ ჭენებით განაგრძობდნენ გზას; პირველ მოსახვევთან გზა მოკლედ მოჭრეს, ერთი მოსახლის ეზოდან მეორე მოსახლის ხელისგულისოდენა სიმინდის ყანაში გაიშლიგინეს, გახვითქული მხედრები რამდენიმე წუთში უკვე გორაკის თავზე გაჩნდნენ, მათი ჟრიამული ჯერ კიდეკ ესმოდა ქვემოთ მაიას.

მირბოდნენ ბიჭები და თან, ვინც შემოხვდებოდათ, ყველას ამცნობდნენ — მოდიდებულმა წყალმა მაქსიმელას ლელვის ხეზე ზიბზიბაძის გურამი მოიმწყვდია და მიეშველეთო. მაიამ ამასობაში ერთხელ კიდევ გახედა მდინარეს, მერე გიას ხელი წამოავლო და, საურმე გზით კი არ გაეშურა სახლისაკენ, იქვე მეზობლის ეზოში გადავიდა, მდინარეს ნაპირ-ნაპირ აჰყვა. წყალში მდგარ ხეებზე ო

მც ვერავის ამჩნევდა, გული მაინც ვერ უთმენ-

ღა დროდადრო იქითაც რომ არ გაეხედა. თან ისე მწყრალად, შეშფოთებით და ხმამაღლა გასძახერდა ხოლმე — „გურამ-ო“, თითქოს ბავშვი იქვე სადმე მიმალული ეგულებოდა.

ასე ჩაუარა მაიამ რამდენიმე მოსახლის ეზოს. ბოლოს, ერთგან, ჭის ცაში აწვდილი ოწინარი შენიშნა და იქით გაეშურა. გია რახანია გაიძახოდა— მწყურიაო.

გასცილდნენ თუ არა სადგურის მოედანს, აქამდე ლოდინით შეწუხებულ მეგისა და სულიკოს უმალ გუნებაც გაუხალისდათ. ისინი ახლა კმაყოფილი და უდარდელი ადამიანის თვალით გასცქეროდნენ თვალწინ გადაშლილ სანახაობას. ეს სანახაობა, მართალია, მათთვის მთლად უცხო არ იყო, მაგრამ შეჩვეული თვალისათვისაც ისევე მომხიბლავი ჩანდა აქაურობა, როგორც შეუჩვეველისათვის.

თუ გზის გასწვრივ გაიხედავდით, უეჭველად გაგაკვირვებდათ ის ცვლილება, რაც აქ უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარიყო. მეგი და სულიკო აქეთ ათი წლის წინათ იყვნენ ნამყოფი და ახლა დროდადრო ეჭვიც კი ებადებოდათ, სხვაგან ხომ არ ჩამოვხტით, გზა ხომ არ შეგვეშალაო. მანქანების წარამარა ქროლვით გასიპული ასფალტი მზეზე

ალაგ-ალაგ შავად ლაპლაპებდა. გზის მარცხნივ და მარჯვნივ დროდადრო შემოგხვდებოდათ ახლახან დასრულებული, თუ ჯერ კიდევ ხარაჩოების ტყეში შიშვლად ამართული აგურის კედლები, უკარფანჯროდ და უსახურავოდ. ახლომახლო, მარცხნივ, თუ მარჯვნივ გორაკებსაც ეცვალათ სახე. თუ წინათ გორაკების ფერდობთა ერთადერთი მშვენება — ქოჩორა ტყეები იყო და მარტო აქა-იქ, ხელისგულისოდენა, გამოკაფულ ადგილზე იქნებ სიმინდის ყანაც შეგენიშნათ, ახლა სიმწიფეში შესულ სიმინდის ყანების გარდა აქ ჩაის პლანტაციების მწკრივებით, თუ ხეხილის ბაღების ფერებით მოხატულ-აჭრელებული ფერდობები უნებლიეთ თვალს მოგტაცებდათ.

გზის მესამედიც არ ექნებოდათ გავლილი, რომ მოულოდნელად მანქანა ორსართულიან ქვის შენობის წინ გააჩერა შოფერმა.

— აქ არის რაიკომი?! — გაკვირვებით იკითხა სულიკომ.

— აქ გახლავთ! — დინჯად მიუგო გულგადაღეღილმა და მკლავებდაკაპიწებულმა შოფერმა. მანქანიდან ის პირველი გადმოვიდა, მეგის მხარეს კარი გააღო, მერე სულიკოსაც მიუბრუნდა,—ბარგი აქ იყოს?

— ბარგიც აქ იყოს, ჩეში დაც! — ღიმილით უპასუხა სულიკომ.

შოფერმა ცნობისმოყვარეობით გადახედა მეგის. აქამდე მეგი და სულიკო მას ცოლ-ქმარი ეგონა-

წელან, დანახვის უმალ, აკი გაოცებით გაიფიქრა— ასე შესაფერისნი როგორ შეხვდნენ ერთმანეთს, თითქო ჰგვანან კიდეც... ღმერთმანი, ერთი დედ-მამის შვილები გეგონებათო.

აქამდე მხიარული და თავისი უბრალოებით მომხიბლავი სულიკო, მანქანიდან გადმოსვლის უმალ ერთბაშად შეიცვალა, მამალ ინდაურივით გაიფხორა. სიტყვაშიაც, მოძრაობაშიაც მეტი სიდინჯე დაეტყო. „განსაკუთრებული შემთხვევებისათვის" ხელუხლებლად შემონახული ძვირფასი პაპიროსის კოლოფიც გახსნა, უჩვეულოდ გრძელღეროიანი პაპიროსი ისე დაიჭირა, ვერ შეატყობდით, რომ მწეველი არ იყო. ასე ეჭირა პაპიროსი ყოველთვის, სანამ ვინმე უცხოთაგანი მოწიწებით ასანთს არ შესთავაზებდა, ან მოკიდებულ პაპიროსს არ გაუწოდებდა. სულიკო ახლა, გამართული, ამაყად მიაბიჯებდა ვიწრო საფეხურებიან ცემენტის კიბეზე. ეს კიბე საკმაოდ უგემურად იყო მიდგმული შენობაზე და ისედაც მარტივ ფასადს მთლად აუშნოებდა.

ნაცრისფერი კოსტუმი, რომლის დაჭმუჭვნისა ასე ეშინოდა სულიკოს მანქანაში ჯდომის დროს, მის ტანზე ახლა ისე კოხტად ჩანდა, მეგიც კი გაკვირვებული იყო. საცერივით ნაქსოვი აბრეშუმის პერანგის საყელოც მოხდენილად ჰქონდა გადმოკეცილი პიჯაკის ბორტებზე. გაწაფული ხელით გამოსკვნილი ნაცრისფერივე ფართო ყელსაბამის და ლოსის ტყავის საზაფხულო ფეხსაცმელის ხილვაზე

ხომ უნებლიეთ დაინტერესდებოდით ამ ჭაბუკის ვინაობით, რაგინდ გულგრილიც არ უნდა ყოფილიყავით კოხტად ჩაცმა-დახურვის საკითხისადმი.

რაიკომის მდივნის თანაშემწე ისეთის ხალისით შეეგება მოსაცდელი ოთახის კარებში გამოჩენილ სულიკოს, თითქო ძველი ხნის უნახავი მეგობრები ყოფილიყვნენ. თუმცა ისიც შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ შეხვედრას უსათუოდ ჰქონდა თავისი მიზეზი. როდესაც სულიკომ სადგურიდან რაიკომში დარეკა, პირველად სწორედ ამ გოგონასთან მოუხდა გამოლაპარაკება. როგორც სულიკოს გარეგნობა უცხო თვალისათვის, ისე მისი ხმის პირველად გაგონება, მზამზარეული კომპლიმენტები, ყურისათვის მუდამ საამო მოსასმენი, და საკმარისი ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი იყო.

სულიკოს რაიკომის პირველი მდივნის ნახვა ეწადა, მაგრამ რახან ბეგლარი ქალაქკომში იყო წასული, თანაშემწემ ხვალამდე ლოდინს მეორე მდივნის ნახვა ურჩია.

სულიკომ წყენით შეავლო თვალი პირველი მდივნის კაბინეტის კარს, უცებ კვლავ გოგონას შეხედა, მერე მზერა დინჯად მეორე მდივნის კაბინეტის კარისაკენ მიმართა, თან ხმადაბლა შენიშნა:

— მოახსენეთ!

მდივნის თანაშემწე სწრაფად შევიდა მეორე მდივნის კაბინეტში. ერთი წუთის შემდეგ, ყრლო დახშული, შავი ლიდერინით აკრული კარი ერთბა-შად გაიღო. თავის მოძრაობით გოგონამ ანიშნა

სულიკოს — შებრძანდითო. ის საზეიმო ელდერი და გაჯგიმულობა, რითაც აქამდე გამოირჩეოდა სულიკო, ფართოდ გაღებულ კარის ზღურბლზე გადაბიჯების უმალ ჩამოსცილდა. რაიკომის მეორე მდივანი ტანძორჩილი, გამხდარი ყმაწვილი იყო. როგორც ჩაცმაში, ისე იერში და კილოშიაც კი, მისი ხაზგასმული უბრალოება სულიკოსთანა ჭაბუკებს შეხვედრის უმალ უკარგავდა ყალბი თავმომწონეობით გატაცების ხალისს.

რაიკომის მეორე მდივანი, მაგიდასთან მოახლოვების უმალ წამოუდგა სულიკოს, ხელი დინჯად გაუწოდა, ღიმილით ჩამოართვა და სანამ თვითონ დაჯდებოდა, სტუმარს სავარძელზე ანიშნა.

მართალია, იგი მეტად ყმაწვილი ჩანდა, მაგრამ ფართო შუბლის ერთადერთი, ნახმლევივით ღრმა ნაოჭი და დაკვირვებული, ერთი შეხედვით, გამომწვევი მზერა ამხელდა მის ნებისყოფასაც და ცხოვრებაში შეძენილ საკმაო გამოცდილების კვალსაც.

სულიკო ის იყო გაეცნო, დასხდნენ, თავისი ჩამოსვლის მიზანზე სიტყვაც წამოიწყო, მაგრამ ამ დროს მოულოდნელად დარეკა ტელეფონმა.

რაიკომის მდივანსა და იმ კაცს შორის, ვინც დაურეკა, საქმიანი დიალოგი გაიმართა. როგორც სულიკო მიხვდა, რაიკომის მდივანი ერთ-ერთი შახტის უფროსს უსაყვედურებდა — ამასწინათ გამართულ საწარმოო-სამეურნეო თათბირზე მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის დასახულ ღონის-

ძიებათა სუსტად შესრულებით უნდა აიხსნას თქვენი წარუმატებლობაო. შახტის უფროსი, ეტყობოდა, სხვადასხვა ამბების მომიზეზებით ცდილობდა თავის გამართლებას. რაიკომის მდივანმა გადაჭრით მოახსენა, რომ დასახულ ღონისძიებათა შესრულება მხოლოდ იმ გზით იყო შესაძლებელი, როგორც ეს უკვე ითქვაო. მე დაუყოვნებლივ მოვახსენებ ყოველივეს ამხანაგ ბეგლარს და ვფიქრობ, რომ იგი გადამჭრელ ზომებს მიიღებსო. პირველი ტელეფონის მილაკი ორკაპზე ჯერ კიდევ არ დაედო მას, რომ ახლა მეორემ დარეკა. რაიკომის მდივანს სიხარულით აცნობეს ტრესტიდან, რომ ჩამოვიდა სამთო-სამრეწველო სკოლადამთავრებული ათი ახალგაზრდა მუშაო. როცა მდივანი რამდენიმე წუთი ამ საკითხზე ეთათბირა ტრესტის მმართველს და მილაკი დასდო, სულიკომ კვლავ წამოიწყო:

— მე დავალებული მაქვსო...

და უცებ ისევ ტელეფონის ზარის წკრიალმა გააწყვეტინა სიტყვა.

რაიკომის მდივანს ახლა წყალდიდობის დაწყების შესახებ ურეკავდნენ. მან დაწვრილებით გამოკითხა — თუ რა საფრთხე მოელოდა მოსახლეობას, რა დახმარებას საჭიროებდნენ მდინარის პირას მცხოვრებნი.

დასდო თუ არა მდივანმა მილაკი, სულიკომ იმის შიშით, რომ ისევ ტელეფონის ზარი გააწყვეტინებდა სიტყვას, სწრაფად მოახსენა მეშახტეთა ქალაქში თავისი ჩამოსვლის მიზანი, რომ დავალებუ-

ლი აქვს კლუბის მთავარი ფასადისათვის დიდი ბარელიეფის გამოძერწვა მეშახტეთა გმირული შრომის თემაზე, რომ ამის შესახებ რაიკომის პირველმა მდივანმა უკვე იცის, და ახლა საჭიროა ადგილობრივ ამხანაგებისათვის ამ საქმის უფრო დეტალურად გაცნობა და პრინციპული თანხმობის შემთხვევაში სამუშაოს დაწყება, ტექნიკური საკითხების დაზუსტება.

რაიკომის მეორე მდივანი კმაყოფილებით შეხვდა ამ ამბავს. ისიც უთხრა სულიკოს, რაიკომი ყოველმხრივ დაგეხმარებათ ამ საქმეშიო. თან გამომშვიდობების წინ სთხოვა — რახან დღეს ამხანაგი ბეგლარი აქ არ იმყოფება, კარგი იქნება თუ ტრესტის მმართველს ინახულებთ, მასაც გააცნობთ თქვენი ჩამოსვლის მიზანს და მუშაობის გეგმას, ხვალ კი ამხანაგ ბეგლართან ერთად ამ საკითხზე საბოლოოდ მოვილაპარაკებთო.

სულიკოს წასვლის წინ, რაიკომის მდივანი ელაპარაკა ტრესტის მმართველს. მათ საუბარში სულიკო მხოლოდ იმან გააოცა, რომ ბინის გამონახვაზე სიტყვა გაუგრძელდათ.

სულიკომ, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ ძველ, პაწაწინა სასტუმროში უკვე მუშები ჩაესახლებინათ, ახალი შენდებოდა. ამიტომაც ჩამოსულთათვის ბინის გამონახვა თავსატეხ საკითხად იქცა.

„მაშ ცისქვეშ ხომ არ დაგვტოვებენო“ — გაიფიქრა სულიკომ, როცა რაიკომის მდივნის და ტრესტის მმართველის საუბარს უსმენდა.

გამომშვიდობების წინ რაიკომის მდივანმა შენიშნა: — თქვენ ამ საუბარმა არ დაგაღონოთ, ყველაფერი მოგვარდება, მუშაობაში ხელი არ შეგეშლებათო და, გამოსამშვიდობებლად ხელი ისე გაუწოდა, როგორც ახლობელს.

პირველ ცვლას მუშაობა ახალი დამთავრებული ჰქონდა. ცენტრალური შტოლნიდან თითო-თითოდ თუ ჯგუფ-ჯგუფად, განუწყვეტლივ მოედინებოდნენ მეშახტეები. მათი გარეგნობა ახლა ძალაუნებურად იქცევდა ყურადღებას. ხელის გადასმისაგან ფართე ლაქებით დასერილ ოფლიან სახეზე მარტო თვალის გარსი უჩანდათ თეთრად; გაღიმების დროს კი კბილები ისე უელავდათ, გეგონებოდათ ანათებენო. გაშავებული სახე, გაშავებული სპეცსამოსი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქო ეს ადამიანები თავად ნახშირის ფენიდან იყვნენ გამოკვეთილნი. საკვირველი ის იყო, რომ ხელები თითქმის ყველას თეთრი უჩანდა. ეს შეუსაბამობა არც ისე ძნელი მისახვედრი გახლდათ; ზოგ მეშახტეს ცალ ხელზე ჯერაც ეკეთა ბრეზენტის ხელთათმანი. მეშახტის ქუდი, ნათურით და უნათუროდ, ყველას მჭიდროდ ეხურა თავზე. ბრეზენტის შარვალი ზოგს შავ-ლაფმიმხმარ რეზინის ჩექმაში ჰქონდა ჩატანებული, ზოგს ზემოდან გადმოშვებული. მართალია,

დაღლილი იყვნენ, მაგრამ მაინც ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდნენ, რათა დროზე გათავისუფლებულიყვნენ ლამპისა, მეშახტის ქუდისა, ბრეზენტის გამურულ სპეცსამოსისა, რეზინის ჩექმებისა და ჭუჭყისაგან. შახტიდან გამოსული მეშახტის პირველი მცნება სალამფეში აკუმულატორულ ნათურის ჩაბარებაა; ამის გარეშე ის ისე ითვლება, როგორც ხიფათშემთხვეული და დაგვიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ იწყება მისი ძებნა.

კაკო ზიბზიბაძის კომკავშირულ ბრიგადის წევრებში, რომლებიც ახლა ერთად მიეშურებოდნენ სალამფესაკენ, მარტო ერთი მიაბიჯებდა მდუმარედ. შტოლნიდან სალამფემდე ამხანაგების ოხუნჯობაზე მას ხმამაღლა ერთხელაც არ გაუცინია. ღიმილში, ოდნავ, ბაგის კუთხე თუ შეუტოკდებოდა ხოლმე. შესამჩნევი სიდინჯე და ლაპარაკის დროს აუღელვებელი კილო, ყოველი სიტყვის თითქმის ჩურჩულით, მაგრამ ბეჯითად და მკაფიოდ გამოთქმა, საგრძნობლად არჩევდა ამხანაგებისაგან, რომლებიც ხმამაღლა ლაპარაკსა და სიცილს იყვნენ ჩვეულნი. ისიც შესამჩნევი იყო, რომ ამხანაგები გადაჭარბებული ყურადღებით ეპყრობოდნენ; მის სიტყვას ბოლომდე და მოთმინებით ისმენდნენ, შეკითხვაზედაც მყის პასუხობდნენ. თვითონ ეს ახალგაზრდა — შატბია არაბიძე თავისი გარეგნობით, თუ მდგომარეობით სულაც არ იმსახურებდა ასეთ ყურადღებას და პატივისცემას. ისიც სხვებსავით გამურული, იერშეცვლილი გამოიყურებოდა; ტან-

საცმელიც დანარჩენებივით შავი მტვერით და ლაფით დალაქავებული, თუმც შედარებით ახალი, ეცვა. რეზინის ჩექმების ყელის შავი ლაფით დაუფარავი ზედა ნაწილი ამქღავნებდა, რომ ისინი ახალი მიღებული ჰქონდა საწყობიდან. მაგრამ, ცხადია, არც სპეცსამოსის და რეზინის ჩექმების სიახლე იყო მისდამი ამხანაგების თავაზიანი მოპყრობის მიზეზი. მეშახტეთა სახელოვან ოჯახში მას ყველა ჩინებულად იცნობდა და საყვარელ სტუმრად თვლიდა. მართალია, ის ახლა შახტში მუშაობდა, მაგრამ თავი მეშახტედ მაინც არ მიაჩნდა. თუ იგი თავის ძალ-ღონეს არ იშურებდა და უნარსაც იჩენდა ამ საქმეში, არა იმიტომ, რომ სახელი მოეხვეჭა, არამედ — ჯერ-ერთი, ზიბზიბაძის ბრიგადის სახელმოხვეჭილი წევრები, ხოლო მეორე მხრივ, თავისი მამა — ძველი მეშახტე — არ შეერცხვინა.

ვიდრე სალამფემდე მიაღწევდნენ, მეშახტეებს გზაში ბავშვები შემოეფეთნენ. ისინი თუმცა ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, მაგრამ მათს ჟივჟივში მაინც შეიძლებოდა კაცს შეეტყო, რომ — მდინარე მოდიდებულა. ბავშვების გარშემო მოგროვილმა მეშახტეებმა ერთ წამში წრე შეკრეს. წრის შიგნით მყოფნი ამაოდ ლამობდნენ ამბის უფრო დაწვრილებით შეტყობას.

წრედშეკრულ, ამხანაგებს ჯგუფიდან განზე მდგარმა კაკო ზიბზიბაძემ ხმამაღლა დაიძახა:

— არაფერია, როგორც მოდიდებულა, ისევე დაიკლებს!

მის შენიშვნაზე ზოგს გაეცინა, ზოგმა კი უფრო შეიკრა შუბლი. კაკომ გამარჯვებულის მედიდურებით შეაქცია ზურგი ბავშვების გარშემო თავმოყრილ მეშახტეებს და, ის იყო სალამფესაკენ უნდა განეგრძო გზა, რომ უცებ სახედაჭორფლილი, წითურთმიანი ბავშვის ძახილი მოესმა.

— კაკო ბიძია, კაკო ბიძია!..

კაკო მობრუნდა, ბავშვს მოჩვენებით მწყრალად გადახედა.

— რა იყო, ბიჭო?

— გურამი წყალმა მოიმწყვდია, ხეზე დარჩა, მაქსიმელას ლეღვის ხეზე.

კაკომ ერთი კი გადახედა მეშახტეთა ჯგუფს და უცებ ისე დაიძახა „არიქა, ბიჭებოო“, — თითქოს თვითონ ჩავარდნილიყო განსაცდელში. ის უმალ შატბიას მივარდა, აკუმულატორული ნათურა ხელიდან გამოსტაცა და თავის ნათურასთან ერთად სირბილაძეს მიაჩეჩა სალამფეში ჩასაბარებლად.

თითქო წეღანდელი გულგრილი შენიშვნა უნდა მოაგონოსო, ისე შეხედა შატბიამ კაკოს, მერე სწრაფად წაიძრო რეზინის ჩექმები და ფეხსახვევი, გაიხადა ბრეზენტის პიჯაკიც. ბავშვებს ერთი ძიძგილი და ცილობა შეექმნათ შატბიას ტანსაცმელის დასაკუთრებაზე. მისი ქუდის, პიჯაკის, თუ ჩექმის ტარება ბავშვებისათვის დიდი სასახელო საქმე იყო.

მეშახტეები, რომლებიც ახლა ბავშვის გადასარჩენად ეშურებოდნენ, თავად ძლივს გადაურჩნენ

ხიფათს; გზატკეცილზე, მოსახვევთან მოულოდნელად შემოეფეთათ მსუბუქი ავტო. გამაფრთხილებელ ნიშანზე მათ ძლივს მოასწრეს მანქანისათვის გვერდის აქცევა; ოდელიამ და შატბიამ ყველაზე ადრე და ყველაზე მარჯვედ ისკუპეს თხრილისაკენ. ისინი ახლა მარტო „ჰეი-ს“ერთი შეძახებით არ დაკმაყოფილდებოდნენ, ნაცნობი შოფრის გვერდით მჯდომ უცხო ქალიშვილისა და უკანა სავარძლის საზურგეზე ნებივრად გადაწოლილ უცხო ვაჟის ხათრი რომ არ შეენახათ. ამ მხარეში, მართალია, ნაირ-ნაირი სტუმარი ხშირია, მაგრამ ამ ქალვაჟმა მაინც გამოჩენის უმალ მოსტაცა თვალი ახალგაზრდა მეშახტეებს.

ოდელია, როგორც გამოირკვა, არც თუ ისე მარჯვედ გადამხტარიყო თხრილში, ცალი ფეხი სტკეხოდა და, ახლა თავს ძალას ატანდა, რომ ამხანაგებს დასწეოდა. როცა დაეწია, შატბიას მკლავში ხელი სტაცა და ხმადაბლა, ისე, რომ კაკოს არ გაეგონა, ხუმრობით ჰკითხა:

— შატბია, რომ ეთქვათ, ის გოგონა შენთან მოდისო, დაბრუნდებოდი?

შატბიამ ხმა არ გასცა, სამაგიეროდ ხელი გააშვებინა.

— უყურეთ?! ისე შეიფერა ჩემი ნათქვამი, ვითომ ის გოგონა მართლა ამის სტუმარი იყოს და დაბრუნებისას შინ დახვდება!

შატბია ძლივს იკავებდა თავს, ოდელიას შენიშვნებზე რომ არ ეპასუხნა.

— ერთი იმ გოგონას გაქათქათებულ შლიაპის ნაპირზე ეს ჩემი მურიანი თითები შემახებია და მერე თუ გინდა... მომკლა! ...რას იტყვი, შატბია! ამაზედაც თანახმა ხარ?

შატბიას ხმა არც ახლა გაუღია.

გზადაგზა ვინც კი ხვდებოდათ, ყველა წყალდიდობაზე და კაკოს ბიჭზე ლაპარაკობდა. ზოგიერთებმა კაკო, მართალია, გაამხნევეს—გურამს არაფერი გაუჭირდებაო, ერთმანეთში კი მწუხარებით გაიძახოდნენ — ძალიან საეჭვოა კაკო ზიბზიბაძემ თავისი ბიჭი ცოცხალი იხილოსო... წყალი იმ ხეს აქამდე ხუთჯერ მოთხრიდაო...

რამდენიმე ახალგაზრდა მეშახტე, რომლებსაც უკვე მოესწროთ ნათურის ჩაბარება, შუაგზაზე დაეწიენ შატბიას და მის „ამალას". აქამდე კაკო ზიბზიბაძე სულმოუთქმელად რომ გარბოდა აღმართზე, მოულოდნელად, წამით შესდგა, ამხანაგებს თვალი გადაავლო და შენიშნა:

— დღეს სწორედ გურამის დაბადების დღე უნდა გადამხედა... თუ მშვიდობა იქნა... საღამოს ყველანი მეწვიეთ!

— ბიჭო! აქამდე სად იყავი?!—იყვირა ოდელიამ და სირბილით განაგრძო გზა, აქამდე რომ უკან რჩებოდა, ახლა ყველას წინ გაუსწრო.

— მშვიდობა იქნება, მშვიდობა! — დაიძახა ხორხომელიძემ, — საღამოს ისე შემოვძახოთ, რომ ზენი ჭერის საღებავი სულ თავზე გვაცვიოდეს!

ტრესტის მმართველის კაბინეტიდან ისეთი ყვირილი ისმოდა, უცხოს ეგონებოდა — ჩხუბიაო. ამგვარი „ჩხუბი“ დღეში რამდენჯერმე იმართებოდა, როცა ტრესტის მმართველი რაიონს ან თბილისში ქვანახშირის კომბინატს ელაპარაკებოდა ტელეფონით.

მოსაცდელ ოთახში, მმართველის კაბინეტის კართან რამდენიმე კაცი იდგა, მაგრამ ისინი, თითქო არც შეენიშნოს, ნიკო არაბიძე შემოსვლის უმალ ეცა კარს, რახან ყვირილის ნაცნობი ხმაც მოესმა, მდივნისთვისაც არაფერი უკითხავს, ისე შევიდა კაბინეტში.

მდივნის თანაშემწემ მარტო მაშინ ანება თავი მანქანაზე ბეჭდვას, როცა კარის გაღების უმალ, კაბინეტიდან ყვირილი უფრო მკაფიოდ მოისმა. „ნუ შეხვალთო“ — უნდოდა დაეძახნა, მაგრამ ჯერ ერთი, უკვე გვიანღა იყო, ამასობაში კარიც მოიხურა, მეორეც, რახან შესული ნიკო არაბიძე იყო, ამ ამბავს აღარ გამოჰკიდებია. მან მკაფიოდ გაიგონა ერთი-ორი, გულისწყრომის გამომხატველი შენიშვნა. კართან შეჯგუფებულთაგან ზოგი უკმაყოფილო ჩანდა ნიკოს ურიგოდ შესვლით, მაგრამ არც ამ შენიშვნებისათვის მიუცია მდივანს დიდი მნიშვნელობა.

ნიკო, მართალია, რიგს ვერ დაელოდებოდა, შინაური იყო, შესვლაზე მდივნისაგან ნებართვასაც არ საჭიროებდა, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, ვიდრე შევიდოდა, ზინასთვის არ ეკითხოს — მმართ-

ველი ხომ კაბინეტშია, ან, თუ სკალიაო. ზინა გრძნობდა, რომ ასეთი მიმართვა მხოლოდ თავაზიანობის გამოხატულება იყო და, დღეს მით უფრო ეოცა, რომ ნიკომ ამ თავაზიანობას გადაუხვია. ხედავდა-რა, როგორის პატივისცემით ეპყრობოდნენ, ახსენებდნენ უფროსებიც, უმცროსებიც, ძველ მეშახტეს, ზინა საკუთარი მამის მიმართაც არ იჩენდა იმდენ მოწიწებას, რამდენსაც ამ ადამიანის სასახელო შრომაში მოპოვებულ სახელის წინაშე. ნიკოც გრძნობდა-რა ზინას პატივისცემით მოპყრობას, ამ ულამაზო გოგონას თვითონაც მუდამ მოფერებით მიმართავდა, ზინას მაგივრად ნაზოს ეძახდა. ერთი შეხედვით თითქო ბევრი არაფერი იცვლებოდა, მაგრამ... როცა ზინას ეძახდნენ, გოგონას თავი მაშინ სულ სხვაგვარად ჰყავდა წარმოდგენილი, როცა ნაზოს გაიგონებდა მაშინ კი ეგონა, რომ მართლა ნაზი და სათნო ვყოფილვარ, მხოლოდ ამას ზოგიერთები ვერ ამჩნევენო.

ნიკომ მოხერხებულად იცოდა ადამიანის გულის მოგება. უბრალო სიტყვით და საერთოდ თავისი უბრალოებით ის მუდამ მოწონებას და ნდობას იმსახურებდა ზოგჯერ სრულიად უცნობი, ბუნებით ეჭვიანი და უნდო ადამიანის გულშიაც კი. ნიკოს მხოლოდ ერთი შემთხვევა ახსოვდა თავის ცხოვრებაში, რომ ადამიანის გულის მოგების ცდამ ამაოდ ჩაუარა...

კაბინეტში შესვლის უმალ ნიკო მმართველმა

თავისთან მოიხმო, მერე ხელითვე მუნჯურად ანიშნა — დაჯექიო.

ვიდრე მმართველი ტელეფონით ლაპარაკობდა, ნიკო მოთმინებით ელოდა, თან, ხან ერთ ბროშურას გადაფურცლავდა, ხან მეორეს. ბროშურები დასტად ეწყო მაგიდის წინა კუთხეში.

მოათავა თუ არა მმართველმა ტელეფონით ლაპარაკი, მილაკი ჯერ კიდევ არ დაედო ორკაპზე, ისე ეცა ნიკოს:

— კაცო, ასე ყველაფერზე ახირება გაგონილა?!

— მე მეუბნები, ამხანაგო მალხაზ? — ნიკო გაოცებით შეაცქერდა მმართველს.

— გამაგებინე ერთი, თუ კაცი ხარ, — ახლა უფრო ხმადაბლა და თავაზიანი კილოთი მიმართა მალხაზმა ნიკოს, — შენს უბანს რაღა გაძლიერება სჭირდება?! სამთო სკოლა დამთავრებული ბიჭები არა სჯობია ჩამორჩენილებს მივაშველოთ?

ნიკო ერთ წუთს დუმდა, ისევ, ხელში შერჩენილ ბროშურას ფურცლავდა, მერე მმართველს თვალი გამომწვევად გაუსწორა.

— ამხანაგო მალხაზ, აქაო-და ნიკო არაბიძის უბანი გეგმას გადაჭარბებით ასრულებსო, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ჩვენთვის საკმარისი იყოს?

— რა თქმა უნდა არა. — მმართველმა ხელები მაღლა შემართა.

— რაც უფრო უზრუნველყოფილი ვიქნებით მანქანებით და მუშახელით, წარმატებაც უფრო მეტი არ გვექნება?

— ესეც მართალია.

რბილი სავარძლის საზურგეზე მიწოლილმა მალხაზმა მაგიდის ნაპირს მიბჯენილი ხელის თითები მოუსვენრად აათამაშა რომელიღაც მოტივის ტაქტზე.

— მაგრამ... ჯერ საერთო აღმავლობას უნდა მივაღწიოთ, თორემ რასა გავს — შენ გეგმის შესრულებაში ას სამოც პროცენტს გადააჭარბე, ქარქაშაძის უბანი კი ასამდეც ვერ ასულა!

— ჩემი ბრალია? ჩამორჩენილების „ხათრისათვის“ წინწასულებს ხომ ვერ შევაჩერებდით!? სადაცაა მეორე კვარტალს დავასრულებთ... რაც უნდა გააძლიეროთ, სხვები ჩემს უბანს მაინც ხომ ვეღარ დაეწევიან? რად გინდათ, დამაკარგვინოთ გარდამავალი დროშა და პრემია?.. ჰო, რის მეორე კვარტალი! სწორედ ახლა ივნისში არა წყდება ნახევარი წლის გეგმის შესრულების ბედიც? ახლა გვმართებს სიმარჯვე! ამხანაგო მალხაზ, უნდა დამეხმაროთ, ახალშოსულები ისე განაწილდეს, რომ...

— სულ ათი ყმაწვილია. ოთხი რომ შენს უბანში, გავამწესოთ, ამით დიდ სასწაულს ვერ მოახდენ, ქარქაშაძის უბნისთვის კი ერთი კაცის შემატებაც საგრძნობი იქნება.

ნიკოს მოთმინება აღარ ეყო.

— ამხანაგო მალხაზ, თქვენ ფიქრობთ, რომ... ქარქაშაძის უბნის ჩამორჩენა მარტო მუშახელის ნაკლებობით აიხსნება?

— ეს მთავარია!

— მთავარი... მე სხვა მგონია! ხალხი იმას ჩემზე მეტი ჰყავს... მაგრამ...

ნიკომ სიტყვა აღარ დაასრულა. კაბინეტში შემოვიდა შახტის უფროსი.

— სწორედ რომ საჭირო იყო, ლუკა, შენი მოსვლა!

ლუკამ ცალყბად გაიღიმა, მალხაზს ხელი ჩამოართვა და ნიკოს პირდაპირ, მეორე მხრიდან მიუჯდა მაგიდას.

— რა დავა ატეხილა?.. სამთოსკოლელები ირა მე უნდა წავიყვანო, არა მეო!

ლუკამ პაპიროსის ერთი-ორი გაბოლების შემდეგ უკმაყოფილო თვალით გადახედა ნიკოს, შემდეგ დინჯად მიუგო მალხაზს.

— ამხანაგ ნიკოს ზოგჯერ ავიწყდება, რომ შახტში რამოდენიმე საექსპლოატაციო უბანია და, როგორც კომბინატი, ისე ტრესტი დაინტერესებულია — ყველა უბანი წარმატებით ასრულებდეს გეგმას!

— მე მგონია, — ლუკა ახლა ნიკოს მიუბრუნდა, — ერთი რომელიმე უბანი ისე ვერ დაწინაურდება, რომ დანარჩენი ხუთის ჩამორჩენა დაფაროს!.. რომელი უბნის უფროსი შეგვპირდება, გეგმას ექვსასი პროცენტით შევასრულებო!?

— ჯერჯერობით, ვერც ერთი! — მოკლედ მოუჭრა სიტყვა მალხაზმა შახტის უფროსს. — მაშასადამე... შენ იმ აზრს ემხრობი, რომ ათივე ყმაწვილი ქარქაშაძეს მივაშველოთ!

— ვემხრობი, მაგრამ... მერე რა?

— რაღა-რა? უთხარი და შეასრულებენ!

— საქმეც ის არის, აგრე იოლად რომ არ შესრულდება! თუ ნიკო გვემუდარება ახალგაზრდების ერთი ჯგუფი მე მომაშველეთო, ქარქაშაძე უარზეა დანარჩენები თავის უბანში წაიყვანოს. ისედაც ჩამორჩენილი ვარ და ეს გამოუცდელი ხალხი ხომ სულ მიწაზე დამანარცხებსო... სად შემიძლია მაგათი პატრონობა და ლოლიაობა, ახლა მე გამოცდილი მუშები მჭირდებაო!

ნიკოს ხმამაღლა გაეცინა.

მალხაზი კი ქარქაშაძის „მოსაზრებამ" სერიოზულად გააბრაზა.

— ჭკუაზე ხომ არ შეშლილა?.. მაგასაც რა კარგ დროს აშლია არჩევანის საღერღელი! ამ დღეებში ნახევარი წლის გეგმის შესრულების ბედი უნდა გადაწყდეს, ეგ კი...

წუთით იყუჩეს, მერე ისევ მალხაზმა იკითხა:

— პარტკომი რას ამბობს?

— ელიზბარი... შვებულებაშია. ის რომ აქ იყოს... — სინანულით შენიშნა ნიკომ.

— თანაშემწე ხომ აქ არის...

— თანაშემწე, რაღა თქმა უნდა... ელიზბარიც აქ არის... ხვალ მიემგზავრება. — დარწმუნებით მიუგო მალხაზს შახტის უფროსმა, — ახლა, როცა ახალგაზრდების განაწილების საკითხი რეალურად დგება... ისინი სულ რამდენიმე საათია, რაც ჩამო-

ვიდნენ... პარტორგანიზაციაც რეალურად ჩაერევა...

— ეს გუშინაც რეალური იყო...

ზარის წკარუნზე ყველამ ტელეფონისაკენ გაიხედა. მმართველმა აცალა, სანამ სამჯერ გაიწკარუნებდა ზარი, მერე მილაკი აიღო და თავისი ბოხი, მკღერი ხმით ჩასძახა — გისმენთო.

მალხაზი ჯერ უსიტყვოდ უსმენდა, ვინც ელაპარაკებოდა, მერე უცებ გაკვირვებით შენიშნა — მართლაო?.. პირველად მესმის... არავის დაურეკია... რას ამბობ... თუ გაჭირდეს სამთო მაშველ რაზმსაც დაუძახეთ, ადამიანი არ დაღუპოთო...

დასდო თუ არა ტელეფონის მილაკი ყველამ ერთხმად ჰკითხა მალხაზს:

— რა მოხდა, ვინმე დამარცხდა?..

—ჩამოინგრა?...

— არა, კაცო! წყალი მოვარდნილა... რიყეზე, არხს გადაღმა რომ ხეებია, ერთზე ბავშვი მოუმწყვდევია...

— ის მაქსიმელას ხეები სულ ძირფესვიანად ამოსაგდებია!.. ეს მეორე შემთხვევაა! — აღელვებით შენიშნა შახტის უფროსმა.

შარშანდელი წყალდიდობის დროს სწორედ მისი ბავშვი დარჩა მაქსიმელას ხეზე და, ახლა ლუკას გულისწყრომა იქ მყოფთათვის გასაგები იყო.

— ვისი ბავშვია! — იკითხა ნიკომ.

— არ უთქვამთ. — მოკლედ მოუჭრა მალხაზმა.

— მერე, უშველეს თუ არა? — კვლავ გულ-შემატკივრის კილოთი იკითხა ნიკომ.

— წასულან მარჯვე-მარჯვე ბიჭები! უშველიან, რაღა თქმა უნდა!

— თუ შველაა, დროზე უნდა მიეშველონ, — ნიკოს სიტყვა არ დაესრულებინა, რომ ისევ გაიწკარუნა ტელეფონის ზარმა.

— ეს ტელეფონი შემოჩენილი ხომ არ არის? დავიწყებ თუ არა სიტყვას, მაშინვე... — ნიკომ გაკვირვებით მოღიმარი თვალები იქ მყოფთ მოავლო.

მმართველმა მილაკი აიღო.

— მალხაზი ვარ.

მან ერთხანს მოთმინებით უსმინა, მერე მოკლედ და აჩქარებით მოუჭრა, — ძალიან კარგიო და მილაკი დასდო.

მალხაზმა თავიდანვე შეამჩნია, რომ ნიკოს და ლუკას ყური ტელეფონისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი, სახეზედაც ცნობისმოყვარეობა აღბეჭდოდათ.

— კაცო, რაღა სწორედ კვარტალის ბოლოს მოიცლის ხოლმე ჩვენთვის ყველაფერი... სამთოსკოლელები ჩამოვიდნენო — პირველ რიგში — ბინა! წელან კიდევ თბილისიდან ერთი ახალგაზრდა მოქანდაკე გვეწვია, პირველ რიგში — ბინა! ტაიკომიდანაც დამირეკეს — ხელი შეუწყეთო. ჩვენი კლუბისათვის ქანდაკების გაკეთება დაუვალებიათ... ერთი საათი მელაპარაკა მოქანდაკე —

საინტერესოდ აქვს მოფიქრებული, შეიძლება თქვენც კი გამოგსახოთ მის ბარელიეფში.

შახტის უფროსი სულ ღიმილით შესცქეროდა თვალებში მალხაზს, როცა ის ამ ამბავს ჰყვებოდა, ნიკო კი ისე გამოიყურებოდა, თითქო მოქანდაკის ჩამოსვლა არ სიამოვნებდაო.

— ამხანაგო მალხაზ, ხედავ, თურმე რა საქმეს აკეთებდა ის ბუჩუნტო სასტუმრო!? ტყუილუბრალოდ შევასახლეთ ხალხი ახალ სასტუმროს დამთავრებამდე.

— ტყუილუბრალოდ არ შეგვისახლებია, ისიც კარგი საქმეა, მაგრამ რა მეგონა, თუ ახალს ამ თვეშიაც ვერ მოვათავებდით.

— არა უშავს, — ჩაერია ლუკა, — ცოტა ხანიც გაგვიჭირდება და სამაგიეროდ ისეთი სასტუმრო გვექნება!..

— ამხანაგო მალხაზ, ახალჩამოსულ ყმაწვილ მუშებზე რა თქვა ბასარიამ? — იკითხა ნიკომ.

— დაუბინავებიათ... ახლა სწორედ ორივენი: ღიდაც, ბასარიაც რიგრიგობით შელაპარაკნენ.

მალხაზმა მაგიდაზე ქაღალდები მიალაგ-მოალაგა და წამოდგა.

— ასე არ შეიძლება, ამხანაგებო! საკითხი ამ საღამოსვე უნდა გადაწყდეს. სამთოსკოლელები შეიძლებოდა ხვალიდანაც... ჩაგებათ მუშაობაში, რომ...

რაკი მალხაზი აღარ დაჯდა და მაგიდის გასწვრივ ბოლთასა სცემდა, ნიკო და ლუკაც წამოდგნენ.

მალხაზი ფანჯარასთან მივიდა, სივრცეს გახედა; როცა შემობრუნდა, სიტყვა განაგრძო:

— რახან არ წასულა, ელიზბარსაც დაურეკეთ. შეიკრიბეთ ამ საღამოსვე მესამე ცვლის გასტუმრების შემდეგ და მოითათბირეთ. მართალია, ნიკოს ერთი სურს, ქარქაშაძეს მეორე, მაგრამ სხვა გამოცდილი ამხანაგების აზრსაც ხომ უნდა დავუგდოთ ყური და გავუწიოთ ანგარიში!

— როგორც გენებოთ! ეს კია, რომ თავი ჯერ მარტო ჩემი უბნის წარმატებით გესახელებათ და...

ამ სიტყვებზე ნიკოს ბუნებრივად ფერმკრთალ სახეზე ვარდისფერმა გადაუარა. თითქოს შერცხვაო ამ ხნის კაცს, თავისი გულისნადები რომ იქ მყოფთ გაანდო. ეს სიტყვები, შეიძლებოდა ტრაბახად ჩამოერთმიათ, თუმცა ნათქვამი სრული სიმართლე იყო.

მმართველი აღარ დაელოდა მათთან საქმეზე მოლაპარაკების დასრულებას, ზარი დარეკა და მდივანს სთხოვა, ვინც ელოდებოდა რიგრიგობით შემოეშვა.

წყალდიდობის შეტყობის პირველ წუთებში მდინარის პირას მარტო იმათ მოეყარათ თავი, ვინც ახლომახლო ცხოვრობდა; ესენი უმეტესად

მოხუცი დიასახლისები იყვნენ, რომლებიც, ჩვეულებრივ, შინ საქმიანობდნენ და ეზოს გარეთ იშვიათად უხდებოდათ გასვლა.

ისინი ახლა იმაზე დარდობდნენ და ვიშვიშებდნენ, რომ წყალი ბოსტნებს წალეკავსო. ერთმა თქვა — ბოსტნებს ჩივი, თუ სახლში არ შემოგვივარდაო. მათ ახლა უკვე შეშფოთებით იწყეს ცქერა აქეთ-იქით — წყალი, ვინ იცის, მართლა როგორ მოიმატებს და, ვაითუ შველა დაგვჭირდესო.

თამარელას დანახვაზე მათ ცოტა გული მოეცათ, იფიქრეს — ეტყობა ხალხსაც უკვე შეუტყვია ჩვენი გასაჭირიო.

თამარელა სირბილით, გულამოხეთქილი მოიჭრა ნაპირთან. ბავშვები მას გზაში შეხვედროდნენ და, ოუ წეღან მაიას ვერ გაუმხილეს საფრთხეში ჩავარდნილი გურამის ამბავი, თამარელასათვის ყველაფერი დაწვრილებით ემცნოთ.

ქალები სწორედ რომ გააოცა თამარელას, ერთი შეხედვით, უმიზეზო შეშფოთებამ, მაგრამ რაწამს ამის საბაბი შეიტყვეს, ისე შეიცხადეს, ისეთი ვიშვიში ასტეხეს, თითქო თვითონ ჰქონოდათ საშველად საქმე. თამარელამ კი იფიქრა — რა ღმერთი გამიწყრა, რომ გავამხილე, ბავშვს სხვა თუ არაფერი, მარტო ამათი კივილი გადარევსო. ბევრი აცხრო და აშოშმინა ისინი, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ბოლოს ისიც ურჩია, შორს მაინც წადით და იქ იკივლეთ, იქნებ ხალხმა დროზე შეიტყოსო. ამ ფუჭ ალიაქოთში განსაკუთრებით თავი გამოედო

ბრაჭულის ცოლს პლანეტას. თამარელა მას ერთი-ორჯერ კინალამ თმებში სწვდა, მაგრამ პლანეტას ბედი, რომ თამარელას ახლა საამისოდ არ ეცალა.

თამარელა თვალმოუცილებლად სულ იმ ხისაკენ იცქირებოდა, სადაც დისწული ეგულებოდა. ხეს ისე დასტრიალებდნენ აფოფრილი, ქაფიანი ტალღები, თითქო მისი დიდი რამ ჯავრი სჭირთო.

ამ სანახაობამ, ცალკე, ნაპირის სიახლოვესაც ტალღების გამალებით სრბოლამ, ტლაშუნმა და იდუმალმა ხმაურმა თამარელა მწარედ დააფიქრა. —

აქ მე ვერას გავხდებიო, — გაიფიქრა სინანულით და ისე მიიხედ-მოიხედა, თითქო თავის თავზე უფრო გაბედულს და მარჯვეს ეძებსო; თანაც უფრო ცხადად წარმოიდგინა-რა, საფრთხეში მყოფი დისწულის მდგომარეობა, ველარ გაუძლო, გულში თავისდაუნებურად ჩაირტყა ორივე დამუშტული ხელი და სასოწარკვეთილების გამომხატველ ამოკვნესასთან ერთად თვალებიდანაც ცრემლები ღვარივით გადმოსკდა. „საწყალი... საწყალი... საწყალი...“ — უსიტყვოდ, თავისთვის გულის სიღრმეში იმეორებდა თამარელა და მდინარის ნაპირის გასწვრივ ჩამწკრივებულ ხალხს მუდარის გამომხატველ მზერას აპყრობდა დროდადრო...

თამარელას ჯერ ეგონა — მეჩვენებაო, მაგრამ რაკი გამეორდა, დარწმუნდა კიდეც, რომ გურამი ეძახდა...

მართლაც, წყლის მომატებამ თუ უფრო მეტად

შეაშინა გურამი, თამარელას უეცარმა გამოჩენამ ერთბაშად გაამხნევა და ნაპირზე ჩქარა გაყვანის იმედიც მისცა.

ერთხელ კიდევ გაიგონა თუ არა თამარელამ ხის ფოთლებიდან თავგამოყოფილ გურამის ძახილი — „ღეიდა თამარელაო," თითქო ამ ხმამ საბოლოოდ გამოაფხიზლა და მიახვედრა რაც უნდა გააკეთოს, როგორც უნდა მოიქცესო; თამარელა მყის დაფცაცურდა, ღობეს ეცა, ერთი სარი თვალისდახამხამებაში ამოაძრო და მდინარეს მიაშურა.

თუ წეღან შეცხადებით უშლიდა, ახლა წინგადადგომით სცადა პლანეტამ თამარელასათვის ხელის შეშლა, მაგრამ გოგონამ ისეთი გაშმაგებით მოუღერა ვებერთელა სარი, რომ პლანეტამ უმალ იკადრა უკან დახევა. შიშისაგან ახლა ის ვეღარც ხმას იღებდა, ვეღარც იძროდა. თუ პლანეტამ ასე იოლად უტია, თამარელას სხვები უფრო გაუძალიანდნენ, გაბედულად მიესივნენ, არ გაგიშვებთო, ჩასწიოდნენ ყურებში, მაგრამ თამარელამ ერთხელაც ისე გაიბრძოლა; ქალები დარწმუნდნენ — ამ ნაზი ქალწულის დაჭერა ახლა კაცებსაც გაუჭირდებოდათო. თამარელას ერთი სიტყვაც არ დასცდენია. მან მხოლოდ თვალი გადაავლო შეშინებულ დიასახლისებს და, ქალებმაც უმალ ამოიკითხეს თამარელას მზერაში — არა გრცხვენიათო... თქვენ ვერაფრით გიშველნიათ ბავშვისათვის და სხვასაც ხელს უშლით, აბა ერთი რომელიმე თქვენგანის იყოს ის ბავშვი, ან თქვენ თვი-

ონ იყოთ იმ დღეშიო... და პირველი ნაბიჯი ანგარიშმიუცემლად შედგა მღვრია წყალში.

ქალების შიში მშობელივით თავგანწირულ გოგონასათვის ახლა გაუგებარი იყო.

ტრესტიდან ნიკო და შახტის უფროსი მანქანით ერთად წამოვიდნენ. გზაში ნიკომ აიჩემა — თუ არ დავხედე, როგორ დააბინავეს ჩვენი ყმაწვილები, არ შემიძლიაო. იგი ახალგაზრდა მეშახტეთა ოთხსართულიან საერთო საცხოვრებელთან ჩამოხტა მანქანიდან, ლუკამ კი გზა განაგრძო შახტისაკენ.

კომენდანტის ოთახი ნიკოს დაკეტილი დაუხვდა. მორიგემ უთხრა — ეს წუთია აქ ტრიალებდნენ ღიდა და ბასარია... არ ვიცი საით წავიდნენ... მოუცადეთ, ან ერთი გაჩნდება, ან მეორეო. ნიკომაც გადასწყვიტა დაეცადა. დრო რომ შეუმჩნევლად გასულიყო, იქვე, სამკითხველოში გაზეთებს თვალი გადაავლო, მერე კლუბის დარბაზში შეიხედა. მომღერალ-მოცეკვავეთა ანსამბლს მომავალ, საქალაქო ოლიმპიადისათვის ამზადებდნენ. ერთ სიმღერას ბოლომდე მოუსმინა, დარბაზიდან ფეხაკრეფით გამოვიდა. ახლა დერეფანში მორიგეც აღარსად ჩანდა, რომ ეკითხა, მოვიდნენ თუ არაო. ისევ კომენდანტის გამოკეტილ ოთახისაკენ გაეშურა, კარის სახელური რამდენჯერმე მაგრად

შეანჯღრია. ხმაურზე, მეორე სართულიდან ვიღაცამ ჩამოსძახა — მანდ ვინ არისო. ნიკომ ხმაზე იცნო ბასარია — საბინაო საქმეთა მმართველი. ბასარიას თან ახლდა ლიდაც — საერთო საცხოვრებლის კომენდანტი — მამაკაცივით შეუპოვარი, დაბალი ქალი. ლიდა სწრაფად ჩამოეგება ნიკოს, ოთახის კარი გააღო და შინ შეიწვია იგი. საბინაო საქმეთა მმართველი კი, ისიც დაბალი, თავმომწონედ, ცხვირაწევით რომ იცოდა სიარული — ახლა, კიბეზე ისეთი დინჯი ნაბიჯით ჩამოდიოდა, ერთი მხრივ, თუ მისი ხელოვნური სიდინჯე ღიმილს მოგგვრიდათ, მეორე მხრივ შეიძლება გულიც მოგსვლოდათ და გეფიქრათ — ნეტავი რა სჭირს ასე გასაბღენძიო. ის სულ მთლად ქერა იყო, წარბები არც კი აჩნდა, თმა უკან გადაევარცხნა და ორად გაეყო. წარამარა თავზე ხელს ისე გადაისვამდა ხოლმე, თითქო ეჩვენებოდა, რომ თმები აშლოდა.

ოთახში შესვლის უმალ, ამღერებულის ხმით, ნიკოს ისე შეეგება, თითქო გულში უნდა ჩაიკრასო.

— რა ამბავია, რამ შეგაწუხა, ამხანაგო ნიკო!?

ნიკომ პირი ლიდასკენ იბრუნა, ცნობისმოყვარეობით იკითხა:

— როგორ დააბინავე დილას ჩამოსული ყმაწვილები?

— რომელი ყმაწვილები? —

— სამთოსკოლელები, ამხანაგო ლიდა!

— მაგაზე მე თვითონ ვიზრუნე! — ჩაერია ბასარია.

— დამახედეთ ერთი, სად არიან... რა თქმა უნდა, ქანდარაზე აიყვანდი!

— პირიქით. პირველ სართულზე... მყუდრო და თბილ ადგილას, სამზარეულოს მეზობლად!

— რა გიქნია, ბიჭო! არ დამიხოცო ის ხალხი! — იყვირა ნიკომ. — ამ ზაფხულში მაინც და მაინც არ იყო საჭირო სითბოზე ზრუნვა, — ხმადაბლა, დაცინვით დაუმატა ნათქვამს ძველმა მეშახტემ, — ლიდა! ამ ლაპარაკს, არა სჯობია, ვნახო იქაურობა?

— ამხანაგო ნიკო! ყველაფერი უკვე ნახული და გასინჯულია! თუ არ გვენდობი, მაშინ, ჰო...

— სარევიზიო ჯერჯერობით არაფერი გვჭირს... ბიჭები კარგად დავაბინავეთ! — მიეშველა ბასარიას ლიდაც.

—კაცო, გაგონილა?! დამახედეთ ერთი იმ ბიჭებს! წელან, თქვენ არ იცით, რა დავა მქონდა, ჯერ კომბინატში, ლუკასთან, მერე ტრესტში. რამდენიმე კაცი ჩემს უბანში უნდა გაამწესოთ-მეთქი და... იქნებ ბრდღვნად არც კი ლირან, ა?

ბასარიამ უკმაყოფილოდ ახედა ნიკოს, მერე ხელები ჯიბეში ჩაიწყო და გაიარ-გამოიარა. უცებ გადასძახა ლიდას:

— აჩვენე.

ლიდა, თავდახრილი, წინ გაუძღვა ნიკოს.

.რამდენიმე წუთის შემდეგ ორივენი კვლავ საკო-

მენდატორში დაბრუნდნენ. ნიკო ისე შეიჭრა ოთახში, თითქოს რაიმე უბედურება შემთხვევოდეს. ბასარიას მის ხილვაზე წარბიც არ შეუხრია. თავს ლაღად და ბედნიერად მაშინ გრძნობდა, თუ რითიმე აყალმაყალს გამოიწვევდა; ახლაც იყნოსა რა ასეთი ამბის მოახლოვება, თავი კიდევ უფრო ასწია მაღლა.

— ეს რა გიქნია, ბიჭო?! კომბოსტოს და კარტოფილის ნოტიო საწყობში რა სინდისმა შეგასახლებია ყმაწვილები?! იცი, ვინ არიან ეგენი?!

— შე კაცო, დღეს ჩამოსულებს ასე უცებ როგორ გავიცნობდი!?.. მაინც... ვინ არიან?

ნიკოს უნდოდა ეთქვა — ჩვენი მომავალი და ჩვენი სიამაყეო, მაგრამ გადაიფიქრა — ვინც უნდა იყვნენ, ბასარიასთვის ეს ალბათ სულერთიაო.

ბასარიას კი ეგონა, ნიკოს გულისწყრომა იოლად ღავძლიეო, რახან ძველმა მეშახტემ დამცინავ პასუხზე ხმა აღარ გასცა.

— თუ ისინი ახლავე საუკეთესო ბინაში არ გადაგიყვანია, იცოდე..! — ნიკომ გამომწვევად გადახედა ბასარიას. ხმას, მართალია დაუწია, მაგრამ უფრო ბეჯითად დაუმატა ნათქვამს — იცოდე. ჩვენი შერიგება აღარ მოხერხდება!

— მოხერხება... ჩემზედ იყოს! — დამცინავი ღიმილით მიუგო ბასარიამ.

ამ ყოვლის გამაბიაბრუებელ პასუხზე ნიკოსაც კინაღამ გაეცინა. უნდოდა შეეხედნა, — ერთი ვნახო, რა თვალებით მიცქერისო, მაგრამ გადაი-

ფიქრა, — მელასავით უციმციმებს თვალები... რომ შევხედო გამეცინება და ხომ დავიღუპეო.

ნიკო ახლა ფანჯარაში იცქირებოდა, თან ლაპარაკის დროს მაგიდაზე მუშტს ისე სცემდა, თითქო მისი ნალაპარაკევი იწერება და თვითონ ზედ ბეჭედს ასვამსო.

— ბასარია, იცოდე, უსამართლოდ ახირება არა მჩვევია, მაგრამ თუ აგიხირდი, ველარც გაიხარებ!

— კაცო, რაც არა ხარ, როგორ დავიჯერო, ის როდისმე იქნები!.. ახირება — ახირებულის საქმეა!

— ბასარია! — მწყრალად დაიძახა ნიკომ და ფანჯარას მოშორდა, — ამდენი, წვეულებაში თამადობის დროს არ მილაპარაკნია... მითხარი — გადაგყავს თუ არა ის ყმაწვილები უკეთეს...

ბასარიამ იყვირა:

— ნიკო, როგორ ლაპარაკობ?! ვითომ, შენ მაგაო მამა ხარ და მე მამინაცვალი, თუ რა?

— ამხანაგო ნიკო! ამ საერთო საცხოვრებელში უკეთესი, თავისუფალი ოთახი არ მოგვეპოვება და, რა ვქნათ? არ არის ბატონო, არა! — კვლავ მიეშველა ბასარიას ლიდა.

— არის! — გადაჭრით თქვა ნიკომ.

— სად?

— სად?

ერთხმად, ყეფისდაგვარად მიაძახეს ნიკოს ლიდამ და ბასარიამ.

— მეორე სართულზე! — მშვიდად მიუგო ნიკომ.

ბასარიას სახეზე გაკვირვება — უმალ კმაყოფილების ღიმილმა შესცვალა.

— იყო, მაგრამ, — ლიდას გადახედა, გაუცინა,— აღარ არის. ასეთია სინამდვილე! — მეტისმეტი კმაყოფილებისაგან ბასარიამ თმაზე ხელი თავმომწონედ გადაისვა.

ნიკოს გაეღიმა. იფიქრა — მატყუებენო და უეცრად იკითხა:

— ასე მალე ვინ ჩაასახლეთ?

— თბილისელი მოქანდაკე!

— მოქანდაკე?!

მოქანდაკის გაგონებაზე ნიკომ კვლავ შეიჭმუხნა შუბლი.

— მოქანდაკეს აქ არ გამოგიგზავნიდნენ, ბიძია, სხვაგანაც გამონახავდნენ მისთვის ბინას!

— რაზეა ვითომ დასაწუნი ჩვენი საერთო საცხოვრებელი, — თავმომწონედ იკითხა ლიდამ. — პირიქით, ქალბატონმა განაცხადა, ოთახიც კულტურულად არის გაფორმებული და გადასახედიც მომხიბლავიაო!

— ვინ ქალბატონმა? — ეჭვით იკითხა ნიკომ.

— მოქანდაკეს რომ ახლავს! — თავმომწონედ შენიშნა ბასარიამ, — ნიკო! შენ რაც გინდა თქვი და... ის ქალიშვილი ვითომ მობრძანებულიყო კი არა, მარტო იმისი ქუდი რომ მოეტანათ, მაშინაც იძულებული ვიქნებოდი, ის საუკეთესო ოთახი, მეორე სართულზე, იმ ქუდისათვის დამეთმო, მარტო ის დამედო შუა ოთახში მაგიდაზე და მეცქირა!

— რაა, ბიჭო, ასეთი? — ნიკომ გამომწვევად ჩაიცინა. მერე უცებ შეიკრა შუბლი. — არა, შენ რაღაც ზღაპრებს მიყვები! დარწმუნებული ვარ, ოთახი თავისუფალია...

ბასარიამ და ლიდამ ხმაშეწყობით გაიცინეს.

— იქნებ მოელი? რა ვუყოთ...

ბასარიამ და ლიდამ ახლა უფრო ხმამაღლა გაიცინეს.

— მთელი ქვეყანა, ბიძია, — განაგრძო ნიკომ აუღელვებლად, — ჩვენ შემოგვცქერის, აბა რამდენ ტონა ქვანახშირს მისცემენ სამშობლოსო! შენ კი... მუშებს — ხვალ რომ საბრძოლო დავალება უნდა მივცე — კარტოფილის საწყობში აბინავებ!

ბასარიამ ალმაცერად ახედა ნიკოს, თანაც თავზე ისე გადაისვა ხელი, თითქოს ფრთხილობდა თმებს არ შეახოსო.

— ნეტავი იცოდნენ მაინც იმ ბიჭებმა, რა მზრუნველი გამოუჩნდი!

ნიკომ ერთი ავის თვალით დახედა ზემოდან ბასარიას და ოთახიდან გავიდა. ლიდა კარებამდე მიჰყვა, მერე უცებ შემობრუნდა და ბასარიას შეშფოთებით აუწყა:

— მაღლა ადის.

— როგორც ავა, ისე ჩამოვა! — დაცინვით, გულგრილად შენიშნა ბასარიამ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე სართულის დერეფნიდან საკომენდანტოში საეჭვო ხმაური დაყვირილი ჩამოესმათ. ლიდამ არ დააყოვნა, მკვირ-

ცხლად აირბინა კიბეზე; ერთი შეჰკივლა ხმადაბლა, თმებშიაც ხელი იტაცა და ასე ფეთებით ჩამოიჭრა კიბეზე, გეგონებოდათ — ხანძარი გაჩენილაო.

— ბასარია! — იყვირა ლიდამ ოთახში შესელის უმალ, — ახლავე დარეკე რაიკომში... ნიკო არაბიძე გადარეულა... თბილისელებს თავის ბარგიანად გარეთ გამოყრას უპირებს... ჩემოდნები უკვე დერეფანში გამოუწყვია!

ბასარიამ მარცხენა ხელი სწრაფად გადაისვა თმებზე, მარჯვენა კი ტელეფონის მილაკს სტაცა, მაგრამ... ლიდას ნაკარნახევის შესრულება სწრაფადვე გადაიფიქრა, ოთახიდან მოსხლეტით გაეარდა, თბილისელების საშველად მეორე სართულს მიაშურა.

ხალხს უკვე შეეტყო მდინარის მოდიდება; ახლა დიდი თუ პატარა იქით ეშურებოდა. შახტის უბანსა და მდინარეს შუა ყოფდა მაღალი ქედის ვერტიკალური შტო — გორაკების წყება. მათ ფერდობებზე უსწორმასწოროდ იყო შეფენილი თითო, ორ-ორ სართულიანი, ქვისა თუ ხის ძველმოდური სახლები, ფართო აივნით, ვიწრო ფანჯრებით და ყავრის სახურავით.

გზადაგზა შემომხვდარი ნაცნობები გამამხნევე-

ბელი შეძახილებით ეგებებოდნენ და აცილებდნენ შატბიას, კაკოს, მის ამხანაგებს. შატბიას ჯერ კიდევ არა ჰქონდა შეტყობილი მდინარის მოდიდებისა და საფრთხეში ჩავარდნილი ბავშვის ამბავი, რომ მდინარის ნაპირის გასწვრივ და ეზოებში შეგროვილ ხალხში ხმა უკვე დარხეულიყო.— საშველად შატბიაც მოდისო.

შატბია გორაკზედ რომ ავიდა და ერთის წამით შესვენებულმა თვალი გადაავლო ხეობას, იქაურობა ველარც კი იცნო. ჩვეულებრივ, საკმაოდ ვიწრო, ოციოდე მეტრის სიგანე კალაპოტში ზანტად მიმავალი მდინარე ახლა, გაღმა-გამოღმა ვრცელ ნაპირებზედაც ზღვასავით ისე გაბოტებულიყო თითქო ცისა და ქვეყნის წალეკვას ლამობდა. ჩვეულებრივ ეს მყუდრო, ვრცელი ხეობა ახლა საოცარ, იდუმალ გუგუნს მოეცვა. გაღმა, ნაპირის გასწვრივ, ერთგან, მოცურავეებსავით გამოიყურებოდნენ ხეები. ტალღების ძალა ტოტებს დინებისაკენ ზნექავდა, მაგრამ ტოტები ისევ სწორდებოდნენ; ეს ისე სწრაფად ხდებოდა და დაუსრულებლად მეორდებოდა, გეგონებოდათ, ხეებს მკლავები გამოსხმია და ცურავენო.

ფერდობის საცალფეხო ბილიკზე ახლა თავქვე სწრაფად მიმავალ შატბიას უკვე ესმოდა მდინარის ნაპირის გასწვრივ გაფანტული ხალხის ყაყანი, შეძახილები.

წყალს უკვე ნაპირის ახლო მოსახლეთა ეზოების შუამდე მოეტანებინა და კვლავაც ზემოთ მოი-

წევდა. ბოსტნებში წინა კვლები აღარ ჩანდა, აქა-იქ მხოლოდ პრასას და აყვავილებულ ქინძს ამოეყო თავი მღვრია წყლის ქაფიან ტბორიდან.

მოდიდებული მდინარე შატბიას ბევრჯერ უნახავს, მაგრამ ასეთ წყალდიდობას ჯერ არ მოსწრებია. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა, მაგრამ ფიქრს თავი მაინც არ მისცა, კვლავ მხნედ განაგრძო გზა.

უკან მომავალთ შატბია უცებ გაუქრა თვალიდან. სწრაფად გადაუხვია ერთი მოსახლის ყანაში, შემდეგ მესრის ღობეც უკან მოიტოვა და ბილიკზე გავიდა. მისი „ამალა“ ჯერ დაიბნა, მაგრამ მერე ძალაუნებურად განაგრძო აღებული გზი — საურმე გზით თავქვე დაეშვა. ხალხი კი, შატბიასაც საურმე გზით რომ ელოდა, უცებ ის ზემოთ, კარგა შორს გამოჩნდა, დიდ ლოდზე, რომელიც კონცხივით ჩანდა ახლა წყალში შეჭრილი. შატბია ფრთხილად, მაგრამ მარჯვედ ჩასრიალდა ლოდის შვეულ ნაპირზე და მის ირგვლივ ადუღებულივით ახვარხვალებულ-აქაფებულ წყალში ჩაეშვა. წყალი ჯერ თეძომდე სწვდებოდა, შემდეგ უცებ იმატა სიღრმემ. გაშლილ მკლავებს შატბია წონასწორობისათვის ბეჭების მოძრაობის მიხედვით ნელა იცნევდა წყლის ზედაპირზე. როცა წყალში იღლიებამდე შევიდა და ტანი აუმჩატდა, კოხტად გაწვა და მარჯვედ იწყო ტალღების კვეთა. მისი თეთრი მკლავები და ბეჭები უცებ ხან გამოჩნდებოდა ზედაპირზე, ხან ისევ მღვრია ტალღებში ქრებოდა.

შატბიამ კარგად აუღო ალღო წყლის სიჩქარეს და ტალღების ძალას; მიზანს ზემოდან უსწორა. ყველაზე ძნელი ახლა ცურვა და ტალღებთან ჭიდილი კი არა, არამედ იმ კუნძების, მორების, ფიცრების, თუ მოდიდებულ წყლის მიერ გზადაგზა დანგრეული სახლის ნაწილების თავიდან აცილება იყო, რომლებიც გახელებულ მდინარეს ასე უხვად მოჰქონდა. შატბია მარჯვედ აუქცევდა ხოლმე გვერდს, ან ხელის კვრით გეზს შეუცვლიდა გამოქანებულ მორს, თუ ფიცარს. ნაპირიდან მოთვალთვალეთა გაოცებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ხალხი, დიდი თუ პატარა, ისე იყო მოხიბლული მისი სიმარდით და მოსაზრებულობით, ბევრი გულის სიღრმეში კიდეც ნატრობდა ახლა შატბიას არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობას. შორიდან მისი გარჯა ლამაზი საცქერი იყო და ხალხიც ისე ერთობოდა, როგორც სანახაობით, მაგრამ შატბიასათვის ეს დიდი თავგანწირვა და მძიმე ჯაფა იყო მხოლოდ.

შატბია მარტო მაშინ შეკრთა და მკლავიც თითქო მოუდუნდა, როცა ხეს დაუახლოვდა. პირველად მისი მზერა ხის ტანზე მკლავებმოხვეულ თამარელას თვალებს შეეფეთა.

შატბია აქ მარტო გურამთან შეხვედრას ელოდა. ახლა, თამარელას უეცარი ხილვით გაკვირვებული ვაჟი წამით დაიბნა. შატბიას მხოლოდ გურამის ამბავი აუწყეს, თამარელას თავგანწირვის შესახებ კი არაფერი სმენია...

როცა სარმომარჯვებულმა თამარელამ მდინარეს Ძიაშურა, თან ის იფიᲥრა — თუ ვერ ვუშველი, ჩემი სიახლოვით მაინც გავამხნევებ პატარა დის-წულს, ვიდრე ნამდვილი მშველელი გაჩნდებო-დესო. ყოველი, მარჯვედ გადადგმული ნაბიჯი ერთსა და იმავე დროს სიხარულსაც ჰგვრიდა, შიშ-საც. რაც უფრო უახლოვდებოდა ლეღვის ხეს, მით უფრო ეხატებოდა სახეზე სიხარული, მაგრამ რაც უფრო შორდებოდა ნაპირს, რაც უფრო ღრმად იᲭრებოდა წყალში, გული ფარული შიშით მით უფრო გამალებით უძგერდა.

თამარელას ცხოვრებაში ეს პირველი შემთხვევა იყო, საკუთარ სიცოცხლეს რომ საფრთხეში აგ-დებდა, მაგრამ საერთოდ ხშირადაც სმენია და თვითონაც ყოფილა მოწმე სხვათა თავგანწირვისა; და თუ ერთი მხრივ, თავისი ნაბიჯი გაკვირვებას არ იწვევდა, მეორე მხრივ, გულის სიღრმეში კმაყო-ფილებასაც კი გრძნობდა, რომ მოულოდნელად ბედმა ასეთი გამოცდა მᲯსაც არგუნა წილად. ახლა თამარელა, თითქო უხილავ მეტოქეს ეჯიბრებაო, განსაკუთრებით ცდილობდა, რადაც უნდა და-ჯდომოდა, იმ ლეღვის ხემდე მიეღწია; რაც ერთის შეხედვით სხვას შეუძლებლად ეჩვენებოდა, თვითონაც დარწმუნებულიყო და სხვაც დაერწ-მუნებინა, რომ შეუძლებელი არაფერია რწმენით და გამბედაობით აღᲭურვილ ადამიანისათვის.

თამარელას წყალი უკვე წელამდე შემოსწვდო-მოდა. ყოველი ნაბიჯის გადადგმას რამდენიმე

წუთი უნდებოდა; წყალი ისე ღონივრად უტევდა, ისე მსუბუქად ეწეოდა მაღლა, თანაც ფსკერზე ფეხის დაბიჯებას არც კი აცლიდა, ღრმა ნაკადის ძალა ქვიშასაც სტაცებდა, მოზრდილ ქვებსაც და ფეხსაც. სარი რომ არა, თამარელას ბევრჯერ მოიტაცებდა წყალი.

იმის მიხედვით, წყალი სადამდე შემოსწვდებოდა, წამით ფსკერს მოსწყვეტდა და აატივტივებდა, გულიც აღმა შეუქანდებოდა, ხანაც ისეთი გრძნობა იპყრობდა, თითქო დაბლა ეზიდებოდა რამე; ეგონა, უფსკრულისაკენ მივექანებიო. ბაგრამ ერთ წამში კვლავ გონს მოდიოდა და გათამამებული, განსაცდელს რომ სძლია, უფრო მეტის შეუპოვრობით განაგრძობდა სვლას...

...როცა ხესთან მიახლოვებულმა შატბიამ მეორედ შეავლო თვალი თამარელას, დაინახა — იგი თუმცა იღიმებოდა, მაგრამ ეს უფრო იმ შიშის და სიმწრის ღიმილს ჰგავდა, რაც მის მდგომარეობაში კაცს შეიძლება ძვალრბილში გასდგომოდა. იღიმებოდა, მაგრამ თანაც ისე შემკრთალი გამოიყურებოდა, შეგებრალებოდათ. საკვირველი ახლა მარტო ის იყო, რომ ამ ყოფაში, შატბიას თამარელა უფრო მიმზიდველი მოეჩვენა.

— ბიჭო, გურამ, ჩამოდი, მხსნელი მოვიდა, —

შესძახა თამარელამ მაღლა, ორ ტოტს შუა საიძედოდ ჩამჯდარ, ფოთლებში შეფარულ დისწულს.

— ჩამოდი! — კიდევ ასძახა მწყრალად თამარელამ გურამს და ტოტზე მეორე ხელის წავლების უმალ მსუბუქად აიწია მაღლა; შორიახლოს შეჩერებულმა, ცალი ხელით ტოტს მოჭიდებულმა შატბიამ, აქამდე მარტო თამარელას თავს და წყალში გაშლილ-ატივტივებულ ნაწნავებს რომ ხედავდა, უცებ კაბაშემოტმასნილ მკერდს და წელის დანახვაზე ; მორიდების მაგივრად თვალი უფრო გაუშტერა; თამარელამ შენიშნა თუ არა ვაჟის გაშტერებული მზერა, ისევ ჩაიმალა წყალში. დახრილ ტოტს მოჭიდებული შატბია მოთმინებით ელოდა, ვიდრე თამარელას ძახილზე ბავშვი ქვემოთ ჩამოვიდოდა.

თამარელას სიტყვამ ვერ გასჭრა, შატბიამ კი უხმო თუ არა გურამს, ის ნელა ჩამოცოცდა ქვემოთ და შატბიას მაღლა აწვდილ ხელისგულს დაეყრდნო მკერდით. ცალი ფეხი კი ბეჭზე დააბიჯა. ბავშვი აქამდე, მართალია, შეშინებული ჩანდა, მაგრამ შატბიას დანახვაზე, ეტყობოდა, ცოტა გამხნევდა; როგორც შატბია უკარნახებდა, სწორედ ისე იქცეოდა და, ახლა, თითქო უხაროდა კიდეც, შატბიასთან ერთად რომ გადაცურავდა ვეშაპის ზურგივით შავად მოლაპლაპე, აზვირთებულ მდინარეს.

ვიდრე შატბია გურამითურთ ნაპირს მიაშურებ-

და, თამარელას ისე შეხედა, ყველაფერი გასაგები იყო. ჯერ ბავშვი უნდა გაეყვანა.

შატბია რომ ნაპირს უახლოვდებოდა, მაიაც სწორედ მაშინ მოვარდა, შეშლილივით დაფეთებული, თმაგაწეწილი, დაუფიქრებლად შეიჭრა წყალში. მას სხვებიც მიჰყვნენ და სიხარულისაგან ცრემლმორეულნი, ხელების ქნევით და შეძახილებით მდინარეში მუხლამდე შესულნი შეეგებნენ შატბიას. კაკომ მაიას დაასწრო, თავის ბიჭს პირველმა სტაცა ხელი, მხარზე შეისვა და ნაპირს მიაშურა. სიხარულისგან მას ახლა ისიც კი დავიწყებოდა, რომ ბავშვის მხსნელისათვის გამარჯვებაც მიელოცა და მადლობაც ეთქვა. მაიამ ნაპირზე გასვლა არც კი აცალა, შატბიას შეგებების ადგილზევე გადაეხვია და გაშმაგებული კოცნით შუბლი და ლოყები აუჭრელა. დანარჩენებიც, დიდი. პატარა: ყველანი გამარჯვებას ულოცავდნენ, თან სველ ბეჭებზე ხელს ისე უტყაპუნებდნენ, თითქო კუნთების სიმკვრივეს უსინჯავენო.

შატბია გამალებით სუნთქავდა, თან სველ, ნახევარ რკალებად შუბლზე ჩამოშლილ თმებს წამდაუწუმ ისწორებდა.

წელან სტიქიასთან ჭიდილში შეუპოვარი, მარდი და გაბედული ჭაბუკი, ახლა ისე დაჰყოლოდა მაიას ნებას, თვითონვე უკვირდა, რა მემართება, რატომ არ ვუძალიანდებიო. მაგრამ მაიას უთვალავ კოცნას, გულის სიღრმეში თვითონაც დამსა-

ხურებულად სთვლიდა და როგორც დამსწრეთა საერთო აღტაცება და გამომეტყველება ადასტურებდა, ჯილდოს არც გაცემა და არც მიღება სირცხვილი არ უნდა ყოფილიყო.

კაკო ზიბზიბაძე თავის ექვსი წლის ბიჭუნასთან — გურამთან ერთად ნაპირიდან უცქეროდა ამ სანახაობას, და სხვა დროს უსაზღვროდ ეჭვიანი, ახლა მაიას სიხარულის გამოხატულებაზე გულწრფელად ეღიმებოდა და შატბიასადმი მიძღვნილ უთვალავ კოცნას თვითონაც დამსახურებულად სთვლიდა.

ეს აღტაცება და ალიაქოთი რომ ცოტათი მინელდა, შატბიამ უმალ იხელთა დრო და თამარელასაკენ იწყო ცქერა; მართალია, შატბია სიტყვით არ შეპირებია, მაგრამ ისე შეხედა წელან, თითქო ეუბნებოდა — „შენც მალე გამოგიყვანო“, ახლა კი გუნებაში ნატრობდა — „ნეტავი ვინმემ იფიქროს მისი გამოყვანაო“. — ერთი შეხედვით ეს უცნაური და ჭაბუკისათვის არაბუნებრივი წადილი შატბიას მოწიწებას უფრო ნიშნავდა, ვიდრე თამარელასადმი გულგრილობას. მას ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ჩაევლო ხელი ქალიშვილისათვის...

ამასობაში, თითქო მისი ყოყმანის მიზეზი გამოეცნოთ, ორი ჭაბუკი — მეშახტე — ანთაძე და ბერიძე სწრაფად შედგაფუნდა წყალში. ისინი ყველგან და ყველაფერში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და აქაც... არ დააყოვნეს... გასცდნენ თუ არა

არხის კალაპოტს, გადაეშვნენ კიდეც ზვირთებში. ერთხანს მარჯვედ კვეთდნენ ტალღებს, თუმცა შატბიასავით თავისუფლად და მოხდენილად ვერ ხმარობდნენ მკლავს. მათი მოძრაობა ზედმეტად სწრაფი და უფრო მომქანცველი იყო. ანთაძე და ბერიძე თუმცა, გულმოდგინედ მიიწევდნენ წინ, მაგრამ რახან თავიდანვე გეზი სწორად ვერ აიღეს, ახლა დიდი ენერგიის დახარჯვა უხდებოდათ, რომ წყალი აღმა ეჭრათ, რათა ხისათვის ესწორებინათ; მაგრამ, ვიდრე ამას შესძლებდნენ, თავიანთ შეცდომას გამოასწორებდნენ, მთელი ძალ-ღონე ფუჭად შეალიეს წყლის აღმა კვეთას და ახლა ისე იყო საქმე, რომ თავის გადარჩენაზე და უკან მშვიდობით გამობრუნებაზე უნდა ეფიქრათ; ისინი ასე მალე უფრო იმიტომაც მოიქანცნენ, რომ მდინარის წამოღებულ ხე-ტყეს გვერდს ფხიზლად და მარჯვედ კი არ უქცევდნენ, არამედ მათს თავიდან ასაცილებლად წამდაუწუმ ყვინთავდნენ და, ვიდრე ამოტივტივებულნი გონს მოვიდოდნენ, აღმოჩნდებოდა, რომ წინსვლის მაგივრად, ისინი რამდენიმე მეტრით გაეტაცნა დინებას. ამ ვაი-ვაგლახში, დაკარგული მანძილის ხელახლა გაცურვაში საკმაო დრო გავიდა. როცა ბოლოს, ძლივს მისწვდნენ ლეღვის ხეს, ჯერ ანთაძემ, მერე ბერიძემ მაგრად ჩასჭიდეს ხელი მდინარის ზედაპირზე გაწოლილ ტოტებს და შესვენება სცადეს; მაგრამ, ეტყობოდა, აქამდე ისედაც ძირგამორეცხილ-გამოთხრილი ხე უეცრად შექანდა და დაი-

ქრა ფოსოდან, წყლის დინების ძალამ და სისწრაფემ მყის გაიტაცა იგი, თამარელა იღბლად ზემოთ მოექცა, რახან გრჯღის ორკაპთან ხელჩაჭიდებული აღმოჩნდა, ანთაძისა და ბერიძისათვის კი ეს ამბავი ისე მოულოდნელი იყო, ხელის გაშვება ვერც მოიფიქრეს, ვერც მოასწრეს, ისე, ქვემოთ მოქცეულ ტოტებთან ერთად ჩაიყურყუმელავეს წყალში. როცა ტალღებში კვლავ ამოჰყვეს თავი, დაინახეს, რომ ხეს რამდენიმე მეტრის დაშორებით მიაქანებდა წყალი. ერთი პირობა კვალდაკვალ სდიეს ცურვით, მაგრამ რახან დარწმუნდნენ, ვეღარაფერს გააწყობდნენ, თავი ანებეს და დინების მიმართულებით ნაპირს მიაშურეს, თან წამდაუწუმ აქეთიქით აცეცებდნენ თვალს — ანაზდად წამოწეულ მორს რომ არაფერი ევნო მათთვის.

შატბია თავიდანვე გაფაციცებით უთვალთვალებდა იმ ორი ჭაბუკის წყალში გარჯას, მაგრამ, როგორც კი მათი „დახმარებით“ წყალმა ლეღვის ხე მოთხარა და გაიტაცა, შატბია ისე მარდად მოსწყდა ადგილიდან, რომ ყველანი სახტად დარჩნენ. ის ერთხანს სირბილით მიჰყვებოდა მდინარეს ნაპირ-ნაპირ, მერე საკმაო მანძილით გაუსწრო რა მდინარის მიერ გატაცებულ ხეს, რომელსაც თამარელა ებღაუჭებოდა, უმალ წყალში გადახტა და ისე მოუსვა, ისე მარჯვედ აჰყვა-დაჰყვა ზვირთებს, გეგონებოდათ, კი არ მიცურავს, მიფრინავსო.

შატბიას მაგალითით გამხნევებული და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი ხალხიც ნაპირ-ნაპირ,

ყიჟინით მისდევდა მდინარეს, არაკინ იცოდა, რით გათავდებოდა შატბიას თავგანწირვა; ის ახლა ძალ-ლონეს არ ზოგავდა, ვიდრე წყალი ხის ჩატარებას მოასწრებდა, თვითონ შეგებებოდა და გეზი ეცვალნა მისთვის. მაგრამ ვარაუდში მოტყუვდა. ხე, სწორედ, როგორც იტყვიან, მის ცხვირწინ ჩაატარა წყალმა. შატბია უკან გამოენთო; ის ახლა კარგად ხედავდა თამარელას. თამარელა ორივე ხელით ჩაფრენოდა ტოტებს და ყოველ ღონეს ხმარობდა არ ჩაეყურყუმელავებინა, როცა ტალღა ხის ხან თავს შეისროდა მაღლა, ხან ბოლოს. თამარელა დაღლილი და შემკრთალი ჩანდა. სველი. დაშლილი ნაწნავები ხან წყლის ზედაპირზე შავად მიიკლაკნებოდა, ხან მისი გაწეწილი ბოლოები პატრონს კისერზე და მკერდზე დასთამაშებდა. თამარელას კაბის გულისპირი და პერანგი წყალთან ჭიდილში ტოტს ჩაეხია, სიშიშვლეს მარტო მღვრია ტალღა თუ დაუფარავდა ხოლმე; სხვა დროს დიდ რამედ რომ მოეჩვენებოდა, ახლა, ლავიწიდან მარჯვენა ძუძუს გასწვრივ წითელ ზოლად დარჩენილი ნაკაწრი, თუმც ეწვოდა, მაგრამ არაფრად არ აგდებდა.

ამასობაში შატბიამ ხეს თავი დაუარა, ყველაზე გრძელ, განზე გაწვდილ ტოტსა სწვდა და რაც კი შეეძლო მოზიდა, სცადა ხისათვის გეზი ეცვალნა, ნაპირისაკენ გაეცურებინა.

შატბია ახლა უფრო გააფთრებით ებრძოდა ცალკე ტალღებს, რათა ხე ნაპირისაკენ დაეთრია,

ცალკე ფიცრებსა და კუნძებს, რომელთა დაჯახებისაგან წამდაუწუმ უხდებოდა თავის არიდება. თამარელა ხედავდა რა შატბიას თავგანწირვას და სიმარჯვეს, ცოტა გული მოეცა, ამ მძიმე და შეუპოვარ ბრძოლაში ჭაბუკს დროდადრო ვეებერთელა ტალღა ხან თავზე გადაუვლიდა და წამით შთანთქავდა, ხანაც ისე მსუბუქად შეისროდა მაღლა, თითქო შატბია საქანელას ფიცარზე მჯდარიყოს.

შატბიამ, როგორც იყო, დიდის ჯაფით ხე მდინარის შუაგულს გამოსტაცა და ახლა უკვე ნაკადის ძალაც, წყლის წინააღმდეგობაც უფრო ნაკლები იყო, შატბიას იმდენი მეცადინეობა აღარ სჭირდებოდა, და თვითონაც, ეტყობოდა, სტიქიას წინანდებურის მხნეობით აღარ შეეძლო გამკლავებოდა. როცა შატბიამ დრო იხელთა და ნაპირი მოათვალიერა, ეოცა, არ მოელოდა, თუ წყალი მათ ასე შორს გამოიტაცებდა. ახლა კი დროც იყო და ადგილიც სწორედ ხელსაყრელი, რომ ჭაბუკს უკანასკნელი ძალ-ღონე მოეკრიბა და ხე მოტაცებულ ასულითურთ მდინარისათვის წაერთმია. ფართო მოსახვევთან, სადაც წყალი შედარებით უფრო ნელა მოედინებოდა, ხეს ადვილად აცვლევინა გეზი, წყალი პირდაპირ გაჭრა და ხე ახლა უკვე ნაპირიდან ხუთიოდე მეტრზე ტოკავდა, ტივტივებდა. შატბიამ უმალ მოსინჯა წყლის სიღრმე და უწია თუ არა ფეხი ფსკერს, აქამდე წარბშეკრულმა ჭაბუკმა უმალ თამარელას გადახედა, გაუღიმა და მიესალმა — „გამარჯობაო“.

თამარელამაც გაუღიმა, სიხარულისაგან გული ახლა მასაც ისე უცემდა, რომ ხმის გაღება ვერ მოეხერხებინა.

შატბიას ეგონა, რახან სამშვიდობოს გამოვიყვანე, თამარელა ახლოს აღარ მიმიკარებს, ამ მცირე მანძილზე დახმარებისათვის ხელის შეთავაზებას იუკადრისებსო და კვლავ შორიახლოდან გასცქეროდა ღიმილით.

თამარელას ახლა კი, ცხადია, დაუხმარებლად შეეძლო ნაპირზე გასვლა, მაგრამ რატომღაც ადგილიდან არ იძვროდა, ისევ ისე ჩაფრენოდა ხის ტოტებს გრჯლის შუა მოქცეული და თავის მხრივ გამომწვევად მოღიმარი თვალით გასცქეროდა შატბიას. როცა მას შატბიამ ხელი გაუწოდა, თამარელამ ცალი ხელით ჩახეულ საკინძეს ნაპირები მობღუჯა, მეორე კი შატბიას მაჯაში ჩაავლო, ამასობაში ფსკერზე ფეხის დაბიჯებაც რომ სცადა, უცებ შეჰკივლა და უმალ წყალში ჩაყვინთა; ერთი ხელით რომ აქამდე შატბიას მაჯა ეჭირა, ჩაძირულმა მეორე ხელი უმწეოდ მოასავსავა წყალში, შატბიამაც ერთი ნაბიჯით წინ წაიწია, თამარელა რომ სწრაფად ამოესროლა მაღლა; შატბიას მეორე, შეგებებულ მკლავს თამარელამ ღონივრად ჩაავლო თავისუფალი ხელი. როცა წყლიდან თავი ამოჰყო და თვალიც გაახილა, ერთბაშად გაოცდა. ვერ მიმხვდარიყო, როგორ მოხდა, რომ შატბიასათვის ცალი მკლავი კისერზე მოეხვია და მკერდზე

მიკვროდა. თამარელამ, ვაჟს კისერზე მოხვეულ ხელით უმალ მხარზე უბიძგა, მისი მაჯისათვის კი მეორე ხელი მაინც არ გაუშვია, ეშინოდა, ისევ არ ჩავყვინთოო.

შატბიას სიამოვნებისა და იდუმალი სიხარულის გამომხატველი ღიმილი უთამაშებდა სახეზე. ის ახლა თამარელას არც გამომეტყველებას გაუკვირვებია და არც მხარზე ხელის კვრას. შატბიას კარგად ესმოდა, რომ ეს ყველაფერი თამარელას სიმოცრცხვეს უფრო გამოხატავდა, ვიდრე უმადურობას.

როცა შატბიამ ანიშნა, დროა ნაპირზე გავიდეთო, აქამდე გაბუტულივით მზირალ, წარბშეკრულ თამარელას კვლავ გაეღიმა, შატბიას მეორე ხელიც გაუწოდა და, რომ კვლავ არ ჩაეყვინთა, ფეხებიც ისე აამოძრავა, როგორც შატბიამ აუხსნა.

თამარელა აქამდე არა გრძნობდა, მაგრამ ნაპირზე რომ გავიდნენ, სირცხვილით დაიწვა. კაბა ისე შემოტმასნოდა ტანზე, შიშველი გეგონებოდათ. შიშველი მკერდი კი როგორც იყო, გაწეწილ ნაწნავებით დაიფარა, მაგრამ ქვედაწელს ვერაფერი მოუხერხა; ისე ლაპლაპებდა სველი კაბა, ისე მკაფიოდ აჩენდა მისი სისველე ნაკვთებს, ძალაუნებურად იქცევდა ყურადღებას. შატბიაც, თითქო თამარელას ჯიბრზე, იქვე პატარა ბორცვზე ჩამოჯდა და დროდადრო ღიმილით იცქირებოდა მისკენ.

ხალხმა დაინახა რა, შატბია და თამარელა ნაპირზე გამოვიდნენ, სირბილს უკლო და ახლა ჩქარი ნაბიჯით მოეშურებოდა მათკენ. ბავშვები დაწინაურებულიყვნენ. ისინი რა ხანია დაუღალავად გაჰყვიროდნენ — „შენია, შენიაო“. დროდადრო, ძახილში უფროსებიც ბაძავდნენ ბავშვებს. იყო ერთი ყაყანი, ალიაქოთი, სიცილი. ამ იდუმალ— „შენიას“ წამოძახება უჩვეულო ხმაურს და სიცილს იწვევდა ხალხში. დაწინაურებულ ბავშვთაგან ზოგს შატბიას ქუდი, რეზინის ჩექმები თუ ხალათი რომ ეჭირა ხელში, ცეკვა-ხტუნვით ყველაზე წინ მირბოდნენ და ყველაზე თავგამოდებით გაჰყიოდნენ ამოჩემებულ — „შენია“-ს. რა იყო, ვის ეხებოდა, რას გამოხატავდა ეს ძახილი, შატბია და თამარელა ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყვნენ.

როცა შატბიას და თამარელას ბავშვები შემოესივნენ, მერე კაკო ზიბზიბაძეც მიეჭრა, უმალ მაგარი კოცნა უთავაზა ღაწვზე შატბიას, სველ ბეჭზე კი მისმა ხელმა ტლაშანი მოადინა; კაკომ ამ სახელდახელო მილოცვით გული იჯერა თუ არა, მოახლოვებულ ხალხსაც გახედა, შატბიას კვლავ მოესმა რა — „შენია“, უმალ გაოცებით გადახედა კაკოს. კაკო მიხვდა, ეშმაკურად გაუღიმა და ხელი, რომლითაც აქამდე ნიკაპი ეჭირა, არ შეურხევია, ისე, ცერით ანიშნა თამარელასაკენ, სიტყვიერადაც განუმარტა — „შენია!“.

— უსირცხვილო! — მოულოდნელად დაიყვირა

თამარელამ, ერთი ნაბიჯი წინ წადგა და ხელი კაკოს მუქარით მოუღერა.

კაკოს თითქო ახლა შეენიშნოს თამარელა, უცებ გაკვირვებით უკან დაიხია, წელშიც ნახევრად მოიხარა და შუბლზე ხელმოჩრდილებულმა გაოცებით იკითხა — „რომელი ხარ შენ?!.“ თანაც თავით ფეხამდე ისე ახედ-დახედა, თითქო მისი ცნობა მართლა გასჭირვებიაო.

ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა; კაკომ უცებ ხუმრობას თავი ანება, ბრეზენტის პიჯაკი გადაიძრო და თამარელას გაუწოდა. თამარელას თუმცა გუნებაში დიდად ესიამოვნა და მოეწონა სიძის მოსაზრება, მაგრამ შუბლი მაინც არ გაუხსნია. კუშტად მზირალმა, თითქმის წასტაცა ხელიდან, შეთავაზებული პიჯაკი და მოიხურა; კალთის კუთხეებში ხელი ჩაავლო და სცადა ტანზე მოერგო, შემოეხვია. იმდენხანს წყალში ნამყოფს ისე შესცივნოდა, მთელი ტანით ძაგძაგებდა.

მათ გარშემო თანდათან შემოკრებილი ხალხი რიგრიგობით.— თამარელას გადარჩენას ულოცავდა, შატბიას — გამარჯვებას. პატარები კი შორიახლოს ისევ დახტოდნენ, ბზრიალებდნენ და ახლა უფრო თამამად გაჰყვიროდნენ — „შენია, შენია“-ო.

თამარელამ ერთი-ორჯერ კი გადახედა ბავშვებს, მაგრამ ვერაფერი უთხრა — სხვების ყურადღებაც რომ არ მიექცია ამ გარემოებისათვის. იმათგან,

ვინც ყველაზე ხმამაღლა გაჰყიოდა — „შენია“-ო, ერთს შატბიას ხალათი ეჭირა ხელში, მეორეს პერანგი, მესამეს ქუდი და ცალი ფეხსაცმელი... ბავშვები ჰაერში იქნევდნენ შატბიას ნივთებს; ახლა, მათი, ეს ახირებული — „შენია, შენია“ ვისაც როგორ უნდოდა, ისე შეეძლო გაეგო. ვერ დატუქსავდი, ვერ დაუშლიდი...

თამარელა რამდენიმე ამხანაგითურთ დაწინაურდა, შინისაკენ გაეშურა ტანსაცმელის გამოსაცვლელად.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, კაკო დრო და დრო შატბიას ქების ნიშნად ბეჭზე ხელს სცემდა და ამხნევებდა.

ახალგაზრდები, რომლებიც მხარმარცხნივ და მხარმარჯვნივ მისდევდნენ შატბიას, კაკოს სიტყვებს წინასწარ მოლაპარაკებულივით იმეორებდნენ. ყველა ცდილობდა შატბიას ყურადღება მიექცია; შატბია კი, თითქო ეს შენიშვნები და ქათინაურები მას არ ეხებაო, სულ წინ იყურებოდა, ბეჯითად მიაბიჯებდა თავის ამალასთან ერთად მდინარის პირველი მოვარდნის დროს წყლით დაფარულ ეზოების და ბოსტნის კვლების ნაპირ-ნაპირ. ზოგან წვივი ნახევრამდე ეფლობოდა ფხვიერ, თანაც წყლით გაღვივებულ მიწაში... დაინახავდნენ თუ არა ბოსტნის პატრონები ერთად მომავალ ამოღენა ხალხს, უმალ მოჰყვებოდნენ მოთქმისებურ წუწუნს — „უი, უი, უი-ო!“ შატბია და მისი ამხანაგები სიცილით უქნევდნენ ხელს მეზობ-

ლებს, თითქო ამხნევებდნენ და თანაც უსაყვედურებდნენ, ნუთუ ჩვენი თავგანწირვა ორიოდე ღერი პრასისა და ქინძის გადაჯეგვად არა ღირსო, მით უმეტეს, რომ ამას განზრახ არ სჩადიოდნენ. სხვა გზა არ იყო, წყალს ხმელეთთან ზღვარი ახლა აქ დაედო.

თითქო შატბიასთვის მიუბაძავთო, ახალგაზრდებს და ხნიერებსაც კი—ყველას პერანგი გაეხადა. შარვალი მუხლებს ზემოთ აეკარწახებინათ, ერთმანეთზე ზონარით გადაბმული ფეხსაცმელები კი მხარზე გადაეკიდათ ხურჯინივით.

გზადაგზა ნაპირის გასწვრივ გამწკრივებული ხალხი, ქალი, თუ კაცი, შატბიას დანახვაზე უძალ ანებებდა თავს მდინარეს, შატბიას შეეგებებოდა და როგორც შეეძლო თავისი გულწრფელი სურვილის გამოხატვა, ისე ულოცავდა. ზოგი ხელს ართმევდა, ზოგი მხარზე ეჭიდებოდა, თითქო ღონეს უსინჯავსო, ზოგიც მოურიდებლად ჰკოცნიდა შუბლსა და ღაწვებზე. ის კი, თითქო აქ არაფერიაო, თავის ოდნავ დაქნევით თუ ხელის ჩამორთმევით უხდიდა მადლობას ყველას, ვინც კი მის ვაჟკაცობას მოეხიბლა.

ვისაც ამ დროს შახტში მუშაობა არ უწევდა, სულ აქ მოეყარათ თავი: დიდი, პატარა, ქალი, კაცი ერთმანეთში ირეოდა. ეს სიჭრელე, ყაყანი და ფუსფუსი კაცს საკვირაო ბაზრობას აგონებდა.

წელან შატბიას გულისყური მარტო გურამისა და თამარელას გადარჩენისაკენ იყო მიპყრობილი,

ორც შეუმჩნევია, მეშახტე ჭაბუკების რამდენიმე ჯგუფი რა მარჯვედ ისროდა წყალში თოკზე გამობმულ ჩანგლებს. ჩანგლების უმრავლესობა მიზანში ხვდებოდა. ამ ხერხით ჭაბუკებს იმდენი ფიცარი და მორი, იმდენი ხე-ტყე გამოეზიდათ წყლიდან, შახტში სამ ცვლას ეყოფოდა.

ახლა, როცა შატბია უკან ბრუნდებოდა, მისი ამხანაგები, მეშახტე ჭაბუკები კვლავ მორებთან ჭიდილით იყვნენ გართულნი. ნაპირთან მორეკილი ხე-ტყის გამოტანაში და საიმედო ადგილზე გაღაზიდვაში მამაკაცებს ქალებიც ეხმარებოდნენ. ისეთი მუშაობა იყო გაჩაღებული, ისეთის ხალისით ასრულებდა ყველა ამ საქმეს, ძალიანაც რომ გდომებოდათ, გული ვერ გაგიძლებდათ, ვერ მოგითმენდათ, — ხელდაკრეფილი გეცქირათ ამ სახალხო სანახაობისა და შრომისათვის. ძალაუნებურად მიგიზიდავდათ და რაკი ერთხელ ჩაებმებოდით, თავიც დაგავიწყდებოდათ.

წამით შესვენებული, დოინჯშემოყრილი შატბია ერთხანს გატაცებით უცქერდა, მუხლამდე, წყალში შესულ ამხანაგებს.

შატბიას ამასობაში ბავშვებმა ტანსაცმელი მიურბენინეს, მანაც ერთ გორგლად შეჰკრა ყველაფერი, იღლიაში ამოიდო, იქვე მახლობლად, მეზობლის ჭისაკენ გაემართა. ჭის წყლით კარგად რომ გაიბანა წვივები და ტერფები, კვლავ დაიხვია ფეხსახვევები, ჩაიცვა რეზინის ჩექმები და მერე სახეზედაც შეისხა წყალი. თავით ფეხამდე

რომ გამოეწყო, ბავშვებს სათითაოდ ჩამოართვა ხელი, მადლობაც უთხრა, თანაც სთხოვა, უკან აღარ ასდევნებოდნენ, რადგან საქმეზე მიეჩქარებოდა და მათთვის აღარ ეცალა.

ახლა შატბია, მართალია, არ იმჩნევდა, მაგრამ ნაბიჯზედაც ეტყობოდა და იერზედაც, რომ საკმაოდ დაქანცული იყო. ნელა, ხანდაზმული ნაბიჯით მიეშურებოდა იგი ზემოთ, სახლისაკენ; საურმე გზა, ნოხივით ჭრელ ფერდობს წყვეტილ არშიასავით ასდევდა ბოლომდე. ქვემოდან რომ შეგეხედნათ, გორაკი ხუთჯერ ერთმანეთის პარალელურად იყო გადასერილი ამ წყვეტილი საურმე გზით, რომელიც ზოგან მკაფიოდ ჩანდა, ზოგან კი ხეხილის ფოთლებს იყო შეფარებული. ამ ხუთივე პარალელის ზემოთ და ქვემოთ ფერდობი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გეგმით, გემოვნებით და მასალით ნაშენი სახლებით იყო აჭრელებული; ეზოებში, ტრადიციული — საჩრდილობელი ხეების — ცაცხვის, მუხის და მათს შორიახლოს, ხეხილის სიხშირეში, ზაფხულობით არა თუ საურმე გზა და ბილიკები, სახლებიც კი არა ჩანდა რიგიანად. ამ უხვ სიმწვანეში, ნიგვზის ფოთლებს რომ თავისი ელფერი გადაჰკრავდა, მუხისას თავისი და, თხილისას, თუ ვაშლისას თავისი; მარტო აქა-იქლა

მოჰკრავდით თვალს მზის შუქზე თითქო უფრო მეტად აღვივებულ წითელ ლაქას, ახალი კრამიტით დახურული, თუ განახლებული სახლის სახურავის მცირედ ნაწილს, რომელიც ასე მკაფიოდ ჩანდა მწვანე ფონზე.

ახლა შატბია წინააღმდეგ ჩვეულებისა, ნელა რომ მიაბიჯებდა ორღობეში, არა თუ დაკვირვებით, ზოგ რამეს გაკვირვებითაც კი შეჰყურებდა. გზის ორივე მხარეზე, ღობეების გასწვრივ ჩარიგებული — მსხლის, ვაშლის, თუ ალუჩის ხეები ახლა ერთფერად გამოიყურებოდნენ. მარტო ნიკო არაბიძის ეზოს ის მხარე, რომელიც გზას გასდევდა, ახალისებდა თვალსა და გულს. იგი უნაბისა და ბროწეულის ხეების მჭიდრო მწკრივს შეადგენდა. ბროწეულის, ჯერ სულ ღიაფერის მომწვანო, პაწაწინა ფოთლებში აქა-იქ თვალის მომჭრელად ღვიოდა წითელი ყვავილი. უფრო ლამაზი სანახავი წლის ამ დროს ბუნებაში აღარაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო. ბავშვები ძალიან ემტერებოდნენ ბროწეულის ყვავილებს. უყვარდათ მისი წვრილ ჯოხზე წამოცმა და ყალიონივით პირში გარჭობა. მაგრამ რა დიდიც უნდა ყოფილიყო მათი ცდუნება, ნიკო არაბიძის ბროწეულს ხელის ხლებას მაინც ვერ გაუბედავდნენ. მას ერთხელ და სამუდამოდ ყავდა ბავშვები გაფრთხილებული... ამ ადამიანს უცხოს ხელით, დაუკითხავად, ათი მწიფე ბროწეულის მოწყვეტა ისე არ დასწყვეტდა გულს, როგორც ერთი ყვავილისა. რაღაც უცნაური სიყვა-

რულით უყვარდა ნიკოს ბროწეულის ყვავილები
და, ლაპარაკში, შემთხვევით, სიტყვა თუ მოიტან-
და, რამდენჯერ უთქვამს — ჩემს საფლავზე თუ
რომელიმე ხის დარგვა მოისურვოთ, უსათუოდ
ბროწეული იყოსო. ნიკოს, რომელიმე ქალიშვი-
ლის ქება რომ დასჭირდებოდა საზოგადოებაში,
ან ცალკე ერთ-ორ კაცთან, მისი ქება უფრო შორს
აღარ წავიდოდა, თუ იტყოდა — ბროწეულის ყვა-
ვილს ჰგავსო. შატბიასაც ბავშვობიდანვე ესმოდა —
რა გარეგნულად ესოდენ უფერული ნაყოფის კოპ-
წია ყვავილის ქება, მის ცნობიერებაშიაც ისე
აღბეჭდილიყო ამ ყვავილის სახეც და სიმშვენიე-
რეც, რომ თვითონაც უყოყმანოდ იზიარებდა მამის
შეხედულებას და გემოვნებას.

შატბიამ ახლაც სიამოვნებით გააყოლა თვალი
თავისი ეზოს მშვენებას — აყვავებულ ბროწეულე-
ბის ხშირ მწკრივს და დღეს ეს ყვავილი გამარჯვე-
ბულ ჭაბუკს განსაკუთრებით მიმზიდველი ეჩვენა.

ჭიშკარში რომ შევიდა, შატბია ჯერ კიდევ
დღევანდელი ამბების, თამარელას თვალების და
ამ ყვავილების ფერის ეშხით იყო გაბრუებული.
არც კი შეუნიშნავს, ეზოში, მუხის ძირას გაფენილ
ნოხზე მსხდომნი. მაგრამ მიახლოვებულმა, ერთ-
ბაშად შენიშნა თუ არა ისინი, ისე შედგა, თითქო
ამ სანახაობამ კიდეც გააოცა, კიდეც შეაკრთო.
ახლა უცხოს არავის მოელოდა, არც მომზადებუ-
ლი იყო საამისოდ. ასე, მეშახტის უხეში და გამუ-
რული, ბრეზენტის ტანსაცმლით, ნაპირებმონაო-

ჭებული ქუდით, რეზინის გალაფულ ჩექმებით უცხოებთან შეგებება არც სასიამოვნო იყო და არც ხელსაყრელი ცხრამეტი წლის თავმომწონე ჭაბუკისათვის; თუმცა ის თავმომწონეობას ამ სამოსშიაც საკმაოდ ამჟღავნებდა; შეიძლება ითქვას — თავი სწორედ ყველაზე უფრო ამ უხეშ სამოსში მოსწონდა შატბიას.

ხის ძირას, ნოხზე ნახევარ წრედ ისხდნენ შატბიას მამა — ნიკო, მეზობლის ქალიშვილი ლელა და უცხო ქალ-ვაჟი; ამ უკანასკნელთ გარეგნობაზედაც ეტყობოდათ და პირველ შეხედვისთანავეც მიხვდებოდით, რომ დედაქალაქიდან უნდა ყოფილიყვნენ ჩამოსულნი. შატბიას მიახლოვებისთანავე უცხო ვაჟი ჯერ ცალ მუხლზე წამოდგა, მერე, თითქო ყოყმანობსო, ისე წამოიმართა და ცნობის მოყვარე ადამიანის ღიმილით შეაცქერდა მოახლოებულს. შატბია, ეტყობოდა, ჯერ კიდევ დიდ ყოყმანში იყო. ვერ გადაეწყვიტა საით აეღო გეზი — სტუმრებს ხლებოდა, თუ ჩქარი ნაბიჯით შორიახლოს ჩაევლო და თავისი მორთულობა წესრიგში მოეყვანა. ღირსეული ოჯახის შვილი, ეალდებული იყო უცხოებთან ღირსეულად წარმდგარიყო. ამ მოსაზრებათა რჩევაში და ყოყმანში მოულოდნელად ნიკოს ხმა მოესმა.

— რამ გაგაშეშა, ბიჭო!..

ლელას და უცხო ვაჟს ხმამაღლა გაეცინათ, უცხო ქალიშვილის სახეზე კი წამით გაკრთა ღიმილი, მერე ისევ მშვიდი, ოდნავ თითქო მწყრალი

ეერი მიიღო. ქალიშვილი ხარბად, თამამად უმ-ზერდა შატბიას, თითქო მის გამხნევებას ლა-მობსო.

მამის „უხერხულ და უადგილო" შენიშვნაზე შატბიასაც გაეღიმა უნებლიე ღიმილით. რაღა ეენა, თავი ჯიუტად დახარა, შუბლს ქვემოდან ერთი კი ახედა დამხვდურთ, მერე ისევ ამაყად ასწია თავი და დინჯი ნაბიჯით გაემართა მათკენ. ეს ისე სწრაფად მოხდა, მათი ყოველი მოძრაობა ისე ბუნებრივი იყო, გეგონებოდათ — წინასწარ ჰქონდათ ყველაფერი აწონილ-დაწონილიო.

უცნობმა ვაჟმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა შატბიასაკენ, უცნობი ქალიშვილი კი მსუბუქად, თითქო ჰაერის უხილავმა ტალღამ აიტაცაო, წამო-დგა და შესაგებებლად მოემზადა. ფერმკრთალ სახეზე მას ცნობისმოყვარეობის გამომხატველი ეერი აღბეჭდოდა. ზედა ქუთუთოები ნახევრად დაბლა დაეხარა, გრძელი წამწამების მუქ ჩრდილ-ქვეშ შავ-შავი თვალები მიმზიდველად უციმციმებ-და, ღიმილში ოდნავ შერხეულ, ვარდის ნაზ, თა-ნაც მკრთალ ფურცლისფერ ბაგეთა შორის კბილე-ბის ლამაზი, ელვარე მწკრივი უჩნდა; შეუძლებე-ლი იყო, ყურადღება არ მიექცია მისი ცალი წარ-ბის ოდნავ შესამჩნევ, მაგრამ საოცრად მეტყველ მოძრაობასაც. ქალიშვილს ვაჟის მოლოდინში თავი განზე გადაეხარა, თითქო განგებ გაჩეჩილი, თუ ქარისაგან აწეწილი თმის ნაწილი შუბლს ზე-მოთ თხემზე ლამაზ ბოლქვივით ედო, აქეთ-

იქით კი საფეთქლების გასწვრივ თმა მსუბუქად ეშვებოდა, ბურბუშელასავით ბოლოებჩახვეული მხრებს ქვემოთ, ბეჭის შუამდე ეფინა. შატბიას კარგად არც შეუთვალიერებია უცნობი ქალიშვილი, მხოლოდ ბუნდოვნად მოჰკრა თვალი მის სახეს, აზიდულ ყელს, წელს ზემოთ შიფონის, თოვლივით ქათქათა, ნაზ, გამჭვირვალე ქსოვილში მკრთალად გამოსახულ მკლავებს და წელზე შემოსხეპილ შავი კრეპსატინის კაბას, და გაოცდა, გაახსენდა წეღან, გზაზე უეცრად შემოფეთებულ აკტოში რომ ქალ-ვაჟი იჯდა... ახლა იცნო... მოაგონდა რაც ხუმრობით ოდელიამ უთხრა ამ გოგონაზე.

მართალია, შატბიამ ხელი ჩამოართვა პირველად შემოგებებულ უცნობ ვაჟს, ყურში თუმცა გაურკვეველი ბგერა ჩაესმა, ალბათ ვაჟმა თავისი სახელი უთხრა, მაგრამ ამისათვის ახლა მას ყური არ უთხოვებია, ოღელვებულმა, მყის უცნობ ქალიშვილს მიაშურა; შატბიამ უმალ ვერ გაბედა მისთვის თვალებში შეეხედნა, რადგან ქალიშვილი ახლა ისე გამომწვევად, თანაც კეკლუცად უღიმოდა.

როცა მეგის გამოწვდილ ხელს თავისი გაცივებული ხელი შეახო, ერთ წამს კი იდგნენ მონუსხულივით, მერე შატბიამ თავისუფალი ხელით ნოხზე მიუთითა და თავაზიანად, მილეულის ხმით შენიშნა:

— დაბრძანდით,

მეგიმაც თავაზიანადვე გადაუხადა მადლობა, ოდნავ უკან დაიხია და ცალი მუხლით ნახევრად ჩაიჩოქა. აქამდე არც შატბიას უშვია მისთვის ხელი და არც მეგის უცდია გათავისუფლება. იგი ისევე მოხდენილად დაჯდა, როგორც წელან წამოღგა; კრეპსატინის კაბის კალთა მიმზიდველად ლაპლაპებდა მისი ნაკვთების გასწვრივ.

იმ, თითქმის ერთი წუთის განმავლობაში, რაც შატბიასა და მეგის გაცნობას, ხელის ჩამორთმევას მოუნდა, დანარჩენები ღიმილით შესცქეროდნენ მათ. ნიკოს, ამ შემთხვევაში, მამისა და მამაკაცისათვის ადვილად ასახსნელი სიამაყის გრძნობით უძგერდა გული და თანაც უკვირდა, ახლა უცხო თვალისთვის ასე არასახარბიელოდ მორთულმა შატბიამ ჟუჟუნა და კენარი გოგონას ყურადღება რომ მიიპყრო. ლელას კი თუმც სახეზე ღიმილი არ შორდებოდა, გულის სიღრმეში, უცნობი ქალიშვილის მიმართ, იდუმალ უკვე აღძროდა შური, რადგან ასეთი ყურადღების ღირსი გამხდარიყო იგი.

ნიკომ თავსწამომდგარ შატბიას ახედა.

— ამათ უკვე გავაცანი შენი თავი...

— ნეტა როგორ გააცანი?.. — შატბიამ სტუმრებს გაუღიმა.

— ნუ გეშინია! რომ მოგესმინა, გუნებაში ალბათ შენც მოგეწონებოდა. სიტყვით ისე გამოგძერწე, შენ რომ...

შატბიამ უცებ მამას თვალი უყო, გაჩერდიო. ნიკომაც სათქმელი აღარ დაასრულა, რითაც

დაიწყო, ისევ იმ ამბავს დაუბრუნდა, — ბიჭო, შენ კი არ იცნობ ამათ? არ გახსოვს სულიკო? მეგი... მაშინ სულ პატარა იყო.

შატბიას ძალიან ბუნდოვანად ახსოვდა ისინი, თითქმის დავიწყებულიც ჰყავდა; მაგრამ ხათრისათვის, მაინც მოკრძალებულის ყოყმანით შენაშნა — მახსოვსო და, კვლავ გაუღიმა სტუმრებს.

სულიკო და მეგი ნიკოს ერთი ძმაკაცის შვილები იყვნენ, რომელიც დიდი ხნის წინათ მეშახტეთა ქალაქში მსახურობდა. მეგი, სულიკო და შატბიაც მაშინ სულ პატარები იყვნენ. მერე ის ღეღაქალაქში სამუშაოდ გადავიდა და ბავშვობის მეგობრებიც დიდი ხნით დაშორდნენ ერთმანეთს.

— ახლა არ იკითხავ, — კვლავ შატბიას მიუბრუნდა ნიკო, — რა უცნაური იყო ჩვენი შეხვედრა?!

ნიკომ მოკლედ უამბო შატბიას, ბასარიას მიერ სამთოსკოლელების დაბინავების ამბავი.

— ბასარიას ყური აღარ დავუგდე, მე თვითონ წავედი შესამოწმებლად, ის ოთახი მართლა უკვე დაეკავებინათ თუ არა თბილისელ სტუმრებს. რომ დავაკაკუნე, კარი მეგიმ გამიღო, უცებ ვერ ვიცანი, ბოდიში-მეთქი, — კინაღამ წამომცდა, ვიფიქრე თავს ისე მოვაჩვენებ, ვითომ სხვაგან უნდა დამეკაკუნებინა და შეცდომით მომიხდა უცხოთა შეწუხება, მაგრამ ამ დროს სულიკოსაც მოვკარი თვალი ღია კარიდან და იმხელა ვიყვირე — ბიჭო, შენ აქ რა გინდა-მეთქი, ალბათ, ყველა სართულზე

გაიგონეს ჩემი ხმა. გადავეხვიე ჩვენს სულიკოს და კოცნით სულ გადავატყავე ლოყები! ჩემს სიცოცხლეში ისე არაფერი გამხარებია, როგორც ამათმა დანახვამ გამახარა!.. ვთქვათ, სხვა მოქანდაკე ყოფილიყო ჩამოსული... მაშინ რა უნდა მექნა? ხომ დამირჩებოდნენ ბიჭები იმ კომბოსტოს საწყობში... თუმც ვინ იცის... შევურიგდებოდი? მისალმება რომ დასრულდა, — საზეიმო კილოთი განაგრძო ნიკომ, — მერე დავსტაცე ამათ ბარგს ხელი და ერთ წუთში პატრონიანად გარეთ გამოვუძახე!.. ამასობაში ბასარიაც ამოვარდა, ბზიკივით მეცა, მაგრამ... რაღას დამაკლებდა... სამთოსკოლელები მაშინვე ერთი ჟრიამულით მეორე სართულზე დავაბინავებინე, მეგი და სულიკო კი ჩემთან წამოვიყვანე! — ნიკომ სახეზე ოფლი შეიმშრალა, მცირე დუმილის შემდეგ, ნაამბობს კმაყოფილებით დაუმატა — დიდი სეირი იყო, დიდი.

მისი ბოლო სიტყვები ახლა ისე გაისმა, თითქო თავისთავს ეუბნებოდა ძველი მეშახტე — ყოჩაღ ნიკო, ყოჩაღო!

მეგის თუმცა სულ უნდოდა შატბიასთვის ეცქირა, მაგრამ გრძნობდა რა, სამი ადამიანის ცნობისმოყვარე მზერას, თავს ,ძალას ატანდა, ცდილობდა შატბიასაკენ აღარ გაეხედა, თუკი ის რამეს არ შეეკითხებოდა, ან საამისოდ განსაკუთრებული ხელსაყრელი წამი არ დაუდგებოდა.

დაჯდა თუ არა მეგი, შატბიამაც უმალ უკან დაიხია, ნოხის ნაპირთან ბალახზე მოიკეცა, მაგრამ

ვერასგზით ვერ მოუნახა თავის სხეულს ისეთი ხელსაყრელი მდგომარეობა, თავისუფლად რომ ეგრძნო ახლა თავი. სულ ეჩვენებოდა — როგორ დასცინოდა უცხო ქალიშვილი გუნებაში, ასე უშნოდ ფეხებმოკეცილ და ცალი ხელით მიწას დაყრდნობილ, ბეჭამოგდებულივით მჯდომ ვაეს.

— ნოხზე რატომ არ დაჯდებით?! არ გაცივდეთ! — გაკვირვებით, თანაც მზრუნველის კილოზე შენიშნა მეგიმ.

მეგის შენიშვნაზე ნიკოს ხმამაღლა გაეცინა, ლელამაც გადაიკისკისა. უცხო ვაეს, რომლის სახის წინ პაპიროსის კვამლის ბოლქვები ირეოდა, თავდაჭერილად გაიღიმა და ალმაცერად გადახედა დას, რომელიც მიმხვდარიყო რა თავისი შენიშვნის უსაფუძვლობას, ახლა ცოტა დარცხვენით გამოიყურებოდა.

— გაცივებით რა გამაცივებს, მაგრამ... — თითქოს ბოდიშს იხდისო ისე, თავაზიანი ღიმილით შენიშნა შატბიამ, თავიც ასწია, და ახლა პირველად გაუბედა ქალიშვილს ახლოდან თვალის გასწორება. გათამამებულ ვაეს უცებ მეგიმაც ისე შემოსცინა, თითქო მისი პასუხიც მოეწონაო.

შატბიამ კვლავ დახარა თავი. მარცხენა ხელით ბალახი მობღუჯა, მოგლიჯა და რამდენიმე ღერი დინჯად, გულმოდგინედ, ნოხზე ერთი მარტივი სახის შავზოლებს გააყოლა, შეუხამა... მეგის ყურადღება ძალაუნებურად მიიპყრო შატბიას ხელის

მოძრაობამ. ერთხანს გატაცებით ადევნებდა თვალს, შემდეგ მოთმინება არ ეყო, თავისი გაკვირვება რომ სიტყვითაც არ გამოეხატა.

— თქვენ ნამდვილი მხატვრის გემოვნება გქონიათ!

შატბიამ უმალ ყური ცქვიტა. ეტყობოდა, მეგის შენიშვნა მოეწონა და მით უფრო გაოცდა, რამდენადაც არ ელოდა, რასაც თვითონ გრძნობდა, მას თუ სხვა ვინმე შენიშნავდა, გაუგებდა და მოუწონებდა კიდეც.

— მხატვარი ბრძანდებით?! — უცებ ისე გაუსწორა თვალი და ისე თამამად ჰკითხა შატბიამ მეგის, რომ ერთი წუთის წინ დარცხვენით მზირალ და გაუბედავად მოსაუბრე ვაჟისაგან არავინ მოელოდა ასეთ უეცარ გარდაქმნას და გათამამებას.

გასაკვირველი არ იყო, რომ ყველაზე ადრე ნიკო მიხვდა ამის მიზეზს.

— ჰო, როგორ გამოცოცხლდა და გაყოჩაღდა, მხატვრობაზე რომ სიტყვა ჩამოვარდა! — დინჯად შენიშნა ძველმა მეშახტემ.

— უყვარს, არა? — ისე მკვირცხლად გამოეხმაურა ნიკოს შენიშვნას მეგი, ეტყობოდა ამ მხილებამ დიდად გაახარა. თითქო გული ვეღარ უთმენსო, წამოიწია, კრეპსატინის მოზიმზიმე კაბის კალთისქვეშ ცალი ფეხი ოდნავ შეარხია. წელან თუ ერთი ხელით ნოხს ეყრდნობოდა, ახლა წელში გაიმართა, ყელიც მოიღერა, ხელები კი კალთაში ჩაიწყო კოხტად.

— უყვარსო?! მაგ ხელობისთვის დნება, სული ელევა!.. — ისე დასძინა ნიკომ, თითქო ამით გული უნდა მოიოხოსო.

ამ სიტყვების გაგონებაზე მეგიმ კიდევ უფრო მეტის გატაცებით დაუწყო ცქერა შატბიას. ახლა მისთვის არც შატბიას მოურიდებია თვალი. ქალიშვილის სიხარულს და გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. წელან, გუნებაში რარიგ ნატრობდა, რომ ეს ვაჟი სულიერად მისი ახლობელი ყოფილიყო და.... აუხდა კიდეც.

— რას ლაპარაკობს მამაჩემი!..

ისე ჩაილაპარაკა შატბიამ, ვერ მიხვდებოდით, გაოცებას გამოხატავდა, თუ უსაყვედურებდა ნიკოს. მაგრამ სიტყვით თუ აზრს ბუნდოვნად გამოთქვამდა, გამომეტყველება მის იდუმალ სიხარულსაც და გულის წადილსაც აშკარად ამჟღავნებდა. შატბია უსაზღვრო კმაყოფილი იყო ახლა მამისა, რადგან თავისი დაუოკებელი მისწრაფების შესახებ ასე დროულად ჩამოაგდო სიტყვა სტუმარ ქალ-ვაჟთან, რომელთაც, ეტყობოდა, ხელოვნება არა მარტო უყვარდათ, ესმოდათ კიდეც.

ახლა, თვალს რაც უფრო აჩვევდა, აკვირდებოდა შატბია ამ ქალიშვილს, იგი მით უფრო მიმზიდველიც ეჩვენებოდა და ახლობელიც.

— რა სასიამოვნო საყურებელი შენა ხარ, ასე ჩაცმულ-დახურული რომ ჩამოგვიჯექი! წადი, ერთი, შენებურად, კოხტად გამოეწყვე!.. — შატბიამ გაიცინა და მყის წამოხტა ზეზე, მამის უეცარი

შენიშვნა გულზე მოხვდა. მართალია, თვითონაც გრძნობდა ამას, მაგრამ ცდილობდა ყურადღება არ მიექციათ, — ბიჭო! — კვლავ მიუბრუნდა ნიკო, — თითქო გაბანილს გავხარ, მაგრამ, მგონია, დღეს რაღაც წაგიხალტურებია! ცხელს, მოულოდნელად ცივი შხაპი ხომ არ მოჰყვა?.. სუფთა ხალათ-შარვალი ხომ არ დაგიკარგავს?!

— როდის დაკარგულა, რომ ახლა დამკარგოდა?!

— აბა რა მოგეჩვენა, ამ ბრეზენტის კოსტუმს რაღაზე იცვამდი, თუ იბანავე?..

— ვიბანავე, მაგრამ... — შატბიამ ყოყმანით, ირიბად გადახედა სტუმრებს.

— ერთი შეხედეთ, ჰგავს ახლა ეს ბიჭი აბანოში ნამყოფს?!

— რას ჩამაცივდი მამაჩემო? რა საინტერესოა სტუმრებთან ამ ამბავზე ლაპარაკი!.. თუ მართალი გინდა, აბანოში არ ვყოფილვარ, მაგრამ... ამდენი ჯერ ჩემს სიცოცხლეში არ მიბანავია... წყალდიდობის შესახებ არაფერი გაგიგია?.. დაგვიძახეს, ხალხი გადავარჩინეთ...

— ვინ ხალხი, ბიჭო! — თითქო ემუქრებაო, ისე შესძახა ნიკომ და წამოიწია, მაგრამ კვლავ დაჯდა, დაბრუშებული ცალი ფეხი მუხლში ხელით გაშალა და მოწყვეტილივით დასდო ბალახზე. — შენ ის მითხარი, წყალს რომ მაქსიმელას ხეზე ბავშვი მოუმწყვდევია, ვისი იყო, თუ იცი?... გადაარჩინეს?...

შატბიას გაეცინა.

— ზიბზიბაძის ბიჭი იყო, გურამი... გაღაარჩინეს...

შატბიამ თავის ოდნავ დახრით, უცხო ქალიშვილთან ბოდიში მოიხადა, რამდენიმე ნაბიჯი პირშეუბრუნებლად ზურგისაკენ გადადგა, მერე სწრაფად შეტრიალდა და სახლისაკენ გაემართა.

უცხო ვაჟმა თვალი გააყოლა შატბიას, მერე დას მიუბრუნდა და საქმის მცოდნის კილოთი შენიშნა:

— მეგი! ერთი უცქირე, რა გამოსაქანდაკებელი ტანი აქვს!

— იშვიათი! — დაემოწმა მეგი, რადგან, რაც ძმამ თქვა, მეგიმ ის უფრო ადრე გაიფიქრა თავისთვის.

— თქვენ რომ ბრძანეთ, კარგი გამოსაქანდაკებელი ტანი აქვსო, მაგი თვითონ ეძებს და ფიქრობს სხვები გამოაქანდაკოს!.. მამა — მეშახტე... შვილი — მოქანდაკე... ერთი მითხარით, სად გაგონილა!?

— რატომაც არა, — ჩაერია მეგი საუბარში. ის რა ხანია ელოდა ხელსაყრელ წამს, რათა ნიკოსთვის უფრო დაწვრილებით გამოეკითხა შატბიას ოღუმალი მისწრაფების შესახებ...

— ნიკო ბიძია! — მომხიბლავად გაისმა მეგის ხმა, — თქვენს ვაჟს საშუალო სასწავლებელი თუ აქვს დამთავრებული?

— აგერ, ახლა, სულ რამდენიმე დღის წინ დაასრულა ათი კლასი.

— ახლა, ისვენებს?.. ოცნებობს...

— ამ ორ თვეს შახტში იმუშავებს. ასე, ყოველ ზაფხულს, არდადეგებზე, ერთ-ორ თვეს წაიმუშავებდა ხოლმე, საშემოდგომოდ თავის გუნებაზე და გემოვნებაზე შეიმოსებოდა, ჯიბის ფულიც რჩებოდა... მოგეხსენებათ, რა თავმომწონეა მაგის ასაკში კაცი... კინოში, ქალიშვილის დასაპატიჟებელი ფული რომ არ ჰქონდეს, თავს მოიკლავს!

— საშემოდგომოდ რაღას აპირებს? — კვლავ ცნობისმოყვარეობით იკითხა მეგიმ, — თქვენ რომ ბრძანეთ, გატაცებულიაო!..

— გატაცებული რომ თქვას კაცმა, ცოტა იქნება... ნამეტანი ატაცებულია! როგორც წეღან მოგახსენებდით, აუჩემებია, გინდა თუ არა, მხატვარი უნდა გამოვიდეო!.. იშოვის თუ არა დროს, — უფრო თამამად განაგრძო ნიკომ, — მოიტანს სახლში თიხის ერთ უშველებელ გორგალს... მერე რამდენია ამ ჩვენს მხარეში მაგ დალოცვილი. ზილავს და ზილავს, რაჭველ მეთორნისათვის თუ გიყურებიათ, სწორედ ისე, პურის ცომივით.

სტუმრები ახლაც სიცილით შეეგებნენ ნიკოს სიტყვებს. ნიკო უფრო გამხნევდა, რახან მისი გაგებით, შატბიას საქმიანობა მეგის და სულიკოს სიცილადაც არა ჰყოფნიდათ.

— მერე, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ერთ ნაჭერს,

ასე დაახლოებით მუშტის ხელას, მოთმინებით აწებებს გარშემო თიხის პატარა ნამცეცებს, სანამ კვახისოდენად არ გაზრდის. რომ ვუყურებ ხოლმე, რა მარჯვედ მუშაობს სწორედ იმ ხელებით, როკლებითაც სანგრევში სამაგრ ჩარჩოებს ამზადებს, მართალი მოგახსენოთ, ძალიან მიკვირს!.. ბრტყელი კოვზის ტარივით გათლილ ბზის ჯოხით ერთგან რომ აუქნევს და აათლის თიხას, უცებ მეორეგან დააგლესავს, დროდადრო იმ კვახივით გამოყვანილ თიხას ხელებს შემოაჭდობს და ცერებს ისე აამოძრავებს მის ზედაპირზე, თითქო დასივებულ სახეზე ძვალსა და რბილს სინჯავსო. მერე ისევ მოჰყვება ნამცეცებით აჭრელებას, სანამ ცხვირს, თვალებს, ტუჩებს, სახის დანარჩენ ნაწილებს თავის ნებაზე არ გამოაკვარახჭინებს... ახლა არ იკითხავთ როგორ ამგვანებს, თუ თავიდანვე ვინმეს გამოსახვა დააპირა?!

ერთი ჩვენი მემაღაროე, მენშევიკებმა რომ დახვრიტეს ცხრაასოცდაერთში, სურათიდან ისე გადაიღო, ისე დაამგვანა, კაცი გაოცდებოდა. მისი ქანდაკება თავისი სურვილით გააკეთა... მერე სხვებმაც სთხოვეს, მაგრამ ყველას არ უკეთებს, თუმცა... ფულიც კი შეაძლიეს. მაგის გულისთვის ზოგი ჭირისუფალი მეც დამემდურა: შენი შვილია, რომ გეთქვა, როგორ არ დაგიჯერებდაო. ის კი არ იციან, რა ჯიუტია ამ საქმეში, თუ არ უნდა, რამდენიც გენებოთ, ეხვეწეთ, მაინც არ გამოძერწავს, არ მაღელვებსო — გეტყვის!. მიხვდი ახლა

შენ, რანაირად უნდა ეღელვოს მკვდარმა!!! — ნიკომ ისე, საღერღელის ამშლელად გადაიხარხარა, რომ ძნელი იყო, არ აჰყოლოდით; მაგრამ სტუმრები სწორედ ახლა არ აჰყვნენ, ახლა არ დაუჭირეს მხარი, რამაც ძალიან გააოცა და შეიძლება, ცოტა კიდეც გააწბილა ძველი მეშახტე.

— ნიკო ბიძია, სახლში არაფერი აქვს შემონახული, შატბიას? — ცნობისმოყვარეობით იკითხა სულიკომ, — იქნებ გვაჩვენო მაგის რომელიმე ნამუშევარი.

— უკეთესია, ისე ვნახოთ, მან არ შეიტყოს, — იდუმალის ხმით შენიშნა მეგიმ.

— ლელა, გოგო! შენს გახარებას, თუ არ დაგეზარება...

ნიკოს სიტყვებზე ლელა წამოდგა.

— ხომ იცი, სადაც აწყვია შატბიას ნამუშევრები? გამოუტანე, აჩვენე ერთი, სტუმრებს, ვიცნოთ!.. ეცადე, შატბიამ არ შეგიტყოს! ახლა, თუმცა კარგი დროა, ტანს უნდა იბანდეს.

ნახევარი გზა ლელას უკვე გავლილი ჰქონდა, როცა ნიკომ მიაძახა, — ქვის თავი რომ არის, ის მოგვიტანეო!

— ქვაშიაც შეუძლია უკვე მუშაობა, გამოკვეთა? — კვლავ ცნობისმოყვარეობით იკითხა სულიკომ.

— მაგას ახლა ვეღარც ქვა უდგება წინ, ვეღარც რკინა!.. ეშმაკმა იცის მაგის თავი!.. ამ ბოლო დროს თიხასთან ერთად მოზრდილ, სულ სხვადა-

სხვა ფერის ქვებსაც მოზიდავს ხოლმე სახლში!.. მალე, ალბათ, მეზობლების სასაცილო შევიქნები!

— რასა ბრძანებთ, ვინ იკადრებს! — ბეჯითად წარმოთქვა მეგიმ, — ნიკო ბიძია, თქვენ რომ თქვით, აუჩემებიაო, აჩემებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თუ ნამდვილად ამ საქმეში ნიჭი აქვს, ეს დიდი ამბავია, ხელი უნდა შევუწყოთ, წავაქეზოთ! მაღაროელი თქვენს გვარში ბევრი გამოსულა, მხატვარი, ხელოვანი კი, ალბათ, არც ერთი...

— არ გამიგონია. აქამდე ასე იყო და...

—ადამიანის მუშაობა,—განაგრძო მეგიმ,—ხალხისათვისაც, თავისთავისათვისაც მაშინ არის სასარგებლო და ნაყოფიერი, თუ მას აკეთებს, რაც ყველაზე მეტად უყვარს, რისი შექმნის უნარიც აქვს!

— ვიცი, ბიძია, მხატვარიც საჭიროა, მაგრამ რაღა მაინცდამაინც ჩემი შვილი უნდა შემოვწირო ამ საქმეს!? როგორც გითხარით, ჩვენს გვარს რა ხანია მოსდევს, სანამ მაღარო იყო, მაღაროში, ახლა კი, შახტში მუშაობა!.. ჰოდა, რომ გავიფიქრებ, მეტი ვაჟი არა მყავს... ერთი სიტყვით, იმ დღეს ნუ მომასწროს, რომ ჩვენი გვარისკაცის მარჯვენინ ქება-მიწის გულში ალარ ისმოდეს!..

— განა მოგვარეები არა გყავთ?!..

— საკმაოდ, მაგრამ... შატბიას რომელი გაუტოლდება!?..

— თქვენი ვაჟი წარმოსადეგი და გონიერი ყმაწვილი ჩანს, რა თქმა უნდა, შახტში თუ იმუშა-

ვებდა, თქვენს გვარს არ შეარცხვენდა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ... ხელოვნებაში უფრო გასახელოთ!

—საქმეც ეგ არის... ხელოვნებაში ი-ქ-ნ-ე-ბ გამოდგეს, აქ კი უკვე გამორკვეულია, რომ გამოდგება!

—აი, ვნახოთ მაგის ნამუშევარი და... თუმცა ახლავე გარკვევით, გადაჭრით რამის თქმა ძნელია, მაგრამ მაინც შეეტყობა...

—ნიკო ბიძია, რომ მოგვეწონოს, მაშინ... რაღას იტყვით? — იკითხა მეგიმ.

—აჰ, არ გამიგიქოთ შვილი... — მიუგო ნიკომ და ხელი სიცილით ჰაერში გაასავსავა, — თუმცა რა... ეგ ბიჭი ისეა შეყვარებული მხატვრობაზე, რამდენიც უნდა უწუნოთ, მაინც თავისას არ დაიშლის.

მამა ვერც გაკვირვებას ფარავდა, ვერც წყენას, ყველაფერში გამგონე შვილი რომ მისი საყვარელი და საამაყო ხელობის გაგრძელებაზე უარის თქმას ბედავდა. ქართულ ანდაზას რომ არა — „შვილი ჩემია, მაგრამ ჭკუა თავისი აქვსო“, — შეიძლება მათი დავა კეთილად არ დასრულებულიყო, თუმცა, დასრულებულად ნიკო ამ ამბავს ჯერ კიდევ არა სთვლიდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, ოღონდ როგორმე შვილისათვის თავი დაეევლო.

რაც ნიკომ თამარელასადმი შატბიას ლაციცს თვალი შეასწრო, მოხუც მეშახტის გულს ერთხელ კიდევ იდუმალ მოეფინა იმედის ნათელი; იფიქრა—

ახლა კი დავაბამ ჩემს თავგასულ ბიჭსო, მეშახტეთა მოდგმისათვის ისე უჩვეულო საქმით რომ იყო გატაცებული და, დღე-დღეზე თბილისს წასასვლელად ეშურებოდა, ერთი სული ჰქონდა, ვიდრე უმაღლესში საბუთებს შეიტანდა. მამა უმაღლეს სასწავლებელში შესვლას არ უშლიდა, მაგრამ სულ იმის ყვედრებაში იყო, თუ წახვალ, ბარემ სამთოზე შედი, რათ გინდა, იმ ეშმაკის საქმეს რომ ჩასციებიხარ, თიხის ზელა რაში მოგნატრებიაო. ნიკოს დარიგება შატბიასათვის ახლა სწორედ რომ მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავდა...ჰოდა, რაკი ერთხელ ნიკომ თვალი შეასწრო თამარელასადმი შატბიას ლაციცს, გული კვლავ მოელხინა — კარგი საბელი ვიშოვეო, გაიფიქრა თავისთვის და იმ დღიდან თამარელას ჯერ შეუმჩნევლად, მერე კი ცხადად ფერება და გამოქომაგება დაუწყო. სხვის ქებაში, მეტადრე დაუმსახურებლად, სიტყვაძვირს, თამარელასათვის ახლა აღარაფერი შურდა. თამარელას ნიკო ხშირად ადარებდა ბროწეულის ყვავილს და რითაც კი შეეძლო თავს ევლებოდა, ცდილობდა სხვებში გამორჩეული ჰყოლოდა. გარეშე თვალს. რა თქმა უნდა, ასეთი რამ შეუმჩნეველი არა რჩება და... ყველა ფიქრობდა — ნიკო თამარელას უთუოდ თავის სარძლოდ სთვლისო. არც თამარელას ეთქმოდა ამაზე არაფერი; მისი გულის უსაზღვრო წადილიც სწორედ ეს იყო; არც შატბია უძალიანდებოდა მამას, თუმც მამა თამარელასთან დამოკიდებულებაზე შვილთან ბაასს

რატომღაც გაურბოდა. თუ ნიკოს წვეულება-რამ ჰქონდა, თამარელას ეშხით და პატივისცემით ზიბზიბაძის ოჯახსაც დიდიან-პატარიანად გადმოიპატიჟებდა ხოლმე. სუფრაზე თამარელას თვალსაჩინო ადგილს უთმობდნენ, საუკეთესო საჭმელებსაც პირველად მას სთავაზობდნენ და ამგვარ ყურადღებას მასპინძლები თამარელას სილამაზით ხსნიდნენ და ამართლებდნენ.

— რას იზამ, ამ უამრავ ფოთლებში, — იტყოდა ხოლმე სიცილით ნიკო და სუფრაზე მსხდომთ ირიბად გადახედავდა,—თამარელა ბროწეულის ყვავილივით ჩანს და ძალაუნებურად გიზიდავსო!

ამგვარ შენიშვნებზე თამარელას უმალ მართლაც ბროწეულის ყვავილივით შემოენთებოდა ლოყებზე სიწითლე. თამარელას ასე წამოწითლებას და დარცხვენას ისიც აძლიერებდა, რომ ნიკოს სიტყვებზე ერთბაშად ყველანი მისკენ იწყებდნენ ხოლმე ცქერას. საბრალო გოგონა, გარეგნულად თუმც მეტად აწრიალებული, შინაგანად თავს ბედნიერად გრძნობდა და ნიკოსაც დროდადრო ვითომ მწყრალი, ნამდვილად კი ისეთის მადლიერის თვალით შეაცქერდებოდა, ძველ მეშახტეს ნაოჭებიანი სახე უმალ სიამით გაებადრებოდა ხოლმე.

თამარელა, მართალია, გონიერი და დაკვირვებული ქალიშვილი იყო, მაგრამ ეჭვიც-არ ეპარებოდა, თუ ნიკოს ტკბილ საუბარს და საჯარო ხოტბას სულ სხვა სარჩული. ედო, ვიდრე თვითონ ვარაუდობდა. ნიკოს ვარაუდით კი... თუ თამარელა შახტ-

ში მუშაობით დაინტერესდებოდა, შატბიაც რაღა თქმა უნდა, იქაურობას აღარ მოშორდებოდა, რადგან სიყვარული ამ ასაკში ხუმრობა საქმე არ არის... ძველი მეშახტეც თავის მიზანს — შვილი გვერდით ჰყოლოდა — ადვილად მიაღწევდა.

ხშირად, როცა თამარელა ნიკოს ოჯახში იმყოფებოდა, ჩვეულებრივ მოუცლელი უბნის უფროსი მისთვის დროს იოლად პოულობდა; დაჯდებოდა, ტკბილად გაესაუბრებოდა თამარელას; შემდეგ თითქო სიტყვამ მოიტანაო, მოჰყვებოდა მასპინძელი მეშახტეთა სახიფათო, მაგრამ ვაქკაცური, დაძაბული და მიმზიდველი ცხოვრების შესახებ სხვადასხვა თავგადასავლების თხრობას. საერთოდ ნიკოს მოყოლილ ამბის მოსმენას არაფერი სჯობდა, რამდენ მსახიობს შეშურდებოდა ამ საქმეში მისი უნარი, მაგრამ როცა ნიკო თამარელას უყვებოდა რამე ამბავს, ამ შემთხვევაში მისი თხრობის ხელოვნება ხომ რაღაც, ენით გამოუთქმელ ეფექტს აღწევდა.

ყველაფერს აქვს დასასრული და ნიკოს თმენაც თანდათან უახლოვდებოდა ამ დასასრულს; ერთხელ ძველმა მეშახტემ თავისი აზრით ხელსაყრელ დროს, — როცა თამარელა ოსტატურად მის მიერ მოთხრობილი ამბით აღელვებული და გაბრუებული ჩანდა, სცადა თავის ხვაშიადზე შორიდან და გადაკრულად ჩამოეგდო სიტყვა.

— თამარელა! — გარეგნულად მშვიდის ხმით, შინაგანად კი მთლად აფორიაქებულმა ნიკომ წარ-

მოთქვა ახლა ეს სახელი, — რომ იცოდე წუხელი რა დამესიზმრა... ერთი მითხარი, დასანანებელი არ არის, ის ამბავი სიზმარი იყოს და არა ცხადი?!

— მაინც, ნიკო ბიძია?..

ნიკომ უნებლიეთ კეფა მოიფხანა.

— რა და... ვითომ შახტში მუშაობდი... შატბიას გვერდით...

— შატბიას გვერდით! — გაკვირვებულის სიცილით გაიმეორა თამარელამ ნიკოს სიტყვები.

— ვერც კი აგიწერ, რანაირად მესიამოვნა!..

— არ მიკვირს, ნიკო ბიძია!.. იმაზე საყვარელი ადგილი ხომ არ არსებობს...

ნიკომ ველარ მოითმინა.

— ხომ ასეა! შენს გამჩენს ვენაცვალე!..

— ნიკო ბიძია, არ მაცალე, მეთქვა—ეს შენთვის არის ასე... სხვას კი შეიძლება სხვა ადგილი უყვარდეს....

— ეს რა მითხარი! — უცებ იყვირა ნიკომ, ისე მოულოდნელი იყო მისთვის თამარელას პასუხი.

— ნიკო ბიძია, ერთი ჰკითხეთ — მფრინავი თუ გაგიცვლით ცის ლაჟვარდს თქვენს ჯურღმულზე, ან მეშახტე თავის ასპარეზს ცის გუმბათზე, ან მეზღვაური ზღვის და ოკეანის სივრცეებს?..

— არც აგრეა საქმე, ქალიშვილო!.. უნდა შეგიყვარდეს და... თუ შეგიყვარდა... არ იცოდი აქამდე? სტახანოვი შახტში მუშაობის დაწყებამდე მეზღვაური იყო! ერთი მითხარი, ვინ არის ახლა იმ კაცზე სახელოვანი?

— სახელოვანი ბევრია! — დინჯად შენიშნა თამარელამ, თან ისეთის თვალებით შეხედა ძველ მეშახტეს, თითქო პატიებას სთხოვს — სიტყვა რომ მოგიჭერიო.

— მაგას ვინ ამბობს!.. სახელოვანი ჩვენს ქვეყანას ყველა საქმეში ბევრი ჰყავს და თავიც ესახელება, მაგრამ... მეშახტე სტახანოვი მაინც სხვაა!

— რას მედავები, ნიკო ბიძია, შრომის ფრონტზე მაგ კაცის გმირობით ყველას მოგვაქვს თავი, ის ყველასთვის მაგალითია!

— ჰოდა, თუ ამდენი იცი... — ნიკომ უცებ ხელი აიქნია ჰაერში, ისევ თავის სიზმარს დაუბრუნდა, — როცა გამეღვიძა, ჩემს სიცოცხლეში პირველად დამწყვიტა გული თვალის გახელამ, ისე მომხიბლავი იყო ის სიზმარი!..

— ნიკო ბიძია, — სიცილით შენიშნა თამარელამ, — რამ დაგასიზმრათ ჩემი თავი, ისიც შახტში, — უნდოდა ეთქვა — შატბიასთან ერთად, მაგრამ სიტყვა ენის წვერზე შეუტოკდა.

— რავა, ითაკილებდი?!

— სათაკილო აქ აღარაფერია, მაგრამ...

— შენს გახარებას, გულახდილად მითხარი, — ახლა უკვე პირდაპირ შეუტია ნიკომ, — რომ შემომეთავაზებინა, ჩემს უბანში არ იმუშავებდი?! რა საქმესაც ირჩევდი, თვალის დახამხამებაში დაგაუფლებდი!..

თამარელამ ნიკოს რომ შეხედა, არ ესიამოვნა; თუ აქამდე ხუმრობა ეგონა, ახლა ცხადად ამოი-

კითხა მის იერში, როგორი სიყვარულით, გულის-ხმით და მღელვარებით იყო თქმული ეს სიტყვები. საბრალო გოგონამ მყის შუბლი შეიკრა, სახე მოე-ქუფრა, მწყრალად, გადაჭრით მიუგო ძველ მე-შახტეს:

— არა, ნიკო ბიძია! მაგაზე არც მიფიქრია... — შეხედა, ისევ მსწრაფლ დახარა თავი, დამნაშავე-სავით წაიჩურჩულა, — მე სხვა გზით მივდივარ!

„კაცმა არ იცის თქვენი გზა და თქვენი თავიო“ — უმალ წყენით გაივლო ნიკომ გუნებაში და ერთხელ კიდევ შეხედა თუ არა თავისი თავ-მოყვარეობის ასე ულმობლად შემლახველს და კეთილი რჩევის უარმყოფელს, მის იერში უმალ ნათლად ამოიკითხა „კერპი გომბიოს“ საბოლოო პასუხი.

ნიკომ მათკენ მომავალ შატბიას რომ შეასწრო თვალი, კვლავ თამარელას მიუბრუნდა, ფარული დაცინვით შეეკითხა, თითქო წელან კარგად ვერ გაეგონოს,—სხვა გზით მიდიხარო?—და მერე შატ-ბიასკენაც ანიშნა, კვლავ ფარული დაცინვით უთხ-რა — „მისი გზით ხომ არაო!“

ის დღე იყო და ის წუთი, ნიკოს თამარელასაკენ ჯერ-ლი აღარ მობრუნებია. რარიგ ერიდებოდა ნიკო, მაგრამ... შავმა კატამ მაინც გაირბინა. თამარელა-მაც ბროწეულის ყვავილის მაგივრად იმ დღიდან ნიკოსათვის შავი კატის სახე მიიღო, და ასეც იხსე-ნებდა ხოლმე ძველი მეშატხე, როცა თამარელაზე შინაურობაში ანაზდად სიტყვა ჩამოვარდებოდა.

ლულამ მალულად მოარბენინა გაზეთში გახვეული, შატბიას ნამუშევარი და წინ დაუდო ნოხზე მსხდომთ.

ვიდრე გაზეთს შემოხსნიდნენ, მეგიმ, სულიკომ და ნიკომ იდუმალის მღელვარებით გადახედეს ერთმანეთს. მეგის ნატვრა იყო, ეს ნაწარმოებიც ისევე მომხიბლავი ყოფილიყო, როგორც მისი ავტორი; სულიკო ბევრს არაფერს მოელოდა და ამიტომ არც ძალიან ღელავდა, არც დიდ ინტერესს იჩენდა. მისი ყურადღება უფრო მასპინძლის პატივისცემით იყო გამოწვეული, ვიდრე ახალგაზრდა შემომქმედის ნაწარმოების ხილვის წადილით. ნიკოს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა გუნებაში — რა ენატრა — მისი შვილის ნაწარმოები ექოთ, თუ ეძაგებინათ. მართალია, გულით სურდა, შვილი რომ მისი პროფესიის და მოწოდების გამგრძელებული ყოფილიყო, მაგრამ ამავე დროს თავმოყვარეობაც ნებას არ აძლევდა, თუნდაც მისთვის ათვალწუნებულ საქმეში შატბია უნიჭოდ ეცნოთ.

ამასობაში სულიკომ ნამუშევარს გაზეთი ფრთხილად შემოხსნა და ხელისგულზე დაბჯენილი ბიუსტი მაღლა ასწია, ნელა შეაბრუნ-შემოაბრუნა. მეგიმ უცებ ერთმანეთში თითებგადაჭდობილი და დამუშტული ხელები ნიკაპთან მიიბჯინა და ისე წამოიწია, თითქო სულით და გულით მისკენ ისწრაფვისო. თუ მეგი აღტაცებას ველარ ფარავდა, სულიკო, პირიქით, საოცარი თავდაჭერით

სინჯავდა ბიუსტს. არც კმაყოფილებას ამჟღავნებდა, არც უკმაყოფილებას. პაპიროსს პირის ხან მარჯვენა კუთხეში მოიგდებდა, ხან მარცხენაში. კბილებდაკრეჭილი და ცალთვალ ახამხამებული, თითქო პაპიროსის ბოლი სწვავსო, მუშტრის თვალით აკვირდებოდა, სინჯავდა თამარელას პორტრეტს, ხან ანფასში, ხან პროფილში.

ამ ნამუშევრის ხილვით სტუმრებზე უფრო ნიკო იყო გაოცებული. ხეში ნაკვეთ, თამარელას პორტრეტს ძველი მეშახტე პირველად ხედავდა.

ნიკო ახლა კი დარწმუნდა, თუმც შერიგებით ჯერაც ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ შატბიას თამარელა ნამდვილად ჰყვარებია. ჯერ ერთი, მისი პორტრეტი ასე მონდომებით და გატაცებით გამოუქანდაკებია, მეორეც, აქამდე ნიკოს ამ პორტრეტის არსებობის შესახებ არაფერი სმენია; ეტყობა, ამ ნამუშევარს შატბია საგულდაგულოდ უმალავდა მამას, რახან ის თამარელასადმი კეთილად არ იყო განწყობილი.

თამარელა ამ პორტრეტის მიხედვით ისე მომხიბლავი და თავისებურად ლამაზი ჩანდა, ძალაუნებურად ბადებდა მისი ნახვის წადილს.

ნიკოს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, ვერ გაეგო, ვერ მიმხვდარიყო, რა იყო იმ ხეში ამდენი საჭვრეტი და საკირკიტო; მას ეგონა შეხედვის უმალ, ან სიცილს დააყრიდნენ შატბიას ნამუშევარს, ან, ეკეთეს შემთხვევაში, თავაზიანობისათვის დაცინეის ასეთი აშკარა გამოხატულებისაგან შეიძლება

თავი შეეკავებინათ და ფრთხილი შენიშვნით დაკმაყოფილებულიყვნენ — „ჯერჯერობით ძნელია რამის თქმა, ისე კი... არა უშავსო!“ მაგრამ მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა სულიკომ იქ მყოფთ თავისი „განაჩენი“ აუწყა.

— ნიკო ბიძია! რაც გინდა უშალო, ვერ მოერევი, თავისას გაიტანს. ნიჭია! — სულიკო თან ლაპარაკობდა, თან შატბიას ნამუშევარს შეჰყურებდა.

ნიკომ ხელი მოივლო ნიკაპზე. ძველი მეშახტის სახეზე დაბნეულობა და გაოცება აღბეჭდილიყო.

— დავიჯერო?! — გაბმით ისე წარმოსთქვა მან, თითქო თავისთავს ეკითხებაო.

— თუ გინდათ, ნუ დაიჯერებთ, — შენიშნა სულიკომ, — მალე თვითონ დაგაჯერებთ!

— რას ამბობთ, რასა,—უცებ გაცხარდა ნიკო,— რასაც ჩემს შვილს ვურჩევ, ცხოვრებაში უფრო გამოსადეგი მისთვის რაღა იქნება!? ჯერ კიდევ ყმაწვილია, ვინ იცის... კვლავ რას ინატრებს, რას აიჩემებს! ორსული ქალის არ იყოს, ხან ტყლაპი მოენატრება, ხან შოკოლადი.

—ამ ნაწარმოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, — სულიკომ ისევ ასწია მაღლა თამარელას ბიუსტი, — შატბია მხატვრადაა დაბადებული! თქვენი გვარის სახელი ამით უფრო მაღლდება!

ნიკო ერთხანს ჩაფიქრებული გამოიყურებოდა, დროდადრო ეჭვნარევი ღიმილით ალმაცერად გადახედავდა ხოლმე სულიკოს და მეგის. ეტყობოდა,

რასაც ახალგაზრდები ეუბნებოდნენ, ჯერ კიდევ არა სჯეროდა, თანაც ასე ადვილად თავისი შეხედულებაც ვერ დაეთმო.

— ასე იცით ახალგაზრდებმა, — შენიშნა ბოლოს, — აიჩემებთ რასმე, წახვალთ ქალაქში და, აქ რომ თქვენს წინ ბუნება თავისი სიუხვით სუფრასავით არის გაშლილი, იქ მერე ტყემალიც კი მოგენატრებათ ხოლმე!

ნიკო ბიუსტს წაეპოტინა, ლელასთვის რომ მიეწოდებინა, მაგრამ სულიკომ ხელით ანიშნა, ჯერ იყოსო. — რა ეშმაკად მოგატანინე! — ისე გადახედა ნიკომ ლელას, თანაც ისე წარმოთქვა, თითქო ხუმრობსო, ნამდვილად კი, გუნებაში თავის თავს ნიშნს უგებდა, შატბიასათვის რაც ეწადა, საწინააღმდეგო რომ გამოუვიდა.

ლელამ გაზეთს კი წამოავლო ხელი, მაგრამ ბიუსტის წაღებას არა ჩქარობდა, გუნებაში ნატრობდა, იქნებ შატბიამ მოუსწროს და თავისი ყურით მოისმინოს, ნიკოსაგან აბუჩად აგდებული ნაწარმოების ქებაო.

— ნიკო ბიძია! თქვენ თუ გინდათ, ნუ შეხედავთ, ჩვენ კი ამის ცქერა ჯერ არ მოგვწყენია! — თავაზიანად გამოხატული საყვედურის კილოზე შენიშნა მეგიმ და ხეში ნაკვეთ თამარელას სახეს კიდევ უფრო ხარბად დაუწყო ცქერა.

— კარგი დაგემართოთ, კარგი საცქერი ეგ იყოს, — თქვა გულის მოსაფხანად ნიკომ და მსუბუქი ოხვრაც დააყოლა. ერთხანს მაინც ვერ ისვენებდა,

ი"მუ"ნებოდა, ვიდრე ნათქვამს წყენით არ დაუმატა — ხედავთ? შატბიამ სტუმრებიც გადამირია!..

თავაზიანობისათვის, მის უწყინარ სიტყვებს სტუმრები გულღია სიცილით გამოეხმაურნენ. მეგი და სულიკო, ნიკოს აზრით, მართლა გადარეულებს ჰგავდნენ; ჯერ კიდევ ისე ხარბად აკვირდებოდნენ თამარელას ბიუსტს, კაცს ეგონებოდა, თავის სიცოცხლეში უკეთესი რამ არ უნახავთო.

— ნიკო ბიძია! — გაოცების გამომხატველი მზერა მეგიმ ნიკოს მიაპყრო. თამარელას პორტრეტი მეგისაც, სულიკოსაც ხელოვნების ნამდვილ ქმნილებად მიაჩნდათ, და რაკი სულიკო ასე უსინდისოდ სდუმდა, აქამდე არაფერს ამბობდა, ისევ მეგიმ ითავა მისი დაცვა, — თუ ეს არა, მაშ რა მოგწონთ, საინტერესოა!?

ამ სიტყვებმა ნიკოს თითქო თავის გასაამარილებელი, მნიშვნელოვანი რამ მოაგონაო, უმალ გულისჯიბისაკენ წაიღო ხელი. მაგრამ რაც გუნებაში ედო, მის გამჟღავნებას ჯერ ვერ ბედავდა, აყოვნებდა და სტუმარი ქალ-ვაჟის ცნობისმოყვარეობასაც ამით კიდევ უფრო აძლიერებდა. ბოლოს ნიკომ, როგორც იყო, გულისჯიბიდან ხელის სიფართეზე მოკეცილი, ნაპირებშემოცვეთილი ქაღალდებისა და წიგნაკების მთელი დასტა ამოიღო, გადაქექა და მეგის ჯერ ეშმაკურად მოწკურული თვალებით შეაცქერდა, მერე თავმომწონედ გაუწოდა ფოტოსურათი შატბიასა და თამარელას გამოსახულებით. თამარელას ამ სურათის მიხედვით

ძნელად იცნობდით. მას მეშახტის ქუდი ეხურა, შატბია კი თავშიშველი იდგა მის გვერდით.

და-ძმამ ნიკოს ხათრით ყურადღებით გასინჯა ფოტოსურათი, მაგრამ საყურადღებო მასში მაინც ვერაფერი ჰპოვეს.

— როგორ გეკადრებათ, ნიკო ბიძია! ამ ფოტოსურათის შედარება განა შეიძლება ხელოვნების ქმნილებასთან?!.. — საყვედურის კილოზე შენიშნა მეგიმ გამარჯვებულივით მოღიმარ ნიკოს.

— შეძლებით, ყველაფერი შეიძლება, მაგრამ... რა ხელსაყრელი იქნება ნიკო ბიძიასათვის ასეთი შედარება!

აქამდე გამარჯვებულის კმაყოფილებით მოღიმარმა ნიკომ სულიკოს სიტყვებზე ყური ცქვიტა, — „ხომ არ დამცინიან ქალაქელი სტუმრებიო“, — გაიფიქრა გუნებაში და თუმც არ სჩვეოდა, მაგრამ სულიკოს ახლა ისეთი მედიდური და დამცინავი თვალით გადახედა, ვაჟმა უხერხულად იგრძნო თავი.

— რა იცით, ბიძია!.. — ხმადაბლა, დარიგების კილოზე დაიწყო ძველმა მეშახტემ, — რა იცით, ან ამ ქუდის, ან იმ კაცის ფასი, ვისაც ეგ ხურაეს!?

ამ სიტყვებზე გულისჯიბიდან კვლავ ამოიღო მოკეცილი ქაღალდების დასტა, შიგ თავისი საყვარელი სურათი ჩასდო და კვლავ უბისაკენ წაიღო ხელი.

ნოხზე ფეხმორთხმული სტუმარ-მასპინძელი შატბიას ნამუშევრის გარშემო გამართულ სჯა-

ბაასით ირთობდნენ თავს, ხოლო შატბიას თავისი ტუალეტი ჯერ კიდევ არ დაესრულებინა, რომ ჭიშკართან, ღობეზე მომდგარმა კაკო ზიბზიბაძემ ხმამაღლა დაიძახა:

— მასპინძელო!

ნიკომ აუჩქარებლად გაიხედა ჭიშკრისაკენ და აუჩქარებლადვე გასძახა:

— რომელი ხარ?

— კაკოა, ზიბზიბაძე, ნიკო ბიძია, — უჩურჩულა ლელამ.

— მერე, რა უცხო ეგ არის? — შენიშნა ნიკომ გაკვირვებით, გუნებაში კი გაიფიქრა — „უცხოებს თუ მოჰკრა თვალი და იმიტომ გვერიდება“. — ზანტად წამოდგა, ჭიშკრისაკენ გაეშურა.

ლელამ გაზეთს ხელი წაავლო, ბიუსტის შეხვევა დააპირა, მაგრამ ახლა მეგიმ არ დაანება.

— იყოს, არ გვიშლის. — თქვა და მოშორებით ნიხის კუთხეში დასდგა იგი, მოჭუტული თვალით გახედა. — სულიკო, რას იტყვი? მე ძალიან მომწონს... კაცს ეგონება, ეს ნაწარმოები ადამიანის ხელს კი არ შეუქმნია, ასე დაბადებულაო!

— მთელი სიდიადე მაგის უბრალოებასა და ბუნებრიობაშია, — დაასკვნა სულიკომ.

ლელა ყურს უგდებდა მათ საუბარს, თან დროდადრო ჭიშკრისაკენ იხედებოდა.

ნიკო და კაკო რამდენიმე წუთს ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ჯერ ვერც ერთს ვერ გადაეძლია. ნიკო ალბათ, უარის ნიშნად იქნევდა ხელს,

ქუდსაც მალიმალ იხდიდა, თავს ოდნავ წინ ხრიდა, თითქო კაკოს მადლობას უხდისო. კაკო მაინც ჯიუტად იხვეწებოდა, ხან მკერდზე დაიდებდა ხელს ამაყად, ხანაც სულ მოიკუნტებოდა, ორ თითს კისერზე ხორხის ბორცვთან წაივლებდა და ნიკოს შესაბრალისის თვალით შემოსცქეროდა თვალდაჭყეტილი და კბილებდაკრეჭილი. რახან ზიბზიბაძე აღარ ეშვებოდა, ნიკომ ის მკლავში ხელჩავლებული, დატყვევებულივით წამოიყვანა. კაკო რამდენიმე ნაბიჯზე კიდევ უძალიანდებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰყვა მის ნებას.

— ვინ არის ეგ ყმაწვილი? — იკითხა მეგიმ.

— შატბიას ამხანაგია, — მიუგო ლელამ, — შახტში ერთად მუშაობენ.

მეგის კარგად არც კი უგდია ყური ლელას პასუხისათვის. უკვე მოახლოვებულ ნიკოსა და უცხო ვაჟისაკენ ჰქონდა მიპყრობილი მზერაც და სმენაც.

— იცნობდეთ! — წარუდგინა ზიბზიბაძე ნიკომ სტუმრებს, — ბავშვის გადარჩენაც შეიულოცეთ!..

ხელის ჩამორთმევის დროს მეგიმ ოდნავ წამოიწია ადგილიდან, ვაჟს თამამად გაუსწორა თვალი, და თუ კაკომ რაღაც თავისი სახელის მსგავსი წაილუღლუღა, მეგის სახელი ისე მკაფიოდ გაისმა, გეგონებოდათ, ეს შეხმატკბილებული ბგერები ადამიანის ბაგეს კი არ დასცდენია, რომელიღაც ნაცნობი საკრავის სიმებმა გამოსცესო.

როცა კაკომ სულიკოსაც ჩამოართვა ხელი, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, შორიახლოს გაჩერდა.

— ნიკო ბიძია, შატბია სად არის? — სახეზე ოდნავ წამოწითლებულმა კაკომ შინაურული, თავისი კუთხის კილოთი იკითხა და ეზოში გაიხედ-გამოიხედა.

— რა ვიცი... ვერ გამიგია, გვემალება, თუ ამდენხანს გალამაზებას მოუნდა?!—უცებ კაკოს ახედა! — ბიჭო! შახტის აბანოში წყალი დღესაც ხან ცივი მოდიოდა, ხან ცხელი, არა?

— დღეს რომ მაგან გამოწერილივით ცივ წყალში იბანავა, ისეთი, შახტის აბანოში როდის ყოფილა!

— ჰო, რაღაცას ამბობდა...

— არ გაგიგიათ? ჩვენი მდინარე ისე მოზღვავდა, სულ მოლეშა, რაც აქეთ, მარჯვენა ნაპირის გაყოლებაზე ბოსტნები და ბაღებია, ბაჭუა ბრაჭულის, კიმოთეს, სირბილაძის სახლებსაც კი თითქმის უწია, თუ დილამდე არ დაიკლო, ხვალ ბაჭუა რომ გამოიღვიძებს და გამოიხედავს, თავი ვენეციაში ეგონება, წყალი ზედ კიბეზე მიადგება!

— მაინც გადარეულია და, მაშინ ხომ... — სიცილით შენიშნა ნიკომ. მერე უცებ დადინჯდა, — ჰო, კაცო, წეღან თქვეს მდინარე მოდიდებულაო, მავრამ ვერ მოვიცალე და ვერა, გადავსულიყავი, დამენახა მაინც...

— თქვენც, ახლა წამობრძანდით!.. ჩემი სახლიდან ყველაფერს კარგად დავინახავთ... დიდი ამბავი და გაწამაწია იყო, ნიკო ბიძია, ზემო სოფლებიდან მოტაცებულ ხე-ტყეს ახლაც იჭერენ ბიჭები ჩანგლით!

— თუ წყალმა ბრაჭულის სახლს უწია, მართლა კაი ხელაზე მოდიდებულა! — დინჯად შენიშნა და გაკვირვებით გაიქნია თავი ნიკომ.

— უწიაო, ჯერ არ ითქმის, მაგრამ ბევრიც აღარ უკლია. სულ არ წაიღებდეს და...

— ეგ თუ წაიღო!.. აქამდისაც წასაღები იყო ის ოჩოფეხებზე შესკუპებული ნალია...

— ერთი ბრაჭულსაც ჰკითხე, ნიკო ბიძია, იმ ნალიას ალბათ შენს დარბაზშიაც არ გაცვლის!..

— დამატება ხომ არ დამჭირდება?! — დამცინავად შენიშნა ნიკომ და სახლს გახედა.

მეგი ცნობისმოყვარეობით უსმენდა ნიკოს და, ბრაჭულის ყოველ ხსენებაზე ტუჩს მაგრად კუმავდა, რომ არ გასცინებოდა.

— ნიკო ბიძია, უნდა წამოხვიდეთ, — ჭკვლავ განაახლა წეღანდელი ხვეწნა კაკომ, — თქვენი უარი ყელის გამოჭრა იქნება!

— მოდი, ჯერ აქ შემოვძახოთ! ასეთი ეზო, სახლი და გადასახედი ამ არემარეზე კაციშვილს არ მოეძევება!

— ნიკო ბიძია, ამ სიმაღლეზე მაინც რამ ამოგიყვანა? შენი წინაპარი მეციხოვნე ხომ არ ყოფილა?

— ჩემს წინაპრებში იყო თუ არა ვინმე მეციხოვნე, ვერ გეტყვი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩემი გვარის კაცს არც დუბეში უცხოვრია როდისმე და არც დუბელა უსვამს!

— მართალია, შენი სახლი ქვარას ციხესავით არის წამოჭიმული, მაგრამ... — აქამდე ნიკოს დაყოლიებას რომ ცდილობდა, კაკო უცებ მეგისა და სულიკოს მიუბრუნდა, მოწიწებით აუწყა, — რა თქმა უნდა, მასპინძელს რომ ვეპატიჟები, სტუმრები თავისთავად დაპატიჟებულად ითვლებიან!

— სად გაგონილა, შე დალოცვილის შვილო, სტუმარი ჩემსას იყოს და შენ ეპატიჟებოდე? ჯერ აქ მოსწყინდეთ ყოფნა და მერე, ვნახოთ...

— ნიკო — ბიძია, დღევანდელი დღე უპირველესად მე უნდა აღვნიშნო, ჩემს უფროს ბიჭს ექვსი წელი შეუსრულდა!.. ხიფათსაც შატბიამ გადამირჩინა, მითხარი, ვის დავპატიჟებ, თუ არა ნიკო ბიძიას, მის ოჯახს და მის... სტუმრებს? — კაკო ისე სწრაფად და გაცხარებით ლაპარაკობდა, იხვეწებოდა, რომ მეგის და სულიკოს წუთიც ვერ მოეხელთებინათ, ახლახან გაცნობილ ჭაბუკისათვის დაპატიჟებაზე მადლობა ეთქვათ, სიტყვა პირზე აცივდებოდათ.

მეგი წყნარად იჯდა, შატბიას ნამუშევარს გასცქეროდა, თანაც ყურს უგდებდა ლაპარაკს; მხოლოდ დროდადრო ასწევდა თავს და დიდრონ თვალებს უეცრად შეაფეთებდა ხოლმე კაკო ზიბზიბაძეს. ის კი, მეგის ყოველ შემოხედვაზე, თითქო მისი თვალების ნაპერწკალი ცეცხლს უკიდებსო, თანდათან უფრო ცხარდებოდა და ჯიუტად უმტკიცებდა ნიკოს, რაც უნდა მოხდეს — დღეს თქვენი სტუმრებიანად უნდა გვეახლოთო,

— ქეიფი კარგია, მაგრამ შენც იცი, სამაგისო დრო რომ არა მაქვს... ცოტა ხანში ღამის ცვლის შეკრების დროც მოაღწევს, როგორც საქმეს ვატყობ, დღეს ერთხელ კიდევ მომიხდება შახტში ჩასვლა, გარდა ამისა სამთოსკოლელების განაწილების თაობაზე უნდა ვითათბიროთ ელიზბართან.

— ჯერ რა დროს ღამის ცვლაა, ნიკო ბიძია!.. არა, კაცმა რომ იკითხოს, ამდენს კი გეხვეწები. ღამის დავდნე, მაგრამ დასახვედრი თავი მაქვს ნეტავი?.. თუ ისე ვერ დაგიხვდებით, როგორც გეკადრებათ, თქვენი ჭირიმე, არ დასძრახოთ მასპინძელი!—უცებ სახლისაკენ გაიხედა, მერე ისევ ნიკოს მიუბრუნდა, — ამ შატბიასაც რა დაემართა, ერთი, თვალით მენახა!..

ამ დროს შატბიაც გამოჩნდა.

სხვებთან ერთად მეგიმ და სულიკომ სახლისაკენ რომ გაიხედეს და ხეებს შორის კოხტად გამოწყობილ ყმაწვილს მოჰკრეს თვალი, ესეც უცხო ეგონათ, მაგრამ ცოტა რომ დაუახლოვდათ ის ყმაწვილი, მათაც უმალ იცნეს შატბია და გაოცდნენ. იგი ისე გამოცვლილიყო, რომ ძნელად იცნობდა კაცი. შატბიას ახლა შავი, გემოვნებით შეკერილი კოსტუმი კოხტად ჰქონდა მორგებული ტანზე. პიჯაკს ქვეშ კარგად გაუთოებული, პიკეს პერანგი ეცვა, კისერთან ერთ ღილზე შეხსნილი.

შეიძლება სხვის ფეხზე არ მოსწონებოდა, მაგრამ შატბიას შოკოლადისფერმა ტუფლმაც მიიქცია ახლა მეგის ყურადღება და განსაკუთრებით

ლამაზიც ეჩვენა იგი. მეგის ვერ წარმოედგინა, თუ ასე გემოვნებით გამოწყობილ ვაჟს რუსთაველის პროსპექტისა და ოპერის კულტურებს გარდა სადმე შეხვდებოდა; მით უმეტეს აქ, მეშახტეთა ქალაქში, სადაც მეგის აზრით, კაცს გემოვნებაც რომ ჰქონდეს, ჩაცმისათვის მაინც არა სცალია, და შეიძლება არცა აქვს გახსნილი ქალაქურ ყაიდაზე ჩაცმის მადა. მეგი წამოდგა. შატბიას მან ერთი იმ მომხიბლავი ცბიერებით გაუღიმა, რაც, შეუძლებელია, ვაჟმა გულგრილად მიიღოს და უეცარი წამიწითლებით მაინც არ უპასუხოს.

შატბიას ახლა, მით უმეტეს მეგის ასეთი ყურაღღების და წათამამების შემდეგ, ცოტა უფრო ყოჩაღად ეჭირა თავი, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა ამას, და ჯერჯერობით არავითარი სიყალბე და მოუქნელობა არ ემჩნეოდა ქცევაში, თავდაჭერაში.

შატბიამ თვალი მოჰკრა თუ არა თავის ნაწარმოებს, ჯერ გაოცდა, მერე უცებ სახეზედაც წამოწითლდა; ერთის წამით ის სილაღე და სითამამეც წაუხდა, ასე რომ შვენოდა. გაშტერებულივით იდგა, ვერ მიმხვდარიყო, როგორ გაჩნდა აქ მისი ნაწარმოები. თუმცა ახლა უკვე მისთვის ეს კი არ იყო მთავარი; შატბია მყის შეიპყრო მეგისა და სულიკოს შეფასების, მოსაზრების გამოცნობის წადილმა, რაც მისი ნაწარმოების შესახებ ალბათ უკვე გამოითქვა.

შატბია უცებ სწვდა თავის ნამუშევარს, გაზეთი ლელას გამოსტაცა ხელიდან, რომელიც თითქო ეშველებოდა ახლა მას და თანაც თვალებით ეუბნებოდა—ჩემი ბრალი არ არისო. შატბიამ გაახვია ბიუსტი გაზეთში და ვიდრე წასვლას დააპირებდა, მეგისაც რომ შეავლო თვალი, სტუმარმა ოსტატურად მოიხმო თითით. ისინი შეუმჩნევლად განმარტოვდნენ.

ნიკო, სულიკო და კაკო ზიბზიბაძე ერთად იდგნენ, ცდილობდნენ მეგისა და შატბიასაკენ არ გაეხედათ, ყურადღება არ მიექციათ ქალ-ვაჟისათვის, რომელთაც უკვე მოენახათ საჩურჩულო და გულისნადების გამოსათქმელი საერთო ენა. მხოლოდ ლელა ჩავარდნილიყო უხერხულობაში; ის, თავდახრილი, ზურგით მიყრდნობოდა უშველებელ ხის ტანს და მეგისთან განმარტოვებულს რომ ხედავდა, შატბია ახლა თითქო უფრო მიმზიდველი ეჩვენებოდა. დროდადრო თვალს აპარებდა ქალ-ვაჟისაკენ და თან იმის ნატვრა ჰკლავდა — მეც ნეტავი ერთ წუთში მეგისავით ლამაზად ვიქცეო; ლელას არასოდეს ასე ცხადად არ უგრძვნია არც ვინმეს უპირატესობა, არც ასეთი უპირატესობით შობილი მწარე ტკივილი თავის ქორფა, ჯერ ვნებებით აუფორიაქებელი, მიამიტი გულის სილრმეში.

ნიკო, როგორც იყო, დაეთანხმა ზიბზიბაძეს, მაგრამ შეიტყო თუ არა, მის ბიჭთან — გურამთან ერთად, შატბიას ადიდებულ მდინარიდან თამარელაც გამოუყვანიაო, უმალ სიმწრის ოფლმა

დაასხა. აღარ იცოდა, საიდან დაევლო თავი კაკოსთვის, როგორ ეთქვა უარი; გუნებაში გაიფიქრა — „ახლა კი გჯეროდეს ნიკო არაბიძეე, რომ თამარელა მალე შენი რძალი გახდებაო“, და, თავის ვაჟს ისე მწყრალად გახედა, თითქო ემუქრებაო. უცებ დაინახა თუ არა ნიკომ, შატბია გატაცებით უსმენდა სტუმარ ქალს, მყის შეარბილა თავისი მწყრალი იერი; მაგრამ უკვე გვიან იყო. შატბიამ მოჰკრა რა თვალი მამას, მისი გამომეტყველება ისე ენიშნა, თითქო მეგისთან ინტიმურ საუბარს უკრძალავდა და აფრთხილებდა; შატბიას უმალ ფერი ეცვალა; მეგიც არაფერს მიხვდესო — შეეშინდა, თავი უხერხულად იგრძნო, და თუმც უმძიმდა ახლა მეგისთან განშორება, მაინც მოახერხა თავისი ნებასურვილის დათრგუნვა; ქალიშვილს გაზეთში შეხვეულ ბიუსტზე ანიშნა, თან რაღაც უჩურჩულა; მეგიმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და შატბია მარდად გაეშურა სახლისაკენ. კეკლუცად მოღიმარი მეგი ლელას მიუბრუნდა, მკლავში ხელი გამოსდო და გადასახედისაკენ წაიყვანა. ნიკო არაბიძის ეზო სწორედ გორაკის თავში, მცირე ვაკეზე იყო გაშლილი და ახლოდან თუ მისი ასწლოვანი ხეები და ხეხილი თვალს ხიბლავდა, შორიდან კიდევ უფრო წარმტაცი სანახავი იყო იქაურობა.

ხელის მეგობრულად მოხვევამ და თილისმურმა ხმამ ლელა ისე უცებ მოხიბლა და მოათვინიერა, რომ მას უმალ დაავიწყდა მეგისადმი ერთი წუთის

წინ აღძრული შურიც და გულისწყრომაც. ლელა ახლა პატარა ბავშვივით თავს კმაყოფილად, ბედნიერად გრძნობდა, ასე, შინაურულად რომ ებაასებოდა უცხო ქალიშვილი და მოჯადოებულივით ყურს უგდებდა მის ლაპარაკს, მის ხმას; შეკითხვებზე ლელა მოკლედ პასუხობდა, იმიტომაც, რომ ღელავდა და სიტყვის გამოთქმა უჭირდა, იმიტომაც, რომ სტუმარს უფრო მეტი ელაპარაკნა. მაგრამ ეს სიამოვნება დიდხანს არ გაგრძელებულა ლელასათვის. მოულოდნელად შატბია კვლავ მეგის გვერდით გაჩნდა. მეგიმ ახლა შატბიას გამოსდო მკლავში ხელი, ლელასაც ანიშნა — მეორე მხრიდან ამოსდგომოდა მხარში შატბიას და სამივენი ასე დაწყობილნი გაემართნენ მუხის ძირას მოსაუბრე მამაკაცთა ჯგუფისაკენ. შატბია ცდილობდა წონასწორობა დაეცვა, მაგრამ ატყობდა, რომ თავის საწადელს ვერ აღწევდა. ფეხს ისე აბიჯებდა, თითქო ნიადაგს ვერ ხედავს და ფრთხილობსო. მეგის ნაბიჯს დასაწყისში კი ააყოლა ნაბიჯი, მაგრამ მერე ფეხი მაინც აერია და აღარ იცოდა, როგორ გამოესწორებინა ეს უხერხულობა. თუ მეგის მარჯვედ მოეჭიდნა მკლავში ხელი, ლელას ვერც გაეშვა ხელი შატბიასთვის, ვერც რიგიანად მოეკიდნა; ხან წინ წაუვარდებოდა მკლავი და შატბია იდაყვით უნებლიეთ მის მკერდს ეხებოდა, ხან სახელოში მოსჭიდებდა და ვაჟს ისე უხერხულად, უდროო დროს დასწევდა თავისკენ, რარიგ აწყობილიც უნდა ჰქონოდა შა-

ტბიას ნაბიჯი, ფეხი უმალ ეშლებოდა და გუნებაში ლელას გაჩენის დღეს სწყევლიდა.

როგორც იყო, მათ გალიეს ის მცირე მანძილი, რაც ეზოს ერთი ნაპირიდან მუხის ძირას დაფენილ ნოხამდე იყო და მოსაუბრე მამაკაცთა ჯგუფს შეუერთდნენ.

კაკო და ნიკო ძლივძლივობით მორიგებულიყვნენ ერთმანეთში. ნიკოს დაეთმო. ჯერი მეგიზე იყო. კაკოს გამეორებით თხოვნაზე, დაპატიჟებაზე მან ძმას გადახედა, ორაზროვნად გაუღიმა — თითქო ეკითხებოდა — „ღირს თუ არა თავის შეწუხებაო“. ძმამ თავი დაუქნია; ეტყობოდა, მეგის თვალებში სწორად ამოიკითხა მისი ფარული აზრი; თვითონაც გაუღიმა და თვალი ისე ჩაუკრა, მეგიც უმალ მიხვდა, რაც ძმამ გაიფიქრა — „რა გენაღვლებაო“. იქ მყოფთაგან მარტო ლელამ შენიშნა, როგორ ჩაუკრა თვალი სულიკომ მეგის. თუ აქამდე ლელას სახეს სიმორცხვის ღიმილი არ შორდებოდა, ახლა უცებ წარბი შეიკრა და შუბლსქვემოდან დაუწყო თვალთვალი და-ძმას. მეგიმ მიიღო თუ არა პასუხი ძმისაგან, ისე შებრუნდა კაკოსკენ, თანაც ისე იღიმებოდა, თითქო ჯერ კიდევ. ყოყმანობსო.

— გეწვევით, მხოლოდ... ცოტა გვიან, — თავაზიანად უთხრა მეგიმ ზიბზიბაძეს და თავიც ისე დინჯად და კოხტად დაუკრა, თითქო ამით თავის ნათქვამსაც ადასტურებს და მასპინძელსაც წინასწარ მადლობას უხდისო.

თამარელა მოუთმენლად ელოდა შატბიას გამოჩენას. ეზოში ფოთლის შრიალზედაც უმალ ყურს სცქვეტდა, ჭიშკრისაკენ იცქირებოდა.

სუფრა აივანზე იყო გაშლილი. თამარელა განზრახ კედლის მხარეს დაჯდა, ეზოსკენ რომ პირდაპირ ცქერა შესძლებოდა. მისი მალიმალ ჭიშკრისაკენ ცქერა და მოლოდინით გამოწვეული მღელვარება არავის შეუნიშნავს. სტუმრები ბაასით, ოხუნჯობით და ჭამა-სმით იყვნენ გართულნი.

ლელამ უკვე „ახარა" თამარელას, რომ უცხო ქალიშვილს, რომელიც ძმასთან ერთად ნიკოს სტუმრად ეწვია, შატბიაზე უჭირავს თვალი და ისე მოურიდებლად ეჩურჩულება და უცქერის, ისე დაჰყვება მკლავში ხელგაყრილი, თითქო მისი გულის რჩეული იყოსო. მეგის გარეგნობაც ზედმიწევნით აუწერა, ტანსაცმელის ფერიც, ფეხსაცმელიც. თამარელა ერთხანს გაფაციცებით უსმენდა, მერე უცებ აუქნია ხელი ლელას, „თავი ნუ მატკინეო", ისე შესძახა, თითქო სულაც არ ეწადა, იმის შეტყობა, რაც ლელამ უთხრა.

ახლა, თამარელას დაუსრულებელ ლოდინში მოთმინება რომ აღარ ეყო, სუფრა შეუმჩნევლად დასტოვა, ეზოში ჩავიდა, ის აქამდეც ყურს არ უგდებდა სტუმრების საუბარს, თავის ფიქრებთან განმარტოვებულს მათი ხმამაღალი ლაპარაკი ისე

ჩაესმოდა, როგორც გაუთავებელი, უსიამოვნო ზუზუნი, მარტო სმენას რომ აღიზიანებს.

მართალია, შატბიას და თამარელას პირობა არ ჰქონიათ მიცემული, მაგრამ ისე, დიდი ხანია ელაციცებოდნენ ერთმანეთს.

ამხანაგები შატბიას და თამარელას ერთმანეთის შესაფერისად სთვლიდნენ და ორიოდე ენამწარას, თუ იდუმალი მეტოქის გარდა, ყველანი ხელს უწყობდნენ მათ დაახლოებას. არც ნიკო სთვლიდა თამარელას ურიგო სარძლოდ, მაგრამ თავისი ვაჟის არჩევანი მისთვის ახლა აღარ იყო ხელსაყრელი.

თამარელა ხან ღია ცის ქვეშ, ეზოს ერთ მხარეს, ქვის კედელთან გამართულ სამზარეულოში მოფუსფუსე ქალებს — მაიას და ლელას დახედავდა, თითქოს რაც იწვებოდა და ცხვებოდა, იმისი დარდი ჰქონდეს, ხან ისევ უკან გამობრუნდებოდა, სახლის კუთხეში, ხის მაღალ კიბეს მოფარებული იცქირებოდა ჭიშკრისაკენ. ზემოთ, აივანზე ახლა უფრო ხმამაღლა იცინოდნენ და ლაპარაკობდნენ სტუმრები. სიცილს სცვლიდა ჭიქების კანტიკუნტი წკარუნი და მაღალფარდოვან სიტყვებით შეფერადებული სადღეგრძელოები, სადღეგრძელოებს — შინაურ. თუ გარეშე ამბებზე სჯა-ბაასი. თამარელას მკაფიოდ ესმოდა სიტყვები, მაგრამ სულაც არ აინტერესებდა, რას ლაპარაკობდნენ სტუმრები.

— ამ ბოლოს ნამეტანი ურტყამს თურმე გერმანიის ავიაცია ინგლისის ზღვის პირის რაიონებს.

— დიდი ქონება იბუღება ალბათ, ნიკო, არა?

— შენ ხალხი თქვი, თორემ...

— არც ინგლისი ჩამორჩება! იმასაც გემოზე დაუბომბია დასავლეთ გერმანიის რაიონები!.. სწორედ გუშინ ეწერა...

— ეგვიპტეშიაც აღარ ხუმრობენ... ჩემო კოსტა! სოლ... თანო, რაღაცაა...

— სოლუმთან ხომ არა?

— მაგ სულ ერთია — სოლია თუ ბიგი...

— აბისინიაშიაც დიდი მიწევ-მოწევა ყოფილა ინგლისელებსა და იტალიელებს შორის...

— შენ სირიაში უნდა იკითხო!..

— საფრანგეთის ჯარი კონტრიერიშზე გადასულა და ზოგიერთ ალაგას, შენ ხარ ჩემი ბატონი, კიდევაც შეუჩერებია ინგლისელები...

— ეირია ქვეყანა, ეირია...

— ძალიან უნთებენ მაგ ცეცხლს და ... ვიცი...

უცებ, ამ ხმებში მკაფიოდ გაარჩია თამარელამ ჭიშკრის ნაცნობი, გაბმული ჭრიალი, ერთი შეკრთა და გულმაც ისევ ისე უწყო ძგერა, როგორც წეღან, ლელას რომ უსმენდა.

თუმცა ახალი დაღამებული იყო, მაგრამ ხეებით დაბურულ ეზოში უკვე ისე ბნელოდა, თუ ახლოს არ მიხვიდოდი, ადამიანის სახეს ვერ გაარჩევდი. აივნის ჭერში დაკიდებული ნათურა ეზოს მხოლოდ მცირე ნაწილსა და ახლო მდგარ ხის ტოტებს ანათებდა.. თამარელა ახლა ისე ყოყმანობდა და კანკალებდა, შეგებრალებოდათ. ვერ გადაეწყვიტა, ასე, კიბეს მოფარებული დალოდებოდა, საფარიდან

ეთვალთვალნა უცხო ქალიშვილისთვის, რომელიც შატბიას უნდა მოჰყოლოდა, თუ შეგებებოდა მათ, თავიც ყოჩაღად დაეჭირა და უცხოც მიეხვედრებინა, რომ შატბიას უკვე ჰყავს გულის რჩეული და, ამაოა, დაგვიანებულია, მისი თვალების გამომწვევად წკურვა, სიყვარულის ნაპერწკლების ფრქვევა ვაჟის გულში ახალი ცეცხლის გასაღვივებლად.

გადაწყვიტა კიდეც, რომ ასე აჯობებდა, მაგრამ შესრულება ვერ გაბედა. რამდენჯერაც სცადა ნაბიჯის გადადგმა, იმდენჯერ აუკანკალდა მუხლი, თან იმას ფიქრობდა, ვაითუ ისეთი საცოდავი გამოვჩნდე. შატბიას ძალაუნებურად ვაფიქრებინო — მეგისთან შედარებით თამარელა არაფერი არ ყოფილა, ადრე თვალი მატყუებდაო. სიბრაზისაგან და გაუბედაობისაგან თამარელას ისე სწყუროდა ჩამოეპოტნა თავისი სახე, გაეწეწა, დაეგლიჯა თმები, იქნებ ტკივილს და სიმწარეს მაინც გაეყუჩებია მისი გულისძგერა და დაემშვიდებია სული. ცოტა ხანსაც რომ გაგრძელებულიყო ასე, ალბათ შეისრულებდა კიდეც-ამ წადილს, მაგრამ უცებ ის გონს მოიყვანა შატბიას გამოჩენამ. ეზოში აქა-იქ ლანდებივით ასვეტილ ხეებს შორის თამარელამ კარგად იცნო შატბია. იმის გაფიქრებამ, რომ არ შეიძლებოდა ასე იოლად თავისი გულის საუნჯის დათმობა, კვლავ დაუბრუნა მხნეობა, გამბედაობა. გააცხენდა დღევანდელი თავგადასავალიც, აზვირთებულ მდინარეში შატბიას ლაღად ცურვა, მკლავის მარჯვედ ქნევა და, თითქო სცენაზე გა-

სვლის წინ, შიშით შეპყრობილს, უცებ ვიღაცამ უბიძგაო, არც უფიქრია ამაზე, ისე ანგარიშმიუცემლად, ძალაუნებურად გამოვიდა საფარიდან. ჩქარი ნაბიჯით გაეშურა შატბიასა და უცნობ ქალიშვილისაკენ, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი ნელი ნაბიჯით და ეზოს თვალიერებით მოეშურებოდნენ სახლისაკენ.

თამარელა ცელქი ბავშვივით მიიჭრა შატბიასთან, თავისუფალ მკლავში ხელი მოსჭიდა და ისეთი კილოთი უსაყვედურა — „აქამდე სადა ხარო", თითქო ეწადა, მეგისათვის დაენახვებინა — „ხომ ხედავ, რა ახლობელია ჩემთვის შატბიაო", შატბიასთვის კი ეგრძნობინებინა, რომ მართლაც მოუთმენლად ელოდა მას, არა მარტო, როგორც სტუმარს, არამედ როგორც თავისი გულის სწორს.

როცა საყვედური მოისმინა, შატბიამ, თამარელა მეგის გააცნო.

ქალებმა ახლა ერთმანეთს ჩასჭიდეს ხელი და გზა განაგრძეს სახლისაკენ. შატბიაც მათ ფეხდაფეხ მისდევდა მდუმარედ. მეგიმ მალე გამონახა თამარელასთან სალაპარაკო და ახლა იდუმალი მეტოქენი ისე ჭუკჭუკობდნენ, როგორც დიდი ხნის უნახავი და ერთმანეთის მოსიყვარულე ნაცნობები.

ზოგჯერ თამარელას მოსწრებულ პასუხზე, თუ გულუბრყვილო შენიშვნაზე მეგი გადაიკისკისებდა, შატბიასაც მოხედავდა და ვაჟიც იძულებული იყო მეგის ხათრისათვის გაეცინა.

შატბიას და მეგის გამოჩენაზე სუფრა აიშალა. მარტო თამადა იჯდა გაუნძრევლად და ელოდა, ვიდრე სტუმრები დალაგდებოდნენ. მეგიმ ყველას შორიდან უძღვნა საერთო სალამი და შემდეგ მისთვის მიჩენილ სკამზე დაჯდა, სწორედ სუფრის შუაგულთან. ადრე მას გუნებაში ჰქონდა შატბიას გვერდით მოხვედრა, შატბიასაც უთუოდ ასე ეწადა, თუმცა თამარელას ახლოს თავს იკავებდა მეგისთან გალაციცებისაგან. სუფრის მეორე მხარეს, სწორედ მეგის პირდაპირ, კაკო და შატბია ერთად დასხდნენ. ახალი სტუმრების შემომატების უმალ ოთახში შეიქნა თეფშების და ჭიქების წკარუნი. ადრე, ვინც სუფრაზე ხალვათად იჯდა, ყველამ შეავიწროვა თავისი ფართობი; ერთ მხარეს მეგის და მეორე მხარეს შატბიას, თითქმის ორი კაცის ადგილი დაუთმეს. მაიამ თავისი ხელით დაუწყო წინ ჯერ შატბიას, შემდეგ მეგის სუფთა თეფშები, ჭიქა და დანა-ჩანგალი, სათითაოდ სთხოვა — გადაეღოთ, რაც მათს სულს და გულს ესიამოვნებოდა.

დაჯდა თუ არა, შატბიამ უმალ დაუწყო თვალით ძებნა თამარელას. მაგრამ ის აქ აღარ ჩანდა. თამარელამ კარგად შეათვალიერა თუ არა მეგი, როცა კიბეზე ამოდიოდნენ, გადაწყვიტა, როგორც კი მის ყურადღებას წამოშლილი და ახმაურებული სტუმრები მიიქცევდნენ, შეუმჩნევლად გაპარულიყო. კოპწიად გამოწყობილ მეგისთან შედარებით თამარელას უბრალო შალის კაბა ახლა

ისე ჩანდა, ძველი ჩვარი გეგონებოდათ; სტუმრების წასვლამდე ის სამზარეულოს არ გასცილებია, მაია სტუმრებთან გაგზავნა; დააჯერა — სირცხვილია, სუფრაზე რომ არ ჩანდეო, თვითონ კი ლელასთან ერთად მეორე წყება ხაჭაპურების ცხობას შეუდგა.

მეგი რაწამს შეეგუა ახალ გარემოს, სუფრაზე მსხდომთ თვალი დინჯად მოავლო, ვინც უთვალთვალებდა, ვისი მზერაც დაიჭირა, გაუღიმა, ზოგს თავი დაუქნია, თითქო გვიან იცნოო, გვერდით მსხდომთ რიგრიგობით რაღაც უჩურჩულა და ისე სწრაფად მოინადირა უცხო ხალხის გული, რომ ყველა გაოცებული და კმაყოფილი იყო. ყველა ცდილობდა მისი ყურადღება მიეპყრო. რაც სუფრაზე საჭმელ-სასმელი იყო, ყველა თითო რამეს სთავაზობდა. განსაკუთრებით გამოიდეს თავი ხორხომელიძემ და სირბილაძემ. ხორხომელიძემ ისე ოსტატურად გათალა ვაშლი და შესთავაზა მეგის, რომ ბევრი ასეთი ხრიკის მნახველი მეგიც კი გააოცა, სამაგიეროდ მეგიმ მის მიერ მიწოდებულ ვაშლის ნათალიდან რაღაც ლამაზი ხვეული შეაკოწიწა და ხორხომელიძეს უძღვნა. სირბილაძემ სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, რაღაც მიზეზით სუფრაზე გაჩენილი პიტნის არაყი დაუსხა და მეგის მიაწოდა, მეგიმ თავაზიანად ჩამოართვა ნეკისოდენა სასმისი; სირბილაძეს მიზანი მიღწეულად მიაჩნდა, მაგრამ უცებ ზიბზიბაძემ წაამწარა ეს სიამოვნება.

— დაეთხოვე ბიძიაშ... სირბილაძე კი გქვია, მაგრამ ხომ იცი, ვერ დაეწევი! — და თვალით მეგიზე ანიშნა. ამ შეხიშვნას კიდევ უფრო დიდი სიცილი და მხიარულება მოჰყვა. მეგიმაც იმდენი იცინა, რომ თავის გარჯას, აქ მოსვლას, უკვე გამართლებულად სთვლიდა. ვერ წარმოედგინა თუ მეშახტის ჭერქვეშ ასეთი, საგანგებოდ გაწყობილი სუფრა და მხიარულება ელოდა.

ახლა ის კიდევ უფრო გულღიად შესცინოდა სუფრაზე მსხდომთ, შატბიას გარდა ყველას თავაზიანად, გაზეპირებულივით უმეორებდა როცა რამეს სთავაზობდნენ — მადლობთ, მივწვდები, ნუ სწუხდებითო, შატბიას მიწოდებულს კი ყველაფერს კმაყოფილების გამომხატველ ღიმილით ღებულობდა. სუფრაზე ბლომად იყო ბოსტნეული და ხორცეული, მშრალი და წვნიანი საჭმელი; გაფარჩხული ტაბაკები ისე იყო შებრაწული, მადადაკარგულსაც კი ნერწყვს მოგვრიდა. შატბიამ ყველა საჭმელებს, თავისი გემოს მიხედვით ისრიმ-მაყალში ჩაწყობილი წიწილა ამჯობინა და პირველად ცხელი ჭადისა და ყველის შეთავაზების შემდეგ, ის გაუწოდა მეგის თიხის დიდი ჯამით. მეგიმ წკიპად მოჰკიდა ხელი ჯამში მოტივტივე ხის კოვზს, როგორც უცხო და თანაც ჭუჭყიანი ნივთი, ისე შეაბრუნ-შემოაბრუნა იგი, მერე ორი კოვზი კაჭკამა, სისხლისფერი წვენი თავის თეფშზე დაისხა, ხორცის ნაჭრებში შატბიას, ფრთა და მკერდის ნაწილი მოაძებნინა, ისიც თეფშზე დაიწყო

და ასეთი გარჯისათვის თვალის ციმციმით და თავის ოდნავ დახრით მადლობა უძღვნა.

შატბიამ მისვლის უმალ მოიკითხა კაკოს ბავშვები — გია და გურამი. მის სიტყვებზე კაკომ ალმაცერად გადახედა მაიას და გამომწვევად გაულიმა. წელან, დიდხანს, ჩურჩულით ეხვეწა, ჭირი მოსჭამა კაკომ, ოღონდ ერთხელ კიდევ გამოიყვანე ბავშვები სტუმრებთან და რაც გინდა, შეგისრულებო, მაგრამ მაიამ არ ისმინა მისი ხვეწნა. ბავშვები უკვე დაეწვინა და, ხელახლა მათი აწრიალება, ჩაცმა, დავარცხნა ზედმეტად მიიჩნია; ახლა კი, შატბიას გაკვირვებულ კითხვაზე, — ბავშვები სად არიანო, — კაკომ იმიტომაც გადახედა ცოლს ისე დამცინავად და გამომწვევად, თითქო ეუბნებოდა: — აბა, თუ ქალი ხარ შატბიასაც უთხარი უარიო.

მაიამ ერთი კი შეხედა შატბიას, კრძალვით გაუღიმა და უსიტყვოდ გატრიალდა.

იდუმალ გაწბილებულმა კაკომ, ცოლს თვალი გაუყოლა, სიცილით თავი გაიქნია, მერე შატბიასაც გადახედა.

— რა გეცინება, ბიჭო!? — ჩურჩულით იკითხა შატბიამ.

— ცოლიანი რომ იყო, გეტყოდი, ახლა, სულ ერთია... ვერ გაიგებ!..

— მაინც?..

— გაგიგონია? შინაურს შენდობა არა აქვსო?

— გამიგონია!..

შატბიას ისიც უნდოდა ეთქვა, ანდაზები უცოლოებსაც ესმითო, მაგრამ ამ დროს ნიკოს ხმა მოესმა და თვალი თამადას მიაპყრო.

თამადის ამხანაგმა შემოსწრებულთ აუწყა რამდენი სადღეგრძელოც შესმულიყო მათ მოსვლამდე. საჭირო იყო ისინი ამ მხრივ დამხვედრებს დასწეოდნენ.

შატბიას გაეღიმა, მამას ირიბად გადახედა და თავისი ჭიქა ოდნავ წინ წასწია, მეგის კი თამადის ამხანაგის სიტყვებზე თვალები გაუფართოვდა, თმაც კინაღამ ყალყზე დაუდგა — „აქ თხოვნა და თავის შეწყალება არ გასჭრის, უსათუოდ შეგვასრულებინებენ დანაკლისსო“ — გაიფიქრა და ჭამას თავი ანება.

შატბიას წინ დადგმული ბროლის პატარა ჭიქა თამადის ამხანაგმა განზე გასწია, წინ ჩაის ჭიქა დაუდგა. დაყირავებულ ბოთლიდან თუხთუხით წამოვიდა ცოლიკოური და ისე გამაღიზიანებლად აჩქაფუნდა ჭიქაში, ძალაუნებურად თავს მოგანდომებდათ.

მეგი ხან შატბიას, ხან მის ჭიქას გაოცებით მისჩერებოდა და სულ იმას ფიქრობდა — ვაითუ დათვრნენ და ჩხუბი ატყდესო.

მეგისათვის ისე დაესხათ ღვინო, მას არც კი შეუმჩნევია, და ახლა თავისი ჭიქაც რომ გაპიპინებული დაინახა, გაოცდა; მაგრამ უმალ თავი გაიმხნევა — „მწყურებიაო“ გაიფიქრა გუნებაში და ჭიქის ფეხს ორი თითი მოწიწებით შეახო.

შატბია დინჯად წამოდგა, ჭიქაც ფრთხილად ასწია, რამდენიმე სიტყვაში მოკლედ, მაგრამ აზრიანად გამოხატა ბელადისადმი თავისი სიყვარული და მისი სადღეგრძელოც ისეთის გულით შესვა, რომ არ შეიძლებოდა არ შერგებოდა. მეგიმაც მომხიბლავის ხმით და სიტყვებით ადღეგრძელა ბელადი; პატარა ჭიქა ბოლომდე გამოსცალა, და როცა დაჯდა, ისე შემოიდო წამოწითლებულ ლოყებზე თითები, თითქო სტუმრებისა შერცხვა, ამოდენა ღვინო რომ ერთბაშად დალია და თავის სიწითლეს ფარავსო.

ორიოდე ლუკმა რომ შეჭამა, თამადის ამხანაგმა კვლავ აუვსო ჭიქა შატბიას. მეგიც არ დავიწყებიათ. მეორე ჭიქით მათ ერთსულოვნად ადღეგრძელეს ბელადის უახლოესი თანამებრძოლები.

სულიკო გაოცებით შესცქეროდა მეგის, უკვირდა, ასე თამამად რომ სვამდა ღვინოს. მეგი ხედავდა რა ძმის გაკვირვებულ გამომეტყველებას, ხელს ისე უქნევდა, თითქო ეუბნებოდა — „ეს რა არის, შენ აწი ნახე ჩემი სმა და მოლხენაო“. გულის სიღრმეში კი შესმული ღვინო მეგის ძალიან აფიქრებდა და წამდაუწუმ თავს აკვირდებოდა, აბა როგორ იმოქმედებსო. თავის სიცოცხლეში ის ჯერ არასოდეს არ შექეიფიანებულიყო და რამდენადაც აინტერესებდა ეს ამბავი, იმდენად აშინებდა; და ის ახლა უფრო ამის შიშით იყო გაბრუებული, ვიდრე ღვინით.

ნიკომ თავისებურად ანიშნა კაკოს, ხორხომელი-

ძეს, სირბილაძეს, და როცა ჭიქები აივსო, მორიგი სადღეგრძელოს წარმოსათქმელად მოემზადა.

— დარწმუნებული ვარ, — დაიწყო მან თავისი მაღალი, მკაფიო ხმით, — ჩვენს ძვირფას სტუმრებს, და-ძმას, — ამ სიტყვებზე ჭიქა დადგა და ერთი ხელი მეგისკენ გაიშვირა, მეორე — სულიკოსაკენ, — ისე უყვართ ერთმანეთი, სადღეგრძელოში დაშორებაც კი საწყენად დარჩებათ, — ცოტა შეჩერდა, თავის სიტყვებს პატარა შენიშვნაც გაუკეთა, უფრო ხმადაბლა განაგრძო, — ძმა, მართალია, აქ ბრძანდებოდა, მაგრამ დამ დაიგვიანა და ჩვენც ეს სადღეგრძელო მიტომ ვერ შევსვით აქამდე. — შემდეგ, აწეული, საზეიმო კილოთი განაგრძო სიტყვა, — ახლა გამოვხატავ რა ყველა აქ დამსწრეთა სურვილს, ამ ორ ახალგაზრდას ერთი ჭიქით ვადღეგრძელებ!

— არ გვეჩქარება, — ჩურჩულით შენიშნა გვერდით მჯდომ ხორხომელიძეს ოდელია რანუნიმ და თავისი საყვარელი ჰანგიც ყურში წაუღიღინა.

— ძმა მოქანდაკეა, დაიკო — მომღერალი! ორივენი უმაღლესში სწავლობენ. ეს ჭაბუკი, — გვერდით, მაგიდის კუთხეში მჯდომ სულიკოს ნიკო ბეჭზე ხელით შეეხო, თითქო წახალისება სწადიანო, — კლუბის გასამშვენებლად ჩვენს ქალაქში გამოუგზავნიათ. ამათი მამა ჩემი დიდი ხნის მეგობარია, როგორც ხედავთ, ორივენი საყვარელი და სამაგალითო ახალგაზრდები არიან, ჩვენც ჯანმრთელობა, ყოველ კეთილ საქმეში წარმატება და

გამარჯვება ვუსურვოთ! — თანდათან მოუჩქარა და აუწია ხმას ნიკომ, მერე უცებ ხმადაბლა შენიშნა, — ვინ არის მომხრე, ასწიეთ ჭიქა!

მის ბოლო სიტყვებს სიცილი, მხიარული გადალაპარაკება და ჭიქების წკარუნი მოჰყვა. ზოგმა ნიკოს ბოლო სიტყვები გაიმეორა, ზოგმა ცოტაც თავისი წაუმატა. ნიკოს წინადადება „ერთხმად იქნა მიღებული“ და მეგისა და სულიკოს სადღეგრძელოც ერთსულოვნად შეისვა.

გია და გურამი მოულოდნელად გამოჩნდნენ კარის ზღურბლზე; ნამძინარევ თვალებს გია ძუშტით ისრესდა, ახამხამებდა, სინათლე ეუცხოებოდა.

ბავშვების ხელახალ გამოჩენაზე სტუმრებმა კვლავ დაიძახეს აქეთ-იქიდან, — გია, ჩემთან მოდი, გურამმა არ მოგასწროს, თორემ კაკა აღარ გერგებაო. ვიდრე გიას ვისკენმე გული წასძღვევდა, უცებ მამამ აიტაცა იგი. კაკოს მხარზე შესკუპებულმა ბავშვმა მორცხვად მოავლო თვალი სუფრას, სტუმრებს. პირველად მეგი წამოდგა; მოპირდაპირე მხრიდან ხელი გამოუწოდა, ბავშვი ცოტახანს, უნდობლად, შუბლს ქვემოდან მომდურავი-ვით დაბღვერილი შემოსცქეროდა უცხო სტუმარს, მაგრამ მამის წაჩურჩულებაზე უმალ გაუწოდა

თავისი ხელი და თან ისე გაიღიმა, თითქო ნდობას უცხადებსო.

— ყოჩაღ! — შეაქო მეგიმ ბავშვი, — შენი სახელი?

ბავშვმა ისევ გახედა შუბლს ქვემოდან მეგის, მერე ქუთუთოები დახარა და ხმადაბლა წარმოსთქვა — გია.

— გიაო? თუ გოგია! — შეეკითხა მეგი.

— გია! — უფრო ხმამაღლა და თითქო მწყრალადაც გაიმეორა გიამ თავისი სახელი, ისევ შეხედა მეგის.

— ახლა ისიც მითხარი, რა გიყვარს, ჩიჩია?

ბავშვი ხმას არ იღებდა, გაბუტულივით თავღახრილი იჯდა მამის მხარზე.

— მიხვალ დეიდასთან? — ჰკითხა კაკომ და სუფრას თავი დაუარა, გია მეგის გადასცა. ბავშვმა სრულებითაც არ იუცხოვა სტუმრის ხელი. მეგიმ ის კალთაში ჩაისვა, მოეფერა, აბურდული ქერა თმები გადაუწია და ჯერ შუბლზე აკოცა, შემდეგ ლოყაზე. სუფთა თეფშზე ქათმის ბარკალი გადმოუღო, ჩუმად ჰკითხა: ღვინო თუ გიყვარსო; გიამ სწრაფად გაიქნია თავი. ქათმის ბარკალსაც მაძღარის ათვალისწუნებით დახედა, თავის გაქნევით ხორცზედაც უარი უთხრა მეგის.

— ღმერთო მომკალი, — შეიცხადა მაიამ, — გია, ბიჭო, რატომ აწუხებ დეიდას?..

დედამ ნამალევად ერთხელ კიდევ დატუქსა გია, თვალით ანიშნა, ხელი არაფერს ახლოო, მაგ-

რამ კაკოს წაჩურჩულებაზე — კუჭი უყვარსო — მეგიმ უმალ იპოვნა თეფშზე დახვავებულ ხორცის ნაჭრებში კუჭი და მიაწოდა თუ არა გიას, ბავშვი ერთი კი შეყოყმანდა, მაგრამ სულმა მაინც წასძლია; დედა ახლა თითის დაქნევითაც დაემუქრა, მაგრამ მუჭში მომწყვდეული კუჭი მაინც ვერ დაათმობინა.

მეგი გატაცებით ეჩურჩულებოდა, ეფერებოდა, ესიყვარულებოდა გიას, ბავშვიც უმალ შეეჩვია, და სტუმრის კალთა აღარ ეთმობოდა.

ნიკოს თხოვნაზე გურამმა სტუმრებს უამბო, თუ როგორ მოიმწყვდია ადიდებულმა მდინარემ და როგორ გადაარჩინა იგი შატბიამ.

ვიდრე მაია ბავშვებს დასაძინებლად ოთახში შეაბრუნებდა, კაკომ კვლავ მხარზე შეისვა გია და რაღაც უჩურჩულა, ბავშვი ჯერ. ინაზებოდა, მერე სტუმრებისათვის მოულოდნელი, გაბედული ხმით დაიწყო — „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“.

მთელი სუფრა განაბული უსმენდა ბავშვის საამო ტიტინს. გიას ენა უკვე კარგად ჰქონდა გატეხილი და ისეთ ასოებსაც კი გამოსთქვამდა, რაც სამი წლის ასაკში ბავშვს უჭირს ხოლმე.

როცა გიამ ლექსის თქმა დაასრულა, სტუმრები ერთსულოვანი ტაშით შეეგებნენ სამი წლის დეკლამატორს. გია ახლა ხელიდან ხელში გადადიოდა, ყველა ორ-სამჯერ ჰკოცნიდა მას ხელში აყვანის უმალ და თანაც ყოველ კოცნაზე გულით უსურვებდა — გაიზარდე დიდი კაცი.

როცა მაიამ ბავშვები წაიყვანა, სუფრაზე ერთი წუთით კვლავ სიწყნარე ჩამოვარდა.

—კაკო! — ხელის აქნევით, უეცრად დაიძახა ნიკომ, — ეს შენი ლიმონის ხე, ჯერ სულ უარზე იყო და ახლა რამხელა გამოუსხამს, ხედავ ბიჭო?!!

ლიმონისაკენ რომ გაიხედეს, ერთბაშად მთელმა სუფრამ ხარხარი მორთო. ლიმონის ხე აივნის მარჯვენა კუთხეში იდგა, სწორედ ძველი მეშახტის — კოსტა ქარქაშაძის ზურგს უკან. კოსტა ისე ვიწროდ იჯდა მაგიდის კუთხეში, გასაქანი ვერც წინ ეპოვნა, ვერც უკან; თავის მდგომარეობას ძალაუნებურად შერიგებოდა, თავი ლიმონის ტოტებსა და ფოთლებში შეერგო და მართლაც ისე ჩანდა ახლა ელნათურის შუქზე მისი მოტვლეპილი კეფა და თხემი, როგორც უცნაური ნაყოფი.

— მეგობრებო! — დაიძახა ნიკომ როცა სტუმრებმა სიცილით გული იჯერეს და დანის პირი ორჯერ ფრთხილად შემოჰკრა ბოთლს, — თქვენი ყურადღება ახლა კოსტასაკენ იმიტომ მივაპყარი, რომ... მაგის დღეგრძელობის ჯერიც დადგა! კარგი ლუკმაა და ბოლოსთვის მოვიტოვე!

— ჩაის არ სვამ, ლიმონი რაღამ შეგაყვარა, — სიცილით, ორაზროვანი ხუმრობით შენიშნა კაკომ ქარქაშაძეს.

— ეს ჩემი თავი დღეს ძალიან გამოგადგათ, — დაიძახა ბოლოს კოსტამ და სუფთად გაპარსულ, ოდნავ ნაოჭებით დასერილ ლოყაზე ისე გადაისვა ხელი, თითქო ულვაშს ისწორებსო. ნამდვილად

კი, თავისივე სახუმარო შენიშვნაზე თვითონვე რომ ეცინებოდა, ცდილობდა არავის შეენიშნა.

ნიკომ ისევ შემოჰკრა დანის პირი ბოთლს.

— ნიკო ბიძია, — ¡დაიძახა სირბილაძემ, — რას აწკარუნებ წამდაუწუმ შახტის ელმავლის მემანქანესავით!..

— მომისმინეთ და გაიგებთ!

ნიკოს ბოლო სიტყვებზე სტუმრებმა ჩურჩულიც კი შეწყვიტეს. ზოგს ლუკმა შერჩენოდა პირში და თითქო ყბის მოძრაობით თამადას ხელს შეუშლიდნენ, ასე სასაცილოდ ლოყა გამობერილნი შესცქეროდნენ მას; ზოგს თავი დაეხარა, თეფშს დასცქეროდა და ისე უსმენდა.

— კოსტა ქარქაშაძე, — განაგრძო ნიკომ, — ჩვენი შახტის ერთ-ერთი უბნის გვარიანი ხელმძღვანელია, საქმის გვარიანად გაკეთებაც, მოგეხსენებათ კარგია, მაგრამ, — ნიკო წამით შედგა, მერე კვლავ რიხით განაგრძო, — მე ვუსურვებდი, თუ აქამდე გვარიანი იყო, ამიერიდან სახელოვანი ყოფილიყოს თავის საქმეში! ჩემსავით ეგეც მოსწრებია იმ შავბნელ ხანას, ვიღაცა გადამთიელი წუნკალი, წოვიანოვი რომ გვწოვდა სისხლს... ვმუშაობდით გათენებიდან დაღამებამდე, ჩვენი ხელით, საფლავივით გათხრილ სანგრევებში, ჭრაქის ალზე, ყოველ წუთს აფეთქების, ჩამონგრევის და დაღუპვის მოლოდინში. ¡ღებულობდით რაღაცა ჭროშებს. ¡ასე არ იყო, კოსტა?

— ასე იყო, — მოყრუებული ხმით დაუდასტურა

კოსტამ, რომელსაც ეტყობოდა, წარსულის გახსენება ახლაც გულს უღონებდა.

— ვცხოვრობდით, — განაგრძო ნიკომ, — ჩვენი ხელით მოწნულ და ტალახით შეთითხნილ-შელესილ ფარეხივით სადგომში, ოცი, ოცდაათი კაცი ერთად ვიწექით ერთმანეთის მიყოლებით, ხის ნარებზე, უქვეშსაგებოდ, ასე არ იყო, კოსტა?

— ასე იყო.

— ღამით სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ ჩვენი ხელით ვარჩევდით ლობიოს და ჩვენ-ჩვენი ქოთნით ვაბარებდით დაქირავებულ მზარეულს, რომელიც გვიხარშავდა და მეორე დღის საღამოსათვის გვახვედრებდა. ასე არ იყო, კოსტა?

— ასე იყო. რატომ მეკითხები, ვინმეს ეჭვი ხომ არ ეპარება?..

— არავის არ ვუსურვებდი ჩემთან ერთად გამოეცადა, რაც მოგახსენეთ, იმისთვის, რომ ჩემს ნათქვამში დარწმუნებულიყო! ჰოდა, ასეთ სადგომში, ლობიოთი კუჭს რომ შუათანად მოვპირავდით, მაშინღა ვიგრძნობდით, ჯერჯერობით კიდევ გვედგა გაძაღლებული სული. ზოგი მოყვებოდა ჭიდაობას, ზოგი კიდევ ძალ-ღონეს „იზოგავდა“, თავისი ჯიბის ხარჯზე — ქაღალდს თამაშობდა გროშებზე. ხშირი იყო გაფიცვები, რაც შეგვეძლო ვიბრძოდით ადამიანური პირობების, ადამიანური ცხოვრების მოპოვებისათვის. ახლა კი... უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა, ორდენები, სამ-ოთხ ათასმანეთამდე ხელფასი, მექანიზებული საშახტო

სამუშაოები, მოწყობილი ბინა — სამ-ოთხ სართულიან სახლში, ბინაში რადიო და ტელეფონი, ცალკე კლუბი, ბიბლიოთეკა, აგარაკი, ყოველი თვის ბოლოს პრემია, წლის ბოლოს — ფულადი ჯილდო ნამსახურობის მიხედვით, კულტურული დასვენება, შრომა — სახელისა და დიდების საქმე, ცხოვრება-ბედნიერი! რომელ ჩვენგანს დაესიზმრებოდა ასეთი რამე რევოლუციამდე! ჩვენი კოსტა ერთი იმათგანი იყო, რომელმაც გვარიანად იგემა ძველი დროის სიდუხჭირე და, ახლაც ერთი იმათგანია, რომელიც მოესწრო ჩვენი ბედნიერი ცხოვრების ღღეებს.

სტუმრებმა, აქამდე რომ ყურადღებით უსმენდნენ ნიკოს, მისი სიტყვის დასრულებისთანავე ერთბაშად ტაში დააქუხეს. შეიქნა ჭიქების წკრიალი. როცა კოსტა ყველამ ადღეგრძელა, ახლა თვითონ ნიკომ წამოიწყო სიმღერა ბელადზე. კაცებმა ისე დასჭექეს, ისე აუწიეს ხმას, სულაც რომ არ გცოდნოდათ სიმღერა, მაინც გაგაბედინებდათ, აგიტაცებდათ. ყველა მღეროდა. მეგიმაც შეაშველა თავისი ხმა. იგი მალიმალ შატბიას უცქეროდა, ატყობდა, რომ მას სმენა ღალატობდა, სწორად ვერ მღეროდა. თითქო მის გასაგონად, მეგი ხანდახან ხმას განგებ აუწევდა ხოლმე. შატბია გრძნობდა თავის გასაჭირს და დარცხვენილი იძულებული იყო სიმღერა შეეწყვიტა. ახლა ტუჩებმოკუმული, მხოლოდ ხორხისმიერი, მოყრუებული ხმით, გაბმული ზუზუნით ეხმატკბილებოდა

მომღერლებს. მეგი სიმღერის ტაქტზე ქუთუთოებს ახამხამებდა, თავსაც ნელა უქნევდა შატბიას, შატ-ბია კი გაშეშებულივით შესცქეროდა და უაზროდ უღიმოდა თავის იდუმალ გამწბილებელს. კაკო დროდადრო წამოიჭრებოდა ხოლმე ზეზე, სუფრას შემოურბენდა და ვისაც ჭიქაში ღვინო ჩაეტოვებინა, ათასი ხვეწნით და თხოვნით ბოლოს მაინც აიძულებდა, რომ ჭიქა დაეცალა. ყველაზე მეტი ხეტეწნა სულიკოს სჭირდებოდა, მაგრამ ბოლოს ისიც ვეღარ უტეხდა ხათრს მასპინძელს. ღვინო თუმც უკვე ყელში უყიჭყიჭებდა, მაინც თავს იმ-დენ ძალას ატანდა, რომ ჭიქის დაცლას რის ვაი-ვაგლახით ახერხებდა. ღვინის ყოველ, ცოტ-ცოტა მოსმაზე, ჩაის სქელ, თლილ ჭიქას ისეთი ავის თვალით დასცქეროდა, თითქო მისი შეჭმა სწადიაო.

სადღეგრძელოს შესმის შემდეგ, ვინ ჭამა განაგრძო, ვინ ადრე დაწყებული ბაასი.

—.კოსტა! — გადასძახა ნიკომ ამხანაგს სუფრის თავიდან ბოლოში. — როგორ იქნება სამთოსკოლელების საქმე? შენ მიგყავს თუ ერთ-ორს, მაინც, მე მითმობ?

— არა, ძმაო, მე მაგათი თავი არა მაქვს, თუ გინდა სულ წაიყვანე!

ნიკომ გაბმით, დინჯად გაიცინა.

— შენ აგრე ამბობ და შახტის უფროსს კი დაუ-ჯინია — ყველანი უკლებლად კოსტას უბანში უნ-და გავუშვაო!

— საბალახოდ თუ უშვებს, იქ ბალახი არ არის, სხვაფრივ არ ვიცი...

— რატომ, ბიჭო, რამ შეგაშინა?.. მაგათ ახლა ჩვენზე მეტი იციან... ნასწავლები არიან, ბიძია!

— ეგეც ვიცი... მარტო ნაკითხი შახტში რომ არ გამოდგება, ჩემო ნიკო?

— რატომ ბიჭო! რასაც თეორიულად სწავლობდნენ, იმას პრაქტიკულადაც სინჯავდნენ, ეუფლებოდნენ! აბა რა გეგონა?

— მე ის ვიცი, მაგათთანა ახალგამოჩეკილებისთვის, შახტში მუშაობა ადვილი არ იქნება!... ვის ცალია ახლა... სხვა დროს კიდევ ჰო...

— ეგ ჰო, მაგრამ, თუ წაიყვან, ნახე შენ, როგორ ამოგიდგებიან მხარში!

— კაცო, რას ჩამაცივდი?! — იყვირა კოსტამ, — თუ აგრე მოგწონს, შენ გყავდეს, შენ ამოიყენე მხარში, მე კი, — ხორხომელიძეზე და ოდელიაზე ანიშნა თვალით, — მასეთი მეშახტეები მომწონს!

— კოსტა... მოდი, მაშინ... გავცვალოთ უბნები... შენ დაწინაურებულს გაუძეხი, მე ჩამორჩენილს. ის ათი ახალგაზრდაც მაშინ მე მერგება... რას იტყვი?

— თანახმა ვარ! — სიცილით მიუგო კოსტამ, რადგან ეგონა, ნიკო ხუმრობდა.

— სოცშეჯიბრშიაც გამომყვები?

— გამოგყვები, — კვლავ დაეთანხმა კოსტა.

არც ოდელია, არც ხორხომელიძე და ზიბზიბაძე გულისყურით არ უსმენდნენ ნიკოს და კოსტას

დავეს, რადგან ისინიც ფიქრობდნენ: ნიკოს სიფხიზლეშიაც უყვარს ხუმრობა და ახლა, როცა გადაკრულშია, ვის გაუკვირდება ეს ამბავიო. ისინი უფრო მეგისთან ბაასით იყვნენ გატაცებულნი და, მისი გონებამახვილური პასუხებიც ისევე მოსწონდათ, როგორც მისი თვალწარბი.

ნიკომ მორიგი სადღეგრძელო მუშათა კლასის ახალ თაობას უძღვნა; მან ხორხომელიძით დაიწყო და იმ ათი სამთოსკოლელით დაამთავრა, რომელთაც ჯერ ნიკოს გარდა აქ, სტუმართაგან არავინ იცნობდა.

ნიკო თუ ძველი კადრის მუშებს დიდ პატივს სცემდა, დასაყრდენს მაინც ახალგაზრდობაში ეძებდა, რადგან ღრმად სწამდა, ძლიერია ის, რაც იზრდება, დღეს იგი თუნდაც სუსტად გამოიყურებოდესო.

ძველი, გამობრძმედილი, დადინჯებული და, ახალი, ძალ-ღონე დაუოკებელი ადამიანების შეხმატკბილებული შრომა მისი უბნის . წარმატების ერთ-ერთი „საიდუმლოებათაგანი“ იყო.

ნიკოსავით ჯერჯერობით არავის შეეძლო სხვადასხვა ასაკის და ხასიათის ადამიანთა ისე შერჩევა და დაჯგუფება, რომ მათი შრომა ნაყოფიერი ყოფილიყო.

უცებ კიბეზე გიტარის ხმა გაისმა. სუფრაზე ყური სცქვიტეს, ყველამ ქვემოთ იწყეს ცქერა. მათ ახლა, თითქმის ლხინის დასასრულს, შემოემატა სამი კაცი: შახტის მოლარე — ბაჭუა ბრაჭული,

სასადილოს გამგე — ჭიკოლა ბუაძე და სახელ-განთქმული ნიკოლოზა დალაქი. ახალმოსულთ წინ მოუძღოდა, სატევარივით დანაზე წამოგებულ გოჭის თავით, ჭიკოლა. ბაჭუა ისე ქაჩავდა გიტარის სიმებს, თითქო ლარით ბამბას ჰენტავსო. მათ მოწმესავით უტყვად მოჰყვებოდა გრძელი, ქერა-ულვაშიანი ნიკოლოზა. მოუნახეს თუ არა შემოსწრებულთ სუფრაზე ადგილი, შესმულ სადღეგრძელოების ანგარიშში სამ-სამი ჭიქა სულმოუთქმელად გამოაცლევინეს.

— კაცო, წყალი მოდიდებულაო და... აქაც ხომ არ მოგვადგა?! — გაკვირვებით შენიშნა ნიკომ.

— რაზე კითხულობთ, ნიკო ბიძია? — ეშმაკურად, თანაც გამომწვევად იკითხა ხორხომელიძემ.

— რაზე და, აგერ ჩვენს ბრაჭულს რომ შევხედე, ვიფიქრე, სახლკარიანად თუ წამოუღია-მ,ითქი! წელან არა თქვეს, წყალმა ბაჭუას სახლს უწიაო!...

— რაც უნდა უწიოს, ჯერ ბრაჭულს წყალს როგორ გავატანთ... ხელფასი არ დაურიგებია!..

ოდელია რანუნის სიტყვებზე ბაჭუასაც კი გაეცინა, — ახლა ვერ გიხდით ბიძია, მაგრამ პლანეტას ვფიცავ, მალე გავსწორდებით! — პლანეტა მის ცოლს ერქვა. ამ სახელის დაფიცება და შეპირებულის შესრულება ერთი იყო. აქამდე მუხლებზე გადადებული გიტარა ბაჭუამ უმალ გადააწოდა იმ მხარეს ჩამწკრივებულ ქალიშვილებს, საითაც თვითონ იჯდა. ისინი ჯერ უარს ამბობდნენ, არ

უნდოდათ გიტარისთვის ხელის ხლება, იშმუშნებოდნენ, ინაზებოდნენ, ცალ მხარს უარის ნიშნად მაღლა სწევდნენ, მაგრამ მერე მაინც დაჰყვნენ ბაჭუას ნებას, გიტარა მორცხვად ჩამოართვეს, სუფრის თავიდან ნიკომ შეუძახა, გაამხნევა, სხვებმაც სთხოვეს და ქალიშვილებსაც უარი აღარ გაუვიდათ. გიტარის სიმების ნელ დუდუნზე შეხმატკბილებულად დაამღერეს. იმ სამ ქალიშვილს ისე მოეღერებინა ყელი, ისე ნაბავდნენ დროდადრო თვალს, ისეთი ნეტარებით მღეროდნენ, მეგის და სულიკოს უნებლიეთ ეღიმებოდათ. ეს სიმღერას კი არა, ჩიტების ჭიკჭიკს უფრო ჰგავდა. ამ ჭიკჭიკში გიტარის ხმაც ტყის გამოძახილივით მოისმოდა. დაასრულეს თუ არა მათ ისე ტკბილად შესრულებული სიმღერა, უმალ გაისმა ტაში. ნიკომ ქალიშვილებს ერთი წუთით გიტარა სთხოვა, გვერდით მჯდომ სტლიკოს რაღაც წასჩურჩულა და გიტარაც გადასცა. სულიკომ თავაზიანად გაუღიმა, წამოდგა. სუფრას თავი დაუარა და მოულოდნელად გიტარა თავის დას მიაწოდა. თითქო ასაფეთქებლად გამზადებული ყუმბარა შეეჩეჩებინოთ ხელში, მეგიმ უცებ თვალები აღმა შეატრიალა და გულწასულივით შეჰკივლა; მერე ძმას ისე შეხედა, თითქო ეუბნებოდა — „ეს რა ჰქენი შე უსინდისო“. თან გიტარისთვის ორი თითი მოევლო და აღარ იცოდა რა მოეხერხებინა. აქა-იქ ტაშიც გაისმა, შეძახილიც — „ერთი, თქვენებურადაც გვიმღერე, ქალიშვილო“. მეგის ვერ წარმოედგინა,

რით შეიძლებოდა დასრულებულიყო ეს უსიამოვნო ამბავი, რომ უცებ კაკო ზიბზიბაძე არ მიშველებოდა. ის მკვირცხლად წამოხტა ზეზე, უმალ მეგისთან გაჩნდა, გიტარა მოწიწებით ჩამოართვა და თითქოს სხვების მაგივრად ბოდიშს უხდისო, ხმამაღლა შენიშნა:

— რა ქალაქელი მომღერლის საქმეა გიტარა! ნიკოლოზა დალაქი ხომ არ გგონიათ?...

— რას ქვია ნიკოლოზა! — იყვირა პარიკმახერმა და ულვაშის მაღლა აქნეულ ბოლოზე თავმომწონედ აიკრა საჩვენებელი თითი. წამოდგომაც დააპირა, მაგრამ არ გაუშვეს, ძლივს დააშოშმინეს.

პარიკმახერს ჯარისკაცებმა „ნიკოლოზა“ სწორედ იმ დღეს შეარქვეს, რა დღესაც მეფე ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადმოაგდეს.

ის მართლაც ჩამოგავდა ნიკოლოზს სახის მოყვანილობით და წვერ-ულვაშის ფერით; უცნობმა ჯარისკაცმა ისე იუკადრისა ამ სახელის შერქმევა, რომ იმ დღესვე გაიპარსა წვერ-ულვაში, „ნიკოლოზას“ კი მაინც ვერაფერი მოუხერხა. სამუდამოდ შერჩა ეს სახელი, როგორც იმ დღის სახსოვარი.

— თუ გეწყინა, — გადასძახა კაკომ ცალი წარბის თავმომწონედ ასხლეტით ნიკოლოზას, — ღვინოს ნუღარ დალევ, მხურვალეა!.. აგერ ხელად მოვატანინებ ჭის წყალს! — შემდეგ მეგის უფრო თავაზიანად მიუბრუნდა, — თუ ლხინის დასამშვენებლად და ჩვენი სმენის საამებლად სიმღერას არ

დაგვამადლით, დიდი მადლობელი ვიქნებით! ა, ბატონო! — ამ სიტყვებზე სწრაფად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, ოთახის კარებს ორივე ხელით უბიძგა და ფართოდ გააღო, — აგერ, როიალი და... რახან სიმღერა იცით, დაკვრაც გეცოდინებათ!...

მეგის ცოტა არ იყოს, ეოცა, ოთახის სიღრმეში როიალის შავად მოლაპლაპე სახურავს რომ მოჰკრა თვალი; მის ერთ კუთხეს და ფეხს აივნის ელნათური ანათებდა.

კაკოს თხოვნაზე მეგი ცოტა წამოწითლდა, ამ უცხო საზოგადოებაში არ იცოდა რა ემღერა, დამსწრეთათვის გასაგები და მოსასმენადაც საამო რომ ყოფილიყო. როცა მეგიმ შატბიასაც შეხედა, უმალ გადაწყვიტა, ისეთი რამ ემღერა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მას მოეწონებოდა. ახლა მეგისთვის ეს იყო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი. მხვეწნელთა რიცხვმა იმატა. უცხო ქალიშვილის წასაქეზებლად და გასამხნევებლად ტაშიც გაისმა. მეგიმ მოხდენილად დაუკრა თავი სტუმრებს, სწრაფად წამოდგა... შეიქნა სკამების ჭრაჭუნი და ხრიგინი. მომხიბლავ ქალიშვილს ყველა მოწიწებით უთმობდა გზას, თავისუფლად რომ გაევლო. ყველას გაუკვირდა, როდესაც მეგიმ ოთახს კი არ მიაშურა, კიბის ბაქანზე გავიდა, თეძოთი ხის მოაჯირს ოდნავ, ფრთხილად მიეყრდნო, ცალი ხელი მკერდზე ნაზად მიისვენა, მეორე კი მაღლარის ვაზს მოსჭიდა. ეტყობოდა, ამ წუთში მეგი ცოტა ღელავდა კიდეც; ადვილად შეამჩნევდით, როგორ ირხეოდა

ჭრელი ჩრდილით მოხატული მკერდი. მეგი ახლა კიდევ უფრო ლამაზი ჩანდა ამ მდგომარეობაში, ამ გარემოში, ფერმკრთალი, ოდნავ თავდახრილი.

მან ცალი წარბის მოხდენილი შეტოკებით ძმას რაღაც ანიშნა, ტუჩების უხმო მოძრაობითაც მიახვედრა, რის მღერაც ეწადა. სულიკომ ჩაიცინა, თავიც ოდნავ გაიქნია და ისე წამოდგა, თითქო ძალას ატანენო. ნახევარი წუთის შემდეგ ოთახიდან როიალის ხმაც მოისმა. მეგი ერთხანს გარინდებული უსმენდა როიალს, შემდეგ ნელა, თანდათანობით ასწია აქამდე დახრილი თავი და ღამის მომხიბლავ მყუდროებაში ჯერ ოდნავ გასაგონად მოისმა თითქო მთრთოლვარე, ნაზი ბგერები, მერე ხმა თანდათან გაძლიერდა, მაგრამ თვალი რომ დაგეხუჭათ, გეგონებოდათ, მომღერალი სულ რაღაც ოთხიოდე ნაბიჯზე კი არ იდგა, სადღაც, შორიდან მოისმოდა მისი ჯადოსნური და ამ ღამის იდუმალებასთან შეხამებული ჰანგი. მეგი. ხან ყელაზიდული, ოდნავ უკან თავგადაწეული მღეროდა გატაცებით, ხან სახეს შეაბრუნებდა ხოლმე აქეთ-იქით, თავსაც გაიქნევდა, დროდადრო წარბსაც მარჯვედ შეატოკებდა, და ამას ყველაფერს, ისე ბუნებრივად, ნამდვილი ხელოვანის ზომიერებით აკეთებდა, რომ სიმღერით ტყვედ-ქმნილი მაყურებელი არ შეიძლებოდა არ მოეხიბლა მისი სახის მოძრაობასაც და ამ სახეზე, მკერდზე ვაზის ფოთლების ჩრდილთა და ნათელ ლაქათა თამაშს.

შუა სიმღერის დროს მეშახტეებმა ერთმანეთს გადახედეს, ორი-სამი კაცი წამოდგა კიდეც და, თითქო გასაქცევად მომზადებულანო, მოუსვენრად იშმუშნებოდნენ ადგილზე.

შატბია გვიან მიხვდა, „გინდ მეძინოს...“ მეგი რომ მისთვის მღეროდა. ვაჟი გაოცებული უსმენდა რა განცდით, რა სიყვარულით მღეროდა ყმაწვილი ქალი; რამდენი სინაზე, სილამაზე და აღმაფრენა იყო ამ სიმღერაში, ამ ბროლივით გამჭვირვალე ბგერებში. მეგიმ, როგორც დაიწყო — მინორულად, ისევე დაამთავრა სიმღერა. ხანდახან ის, მართალია, ხმას აუწევდა ხოლმე, მაგრამ არც ერთხელ ჰაერის ცივად გამკვეთი ბგერა არ ამოსულა მისი ნაზად მოღერებული ყელიდან. სიმღერის დასრულების შემდეგაც, ერთ წამს, მოჯადოებულივით უძრავად იყვნენ სტუმრები, მერე ტაშით და მოწონების გამომხატველ შეძახილებით შეეგებენ მეგის.

სხვებთან ერთად შატბიაც წამოდგა, „გავგიჟდებიო“, — ფიქრობდა იგი გუნებაში და თავს დაბლა ხრიდა, რომ მეგისათვის არ შეეხედნა; ტაშის ტაკვრასაც ძლივს ახერხებდა.

ჯერ კიდევ შუა სიმღერის დროს ფეხზე წამოდგარმა მეშახტეებმა — ნიკომ, კოსტამ და ხუთიოდე ახალგაზრდამ, სტუმრებთან ბოდიში მოიხადეს, კიბეზე სწრაფად დაეშვნენ. მასპინძელს არ გაჰკვირვებია ეს ამბავი, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა და წყენით გასძახა მიმავალთ;

— კაცო, რას იტყვიან, სტუმრები?!!

ნიკომ მოიხედა.

— მართალია, ქართულ სუფრას არ შეფერის, მაგრამ... რას იზამ! ზოგჯერ კაცს არ უნდა და, სუფრას კი არა, წუთისოფელს ტოვებს ხოლმე! — გამხნევების, თუ გამოსალმების ნიშნად ხელი ჰაერში შეათამაშა, მერე ქუდი შეისწორა და ბოლო საფეხურიდან ეზოში, მოლზე ისე გადახტა, იფიქრებდით, სიყმაწვილის ჟინმა მოუარაო.

მეგიმ წელან შენიშნა, მეშახტეები რომ შუა სიმღერის დროს წამოდგნენ. მას ეგონა — უთუოდ მე ვარ მიზეზი, ჩემმა სიმღერამ ააფორიაქაო; მაგრამ ახლა, მიხვდა-რა მათი აწრიალების ნამდვილ მიზეზს, ცოტა იწყინა.

კაკომ უცხო სტუმრებს აუხსნა, რომ მეშახტეს, როცა შახტში სამუშაოდ წასვლა უწევს, ისევე ვერაფერი შეაჩერებს, როგორც ბრძოლაში მიმავალს და, ისევე ზუსტად, თავდადებით ასრულებს თავის მოვალეობას, როგორც მებრძოლი, რომელსაც დავალება მისცეს და მოკლედ მოუჭრეს — „შეასრულე!“ ამ განმარტების შემდეგ მეგისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. მართალია, მეგიმ სულით და გულით შატბიას უმღერა, მაგრამ საწყენი იქნებოდა მისთვის, თუ სუფრაზე ერთი ადამიანი მაინც აღმოჩნდებოდა, რომელიც მის სიმღერას არ მოუხიბლავს.

სადღეგრძელოები თამადის თანაშემწემ დაასრულა. მეგის, შემდეგაც როგორ არ ეხვეწნენ, მაგრამ

მან არასგზით აღარ იმღერა. შატბიას თუმცა გულით ეწადა სხვა სიმღერის მოსმენაც, მაგრამ მეგისთვის თხოვნა ვერ გაებედნა, ვაითუ უნებლიეთ ვაწყენინოო და თავს იკავებდა. შატბიას ახლა მარტო იმაზე მოსდიოდა გული, რომ მის ახლოს მჯდომი ბრაჭული და ნიკოლოზა თავიანთი უგვანი ხმით ცდილობდნენ ემღერათ „გინდ მეძინოს...“. ნიკოლოზა რომ აუწევდა, მეორე მოულოდნელად დაუწევდა ხმას, ყელი ჩაეხრინწებოდა; ხან ნიკოლოზა უსწრებდა წინ, ხან ბრაჭული და მთვრალი კაცის ეს უთავბოლო სიმღერაც, მათებურ ალთა-ბალთა სიარულს ჰგავდა. ბოლოს კი, იმას არა უშავდა, ჭიკოლამ რომ „აკაკაჩია“ წამოიწყო და სხვებიც აჰყვნენ.

მასპინძელი დიდად კმაყოფილი და ნასიამოვნები იყო დღევანდელი დღით. ნახშირის მონგრევის დღიური გეგმა 115 პროცენტით შეასრულა, ვაჟი და ცოლისდა ხიფათს გადაურჩა, დიდხანს რომ არ ეკარებოდა, დღეს ნიკო არაბიძეც დაიყოლია და სუფრა დაამშვენებინა, მეგის სიმღერაც მოისმინა და სტუმრებსაც გვარიანი პატივი სცა.

სტუმრები რიგრიგობით დაემშვიდობნენ მაიას, კაკოს და ქალიშვილებს, წელან ისე მიამიტად გიტარაზე რომ დაამღერეს. ახლა ყველა ბორძიკობდა და ერთმანეთს კიბეზე ჩასვლაში უფრო უშლიდნენ, ვიდრე შველოდნენ.

სტუმრები კიბის ბოლო საფეხურზე ხელმეორედ დაემშვიდობნენ მასპინძლებს; ბრაჭულმა,

ნიკოლოზამ და ჭიკოლამ მხოლოდ კიბის ზედა ბაქნამდე მიაცილეს წეღან ისინი, მერე შინაურულად კვლავ სუფრას შემოუსხდნენ; მაგრამ ეზოდან მოესმა თუ არა ბრაჭულს საცეკვაოდ გახურებული ტაშის ხმა, უმალ ზეზე წამოიჭრა, აივნის მოაჯირს მიბჯენილ სკამზე თავისი მოკლე თითებით ქართული საცეკვაო დასცხო. ნიკოლოზასაც გულმა ვეღარ მოუთმინა, მკლავებგაშლილი კიბეზე ცეკვით ჩავიდა და ეზოში, სტუმრების წინ ჩამოუარა. ბრაჭული თან უკრავდა, თან ყივილით გასძახოდა წამდაუწუმ პარიკმახერს:

— „ფიგურა," ნიკოლოზა, „ფიგურა"!.. — ნიკოლოზაც ყოველ „შეხსენებაზე" ჩაბუქნავდა, ან 'მემობზრიალდებოდა ხოლმე და, ამას ისე უხეიროდ აკეთებდა, რომ სტუმრებს სიცილისაგან უკვე ყბები სტკიოდათ. მაგრამ სიცილმა და მხიარულებამ კიდევ უფრო იმატა, როცა ბრაჭულმა სკამი ჭიკოლას გადასცა და თვითონ ნიკოლოზას ჩაეგება. ტაშიც უფრო გახურდა.

ახლა, თითქო სამაგიეროს უხდისო, ცეკვის დროს უეცრად შესძახებდა ხოლმე ნიკოლოზა ბრაჭულს და ისიც შეუსრულებდა თუ არა წადილს ნიკოლოზას, ახლა თვითონ დაიყივლებდა— „ფიგურა, ნიკოლოზაო!" თან ნიშნის მოგებით დააყოლებდა — „პლანეტას ვფიცავ, გაჯობე". ბრაჭული იქამდე იძახოდა — „ფიგურას", ვიდრე ხორხომელიძემ არ შენიშნა — შენი ფიგურით რა „ფიგურა" უნდა გააკეთოო. ბრაჭულს თითქო ფეხი

ღაუდესო, ამ შენიშვნაზე ერთი-ორჯერ გადაქანდა წინ, თავი ძლივს შეიმაგრა. დაღლილი, გაბრუებული ძლივსღა სუნთქავდა. ახლოდან ერთხელ კიდევ უნებლიეთ რომ შეავლო თვალი მეგიმ ბრაჰულს, გაოცდა — ასეთი მაჩხი ადამიანი არა თუ ენახა, ჯერ არც კი დასიზმრებოდა. შეწყდა ცეკვა და ტაში. სტუმრები კვლავ გაიშალნენ ეზოში; თითქო სეირნობენო, ჭიშკრისაკენ წყვილწყვილად გაეშურნენ ნელი ნაბიჯით. მართლაც სასეირნო და სანეტარო მყუდრო ღამე იყო. მთვარეც, თითქო იალკიალში სეირნობსო, ხან გამოჩნდებოდა, ხან ისევ მიიმალებოდა; მაშინ ღრუბლის ნაპირებზე ოქროს ვარაყივით მოვლებული ნათელი არშია ამხელდა მის ადგილსამყოფელს.

შატბია ადრეც და მერეც, ეზოში რომ ჩავიდა, მალულად იცქირებოდა აქეთ-იქით. უნდოდა, ერთხელ მაინც მოეკრა თვალი, მიეკვლია, სად იმალებოდა თამარელა, მაგრამ ისე გაიარა ეზო და, ისე გავიდა შარაგზაზე, რომ ეს წადილი ვერ შეისრულა.

შახტის პარტორგანიზაციის მდივანი ნიკოს გზაში შეხვდა, როცა სახელგანთქმული უბნის უფროსი თავის საგანრიგოსაკენ ეშურებოდა.

ნიკოს აღარ დასჭირვებია თავიდან იმ ამბების მოყოლა, რაც სამთოსკოლელთა განაწილებას შეეხებოდა. ელიზბარს უკვე შეეტყო ტრესტის მმართველის, შახტის უფროსის და თვით ქარქაშაძის მოსაზრებაც. მან ახლა პირდაპირ, მოულოდნელი კითხვით მიმართა ნიკოს:

— შენ რას ფიქრობ?

ნიკომ თვალებში შეხედა ელიზბარს, ეშმაკურად გაუღიმა.

— უკვე ყველაფერი გაგიგია და... არც ჩემი აზრი დაგრჩებოდა შეუტყობელი.

— იმათ რომ ჰკითხო — შენ სცდები!

ელიზბარმა გამომცდელის თვალით დაუწყო ცქერა უბნის უფროსს.

— რახან სამი ერთ აზრს ემხრობა, თუ ამით შეიძლება ჩემი გამტყუნება... ნება თქვენია! ისე კი... მე მგონია... ჭკვიანმა შეიძლება სამსაც არ დაუჯეროს, ანგარიში არ გაუწიოს იმას, რომ სამია და... ერთის სწორი აზრი გაიზიაროს!

— რამდენადაც ვიცი, არც იმ ერთს ჰქონია სწორი აზრი და წარმოდგენა.

— მე? — თავისდაუნებლიეთ წამოიყვირა ნიკომ. — ამხანაგო ელიზბარ, თუ ჩემი სიტყვები ერთი მხრივ სხვის გაბიაბრუებად მიიღეთ, მეორე მხრივ თავის ქებად...

— მე ჯერ არაფერი არ მიმიღია! — მხრების ოდნავ აჩეჩით და გაკვირვებულის ღიმილით მიუგო ელიზბარმა. პირის კუთხეში გაჩრილი პაპიროსი

ხიბნელში დროდადრო წამით გაანათებდა ხოლმე მის სახეს, რომელიც ახლა, ოდნავ მწყრალი ეჩვენებოდა ნიკოს.

ბოლოს არაბიძემ, იმის შიშით, ვაითუ ელიზბარსაც ისეთი შთაბეჭდილება შეექმნეს, რომ ვცდებიო, თავი გამოიდო, პირდაპირ მოახსენა — როგორც თვითონ ფიქრობს, კოსტას უბანს გამოცდილი ხალხის მომატება კი არ უშველის, შრომისა და საქმის სწორი ორგანიზაციაა საჭირო... და დაწვრილებით ჩამოუთვალა პარტორგანიზაციის მდივანს ის ღონისძიება, რასაც თვითონ გაატარებდა, იმ ჩამორჩენილი უბნის უფროსი რომ თვითონ ყოფილიყო.

ელიზბარი ყურადღებით უსმენდა ნიკოს და თანდათან ჭკუაში უჯდებოდა მისი გონივრული მოსაზრებანი.

შახტში რომ მივიდნენ, ნიკო საგანრიგოსაკენ გაეშურა ახალი ცვლის მოსამზადებლად და გასასტუმრებლად, ელიზბარი კი შახტის უფროსს კაბინეტში ეწვია.

ცვლის გასტუმრების შემდეგ, როცა ნიკომაც შეაღო შახტის უფროსის კაბინეტის კარი, გაოცდა, ელიზბარი იქ აღარ იყო.

ლუკა ბრაზმორეული შეხვდა არაბიძეს.

— ელიზბარს ქარქაშაძის უბანში უნდა შენი გადაყვანა!

— უკვე ითათბირეთ? — გაკვირვებით მიმოიხედა ნიკომ ცარიელ კაბინეტში.

თათბირი რომ მძაფრი და მღელვარე ყოფილა, არაბიძე ამას იმ დაჭმუჭვნილ-დაგრეხილი ნამწვავების დანახვამაც მიახვედრა, რომლებიც ლუკას მაგიდაზე დიდ საფერფლეშიაც რომ აღარ დატეულიყო, გარშემოც ბლომად ეყარა.

— რით ასაბუთებს ელიზბარი ჩემი გადაყვანის აუცილებლობას? — მიამიტად იკითხა ნიკომ.

— ბევრი რამით.

— მაინც?

— ჯერ ერთი, შენც თანახმა ყოფილხარ...

— მე ვყოფილვარ?.. ამხანაგო ლუკა!..

— აქ ესწრებოდა ქარქაშაძე. იმან თქვა...

ნიკო გაიყურსა. გუნებაში კი გაიფიქრა — ერთი უყურეთ ქარქაშაძეს, ჩემი წინადადება — მოწინავე უბანში რომ გადმოიყვანონ სამუშაოდ, მოსწონებია! იფ, ტყუილი არა თქვასო.

— კიდევ?

— კიდევ, — უგუნებოდ, მწყრალად გაიმეორა ლუკამ, — კიდევ იმ სამთოსკოლელებსაც რომ ისე ჩაებღაუჭე...

ნიკომ გაიღიმა.

— რაც საქმისთვის სასარგებლოა, ყველაფერს უნდა ჩაებღაუჭოთ, ლუკა!

— მე ჯერ არ ვიცი, გუშინდელი მოწაფეებისათვის ჩაბღაუჭება რას მოგვცემს!.. ქარქაშაძის უბანში შენი გადაყვანა კი ჩვენს შახტს დანარჩენების კუდში მოაქცევს! — არასახუმროდ აღე-

ლვებულმა ლუკამ ამასობაში საფერფლეს პაპიროსის ორი ნამწვავი კიდევ მიუმატა.

— ელიზბარს თუ დავუჯერებთ, სწორედ ახლა, გადამწყვეტ დღეებში გარდატეხას რომ მივაღწიოთ, გეგმის შესრულება რომ გავადიდოთ, საჭიროა შენი გადაყვანა ქარქაშაძის უბანში, ქარქაშაძისა კი შენს უბანში. ქარქაშაძის ხელშიაც კი მოწინავე უბანი თავის დონეზე დარჩება, არაბიძის ხელში კი, ჩამორჩენილი უბანი უსათუოდ წინ წაიწევსო!..

— ეგ აზრი დაუფიქრებლადაც მიჯდება ჭკუაში და, რომ დავუფიქრდე, მაშინ ხომ ალბათ... — ნიკომ წამით შუბლი შეიჭმუხნა, სუფთად გაპარსულ ნიკაპზე საგონებელში ჩავარდნილივით მოისვა ხელი. — რას ერჩი, კაცო! ელიზბარი მართალია! აჯ ნახევარი წლის გეგმას კი პირნათლად შევასრულებთ და უკეთესად გადაჯგუფება ხალხისა უბნებში მერეც შეიძლება... საქმე ახლაა... ხომ აძლევდი იმ ათ ყმაწვილს ქარქაშაძეს?... თუ მე კოსტას უბანში ვიმუშავებ, ისინიც ჩემთან იქნებიან და ნახე...

— ნახვით, ვიცი, ვნახავ, მაგრამ... კარგს კი არაფერს!.. აქამდე ჩვენს შახტს შენი უბნის წყალობით მაინც ანათებდა ვარსკვლავი და ახლა, როგორც ვატყობ, ჩაგვიქრება...

— ჩვენი ვარსკვლავი არ ჩაქრება, ამხანაგო ლუკა! — ბეჯითად, ამაყი კაცის ღიმილით შენიშნა ნიკომ.

არაბიძე შინაგანად ჯერ კიდევ ყოყმანობდა. ებანი შვილივით ჰყავდა ნასათუთევი და ეძნელებოდა მისი დატოვება.

ამ ახალმა, მოულოდნელმა გარემოებამ შეიპყრო ახლა მთელი მისი არსება, მძიმედ ჩააფიქრა ძველი მეშახტე და სახელმოხვეჭილი უბნის უფროსი.

ერთი რამ, რაც მას ამხნევებდა, იყო რწმენა ელიზბარის გონება-გამჭრიახობისა. ნიკო ძალიან წუხდა, რომ ელიზბარი ხვალ მიემგზავრებოდა შვებულებაში, მაგრამ იმედი ჰქონდა, წასვლამდე კიდევ შეხვდებოდა მას და საბოლოოდ მოეთათბირებოდა.

მეგის ახლა შატბიასა და სულიკოსათვის წინ გაესწრო, რამდენიმე ნაბიჯით დაწინაურებულიყო; თითქო ამ ღამის მყუდროებას, იდუმალების ბურუსში გახვეულ სანახაობას შესტრფისო, უკან, კისერზე ხელებშემოჭდობილი, თავაწეული, გატაცებით აკვირდებოდა ღამის პეიზაჟს. ის თავიდანვე მოხიბლა ორღობის უცნაურმა სანახაობამ. გზა ისე ჩანდა, თითქო ზედ ჭრელი ქსოვილი დაუგიათო. თუ მაღლა აიხედავდით, ერთმანეთში ჩახლართული, უხვად შეფოთლილი ხის ტოტებისაგან გაკეთებული ბუნებრივი თაღიც სულ აჭრელებული იყო.

ხის ფოთლების მუქი სილუეტი და მათს მრავალ-ფეროვან, უსწორმასწორო კონტურებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანები — ნათელი ლაქები ძალაუნებურად იპყრობდნენ მზერას. როცა დახურული ორღობე — „ჭრელი გვირაბი“, — როგორც მეგიმ უწოდა გუნებაში, უკან მოიტოვეს, მათ თვალწინ ახლა უფრო დიადი და ლამაზი სანახაობა გაღაიშალა, შორს, ღრმა ხეობით შუა გაკვეთილი დიდი ქედი ჩანდა, რომელიც რძის ქაფივით აფოფრილ ნისლის ოკეანედან თითქო თანდათან მაღლა იწევდა. როგორც ქედს, ისე გორაკების ფერდობებს ალაგ მთვარე დაჰნათოდა, ალაგ ღრუბლის ჩრდილი ეფინა მუქად. გორაკების ფერდობებზე შეფენილი ტყე, ალაგ ვენახი, სიმინდის ყანა, თუ ჩაის პლანტაციაც მთვარის სინათლეზე ისე ჩანდა, ისე შეხამებოდა ერთმანეთს ჩრდილში მოქცეული, თუ განათებული მიდამო, დახატული გეგონებოდათ. მეგი მალიმალ შემობრუნდებოდა ხოლმე შატბიასაკენ და ხელით ნანიშნებ გორაკისა, თუ რომელიმე ძველი შენობის ნაშთის შესახებ ეკითხებოდა— რას ეძახიანო. შატბიაც უმალ აკმაყოფილებდა მის ცნობისმოყვარეობას. შატბიას საუცხოოდ ჰქონდა შესწავლილი თავისი კუთხე; რაც გეოგრაფიის, თუ ისტორიის ძველ და ახალ წიგნებში ვერ ეპოვნა, ღრმა მოხუცების დახმარებით შეეტყო. შატბიას და მის ამხანაგებს მშობლიური მხარის ისტორიის და გეოგრაფიის შესწავლის ორგინალური „ხერხი“ ჰქონდათ „მომარჯვებული“; როცა ერთად შეიკრი-

ბებოდნენ და ლაპარაკი ჩამოვარდებოდა, ესა და ეს სოფელი, ქედი ან მდინარე, სად არის, ან ესა და ეს პიროვნება როდის მოღვაწეობდაო — ერთი თავის აზრს იტყოდა, მეორე თავისას. პირობისამებრ სხვები ერთ-ერთი ამხანაგის აზრს უნდა მიმხრობოდნენ. თავის შეკავება არ შეიძლებოდა — უცოდინარობად ითვლებოდა. ვინც დამარცხდებოდა, ის თავისი მომხრეებითურთ გამარჯვებულს და მის მომხრეებს პატიჟობდა ხილზე, ღვინოზე ან კინოში. დამარცხებული ისე ბეჯითად იმახსოვრებდა, რა მიზეზითაც წააგო და ხარჯი გასწია, რომ ძილშიაც კი ახსოვდა და რევანშისათვის მეორე დღესვე მზად იყო.

მეგის ბავშვივით გაეხარდა, როცა ხევგალმა, მაღლობზე, შატბიას სახლი შენიშნა. შატბიაც მოიხმო და ამცნო ეს ამბავი. შემდეგ, იმ გორაკიდან მთავარი ქედისკენ თვალი გააყოლა ერთმანეთზე მიწყობილ სხვა გორაკებსაც. ერთ-ერთი მათგანის თავზე, უცებ, ზემოდან განათებულ და გულჩაბურულ ხეთა ჯგუფს, რაღაც დიდ თეთრ ლაქასაც რომ მოჰკრა თვალი, კვლავ შატბიას მიუბრუნდა:

— იქ რაღაა?!

შატბიას გაეღიმა.

— ძველი ნაციხარი... ასწლოვანი მუხები, ცაცხვები და... — შატბიას კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა.

მეგის თითქო ყური აღარ უგდია შატბიას ბოლო სიტყვებისათვისო, უცებ ჟინიანად შეიშმუშნა.

— თითქო შემცივდა. — გაიკვირვა, შატბიას შეხედა, მერე შიშველი მკლავები მკერდში ჩაიკრა.

— დიახ, ცოტა აგრილდა!.. ვერ მოვიფიქრე, მეთქვა, რამე წამოგეღოთ...

— სოფელია, ქალბატონო! აქაც ისე ხომ არ გეგონათ, დღისით მზეზე გახურებული ქვის შენობები და ასფალტი ნაშუადამემდე რომ „ათბობს“ ქალაქს. — დაცინვით შენიშნა სულიკომ.

— დედაქალაქს არა ჰგავს, მაგრამ აქაც ქალაქია! მეშახტეთა ქალაქი! — თავაზიანი ღიმილით, თანაც სიამაყის ფარული გრძნობით აუწყა შატბიამ სულიკოს.

მეგიმ მადლიერის თვალით შეხედა შატბიას. ქალიშვილმა ეს შენიშვნა ისე გაიგო, როგორც გამოსარჩლება, „სუსტი არსებისათვის“ რაინდულად მხარის დაჭერა. უცებ მათ შუა ჩადგა, მარჯვენა ხელი შატბიას მკლავს მოსჭიდა, მარცხენა სულიკოს მკლავს.

— თქვენ მართლა შეგცივნიათ! — გაკვირვებით გადმოხედა შატბიამ მეგის.

— რას კანკალებ, გოგო! ბევრი აღარ დარჩენილა, მივალთ შინ და... — დაუფიქრებლად წამოიძახა სულიკომ. „გოგოს“ გაგონებაზე მეგიმ გამგმირავად შეხედა ძმას. ის ახლა ისე იყო გამწყრალი ძმაზე, რარიგ „გამგმირავიც“ უნდა ყოფილიყო, მარტო შეხედვით არ დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ უცებ შატბიას ხმა მოესმა და უმალ მისკენ იბრუნა პირი.

— თუ ისურვებდით და იგუებდით... შემიძ-
ლია, ჩემი პიჯაკი... — ყოყმანით შესთავაზა შატბი-
ამ, რადგან დარწმუნებული იყო, ქალიშვილი
უცხო ვაჟის სამოსს არ წაიკარებდა.

— მერე, — უმალ შესცინა მეგიმ, — რას ემგვა-
ნება, მე დამთბეს და თქვენ შეგციოდეთ! — მეგის
თვალები ახლა შატბიას მზერას გასაქანს არ აძლე-
ვდნენ.

მეგის ასე ცქერა შატბიასათვის უფრო ძვირ-
ფასი და მწველი იყო, ვიდრე პიჯაკის სითბო.
ახლა მას სიცივით სულიც რომ ამოხდომოდა, თავს
ბედნიერად ჩათვლიდა, ოღონდ ეს მომხიბლავი
ქალწული რითიმე მისი მადლიერი ყოფილიყო.

შატბიას კითხვა აღარ გაუმეორებია, ქალს
ბოდიშის მოხდით ხელი შეაშვებინა, უმალ მოხდე-
ნილად გადაიძრო პიჯაკი და ისე ფრთხილად მოა-
სხა მხრებზე მეგის, რომ მან ჯერ საამო სითბო
იგრძნო, შემდეგ ქსოვილის შეხება.

მეგიმ მადლიერის თვალით გადახედა ჭაბუკს.
კვლავ გაუყარა მკლავში ხელი და, სულიკომ იმით
კმაყოფილმა, რომ პიჯაკის დათმობა მას არ მოუ-
ხდა, შატბიამ, იმით გახარებულმა, რომ მისი პი-
ჯაკი მეგის ესხა მხრებზე, მეგიმ საამოდ ჩამთბარ-
მა, შატბიას ყურადღებით ნასიამოვნებმა, ისევ
უდარდელად განაგრძეს გზა.

— მაშ იქ ძველი ნაციხარია? — კვლავ იკითხა
მეგიმ და გორაკის ქოჩორს ცნობისმოყვარეობით
მიაპყრო თვალი, — შენი ნამუშევარი სადა დგას?

— მანდ გახლავთ. — შატბიამ ხელი ისე ჩაიქნია, თითქო მეგის ეუბნებოდა — „რა მნიშვნელობა აქვსო“.

— აქა? — მოულოდნელად, გაოცებით დაიძახა მეგიმ, — სულიკო, გესმის? რა ახლოს ყოფილა შატბიას ნამუშევარი, — მერე შატბიასაც მიუბრუნდა, — რატომ არაფერს გვეუბნებოდი?! მე მეგონა, სადღაც შორს იყო...

— ასე გეჩვენება, თორემ არც ეგ იქნება ახლოს!. — უმალ გამოთქვა თავისი შიში სულიკომ.

— უფრო შორსაც რომ იყოს, მაინც... წავიდოდი !

— სადა! — დაფეთებულივით წამოიძახა სულიკომ.

— აი, იქ! შეხედე, ასე, ჩემს თითს უსწორე თვალი, — თითქო ძმას აბრაზებსო, ისე წარმოთქვა მეგიმ და გორაკისაკენ ხელითაც ანიშნა.

— ხომ არ გაგიჟდი?!

— მე გთხოვ ასე ნუ მელაპარაკები, თორემ... ხმას აღარ გაგცემ, — მკაცრად მოუჭრა მეგიმ.

— ოჰ! თუ შენს ხმას არ გავიგონებ, ნერვები უფრო დაწყნარებული მექნება!

— რა სჯობია ასეთ მთვარიან და მყუდრო ღამეში, ამ გორაკებზე, ამ ბილიკებზე ხეტიალს, — ოცნებით წამოიძახა მეგიმ, — რაც მთავარია, სწორედ ამ დროს მიყვარს ქანდაკებების თვალიერება!

თუ ცაზე ღრუბლებიც მოძრაობენ, მაშინ ხომ ქანდაკებებიც თითქო გაცოცხლდებიან ხოლმე!

შატბიასაც მოეწონა მეგის აზრი; უნებლიეთ თვითონაც მოენატრა თავისი ქანდაკების მონახულება, მით უმეტეს, რომ იგი ღამით არასოდეს არ ეხილა.

მეგი მხლებლების დასტურს აღარ დაელოდა, წინ, გორაკის ბილიკზე მოხდენილად აირბინა, მერე უცებ მოუბრუნდა შატბიას და სულიკოს, ხელი დაუქნია, — თუ ვაქკაცები ხართ, მომყევით, გული გაიმაგრეთ! — ისევ დაუქნია ხელი და ახლა ჩქარი ნაბიჯით განაგრძო გზა.

— სულიკო! ქალს როგორ ჩამოვრჩეთ, სირცხვილია. — დაიძახა შატბიამ.

— სირცხვილს არ დავეძებდი, სისულელეა!.. რა მინდა ამ შუაღამეზე იქ... — გორაკის თავისაკენ სულიკომ ისე გაიხედა, თითქო ანგარიშობდა, შესძლებდა თუ არა იქამდე მიღწევას.

შატბია საგონებელში ჩავარდნილიყო, მეგის ხმა და თავისი ქანდაკების ნახვის სურვილი ზემოთ უხმობდა, სულიკოს დაღრეჯილობა და წუწუნი მის იდუმალ წადილს წინ ეღობებოდა.

— წავიდეთ, კაცო! ქალს მართლა მარტო ხომ ვერ გავუშვებთ, — მიუბრუნდა ბოლოს შატბია სულიკოს.

— ჯანდაბაში წასულა!.. ასე გაგიჟებაც არ შეიძლება!.. ვეუბნებოდი, ნუ დალევ მეთქი და... რა ქალის საქმეა ღვინო!.. თავში აუვარდა, ახლა მია-

ფრენს!.. იმ ერთმა ჭიქა ღვინომ ასე მაინც როგორ იმოქმედა!?

— წავიდეთ! — ხმადაბლა, მუდარის კილოთი ერთხელ კიდევ გაუმეორა შატბიამ და მკლავში ხელი გამოსდო. ორიოდე ნაბიჯი ძალით გადაადგმევინა. რახან ერთი დასძრა ადგილიდან, მერე სულიკო თავისთავად მიჰყვა შატბიას, თუმცა ბუზღუნს არ იშლიდა. მეგი მოსახვევთან შეჩერებულიყო და ჩამორჩენილებს ელოდა. აქ ბილიკი ტყეში შედიოდა. სულიკომ ისე ჩაუარა გვერდით მეგის, მისთვის არც შეუხედნია. მეგიმ თვალი გააყოლა ძმას, მერე შატბიას მიუბრუნდა, მკლავში ხელი ჩასჭიდა და ტყეში მასთან ერთად გაბედულად შევიდა. ტყიდან რომ გავიდნენ, კვლავ ბილიკით განაგრძეს სვლა ზემოთ. ახლა მეტწილად მეგი შატბიას მიჰყვებოდა მკლავში ხელგაყრილი, როცა ძალზე დაქანებულ ფერდობზე ასვლა გაუჭირდებოდა, შატბიას მაჯაში ორივე ხელს ჩაავლებდა და ვაჟიც მარჯვედ აიტაცებდა მაღლა.

მეგი დროდადრო ისევ გადმოხედავდა ხოლმე უკან ბუზღუნით მომავალ ძმას და თითქო მას გაბრაზება აკლიაო, ცელქურად გადმოსძახებდა:

— სულიკო, თუ ბიჭი ხარ, დაგვეწიე!

შატბიას კიდევ უფრო მეტ ძალას და ხალისს მატებდა მეგის მხიარული განწყობილება. ახლა ისეთ ძალას გრძნობდა, ღვინოც ჯერ მთლად არ გამონელებოდა, მზად იყო, აეტაცნა იგი და, ერთი შეხედვით, ბუმბულივით მსუბუქი, ცაში აწვდილ-

ხელებით სულ ციმციმ ეტარებინა გორაკის თავამდე.

რაც უფრო მაღლა მიიწევდნენ, მეგის სულ უფრო და უფრო იპყრობდა შიში, ირგვლივ უჩვეულო მყუდროება სუფევდა. დროდადრო თითქო გააქრქოლაო, წამით ნიავი ფოთლებს შეაშრიალებდა, და ისევ გაყუჩდებოდა მიდამო. ერთხელ კიდევ შეხვდათ პატარა ტყე, ისიც რომ გალიეს, მეგის თითქო აქამდე სული შეგუბებული ჰქონდაო, ისე ამოიოხრა, სულიკომაც კი მიაქცია ყურადღება.

— როგორა ხარ, ქალბატონო! — უცებ გაისმა მისი ხმა ამ მყუდროებაში.

— კარგად, შენ?

— მე? როცა ზემოთ ავალთ, მაშინ გეტყვი! —

გორაკის თავზე, მცირე ვაკეს ბილიკით უეცრად მიადგნენ. სანახაობა მყის შეიცვალა. თუ აქამდე გორაკის ფერდობებზე უფრო ხშირად ნორჩი ხეები და ბუჩქები ხვდებოდათ, ახლა მათ წინ ერთბაშად აღიმართა ლაღად ტოტებგადაშლილი უზარმაზარი ხეები. თითქო სიბერეს მათთვისაც გაუდრეკია ქედიო, ყველა ხე, ზოგი მთელი, ზოგიც ფუღუროიანი, თავისი უზარმაზარი ტანით უცნაურად წახრილ-წამოხრილი იდგა.

ამ სანახაობის ხილვაზე სულიკოს უცებ გუნებაც შეეცვალა, გამოცოცხლდა. გზის ახლოს, სულ განაპირა უზარმაზარი ხის დაღარულ ქერქს ხელი დაჰკრა, მაღლა ტოტებში შეიჭვრიტა.

— რა უხვია მიწის ძუძუ!!! როგორ გოლიათებს ზრდის და კვებავს!.. მეგი, ხედავ, რამხელაა?!

მეგიც შეეხო მუხის ქერქს, ცისკენ შემართულ მის მძლავრ, მიგრეხილ-მოგრეხილ ტოტებსაც მოესიყვარულა თვალით.

— მოხუცები ამბობენ, ეს ხე ოთხასი წლის იქნებაო. — თქვა შატბიამ.

მეგიმ გაოცებით დაახამხამა თვალები.

— იქნებ მეტისაც იყოს! — შენიშნა სულიკომ,— ჩვენ გვებევრება, თორემ ოთხასი წელიწადი მუხისათვის რაა!

სხვა ხეებიც ასევე სიყვარულით შეათვალიერეს, იმათაც სცეს პატივი თავიანთი ყურადღებით.

ახალგაზრდები უხმოდ — აჩრდილებივით დაილალებოდნენ ამ ასწლოვან ხეთა მყუდრო სამფლობელოში და გაოცებით აკვირდებოდნენ მათ ზღაპრულ აგებულებას.

უცებ მეგიმ შეჰყვირა.

შატბიამ და სულიკომ მყის მიიხედ-მოიხედეს, მაგრამ ის ახლომახლო არსად ჩანდა. შატბია — უმალ ნანგრევისაკენ გაიჭრა, რომელიც ფარივით ამართულიყო გორაკის ჩაკვეთილ ფერდობის ნაპირზე. შიშით გაიფიქრა — მეგი უცაბედად ხომ არ გადავარდაო. მაგრამ შემოუარა თუ არა კედელს, დაინახა, რომ მეგი მის მიერ ქვაში გამოკვეთილ კაცის თავს წადგომოდა და გაოცებული, ახლა შატბიასა და სულიკოსაც უხმობდა თავისკენ.

თუ მეგი ნახვის უმალ აღტაცებაში მოიყვანა მო-

ხუცის პორტრეტმა, სულიკო ისე დიდ ხანს და ისე გულგრილად ათვალიერებდა შატბიას ნახელავს, კაცს ეგონებოდა, არ მოსწონს, თავისი აზრის გამხელა ვერ გაუბედია, გამოსავალი ვერ უპოვნია და ამიტომ აყოვნებსო.

ერთხანს სამივენი ასე მდუმარედ შესცქეროდნენ ციხის კედლის ერთ წინ წამოწეულ, მოზრდილ ქვაში გამოკვეთილ მოხუცის სახეს. ეს ჰორელიეფი შატბიას იმ ნამუშევართან შედარებით, რომელიც წელან ნიკომ აჩვენა მეგის და სულიკოს, არანაკლები გულმოდგინებით იყო დამუშავებული. მოქანდაკეს შთაგონებით გამოეკვეთა მოხუცის მეტყველი ნაკვთებიანი სახე.

შატბია, მართალია, ჯერ კიდევ არა ფლობდა ქვაში კვეთის ოსტატობას. ჰორელიეფი ერთი ღრმა ამოსუნთქვით შექმნილის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ რომელი სახელმოხვეჭილი ოსტატი იტყოდა უარს — ასეთი ნაწარმოებისათვის თავის ატელიეში ერთი კუთხე მიეჩინა.

საკმაო დრო გასულიყო. მეტ ხანს აქ დარჩენა ალარ შეიძლებოდა. სახლშიაც უთუოდ მოუთმენლად ელოდნენ მათ. ახლა ისე ცივად მზირალ და დამუნჯებულ სულიკოს რომ ხედავდა შატბია, არ იცოდა, რით აეხსნა ეს ამბავი, და რა შვება იგრძნო,

როცა ბოლოს სულიკომ ხმა ამოიღო.

— თავი სიზმარში მგონია. — ღიმილით თქვა მან და ჯერ მეგის, მერე შატბიას გადახედა.

— მოგეწონა? — უმალ იკითხა მეგიმ.

მცირე დუმილის შემდეგ სულიკომ იდუმალის ხმით შენიშნა დას.

— აქ მე ახლა ყველაფერი მაკვირვებს, მომწონს და... თითქო მაშინებს კიდეც, — მერე ხელები გაშალა და ირგვლივ ისე მიმოიხედა, თითქო იქაურობას სალამს უძღვნისო. უცებ შატბიას მიუბრუნდა — თვითონ ეს კაცი სადღა მარხია? — თანაც ცალი ხელი ჰორელიეფისაკენ გაიშვირა.

შატბიამ უმალ თვალით ანიშნა.

სულიკომ ერთი ნაბიჯით უცებ მოწიწებით დაიხია უკან, მხოლოდ ახლა შენიშნა, პატარა მოგრძო ბორცვი, რომლის ნაპირზედაც წელან ფეხი ედგა. ბორცვი სწორედ კედლის ნანგრევის წინ იყო, პატარა მოედანზე, რომელიც ახლა ისე დაეფარა ბალახბულახს, რომ კაცი ვერც იფიქრებდა, თუ აქ ვინმე იყო დამარხული. თვითონ კედელი ვებერთელა ფარივით აზიდული, თავში განიერი, საძირკველთან შევიწროებული, შენგრეული, აჭრელებული იყო, ალაგ მოშავო, ალაგ მოწითალო, თუ ღია მომწვანო ფერის ხავსის ლაქებით.

მას შემდეგ, რაც შატბიამ მენშევიკების მიერ მეშახტის დახვრეტის ამბის თხრობა დაასრულა, სულიკო ერთხანს ისევ უკირკიტებდა, გულმოდგინედ აკვირდებოდა ჰორელიეფს, თითქო კიდევ დარჩა

მასში რაღაც ამოუცნობიო; მერე უსიტყვოდ გამობრუნდა, ხელები დაიბერტყა და რაღაც შეშფოთებულის კილოზე იკითხა:

— არ წავიდეთ?..

— რახანია გელოდებით! — თავაზიანად, ხმადაბლა შენიშნა შატბიამ და მეგისაც გადახედა.

მეგის შატბიასათვის არაფერი უთქვამს, ძმას მიუბრუნდა, გაკვირვებით ჰკითხა:

— მაინც, როგორია, შენი აზრით? კაცი გელოდება, რატომ არაფერს ეუბნები!

— მაგის შესახებ გზაში ვილაპარაკოთ, — მოკლედ მოუჭრა სულიკომ და გზა განაგრძო.

— ახლა სულ არ არის მაგაზე ლაპარაკის დრო... ხვალ, ზეგ, როცა ეზოში, მუხის ჩრდილში დავსხდებით... — დაუმატა შატბიამაც.

სულიკოს მეხსიერებაში ღრმად აღბეჭდილიყო ქვაში გამოკვეთილი მოხუცის სახის ნაკვთები; სულ ის ედგა თვალწინ, წელან გაოცებული რომ იყო იმ უზარმაზარი ხეების ხილვით, ახლა ისე უვლიდა მათ გვერდს, თითქო ვერც კი ამჩნევდა. ბევრი ოსტატის ნამუშევარი უნახავს მას გამოფენებზედაც, ატელიეშიაც, ოჯახებშიაც, მაგრამ ასე არაფერი მოსწონებია. ჯერ კიდევ არ იცოდა, ვერ გარკვეულიყო, რატომ მოხდა, რისი ბრალი იყო ეს, — მთვარიანი ღამის, პოეტური განწყობილების, თუ შატბიას ნამუშევრის მხატვრული ღირსებისა.

მან თავისი პირობა არ შეასრულა: გზაშიაც მეტწილად, დუმდა. შატბია კი ამაოდ ელოდა წელან

მეგის შეკითხვაზე და საყვედურზე სულიკოს გარკვეულ პასუხს.

სულიკო ახლა მარტო იმაზე ფიქრობდა, როგორ მოხერხდებოდა იმ ჰორელიეფის ლოდიდან მომტვრევა და წამოღება, ან რა მიზეზი მოენახა, რით დაესაბუთებინა შატბიასათვის ამის აუცილებლობა.

ასმათი გულხელდაკრეფილი იჯდა სკამზე, მუხის ძირას. მოთმინებით ელოდა შატბიასა და სტუმარი ქალ-ვაჟის მოსვლას. მეგი და სულიკო მას დიდი ხანია აღარ ენახა და ძალიან აინტერესებდა. როგორ გამოიყურებოდნენ ახლა ისინი. დაბრუნდა თუ არა ასმათი მეზობელ სოფლიდან, სადაც ავადმყოფი ნათესავის სანახავად იყო წასული, დაღლილ-დაქანცულს არც კი დაუსვენია, სული არ მოუთქვამს, სტუმრების წვევის შეტყობის უმალ, როგორც მარჯვე დიასახლისს შეეფერება, თავისებურად დატრიალდა, მოხუცი დედამთილი — დარეჯანიც მოიშველია და საგანგებო ვახშამი — ტაბაკები, ვენახის ფოთოლგადაკრული თხელ-თხელი ჭადები, ხაჭაპურები, ნახევარ საათში მზად იყო. ჩაისთვის წყლის ადუღებაც არ დავიწყებია. ალუბლის, ლეღვისა და კაკლის მურაბის ქილებსაც მოხადა თავი. შუათანა, მრგვალი მაგიდა შე-

მოსწრებულ ნიკოს გამოატანინა, კაკლის ძირას დაადგმევინა; სკამებიც ჩამოიტანეს, სუფრაგადაფარებულ მაგიდას ირგვლივ ლამაზად შემოუწყვეს. ყველაფერი მზად იყო საპატიო სტუმრებისათვის, თუმცა ზიბზიბაძესთან ქეიფის შემდეგ მათ, ასმათის ფიქრით, აღარც ჭამის თავი ექნებოდათ, აღარც სმისა. ნიკო სიამოვნებით და კმაყოფილებით ადევნებდა თვალს ასმათის დაუზარელ გარჯას. იგი თავმოყვარე კაცი იყო და ოჯახის ღირსებას, მასპინძლის სახელს, პირველყოვლისა, სტუმრის პატივისცემით ზომავდა.

ასმათმა რამდენჯერმე შეახსენა ნიკოს — „ერთი დაურეკე იმ შენს ზიბზიბაძეს, გვანებებს თუ არა ამაღამ ჩვენს სტუმრებსო“, მაგრამ ნიკო უარზე იყო, თავს მთქნარებით, უდარდელად იფხანდა, ასმათსაც აწყნარებდა, — „რაღა დარეკვა უნდა, სადაცაა გაჩნდებიანო“. იგი სტუმრების მოსვლას აღარ დალოდებია. დღეს ორჯერ მოუხდა შახტში ჩასვლა, უბნების დათვალიერება, „ბიჭების“ (როგორც ეძახდა შინაურულად, „საპატივცემლოდ“ თავისზე უმცროსებსაც და უფროსებსაც) გამხნევება, ზოგან წახმარება, ზოგან ცოტა ხმამაღლა შეძახება, სადაც საქმე ისე არ კეთდებოდა, როგორც საჭირო იყო და ვინმე ჭირვეულობდა. ახლა იმდენად დაღლას არა გრძნობდა ნიკო, რამდენადაც ხვალ დილა-უთენია ადგომაზე ფიქრი და ზრუნვა აიძულებდა, ჯან-ღონე დაეზოგა, ადრე დაწოლილიყო, რომ ძილი და მოსვენება მოესწრო.

ესეც რომ არ ყოფილიყო, არც სხვა, არც მისი უბანი რაიმე ხიფათისაგან დაზღვეული არ გახლდათ, ყოველ წუთში იყო მოსალოდნელი ნიკოს გამოძახება, ამიტომაც ის მუდამ ეშურებოდა „თვალის მოტყუებას“. ლოგინი აივნის კუთხეში გაფენილ ნოხზე გაამლევინა ასმათს. გულაღმა ნებიერად გაშოტილმა მკლავები თავქვეშ ამოიდო, მუსიკის შორეულ ხმაზე (რადიოთი თბილისიდან „აბესალომისა და ეთერის“ უკანასკნელ მოქმედებას გადმოცემდნენ) წყნარად ჩაეძინა. ახლა უკვე დარეჯანსაც ეძინა. სტუმრების მოლოდინში მარტო ასმათი ფხიზლობდა. ის არ იყო დაჩვეული გვიან ძილს, ღამის ტესვას, მაგრამ თუ საჭირო შეიქნებოდა, არც ეს უჭირდა. სხვების მიმართ აგრერიგად თავაზიანი და ლმობიერი, თავის თავისადმი მუდამ მკაცრი და დაუთმობელი იყო. ახლა ის, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ყმაწვილივით ყოჩაღად იჯდა სკამზე, ყურადღებით, თან რაღაც გამოუცნობი მოწიწებითა და ნეტარებით უსმენდა რადიოს. მომაკვდავი აბესალომის არია და მუსიკის ჰანგები ამ მთვარიან ღამეში, ამ საოცარი მყუდროებით მოცულ არემარეში ისე გაისმოდა, თითქო ეს ყველაფერი სადღაც სულ ახლოს ხდებაო, და ასმათსაც გულუბრყვილოდ ეწადა წამომდგარიყო, აბესალომის ცოდვით დამწვარი, მიშველებოდა მომაკვდავს, მაგრამ მოჯადოებული ასმათი უნებლიეთ ადგილიდან წამოწევის უმალ გონს მოდიოდა, მკერდში კიდევ უფრო მაგრად იხუტებდა ხელებს,

თითქო ამ ამბით აღძრული საკუთარი გულისტკივილის შემსუბუქება სწადიაო. ასმათი განზრახ წელგამართული იჯდა სკამზე, სიფხიზლე რომ არ დაეკარგა, საკმარისი იყო, მაგიდის ნაპირს ნიდაყვით ჩამოყრდნობოდა, ან სკამის ზურგზე მიწოლილიყო, თვითონ, ცხადია, ვერც კი იგრძნობდა, ისე მოსტაცებდა თავს ძილი, შეუმჩნევლად ჩასთვლემდა და სტუმრებთანაც შერცხვებოდა. ჭიშკართან ლაპარაკი და სიცილი რომ გაისმა, მყის გაიფიქრა — ისინი იქნებიანო და ყმაწვილივით ზეზე წამოიჭრა, მაგრამ ეს შეკრთომა და აფუსფუსება შეატყო, რომ მას არ შეეფერებოდა, კვლავ დაჯდა, თუმცა შინაგანად ისევ-ისე აფორიაქებული იყო სტუმრებთან წამიწამს შეხვედრის მოლოდინში.

შატბიამ, თითქო ურემი უნდა შემოიყვანოსო, ფართოდ გაუღო ჭიშკრის კარი მეგის და სულიკოს; სულიკომ სცადა კარის დაკეტვაში მიშველებოდა, მაგრამ ამ საქმეში გამოცდილმა შატბიამ ისე მარჯვედ ჰკრა ხელი მოღებულ კარებს და ისე სწრაფად გაუყარა ურდული რკინის ყურებში, სულიკომ ხელის განძრევაც ვერ მოასწრო. შატბია წელან გზაში რაღაც სახუმარო თავგადასავალს უყვებოდა მეგის, და ახლა სამივენი კვლავ მხარში ამოუდგნენ თუ არა ერთმანეთს, შატბიამაც განაგრძო ამბის თხრობა. მეგი ხმამაღალი სიცილით აწყვეტინებდა ხოლმე ვაჟს.

თუმცა ასმათს ახლა წინანდებურად აღარ

შეეძლო რადიოსათვის ყური ეგდო, მაგრამ მაინც ერქოლის მომგვრელად ერთსა და იმავე დროს ჩაესმოდა ეთერის მოთქმაც და სტუმარი ქალიშვილის უდარდელი, გამაღიზიანებელი სიცილიც.

რაწამს მეგიმ რადიოს ხმა გაიგონა, უმალ ყური ცქვიტა, ჰანგიც იცნო და ეთერის პარტიის შემსრულებელიც. მყის შედგა, საფეთქლებთანაც თმებზე ისე აიკრა ხელი, თითქო მოსმენას უშლისო. მაღლა აქნეული ხელები ჰაერში შერჩა, ახლა მას თავი განზე გადაეწია, და თვალმინაბული ისე იღიმებოდა, თითქო თავის ოცნებაში რაღაცას შესტრფისო. ეთერის ხმა დროდადრო ჰაერში მკვეთრად იჭრებოდა.

შატბიას უნდოდა ეთქვა, — ბარემ მივიდეთ, დავსხდეთ მუხის ძირას, რადიოც იქვე მუხაზე არის შემოდგმული და ისე, განცხრომით მოვუსმინოთო, მაგრამ ხედავდა-რა, მეგის ახლა ასე ესიამოვნებოდა დგომა და მოსმენა, სათქმელი გადაიფიქრა, უდროო დროს ჩარევისათვის მეგის რომ გუნებაში არ გაეკიცხა იგი. ახლა ვაჟი მოთმინებით ელოდა, ვიდრე მეგი თვითონ არ მოისურვებდა ადგილიდან დაძვრას.

მეგის ოცნება იყო, თავისი მოღვაწეობა ეთერის პარტიის შესრულებით დაეწყო. ამხანაგებთან ხშირად ცხარედ კამათობდა ამ პარტიის სხვადასხვა შემსრულებელთა ნაკლსა და ღირსებებზე. ასმათს ვერ გაეგო, რა მოხდა. შატბია და სტუმრები ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყვნენ მისგან, ხეებიც ვფა-

რებოდათ, როცა ასმათი წამოდგა და ეზოში შემოსულ სტუმრებისაკენ გაემართა ნელი ნაბიჯით. პირველად მეგიმ შენიშნა ასმათი, უმალ შატბიას გადახედა და მერე უცებ, ლაღად, მსუბუქად, თითქმის სირბილით გაეშურა ასმათისაკენ; მიახლოებისას ერთი კი შესძახა „დეიდაო“ და ასმათი გაშლილ მკლავებში მოიმწყვდია, მოეხვია. ასმათს ისე ესიამოვნა მეგის შეგებება, უნებლიეთ სიხარულის ცრემლი მოერია. ამ წუთში მისი გული სულაც არა გრძნობდა მეგი თუ სხვა ადამიანის შვილი იყო. ვიდრე ქალები ერთმანეთის კოცნა-ალერსით გულს იჯერებდნენ, შატბია და სულიკოც მოვიდნენ. ასმათს ერთი ხელი რომ მეგის წელზე ჰქონდა მოხვეული, მეორე სულიკოს გაუწოდა, ისიც მოიზიდა, გულში ჩაიკრა, საფეთქელთან ორჯერ აკოცა და შემდეგ და-ძმა ასე, წელზე ხელშემოხვეული, მაგიდისაკენ წაიყვანა. მეგი ისე ნასიამოვნები, თანაც გაბრუებული იყო დღევანდელი შთაბეჭდილებებით, რომ ამდენი სიამის ერთად დატევას მისი გული — არც იყო ჩვეული და ვერც ახერხებდა ამას. აღარ იცოდა, ვისთვის დაეთმო თავისი გული, რისთვის მიექცია ყურადღება. მეგი ასმათმა გვერდით მოისვა, თანაც წელზე ისე მოხვია მკლავი, თითქო გაშვებას აღარ უპირებსო. დროდადრო, საუბარში, ფრთხილად მოიზიდავდა თავისკენ, გაუცინებდა ასმათი. მისი ხელიც და მისი მზერაც ისე ესიყვარულებოდა მეგის, რომ უნებლიეთ შატბიას მიმართ შურიც კი აღეძრა — „ასეთი

დედა ნეტავი მეც მყავდესო". ასმათის სახის ტიპიურმა ქართულმა ნაკვთებმა და იერმა და-ძმა ისე მოხიბლა, რომ მისთვის თვალი ვეღარ მოეშორებინათ. მეგისა და სულიკოს დაკვირვებით შატბია საოცრად ჰგავდა დედას, და ერთმანეთისაგან მხოლოდ ის ანსხვავებდა, რომ ამ ქალის ჯერ კიდევ ნაზ, კეთილშობილურ, თანაც ტიპიურ ქართულ იერს, თითქო საოცარის ხელოვნებით გამეორებულს, შატბიას სახეში ვაჟკაცური ელფერი დაჰკრავდა. საუბარში მეგი ხან დედას აკვირდებოდა, ხან შვილს და გაოცებული იყო მათი მსგავსებითაც და მათი სილამაზითაც. ასმათმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მეგიზე, რომ ახლა მას სულაც აღარ აკვირვებდა მისი შვილის თვალტანადობა. გარეგნობის მიხედვით შატბია თავის ასაკზე ორისამი წლით უფროსი გეგონებოდათ, დედა კი თავის ასაკთან შედარებით, თუ მეტით არა, ხუთი წლით უფრო ახალგაზრდა ჩანდა, თუმც საფეთქლებთან თმებში უკვე ჭაღარა შერეოდა. ეტყობოდა, თმების შეღებვა მას არ აკრთობდა; თამამად აჩენდა მათ, თმები უკან ლამაზად გადაევარცხნა და ამით თითქო კიდევ უფრო გაესვა ხაზი თავისი ნაადრევი ჭაღარისათვის.

ცოტა გაისაუბრეს თუ არა ერთმანეთში, ასმათმა, როგორც წესია, სტუმრებს დედ-მამის ჯანმრთელობის და საქმიანობის ამბავი ჰკითხა; ამ ამბებზედაც რომ მორჩნენ ლაპარაკს, ასმათმა ბოლოში მოიხადა, წეღან სტუმრებს შინ რომ არ

დახვდა, მერე, წამოდგომაზე, სტუმრები შიუხკლ-ნენ თუ არა განზრახვას, მეგიმ უცებ თვალით ანი-შნა სულიკოს და... ერთი მარჯვენა მაჯაში სწვდა ასმათს. მეორე — მარცხენა მაჯაში. ბევრი არწმუნა და-ძმამ დიასახლისი—ერთი ლუკმის გასინჯვაც არ შეგვიძლიაო, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. ასმათი თავისას არ იშლიდა, ძალით იწევდა. ბოლოს შატ-ბიაც ჩაერია — „ისე არ გამოვიდეს, რომ ჩვენი სტუმრები სიამოვნების მაგივრად, შევაწუხო-თო“, — ფრთხილად შენიშნა მან, მაგრამ დე-დამ ასეთი შენიშვნისათვის უმალ დატუქსა ლმო-ბიერი ვაჟი. ასმათს არ უნდოდა ასე საგულდა-გულოდ მომზადებული ვახშამი ჩაშლოდა. ხუმრო-ბით სულ ნიკოს აბრალებდა ყველაფერს. ნიკო რომ აქ იყოს, მას ხომ ვერ გაუბედავდითო, — იცინო-და ასმათი და სიცილში თანდათან შეუმჩნევლად იბირებდა სტუმრებსაც.

— ნურაფერს მიირთმევთ, მე მაგიდაზე დავა-წყობ, რაც მომეძევება, თქვენ კი უცქირეთ! — ეხვე-წებოდა, ეფერებოდა, არწმუნებდა იგი სტუმრებს.

სტუმრები, თუმც ჯერ კიდევ უარზე იდგნენ, მაგ-რამ ხათრით უარს ისე თამამად ვეღარ უბედავდნენ. ისინი დარწმუნდნენ, რომ თავის წადილში ეს გულ-უხვი, კეთილი და სათნო მასპინძელი მათთანაც ახლა მშობელივით წრფელი იყო.

— სულ ჩემი ბიჭის ბრალია, — საყვედურით თქვა ასმათმა, — ჩემს მოსვლამდე ასე როგორ

ღამიფანტა სტუმრები? ან ნიკო რას აკეთებდა... ნეტავი როგორ დაიყოლია იმ ზიბზიბაძემ?!

— დედა, როგორ ლაპარაკობ?! კაკო ზიბზიბაძე მტერს შეუჩნდა... როცა საამისო მიზეზი აქვს, მაშინ ხომ...

— ახლა, რამდენიც უნდა იმართლო თავი, — კვლავ მიუბრუნდა შატბიას ასმათი, მაგრამ უცებ შეცვალა წყრომის კილო, შვილს ალერსით შეხედა, — შვილო! მე, ხომ ხედავ, გაკავებული ვარ, ხილი მაინც მოგვიტანე.

თან აუხსნა, სად ეწყო თეფშები, დანები და ხილი.

შატბია მყის წამოიჭრა ზეზე, წასვლა დააპირა, მაგრამ მეგის სიტყვებმა შეაჩერეს.

— რახან დედაშენს ასე სწადია... შატბია! მეც მოგეხმარები... ყველაფერს მარტო როგორ წამოიღებ!..

— არ გინდა, შვილო!.. — დაუყვავა მეგის ასმათმა, — ეგ, რომ უყურით, ერთ ურემ ხე-ტყეს ეზიდება ხოლმე ცალი ხელით... ორ ლარნაკ ხილს და ორიოდე თეფშს ვერ წამოიღებს?!

— დეიდა! — თითქო დაიკნავლაო ისე წამოიძახა მეგიმ. ამ ერთ წამოძახებაში თხოვნაც იგრძნობოდა, ხვეწნაც, უსაზღვრო წადილიც. — განა მე ისევ უცხო ვარ?!..

წელან ისე გულღიად შეეგებენ ერთმანეთს, რომ ახლა არც ასმათი გრძნობდა თავს უცხოდ და უხერხულად მეგისთან, არც მეგი ასმათთან. ასმათმ

ველარაფრის თქმა ვერ მოასწრო, მეგი მკვირცხ-
ლად წამოიჭრა ზეზე და შატბიასთან ერთად
ჩქარი ნაბიჯით სახლისაკენ გაემართა. მიისწრაფოდა
და თან მაღლა აზიდულ მხრების რხევით, ოითქო
ცდილობდა ვაჟის ყურადღება მიექცია, კიბეზე
სწრაფად აირბინეს. ნიკოს ხვრინვის გაგონებაზე მე-
გიმ უცებ ფეხის წვერებზე აიწია, მარჯვენა ხელის
სალოკი თითი მიამიტურად ტუჩზე მიიდო, მარცხე-
ნა ხელი კი მაგრად ჩასჭიდა შატბიას ხელს და
ორივემ ასე, ფეხაკრეფით გაიარეს აივანი. ოთახში,
სადაც ძველებური ვეებერთელა მოჩუქურთმებული
კარადა იდგა, ბნელოდა. მხოლოდ მთვარის შუქი
ადგა ფანჯრის ქვედა ნაპირს და ჩარჩოს სილუეტი
დასჩენოდა იატაკს.

შატბიამ ხელჩაკიდებული მეგი ფრთხილად გაა-
ტარა ოთახში. მეგი ბრმად მისდევდა მას. შატბიამ
კარადასთან შორიახლო დააყენა მეგი, თვითონ ხე-
ლის ფათურით მიაგნო და გამოიღო კარადიდან,
ჯერ ერთი ლარნაკი, სიბნელეში მეგის ფრთხილად
გაუწოდა, თან ნაბიჯიც გადადგა მისკენ; მეგიმ ვერ
დაინახა, თუ არ დაინახა, წინ გაწვდილი ხელებით
თვითონაც ერთი ნაბიჯი წადგა წინ და უცებ იგრ-
ძნო, მიხვდა, ისე ახლოს მისულიყო შატბიასთან,
რომ თავისი მკერდით უკვე ვაჟის მკერდს ეხებოდა.
მისი სუნთქვაც იგრძნო, შატბიას ლოყას უნებლიეთ
მეგის თმის ბოლქვიც შეეხო... ისინი ვერ ხედაკ-
ნენ, მაგრამ გრძნობდნენ ერთმანეთს და ორივემ
ერთად — ამ უხილავობამაც და გრძნობამაც ისე

გაათამამა და კიდევ უფრო გააბრუა ისინი, ერთსა და იმავე დროს, ქალმაც, ვაჟმაც მოხვიეს მკლავები ერთმანეთს... ერთის წამით ქალ-ვაჟს ისე მოაჩვენა, თითქო სახლიც კი შებარბაცდაო. უცებ ოთახში ჰექასავით გაისმა იატაკზე დაცემული და ნამსხვრევებად გაბნეული ბროლის ლარნაკის ხმა. შემკრთალი, ჯერ კიდევ ბურუსში მყოფი ქალ-ვაჟი მყის გაშორდა ერთმანეთს ... ახლამიხვდა შატბია, თავისთავად როგორ გაეშვა ხელიდან ლარნაკი, როგორ დაიმსხვრა იგი. და იმ ერთმა წამმა როგორ შესძრა და შესცვალა მისი შინაგანი არსება.

ლარნაკის დამსხვრევის ხმა აივანზე ნიკოსაც ჩაესმა ძილში. მან ერთი კი წამოიწია, თვალები მიმოაცეცა და დაიძახა — „რა იყო“... რახან პასუხი არავის გაუცია, ირგვლივ კვლავ მყუდროება სუფევდა, იფიქრა — მომეჩვენაო და ისევ მისდო თავი ბალიშზე. მეგი და შატბია ერთხანს სულგანაბული იდგნენ ერთმანეთის შორიახლოს და აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, წამიწამს ელოდნენ ნიკოს და ასმათის შემოსვლას; მაგრამ მიწყნარდა თუ არა ყველაფერი, შატბიამ ახლა თვითონ გაიწია მეგისკენ. ვაჟის ხელის დაკარების უმალ მეგიმ სწრაფად დაიხია უკან და ოთახის კარებთან შედგა. ვაჟი გონს მოვიდა, უცებ კვლავ კარადისაკენ მიბრუნდა, ხელის ფათურით თაროს სიღრმეში მეორე ლარნაკი მონახა. აიღო თუ არა იგი, ახლა პირველად იგრძნო რა საშინლად ღელავდა და ხელიც ისე უკანკალე-

ბდა, სულ იმის შიში ჰქონდა, ეს ლარნაკიც არ დავანსხვრიოო. მეგის ხმადაბლა უხმო, მაგრამ ის ადგილიდან არ დაძრულა, ვაჟს ახლო აღარ ეკარებოდა. შატბია იძულებული იყო, თვითონ მისულიყო მეგისთან, ლარნაკი და თეფშები მიეწოდებინა. შუშის ნამსხვრევებს ისეთი ხრაშახრუში გაუდიოდა შატბიას ფეხქვეშ, გეგონებოდათ, ოთახში ვიღაც მიმალულა და ორცხობილს სჭამსო.

მეგი შატბიას აღარ დალოდებია, ვიდრე ის დანაჩანგალს მონახავდა, ფეხაკრეფით გაიარა აივანზე, თან ნიკოსაკენ იხედებოდა, ხომ არ ღვიძავს, ხომ არ გვითვალთვალებდაო. კიბეზე ფრთხილად ჩავიდა. გული ახლაც ისე უცემდა, თითქო ვინმე მოსდევსო, ყურშიაც კვლავ იმ დამსხვრეული ბროლის ხმა ჩაესმოდა; მეგი ახლა გაუბედავად მიაბიჯებდა ეზოში, ბალახზე. უცებ ისე შეცვლილიყო, დადინჯებულიყო, გაგიკვირდებოდათ; დიდ საგონებელში იყო, არ იცოდა, რით დაეწყო თავის მართლება. რომ დამაჯერებელი და ბუნებრივი ყოფილიყო იგი. როცა ლარნაკი მაგიდაზე დადგა და თეფშები კოხტად ჩამოარიგა, ასმათს მხარზე ხელები ფრთხილად შეახო და თითქო პატიებას სთხოვსო, ისე უჩურჩულა.

— დეიდა, დავბრუნდები თუ არა თბილისში... სწორედ ასეთი ლარნაკი უნდა გიყიდოთ!..

— რატომ, რისთვის, შვილო?! — ჯერ ეუცხოვა მეგის წადილი, მერე მიხვდა... წელან რომ რაღაც

ხმაური მოესმა, იფიქრა, უთუოდ ლარნაკი გაუტყდათო და, უცებ ორივე ხელი მოხვია მეგის, — თქვენი ჭირი წაუღია, შვილო, შენ კარგად იყავი!

შატბიაც მოვიდა. ხილის გასათლელი დანები და სამკუთხედად მოკეცილ-გაუთოვებული ხელსახოცები დედას მიაწოდა.

— ჩემი ბრალი იყო, დეიდა! — ახლა შატბიას გასაგონადაც შენიშნა მეგიმ. — შატბიამ თურმე ლარნაკი გამომიწოდა, მე კი ვერ დავინახე იმ სიბნელეში, კარისკენ ზურგით ვიდექი, და...

— თქვენი ჭირი წაუღია! — კიდევ ერთხელ გაიმეორა ასმათმა, დანები და ხელსახოცები თვითეულ თეფშს გვერდით მოუწყო. — შატბია, შვილო, რას უყურებ, მოიპატიჟე და გაუთალე, მიაწოდე ხილი სტუმრებს.

ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ.

შატბიას გუნებაში გაეხარდა, როცა მეგიმ დაასწრო და თავისთვის აიღო ერთი მსხალი, მაგრამ უცებ გაოცდა და სახეზედაც წამოწითლდა, როცა მეგიმ მეორე უფრო დიდი და მწიფე მსხალი შატბიას დაუდო თეფშზე.

— გაჯობა სტუმარმა! — სიცილით შენიშნა ასმათმა და თავის მხრივ სულიკოს გაუმასპინძლდა. ახლა შატბია ყველაზე უფრო წყნარი და მორცხვი ჩანდა.

სულიკომაც უმალ გადაუხადა სამაგიერო, ლარნაკზე ორი საუკეთესო მსხალი შეარჩია, გათალა და ჯერ ერთი მიაწოდა ასმათს, შემდეგ მეორე.

ასმათი ახლა ისე მხიარულად იყო, ისიც დანარ-ჩენებივით ახალგაზრდა გეგონებოდათ. ძილმაც გადაუარა, დაღლასაც აღარ გრძნობდა.

ცოტა ხანს დუმილი ჩამოვარდა. მეგი და შატ-ბიაც განაბულიყვნენ, წეღანდელი „გაუგებრობის“ ბურუსიდან თავი ჯერ კიდევ ვერ დაეღწიათ.

რადიოთი უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ. მთელი ქვეყნიერება ისმენდა ახლა ამ უკანასკნელ ახალ ამბებს — სად რა აშენდა ჩვენს ქვეყანაში; ვინ რა საქმეში ისახელა თავი; სად, რომელი საწარმო, თუ გიგანტი რამდენი პროცენტით ასრუ-ლებდა გეგმას. სხვებთან ერთად მეგიც და შატ-ბიაც უსმენდნენ ამ ახალ ამბებს, მაგრამ...ახლა მათთვის ის ამბავი იყო ყველაზე ახალი, რომლის შესახებაც მხოლოდ მათ იცოდნენ, რამაც ასე აუ-ძგერა გული და თვალის დახამხამებაში ააფორია-აქა მთელი მათი არსება. შატბიას გულით ეწადა ახლა მეგისათვის შეეხედნა, რომელიც ასმათის გვერდით იჯდა, მაგრამ ვერ ბედავდა. „თავი რომ ავწიო, დედაც შემომხედავს და ჩემს თვალებში ყველაფერს ამოიკითხავსო,“ ფიქრობდა გუნებაში.

როცა ასმათი და-ძმას სტუმრის მისაღებ ოთახში შეუძღვა, მეგიმ ჯერ გაოცებით გადახედა ოთახის ერთ კუთხეში · ნიკელის საწოლზე გაშლილ ლო-გინს, თავში ნახევრად კუთხეგადაკეცილ, თხელ, აბრეშუმის ვარდისფერპირიან საბანს, თეთრ, ქათ-ქათა ზეწარს და დიდმანქანიან ფაფუკ ბალიშს. ოთახის მოპირდაპირე კუთხეში სულიკოსთვისაც

ასეთივე ლოგინი იყო გაშლილი, მხოლოდ მის საბანს ღია ცისფერი პირი ჰქონდა გადაკრული.

მეგიმ მალულად, რაღაც გულდაწყვეტილივით გადახედა ასმათს, გუნებაში სინანულით გაიფიქრა: „ღმერთო ჩემო... ისეთი ძვირფასი ლოგინი გაუშლია დიასახლისს ჩემთვის, სწორედ საქორწილო სარეცელს ჰგავსო“...

შატბიას მიბაძვით, სულიკომაც აივანზე მოისურვა დაწოლა. ასმათმა ერთხანს უშალა, არ გაცივდეო, მაგრამ მერე მაინც შეუსრულა წადილი.

როცა ასმათმა ყველანი დააბინავა, მეგის ძილი ნებისა უსურვა და ოთახიდან გავიდა, კარი ფრთხილად გაიხურა. მეგიმ ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ოთახს, მერე გამორთო ელნათურა, ტანთ გაიხადა და როცა წვებოდა, სულაც არ უგრძვნია, არ უფიქრია, რომ უცხო ჭერქვეშ ათევდა ღამეს და, იმ ლოგინში კი არ იწვა, რომელსაც წლობით იყო შეჩვეული, არამედ უცხო ლოგინში. ახლა ასეთ სუფთა და ბდიდრულ საწოლში დასაძინებლადაც კი გული არ მიუვიდოდა, რომ არ სცოდნოდა — ეს შატბიას სახლი იყო და ეს ლოგინიც ასმათის ხელით იყო გაშლილი.

მეგის არ ეძინებოდა. ლოგინში გულდაღმა მწოლარეს მკლავები ბალიშისათვის შემოეჭდო და თუმც ღია სარკმელში იცქირებოდა, სამყაროს უსასრულობა, ცის ღამეული სილაჟვარდე, ვარ-

სკვლავების ციმციმი და აქა-იქ ღრუბლების ნაირ-ფერობა სრულებითაც არ მოქმედებდა ისე მომჯა-ღოვებლად, როგორც ეს სხვა დროს უგრძვნია. ახლა მისი სმენა, მთელი გულისყური აივნისაკენ იყო მიპყრობილი. მეგის მკაფიოდ ესმოდა, როგორ ჩურჩულებდნენ იქ შატბია და სულიკო. ცოტა ხნის შემდეგ ჩურჩული მიწყდა. სულიკოს ჩაეძინა. ახლა მეგის ესმოდა — მხარის შენაცვლების დროს როგორ გაიჭრიალებდა ხოლმე შატბიას ხის საწო-ლი, ასევე, ძილგამკრთალ შატბიასაც ესმოდა, როგორ იჭიმებოდა ხოლმე დროდადრო მეგის სა-წოლის ზამბარები. ისინი თითქო ახლა ამ უცნაურ ენით ელაპარაკებოდნენ იდუმალ ერთმანეთს.

განთიადზე, როცა მამლებმა ყივილს მოუხში-რეს და ცაც შესამჩნევად გაბაცდა, მეგის ძლივს ჩაეძინა.

რიეკრაჟზე, რამდენიმე წუთის წინ ჩათვლემილ შატბიას უეცრად გაეღვიძა. აივნის ახლოს, ალვის ხეზე შემოსეული ბეღურები გამაყრუებლად ჟივ-ჟივებდნენ. აბუზულები ოდნავ აწეულ ფრთებს აძიგძიგებდნენ და თითქო სიგრილე ხმასაც უთრთო-ლებსო, განთიადის საგალობელს არეულად გასძა-ხოდნენ. მაინც, საოცარია, როგორი თავდავიწყე-ბით, სიყვარულით უმღერის ბუნების გაღვიძებას

ეს პაწაწინა არსება; მისთვის ბუნებას არც მომხიბლავი ხმა მიუმადლებია, და არც მიმზიდველი გარეგნული მორთულობა; მაგრამ, მაინც უმღერის და ისევე უხარია, ეტრფის სიცოცხლეს, როგორც მთების, ველების ძლიერი და თავმომწონე არსებანი. შატბიამ ერთი კი დააჭყიტა თვალი და მიხვდა თუ არა, რაშიც იყო საქმე, სახეზე მკლავ წაფარებულმა ცოტა ხანს კიდევ დაჰყო ასე, ძილ-ღვიძილში, შემდეგ სწრაფად წამოიწია, ძილს რომ ხელახლა არ წაეტყუებინა; ცალი ნიდაყვით მოაჯირს დაეყრდნო და ჯერ ეზოს, მერე ცას გახედა. ერთხანს ასე გარინდებული, თითქო ოცნებას გაუტაცნიაო, უსმენდა ჩიტების ჟივჟივს, სიოს ნელ სისინს, დროდადრო ხეებს რომ ჩამოუქროლებდა და ფოთლებს სასიამოვნოდ ააშრიალ-ააფარფატებდა. როცა კარგად ინათა, აქამდე სისხლის შედედებულ ტბორივით შეფერილი ცის კიდურიც გაბაცდა, ბეღურების ჟივჟივიც მინელდა, მათი ხმა აჭა-იქღა ისმოდა კანტიკუნტად. პირველი საგალობლის შემდეგ, თითქო ვალი მოიხადესო, აქამდე ალვის ხეზე შემოსეულნი, ნელ-ნელა იფანტებოდნენ, „დღიური ლუკმის“ საშოვნელად ეშურებოდნენ. წეღან ასე გატაცებით მომღერალნი ახლა ეზოში თუ აივანზე ერთმანეთს ნამცეცებს ეცილებოდნენ.

შატბიამ ერთ ხანს უსმინა, მერე უცებ ისე ჩაიქნია ხელი, თითქო იმ საგალობლის შემდეგ აღარ მოსწონს ნამცეცების გულისათვის ატეხილი, ბეღუ-

რების ცილობაო, მთქნარებით წამოდგა, კეფასთან, შემდეგ საფეთქელთან ღრმად შეაცურა თითები აშლილ თმებში და ისე გულმოდგინედ მოიფხანა თავი, თითქო შვების მომგვრელ, დიდი ხნის წადილს ისრულებსო. ახლა ხელი ჩახსნილ უბეში ჩაიყო, იღლიასთან მკერდის კუნთს ჩასჭიდა თითებით და ერთ ხანს ამ მდგომარეობაში დაჰყო. კუნთის სირბილე და სითბო ესიამოვნებოდა; ესიამოვნებოდა ამ სითბოს შეგრძნობაც და წუხანდელ შემთხვევის გახსენებაც, რომელიც ახლა უფრო სიზმარს ჰგავდა, ვიდრე ცხადს. ამის მოგონებამ უცებ გამოარკვია და შეაკრთო — „ვაი თუ მეგისაც ღვიძავს და მითვალთვალებსო“, — გაიფიქრა დარცხვენილმა, სწრაფად ამოაცურა უბიდან ხელი და ფანჯარასაც ქურდულად გახედა. ოთახში ჯერ კიდევ ნახევრად ბნელოდა, ფანჯრებზედაც ფარდები იყო ჩამოფარებული. ძნელი იყო იმის შეტყობა მეგის ეღვიძა, თუ ეძინა. გარდა ამისა, შატბიას არანაკლებ აინტერესებდა — ახსოვდა თუ არა კიდევ მეგის წუხანდელი ღამე. იქნებ უკვე ყველაფერი ღამეს სიზმარივით გაჰყვა, და ამაოა იმის გახსენება, რაც იყო.

ძალიან ფრთხილობდა შატბია, სტუმარი არ გაეღვიძებინა, მაგრამ ხის საწოლმა ერთხელ მაინც ისე გაიჭრაჭუნა, როცა შატბია ნაპირზე ჩამოჯდა, გეგონებოდათ, ჟანგიან ლურსმანს აძრობენო. სულიკოს უმალ გაეღვიძა, გულაღმა მწოლარემ ჭერს თვალი მოავლო და შატბიასაკენ გადმობრუნდა.

— გათენდა?! — იკითხა გაკვირვებით, მკლავები გაჭიმა და ნებიერად დაამთქნარა.

— თქვენ ძილს ნუ დაიკლებთ... მე სამუშაოზე ვარ წასასვლელი...

— ასე ადრე? — სულიკომ ბალიშის ქვეშ ხელი შეაცურა, საათი გამოიღო, — ხუთის ნახევარია! რა ამბავია!? ჯერ, კაცო, მგონია, მამლებსაც არ უყივლიათ!

— მამლები ახლა ნასაუზმებიც არიან, — ღიმილით შენიშნა შატბიამ, — შვიდზე შახტში უკვე ღამის ცვლას უნდა შეეგებოთ, უბანი ჩავიბაროთ...

— შვიდზე?.. როდისღა გამოხვალ?

— ნაშუადღევს, სამ საათზე. თუ მანამდე არ მოიწყენთ, ოთხის ნახევარზე უკვე სახლში ვიქნები. თუმცა რა მოგაწყენთ, დღეს, ალბათ, თქვენი საქმეების მოგვარებას, ტრესტის მმართველის და სხვა ამხანაგების ნახვას, გაცნობას, მოლაპარაკებას მოუნდებით.

—ტრესტის მმართველს და შახტის უფროსს უკვე ველაპარაკე, ავუხსენი ჩემი ჩამოსვლის მიზანი. ხომ იცი, როგორც იციან ხელმძღვანელებმა, ხელგაშლილი მიმიღეს და მერე, ვნახოთ, როცა გულსაც გავუსინჯავ... — სულიკომ სიტყვა არ დაასრულა, შატბიას გაუცინა. — დღეს თუ რაიკომის პირველი მდივნის ნახვაც მოვახერხე, ხვალიდან უკვე მუშაობას შევუდგები...

სულიკოს წამოწეული თავი ბალიშის შუაგულ-

ში ნიდაყვით ჩაფლული ხელით ეჭირა, მეორე ხელი კი საბანზე ბარძაყის გასწვრივ ედო და ხანდახან ლაპარაკში იშველიებდა. გუშინ სულ სხვანაირად ეჩვენებოდა იგი შატბიას. ჩაცმული, დავარცხნილი ითქო უფრო მკაცრად გამოიყურებოდა, ახლა კი ისეთი უბრალო და უდარდელი ჩანდა, უნებლიეთ გაფიქრებინებდათ, ერთ ღამეში ასე როგორ გამოიცვალაო.

შატბიას უკვე ჩაეცვა და კვლავ საწოლის ნაპირზე იჯდა, მაგრამ ვაი ამ ჯდომას. სულიკოს მასთან ლაპარაკი ეხალისებოდა, შატბიას კი სამუშაოზე აგვიანდებოდა. არ უყვარდა გვიან მისვლა.

დედა უკვე საზაფხულო სამზარეულოში საქმიანობდა. ის, მართალია, სამუშაოზე არ ეშურებოდა, მაგრამ ბავშვობიდანვე მიჩვეული იყო ადრე ადგომასაც და ოჯახის საქმეების დროზე მოთავებასაც.

•ნიკო ჭის ახლოს, ხეზე მიმაგრებულ პირსაბანზე დაბანილ ხელ-პირს იმშრალებდა და თან დროდადრო სახლისაკენ იცქირებოდა; უკვირდა, შატბია რომ აქამდე არა ჩანდა. დღეს პირველი შემთხვევა იყო, რო მამამ შვილს პირის დაბანა მოასწრო.

თითქო ახლა მოაგონდაო, შატბიამ სტუმრის გასაგონად უცებ წამოიძახა — არ დამაგვიანდესო, სწრაფად წამოდგა, ლოგინი ზერელედ გაასწორა და ხელ-პირის დასაბანად გაეშურა. გრძელი, ჩინჩლიანი პირსახოცი წელზე ჩაქურის ზონარივით შემოიხვია, ლეღვის ფოთოლში გახვეული, წითელი ხელის საპონი და კბილის ფხვნილიც არ დავი-

წყებია: შატბია რომ ეზოში ჩავიდა, სულიკომ გვერდი იბრუნა, თავი მოიმძინარა, შინაურები რომ არ მორიდებოდნენ და თავისუფლად ევლოთ აივანზე, თუ ამოსვლა დასჭირდებოდათ.

შპურების აფეთქების შემდეგ შატბია და მისი ამხანაგები ათ-ხუთმეტ წუთს კიდევ იცდიდნენ საფარში. როდესაც ამფეთქებელმა მათ აცნობა, რომ ყველა შპური თავის დროზე აფეთქებულიყო და სანგრევში ჰაერიც ქვანახშირის ბუღისაგან უკვე გაიწმინდა, განიავდა, ყველანი ლავისაკენ გაეშურნენ. ლავაში შესვლისთანავე შატბიას უპირველესად ვენტილაციის მუშაობა აინტერესებდა. თუ დარწმუნდებოდა, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო, უმალ მუშაობას იწყებდა. გულმოდგინედ ამოწმებდა სანგრევის ჭერს, ნაჩვეული ხელით ჰკრავდა მას აქა-იქ წერაქვს და თუ ჭერი საეჭვო, ფუყე ხმას არ გამოსცემდა, გულდამშვიდებული, ახლა ფენიდან ნახევრად მოცილებულ ნახშირის ნამტვრევებს, თუ კლდის ქანის გამოჩრილ ქიმებს ჩამოასწორებდა წერაქვით, თან აკუმულატორული ლამფის შუქზე ჭერში ეძებდა საეჭვო ბზარებს და თუ სადმე შეატყობდა, რომ ჭერი სუსტი, არასაიმედო იყო, ნახშირის გროვისაგან ამ არეს განთავისუფლების უმალ შეუდგებოდა დროებითი სამა-

გრის ჩადგმას. ვიდრე შატბია ამ საქმით იყო გართული, კაკო ზიბზიბაძე თავის მხრივ არანაკლები გულმოდგინებით ეძებდა მონგრეულ ნახშირის ფენაში ცუდად აფეთქებული შპურის ღრუს ძირას ჩარჩენილ აუფეთქებელ ვაზნას. ასევე გაფაციცებით ეძებდა იგი აუფეთქებელ ვაზნას ნახშირის გადმოხვავებულ ნამტვრევებში. თუ კაკო ეჭვობდა, რომ ნახშირის გროვაში აუფეთქებელი ვაზნა იყო ჩარჩენილი, ამხვეტებს აფრთხილებდა, რომ მხოლოდ ხის ნიჩბებით ემუშავნათ.

როგორც კი ნახშირის გროვისაგან გაწმენდილ სანგრევში დროებითი ჩარჩოსათვის ამხვეტებმა შატბიას ადგილი მიუჩინეს, ის უმალ შეუდგა მუშაობას. სანგრევის „ჭერი" უკვე მოსინჯული ჰქონდა. გამზადებული ჩარჩო ხორხომელიძის დახმარებით უმალ ჩადგა გამონამუშევარში. პასპორტის ძიხედვით დამზადებული ჩარჩოები ადგილს ისე მოერგო, გამაგრების შემდეგ ბოძებს ოდნავაც ძვრას ვერ უზამდით. შატბიას გამართული ჩარჩოები მუდამ საიმედო იყო. თუ იგი შეატყობდა, რომ სარტყელი ჭერს მჭიდროდ არ ეკვროდა, უმალ სოლებით მარჯვედ გასჭექავდა მას; სოლს არასოდეს სარტყელის შუაგულში არ მოაქცევდა, რათა ფენის დაწოლისაგან ყუაფიცარი არ გაპობილიყო. შატბიას არასოდეს არა ჩვეოდა ფუსფუსი და აჩქარება. ერთი შეხედვით შეიძლება კიდეც მოგჩვენებოდათ, რომ ზანტად მუშაობსო, მაგრამ ამ საქმეში მისი, უკვე საკმაოდ გაწაფული ხელის

მოძრაობას თუ კარგად დააკვირდებოდით და, შედეგსაც შეამოწმებდით, დარწმუნდებოდით, რომ შატბიაზე უფრო სწრაფად, გულმოდგინედ და ნაყოფიერად უბანში ბევრი ვერ მუშაობდა. კაცი იფიქრებდა, შატბია ასე გულმოდგინედ იმიტომ მუშაობს, ალბათ ეს საქმე განსაკუთრებით იზიდავს და ემარჯვებაო, მაგრამ სხვა საქმეში გართულიც რომ გენახათ იგი, უნებლიეთ დარწმუნდებოდით, რომ შატბიას მარტო მებიგეობა არ ეხერხებოდა. შატბიას, თავიდანვე, ბიგების გამართვაზე უფრო მეტად იზიდავდა შპურების ხვრეტა და ნიკოს უჩუმრად მნგრეველები კიდევაც ანდობდნენ ხოლმე ამ საქმეს. შატბია მაშინ ნამდვილ მებრძოლს ჰგავდა. ღონემოჭარბებული ჭაბუკი დინჯად, მაგრამ მთელი თავისი შეუპოვრობით, უნარით, ისე ებრძოდა ამ ქვესკნელში მომწყვდეულ შავ ფენებს, როგორც დაუნდობელ მტერს. და როცა დატენილი შპურები ზედიზედ ყრუ გუგუნით შეარყევდა ქვესკნელის დახლართულ ხვრელებს—შტრეკებს, შუროებს, ჯურღმულებივით ამოღამებულ გამონამუშევრებს, ქვერშლაგვებს, გეზენკებს, თითქო მტერს სძლიაო, შატბია, სხვებთან ერთად საიმედო ადგილს მოფარებული, შეუმჩნევლად გაიღიმებდა და გულსაც მოეშვებოდა. ის დაძაბულობაც გაუვლიდა, რომლითაც შეპყრობილი იყო აქამდე, შპურების აფეთქების და ქვანახშირის ხვავრიელად მონგრევის მოლოდინში; შატბიას ხიბლავდა, ქვეცნობიერად იზიდავდა მეშახტის თავგანწირული შრომა;

გულის სიღრმეში ნიკოსაც ამართლებდა, ამ საქმეზე რომ ასე გადაგებული იყო იგი და შვილსაც ურჩევდა — სხვა ხელობა ნუ გინდაო.

შატბიას მეშახტის შრომაში უპირველესად ხიბლავდა ის დაძაბულობა, ის სიმკაცრე და ბრძოლის განწყობილება, რომელიც მუდამ თან ახლავს ამ საქმეს. მაგრამ სულ სხვა იყო ის გრძნობა, რომელიც დიდი ხანია მძლავრობდა შატბიას ნორჩ გულზე, გრძნობაზე, გონებაზე. ამ სათუთ გრძნობას, ხელოვნების სიყვარულს, ძერწვის წყურვილს ვერსაით გაქცეოდა, ვერაფრით დაეთრგუნა.

არავის ჩაუნერგავს მისთვის ეს მისწრაფება, არავის უსწავლებია თიხაში ძერწვა, მოქანდაკის თვალით ჭვრეტა ყოველი საგნისა თუ სულიერისა და ფანტაზიაში, ქვასა თუ ხის მასალაში მათი თავისებურად წარმოსახვა. ეს ისევე თანდაყოლილი მიდრეკილება და უნარი იყო, როგორც იხვის ჭუჭულისათვის გამოჩეკის უმალ წყალში ცურაობა. და რაც უფრო ცდილობდა შატბია წინ აღსდგომოდა ამ მიდრეკილებას, ამ წადილს, მით უფრო ძლიერად იმორჩილებდა მის არსებას ეს უძველესი უცნაური გრძნობა.

ცხადია, ამგვარი მისწრაფებისათვის შატბიას ვერავითარი ახსნა ვერ მოენახა, რათა ნიკოს წინაშე თავი ემართლებინა და დაერწმუნებინა ძველი მეშახტე თავის „უცოდველობაში“.

პირველ ცვლას ერთი საათიღა დარჩენოდა სამუშაოდ. მნგრეველებიც, მებიგეებიც, ვაგონეტების

გამგორებლებიც და ქვანახშირის მტვირთავებიც ულაკვე საკმაოდ დაღლილნი იყვნენ, მაგრამ ყველანი ჯერაც ისეთის შეუპოვრობით მუშაობდნენ, გეგონებოდათ — საქმეს ახლახან შესდგომიანო. ლაპარაკს, მით უმეტეს, ხმამაღალ სიტყვას, იშვიათად გაიგონებდით. ყველა თავისი საქმით იყო გართული, ყველამ ზედმიწევნით იცოდა რა ევალებოდა, რა უნდა გაეკეთებინა. ერთი წადილით, ერთი მისწრაფებით იყვნენ ისინი გამსჭვალულნი, რაც შეიძლებოდა მეტი ქვანახშირი მოენგრიათ თავიანთ ცვლაში და როცა შახტიდან მზის სინათლეზე ამოვიდოდნენ, დღევანდელი წარმატების მაუწყებელ დაფის წინ ისე ჩაევლოთ გამურულ-გალაფულებს, რომ თავი ამაყად სჭეროდათ.

შტოლნიდან თავითფეხამდე გამურული კაცი გამოვიდა. მზის სინათლეზე მან ისე მოჭუტა და ააცამცამა თვალები, გეგონებოდათ ახლახან გაუღვიძნიაო. ზარის წკრიალზე შტოლნიდან მომავალ აკუმულატორულ ელმავალს გზა უტია, რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე შედგა, ნახშირით დატვირთული ვაგონეტების მწკრივს თვალი გააყოლა. ზოგ ნაკლულ ვაგონეტში ნახშირს ზემოდან წყალი მოსდგომოდა, მისი ზედაპირი შავად ლივლივებდა. საყირაოზე მომუშავენი ბუნკერში ვაგონეტის ჩა-

ცლამდე, ნახშირის თავზე მოყენებულ წყალს გულმოდგინედ ხაფავდნენ თუნუქის ჯამით.

უბნის უფროსმა როგორც იყო მოწყვიტა ხარბი მზერა ვაგონეტების მწკრივს და ჯერ კიდევ ნახშირზე ფიქრით გართულმა ბრეზენტის კურტკის მარცხენა სახელოს ნაპირი ისე გადასწია, თითქო იკაპიწებსო. საათს დახედა, გზა ჩაფიქრებული კაცის ნაბიჯით განაგრძო. ერთი წამის შემდეგ ისევ დახედა საათს გულმავიწყის თვალით. ახალ ცვლაში გასასვლელად მეშახტეების შეკრების დროც მოახლოებულიყო.

ალბათ ბევრს არ მიუქცევია ყურადღება, რა საოცარი გაყუჩების ჟამი დგება ხოლმე ყოველი ახალი ცვლის დაწყების წინ, სულ ერთია, სისხამი დილაა, როცა პირველი ცვლა ეშურება შახტში, შუადღეა, თუ შუაღამე. ამ დროს მეშახტეები შოსეგზაზე ჯერ კიდევ არა ჩანან. კომბინატის ეზო უკაცრიელ ადგილს ჰგავს. შეიძლება დროდადრო დისპეტჩერს მოჰკრათ თვალი ღია ფანჯარაში, რომელიც წამდაუწუმ ეძახის და პასუხობს ტელეფონით. შახტიდან ახლახან გამოსული უბნის უფროსი — ნიკო არაბიძე კომბინატის ეზოში საწარმოო გეგმის შესრულების მაჩვენებელ დაფის წინ შედგა, თვალი ცოცხლად გადაავლო ცარცით დაწერილ ციფრებს, შემდეგ ორი თითის აკვრით კეფიდან ქუდი შუბლზე წამოსწია და თავი მოიფხანა. გეგმა თუმცა ას ერთი პროცენტით

შეესრულებინათ, მაგრამ თავისი უბნის მუშაობი-
ის მაინც არ იყო კმაყოფილი.

უბნის უფროსი იქვე, დაფის წინ, ცემენტის ვიწ-
რო მოედნის ნაპირზე ჩამოჯდა, წვივებს შუა ჩა-
ღგმულ აკუმულატორულ ნათურის თავი ნახევრად
შემოაბრუნა, სინათლე ჩააქრო, მერე შორიახლოს
მიმავალი ვენტილაციის უფროსი მოიხმო და პაპი-
როსი სთხოვა. ასე ცემენტის ფილის ნაპირზე ჩა-
მომჯდარი უბნის უფროსის დანახვაზე კაცი იფი-
ქრებდა, მოცლილიაო, ნამდვილად კი ათასი ფიქრი
უტრიალებდა თავში და არ იცოდა რა ეღონა, რა
გზას დასდგომოდა. უპირველეს ყოვლისა, ცხადია,
უნდა გაბანილიყო, ეს გამურულ-დალაქავებული
ბრეზენტის სპეცსამოსი და ბოტები გამოეცვალა,
მაგრამ თან იმასაც ფიქრობდა — ვაითუ ამ ცვლ-
შიაც საქმემ შახტში ჩემი ჩასვლა მოითხოვოს და
ცვლის გასტუმრებამდე რაღა აზრი აქვს გაბანვას
და ტანსაცმელის გამოცვლასო. შიოდა, მაგრამ
ჯერ ერთი, სასადილოდ დრო აღარ ჰქონდა, მეო-
რეც, ასე გამურული სასადილოში ვერ შევიდოდა.
თუ ეს სამოსი და მორთულობა შახტში უებარი და
გარემოს შესაფერი იყო, გარეთ იგი მნახველზე
არც ისე საამო და მიმზიდველ შთაბეჭდილებას
სტოვებდა.

ნიკო ჩამოჯდა თუ არა, დაღლაც იგრძნო, რამდე-
ნიმე წუთის შემდეგ, ერთი პირობა, ადგომა რომ
დაეპირა, ისიც კი დაეზარა; „ცუდად არის ჩემი
საქმე, სიზარმაცე მერევაო“, გაიფიქრა და მარდად

წამოდგა, ნათურაც მარჯვედ ჩამოიკიდა კისერზე კაუჭიანი მავთულით, თავის თავს კი გამოუტყდა — დაღლილი ვყოფილვარო, მაგრამ გუნებაში უმალ შეესიტყვა თავის უნებლიე აღიარებას — განა თქმულა როდისმე უბნის უფროსის დაღლაო.

ასე ეგონა, ახლა ყველაფერმა ჩემთვის მოიცალაო. გუშინ, მომხვეტი ტრანსპორტერის თავის სახელდახელო შეკეთების დროს მოადგილე დაუშავდა, დასხლეტილი რკინის ნაჭერი თავში მოხვდა. მის მაგივრად ნიკოს სამ ცვლაში ორჯერ უკვე მოუხდა შახტში შესვლა. ესეც რომ არ ყოფილიყო, თვის ბოლო რიცხვებში ყოველთვის მეტი დაძაბულობა და ფუსფუსია. ყველა ცდილობს თავიც ისახელოს, უბანიც ჰსახელოს, შახტიც, კომბინატიც, ტრესტიც. ამ საწარმოო გეგმის შესრულების ციებ-ცხელების დღეებში ტელეფონების წკარუნიც გახშირდება ხოლმე. შახტის უფროსს ტრესტის უფროსი ხშირად დღის განმავლობაში რამდენჯერმე დაესხმის თავს მანქანით, ხანდახან შახტშიაც შეიხედავს, სამუშაო წერტებს დაივლის და ათისთავებსაც გაესაუბრება. შახტის უფროსი თავის მხრივ უბნის უფროსებს ეკამათება, აფრთხილებს და ღელავს, კაბინეტში გული აღარ უჩერდება, უბნის უფროსები კი სულ იმის ცდაში არიან ცალკე მიმდინარე თვის, ცალკე დღიური ნორმის შესასრულებლად ხალხი ისე დარაზმონ და ხელიც შეუწყონ, რომ ლავებში მეტი ქვანახშირი მოინგრეს. სამთო მოსამზადებელი სამუშაოების ოსტა-

ტებმა რაც შეიძლება მეტი მანძილით წაიწიონ თავიანთ ხაზზე, მებიგეებმა, ამხვეტებმა, გამგორებლებმა, ელმავლის მემანქანეებმა, ვენტილაციის მეთვალყურეებმა კი მათი წარმატება უზრუნველყონ. ამ ცხარე დღეებში უბნის უფროსებს ძილისათვის აღარც კი სცალიათ. საწარმოო გეგმის — ამ სწორედ რომ თავისებური საბრძოლო დავალების—შესასრულებლად ყოველ ოცდაოთხ საათში ის სამჯერ გზავნის, ხანაც თვითონ მიუძღვის მეშახტეთა ასეულებს შტრეკებით, შუროებით, ქვერშლაგებით, გეზენკებით დაღარული ქვესკნელისაკენ. მიაქვთ ამონალი, პნევმატური ჩაქუჩები, ბარწერაქვი, უშველებელი, ორ-სამ მეტრიანი საბურღავები, ხე-ტყე. წინა ცვლის მიერ სამუშაოების ახალი ცვლისათვის გადაბარების შემდეგ დიდი ხანი არ გავა, რომ აქა-იქ, შეუჩვეველისათვის თავზარდამცემად დაიღმუვლებს ნახშირის ფენის ხვრელებში მომწყვდეული ამონალი და ზღაპრულ ცხოველის ვებერთელა ხახასავით დაბჩენილ სანგრევიდან გამოვარდება მტვერის შავი ბოლქვები. შტრეკების ჭერიდან, აფეთქების დროს უშიშარ ადგილს მოფარებულ მეშახტეებს აცვივათ ქვანახშირის ნამცეცები, დროდადრო ამ ძალუმ ბიძგისაგან შეტორტმანებულ სივრცეში, როგორც ტყეში დიდი ქარიშხლის დროს, ისე გაიჭრიალებს ხოლმე წელში გადრეკილი ფიჭვის ბიგი...

მას მერე, რაც უბნის უფროსმა საგანრიგოს ფანჯრიდან შოსე გზაზე მომავალი მეშახტეები

შენიშნა, ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, მაგრამ კომბინატის ეზოში მეშახტეებს უკვე ბლომად მოეყარათ თავი. ვინც შახტიდან ორი-სამი კილომეტრის სიშორეზე ცხოვრობდა, ისინიც უკვე მოაქროლეს სარეისო მანქანით. კომბინატის მარჯვენა კარიდან საგარდერობოში ჩვეულებრივი, საზაფხულო ტანსაცმელით შესული მეშახტეები უკან ბრუნდებოდნენ უხეშ, ბრეზენტის სპეცსამოსში გამოწყობილნი. ეს ჩაცმულობა მათ ახლა თავისებურ მკაცრ იერს ჰფენდა. საგანრიგოები კომბინატის პირველ სართულში დიდი საკრებულო დარბაზის ორი მოპირდაპირე კედლის გასწვრივ იყო ჩარიგებული, როგორც შუა დარბაზიდან, ისე ერთმანეთისაგან ტიხარით განცალკევებული, გამოყოფილი. შუა დარბაზში ოც მწკრივად ეწყო სამ-სამი მეტრის სიგრძე მერხები. მერხების პირდაპირ, კედლის წინ, მცირე შემაღლებაზე, კუთხეში იდგა კათედრა. კედელზე, მაღლა ეკიდა ლენინისა და სტალინის პორტრეტები, მათ შუა გაკრული იყო წითელი მატერია, რომელზედაც თეთრი საღებავით და მსხვილი ასოებით ეწერა ლოზუნგი; ქვემოთ ეკიდა სტახანოველ მეშახტეთა პორტრეტებით და მათი შრომის წარმატებების მაჩვენებელ ციფრებით გადაჭრელებული დაფა. დარბაზში შემოდიოდნენ თავით ფეხამდე სპეცსამოსში გამოწყობილი მეშახტეები — ახალგაზრდები, ხნიერები, ყველანი ერთნაირად, მსახიობივით სუფთად გაპარსულნი და მხნედ მზირალნი. მოსულთ თანდათან ემატებოდ-

ნენ ახლები. თითქმის ყველას ანთებული აკუმუ-
ლატორი ეჭირა ხელში, ან კურტკის შუა ფოლაქ-
ზე, თუ კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული მოკაუჭე-
ბული მავთულით. თავთავიანთ საგანრიგოს ახლოს
შეკრებილი მეშახტეები მზად იყვნენ გვარის გა-
გონების უმალ საგანრიგოში უბნის უფროსთან
გამოცხადებულიყვნენ. მართალია, ყველამ იცოდა
თავისი საქმე, უბნის უფროსის მოადგილეს ყველა
განაწილებული ჰყავდა, მაგრამ ზოგჯერ გარემოების
და მიხედვით, მაინც ხდებოდა ერთი დავალების
შეცვლა მეორეთი.

უცებ დარბაზში გარმონის ხმა გაისმა. გავრილი-
უკის გარშემო უმალ წრე შეიკრა. რომელიღაც მე-
შახტემ თამამად წამოიწყო სიმღერა. მას აჰყვნენ
სხვებიც. გავრილიუკმა ერთბაშად მარჯვედ შეცვა-
ლა სიმღერის მოტივი ქართული საცეკვაოთი, ახლა
ტაშის რიტმიული ტკაცატკუცი ატყდა, მჭიდროდ
შეკრული წრეც უმალ გააფართოვეს ნიდაყვების
კვრით და ბიჭებმა ერთი-ორი შეკივლების შემდეგ
ფეხიც მარდად გაუსვეს. ჭრიალებდა იატაკი, ხურ-
დებოდა ტაში, ზრიალებდნენ ფანჯრის მინები. ამ
მხიარულებაში და ალიაქოთში შახტის კომიტეტის
თავმჯდომარის ნაცნობ ხმაზე გავრილიუკმა გარ-
მონი ნელა დააკვნესა და ბოლოს სულ ჩააჩუმა;
შეწყდა ცეკვაც. მეშახტეები დაიშალნენ, მერხებზე
ჩამოსხდნენ. შახტკომის გვერდით, შემაღლებაზე,
კათედრასთან იდგა მსუქანი, შუახნის კაცი. ამ ლე-
ქტორს, ფლიუსიანივით ლოყებდაბერილსა და

ჩაფსკვნილს, ყველა მეშახტე იცნობდა. ლექტორმა, თითქო უტევსო, სამრავალჟამიერო, ხორხისმიერი ხმით რიხიანად დაიწყო ლექციის კითხვა. მაგრამ მისი სიტყვა ახლა ნახევარსაც არ ესმოდა, ყველა ცვლაში გასვლის მოლოდინში იყო. დროდადრო, დაძახების უმალ ხან ერთი მეშახტე წამოიჭრებოდა ზეზე და საგანრიგოსაკენ ეშურებოდა, ხან მეორე. ლექტორი ყურადღებას არ აქცევდა ხმაურს, ფუსფუსს, ისევ ისე რიხით და გულმოდგინებით განაგრძობდა ლექციის კითხვას.

დაუძახეს თუ არა ხორხომელიძესაც, წელან რომ ამხანაგთან ერთად თავგამოდებულად ცეკვავდა და თითქო შეხურებული მას შემდეგ ადგილზე მოსვენებით ვეღარ ახერხებდა ჯდომას, ის უმალ წამოიჭრა და საგანრიგოში გაჩნდა. უბნის უფროსს არ ეგონა, თუ ხორხომელიძე უკვე მის ზურგს უკან იდგა და ერთი ისე იყვირა — სად არის ის ყმაწვილიო, — მისი ყვირილი ეზოშიაც გაიგონეს. გარსშემოხვეულთა სიცილზე უბნის უფროსმა გაოცებით მიმოიხედა და თვითონაც გაეცინა, თავს წამომდგარ, ვეფხვივით ფიცხ და მოქნილ ჭაბუკის თვალებს რომ შეეფეთა მისი მზერა.

— ხორხომელიძე, ბიჭო, რავაა საქმე? ყველაფერი შეიგნე, რაც უნდა გააკეთო?

— როდის იყო, ამხანაგო უფროსო, რომ... — ცალყბა ღიმილით და ცალი მხრის შეტოკებით კითხულობს ხორხომელიძე, მაგრამ სათქმელს აღარ ამთავრებს, უბნის უფროსი რომ დავაში არ გამოი-

წვიოს და რამე საფათერაკო არ გამოუჩხრიკოს თავის თავს.

— სწორედ იმიტომ, შენი ჩამორჩენა რომ ჯერ არა თქმულა, მთავარ ინჟენერს დილით დავენაძლავე — ხორხომელიძე ამ თვეშიაც ორასი პროცენტით შეასრულებს გეზენკის გაჭრის გეგმასმეთქი! აბა შენ იცი, არ გამაწბილო!

უბნის უფროსის სიტყვებზე აღელვებულმა და გახარებულმა ხორხომელიძემ ისღა მოახერხა, რომ მადლობის ნიშნად მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, თითქო უბნის უფროსს სალამს უძღვნისო და მყის თვალს მიეფარა.

— თუ ამ უბნიდან გადამიყვანეს, ჰო, რა ბიჭები ღახვდება მზამზარეულად ქარქაშაძეს!

აქამდე კოპებშეკრულ ნიკოს სახე ერთბაშად გაებადრა. ხორხომელიძისაკენ აბზეკილი ცერით და თვალით იქ მყოფთ ანიშნა და კმაყოფილებით დასძინა:

— მაგას ჰქვია მარჯვენა ხელი! ასპროცენტიანი მეშახტეა!

გონტამაც თავი ასწია და თანხმობის ნიშნად ოდნავ გაუღიმა ნიკოს, მერე ისევ ქაღალდს დააცქერდა, თითქო ეშინოდა, ძვირფასი წუთები ფუჭად არ დამეკარგოსო. ის ისე დაჟინებით აკვირდებოდა წარწერებით აჭრელებულ ქაღალდს, იფიქრებდით, იზეპირებსო. მართლაც, ამ წუთში ის თუმცა ამ გაურკვეველ წარწერებს დასცქეროდა, მაგრამ ფიქრით შახტში იყო და ყოველი მუშა,

ვინც საით გაეშურა, სრული სიცხადით ედგა თვალწინ.

— ანდრეი, დღეს სადმე გვაკლია მუშა, ყველა თავის ადგილზეა?

— ავადმყოფობის მიზეზით მარტო ორი კაცი არ გამოცხადებულა, — გონტამ დაუსახელა გვარები.

— გეზენკის გამყვან ბრიგადაში რომ მუშაობს, ის, არა? მეორეც, ხე-ტყის მიმწოდებელი... ეგენი ვიცი! შემცვლელებად ნაკლები ბიჭები არ გაგეგზავნია.

— რა თქმა უნდა.

— ჩვენი შეცვლა არ ხერხდება ხოლმე, თორემ... — ნიკო წამოდგა, ზურგს უკან ხელებშემოწყობილმა საგანრიგოში გაიარგამოიარა. უცებ კარებთან კუთხეში ატუზული სპეცსამოსში გამოწყობილი მეშახტე შენიშნა.

— რაღას უდგეხარ აქა?! — იყვირა ნიკომ, ახლოს მიეჭრა, დააკვირდა. მეშახტე ქერა, ჩია ტანის ყმაწვილი იყო, მისი მუშტისხელა თაკი წარბებამდე შემალულიყო დიდი ზომის ქუდში. ნიკოს წამოყვირებაზე ანდრეიმაც მოიხედა...

— ეგ ამხანაგი თხოულობს — დღეს მესამეს მაგივრად მეორე ცვლაში გამიშვითო.

ყმაწვილმა ისე გამომწვევად შეხედა ნიკოს, თითქო უსაყვედურებდა — რა დიდი ფიქრი და გადაწყვეტა უნდა, რაღას მაგვიანებთ — ერთი სიტყვა და — უმალ შახტში გავჩნდებიო.

— ახლავე... გაიხადე! — მწყრალად, როგორც დამნაშავეს, ისე მიმართა ნიკომ ყმაწვილს. შემდეგ გონტას მიუბრუნდა. — ახდოეი, ჩეძგახ იცოდე! ვინც უნდა იყოს, როცა თავის ცვლაში არ გამოცხადდება, შახტში ნუ გაუშვებ.

— ხომ ხედავ, არ ვუშვებ, მაგრამ სჯერათ?..

ყმაწვილ მეშახტისათვის იმდენად მოულოდნელი და საწყენი იყო უბნის უფროსის და მისი თანაშემწის ასეთი მკაცრი პასუხი, აღარ იცოდა, რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო. რატომღაც დარწმუნებული იყო თანხმობას მიიღებდა და აქამდე უდარდელად გამოიყურებოდა.

— თუ ზოგი ასიანია, — განაგრძო ნიკომ, — ზოგი კიდევ ოცდახუთპროცენტიანი მეშახტეც არ არის! ნაწილობრივ ამ ამბავში ჩვენცა ვართ დამნაშავე.

მეშახტემ შეატყო რა, ნიკოსთან ვერაფერს გახდებოდა, აზრს ვერ შეაცვლევინებდა, უსიტყვოდ დატოვა საგანრიგო. ნიკომ უკანასკნელ ხე-ტყის მოთხოვნის ფურცელს ხელი მოაწერა და იქვე მდგომ მეშახტეს გაუწოდა, თან გააფრთხილა:

— ბიჭო, გუშინდელივით არ მოგივიდეს!

მეშახტემ თავი დაუქნია და საგანრიგოდან სწრაფად გავიდა.

— რა მოუვიდა გუშინ, — იკითხა გონტამ.

— მაგ ყმაწვილს... ხე-ტყე კი დაუტვირთია და შეუტანია შახტში, მაგრამ ვისაც ეკუთვნოდა, არ გაუფრთხილებია — მოვიტანეო. როცა მებიგეებმა

ხე-ტყე მოიკითხეს, ბოლოსად აღმოჩნდა. თურმე დატვირთულ ვაგონეტებს „არ მიუცდიათ“, სადაც ხე-ტყის მიმწოდებელმა დააყენა, თავისით წარიხინებულან, სხვას მისდგომიან კარზე.

მას მერე, რაც უბნის უფროსმა ახალი ცვლა გაისტუმრა, საგანრიგოში ფუსფუსი და ხმაური მიწყდა, სიწყნარე ჩამოვარდა. ახლა მარტო დამლაგებლის ნელი ღიღინი და გრძელტარიანი ცოცხის იატაკზე ძალუმი გასმის ხმაღა ისმოდა შუადარბაზიდან.

ცვლის გასტუმრების შემდეგ ნიკო მანამდე არ მოეშვა გონტას, სანამ შინ არ აიძულა წასვლა. დაშავებული გონტა თავს ჯერ კიდევ ცუდად გრძნობდა.

გონტას წასვლის შემდეგ, მალე ქვესკნელში ნაომარი ვაჟკაცებიც გამოჩნდნენ. ისინი ნელი ნაბიჯით ეშურებოდნენ კომბინატის იმ შესასვლელისაკენ, სადაც სალამფეს სარკმელებია კედელში მწკრივად გამოჭრილი. ზოგი მეშახტის კურტკის ფოლაქზე, თუ კისერზე მავთულის კავით დაკიდული ნათურა ჯერ კიდევ კიაფობდა დღის სინათლეზე. კაცი ვერც კი წარმოიდგენს, თუ ამ ოდნავ მოკიაფე შუქს რა ძალა აქვს მიწის გულში. როგორ ფანტავს შტრეკში, თუ გამონამუშევარში, დამკვიდრებულ წყვდიადს.

ზოგ მეშახტეს ახლა ძლივს მოჰქონდა მხარზე გადებული, შპურის სახვრეტი ბურღი, თუ ბურღის საბრუნავი მანქანა. მებიგეები მოდიოდნენ თავიანთი ხერხით და ნაჯახით. ამფეთქებლებს მხარმარცხნივ ღვედით ეკიდათ შპურის ასაფეთქებელი მანქანა. ერთი შეხედვით, ამ ადამიანების ხილვა კაცს გააოცებდა, ისე არა ჰგავდნენ ისინი მათ, ვინც მიწის ზედაპირზე ეწევა შრომას. ამათგან ზოგს, ვისაც გეზენკის გაყვანაზე ან სხვაგან, სველ სამუშაოზე დაეყო რვა საათი, წყლით ისე ჰქონდათ გაჟღენთილი ბრეზენტის სამოსი და საცვლებიც, ხელი რომ მოგეჭირათ, კურტკის კალთიდან წყალი, ალბათ, წურწურით წამოვიდოდა. მაგრამ ყოველგვარ ძნელ პირობებში მუშაობას შეჩვეული მეშახტეები ამას აინუშიაც არ აგდებდნენ. მური, ლაფი და ზოგჯერ დასველებაც ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ და ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ამ მდგომარეობაშიაც კი, მეშახტეს უბრალოდ, ერთხელ მაინც ცხვირი დააცემინოს. რა სიძნელეც უნდა შეხვდეთ, ეჯავრებათ წუწუნი და თუ ვინმე ასეთი აღმოჩნდება, მყის აითვალისწუნებენ.

ნიკო ახლა, როგორც კარგი მასპინძელი, ისე ხვდებოდა ყოველ მათგანს — თავისუბნელებს. თუ წელან უბნის უფროსი ახალ ცვლას რჩევა-დარიგებითა და მკაცრი დავალებით ისტუმრებდა, შახტიდან გამოსულებს ცნობისმოყვარეობით და გაფაციცებით ეკითხებოდა ჩატარებულ მუშაობის ყო

ველ წვრილმანზე — სად, რომელ სანგრევში რა გაკეთდა, როგორ შესრულდა გეზენკის გაჭრის, თუ შტრეკების გაყვანის გეგმა! რა დაბრკოლებები შეხვდათ? თუ სამუშაოზე მიმავალი ცვლა სმენად იყო ქცეული და სიტყვას ძვირად ხარჯავდა, ხმას თითქმის არც იღებდა, სამუშაოდან დაბრუნებულნი, მიუხედავად დაღლილობისა, გაგიკვირდებოდათ კიდეც, ისე ხალისიანად პასუხობდნენ თავიანთ უბნის უფროსს. წარმატებები დაახლოვებით უკვე ყველასთვის ცნობილი იყო, ამის შესახებ დაფა ღაღადებდა. მათ ახლა ის უფრო ალაპარაკებდათ, თუ რა დაბრკოლებები შეხვდათ თავიანთ ცვლაში. ზოგი მომნგრევი მებიგეს უჩიოდა — რა ღმერთი უწყრება, ჩარჩოს ჩადგმას ვერ ასწრებსო, ზოგი ამფეთქებელს, დაბურღულ შპურების ადგილ-ქებას აგვიანებს, გამოძახებისთანავე არ ცხადდებარ, ზოგიც მომხვეტის მუშაობით არ იყო კმაყოფილი, ზოგიც ვენტილაციისა — სანგრევში დროდადრო სუფთა ჰაერის საკმარისი ნაკადი არ შედის და იქაურობა დროზე არ ნიავდებაო. უბნის უფროსი ყურადღებით უსმენდა მეშახტეთა შენიშვნებს.

ისინი ახლა ისე მამაშვილურად, გულახდილად, საქმისადმი სიყვარულით და გულისტკივილით ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, გეგონებოდათ შახტის საგანრიგოში კი არა, სადმე დიდ ოჯახში არიანო. აქაურობა მართლაც ოჯახივითაა მათთვის და ყველანი ერთი ოჯახის შვილები არიან, მხოლოდ ეს

არის, პურის საჭმელად ყოველთვის ერთად არა სხდებიან. მეშახტეები დროგამოშვებით, ჯგუფ-ჯგუფად შემოდიოდნენ საგანრიგოში და მოახსენებდნენ თუ არა უბნის უფროსს თავიანთ გულისტკივილს, უმალ აბანოსაკენ ეშურებოდნენ.

ახალგაზრდა მეშახტეები — ანთაძე და ბერიძე კამათით შემოვიდნენ საგანრიგოში. ანთაძემ ხერხი და ნაჯახი იქვე, კუთხეში მიაყუდა. ის ისე იყო გაცხარებული, აღარც თავი ახსოვდა, არც იმას ერიდებოდა, რომ საგანრიგოში იმყოფებოდა და უბნის უფროსიც იქვე იჯდა.

— ამხანაგო ნიკო, — მიმართა ანთაძემ მეშახტეებთან მოსაუბრე უბნის უფროსს, — თუ ეს ყმაწვილი ხვალაც ჩემს ბრიგადაში იმუშავებს, გეგმის შესრულებას ველარ შეგპირდებით!

— რა ამბავია? — აქამდე რომ ყურადღებას არ აქცევდა, ახლა სკამზე სწრაფი შემობრუნებით იკითხა ნიკომ, წაკიდებულ მეშახტეებს ქვემოდან მწყრალად ახედა.

ანთაძე და ბერიძე ნიკოს მდუმარედ შეაცქერდნენ. ანთაძე დროდადრო თვალებს ისე გადაუბრიალებდა ხოლმე ბერიძეს, თითქო მისი დაშინება სწადიანო.

ბერიძეც, მართალია, გამწყრალი იყო, მაგრამ თითქო ამხანაგის ჯიბრზე გამომწვევად და დამცინავად სწევდა მაღლა ტუჩის კუთხეს. როცა კვლავ მოესმა ანთაძის ბუზღუნი, ნიკო ხელმეორედ მოუ-

ბრუნდა მათ და უფრო მწყრალად იკითხა: — რა აქბავიაო.

— ხე-ტყეს დროზე არ მაწოდებს, — დაიწყო ანთაძემ, — რამდენი გოგოც შეხვდება გზაში, თვალს უშტერებს, ეთამაშება, საქმე კი არ ახსოვს.

— ტყუილია, მიქარავს... მაშ ის ხე-ტყე ვინ მიუზიდა?! — დინჯი კილოთი მიუგო ბერიძემ მისკენ ალმაცერად მზირალ უბნის უფროსს.

რაც უფრო ცხარდებოდა ანთაძე, მით უფრო დინჯად გამოიყურებოდა სახემოლიმარი ბერიძე.

— რომელია თქვენი ათისთავი?

— შალამბერიძე. — გაბუტულივით, შუბლს ქვემოდან შემოხედა ფეხზე წამომდგარ ნიკოს ანთაძემ.

— დღესვე ყველაფერს გამოვარკვევ. — ისე მშვიდად მიუგო ნიკომ, რომ ანთაძემ უმალ წყენით გაიფიქრა — არ მემხრობაო.

ანთაძე და ბერიძე ერთად გავიდნენ საგანრიგოდან. ანთაძე საგარდერობოსაკენ გაეშურა. ბერიძე ერთხანს დარბაზში წრიალებდა. საერთო საგანრიგოს კარებთან ატუზულს ვერ გაებედა შიგ შესვლა. საგანრიგოში მთავარი ინჟინერი მარქშეიდერს ეთათბირებოდა. მათ წინ, მაგიდაზე შახტის ერთ-ერთი უბნის გეგმა იყო გაშლილი. იქვე ხაზ შეფოგბავ გრძელ მერხზე, კოხტად ჩაცმული ორი მეშახტე იჯდა, მათ უკვე მოისწროთ დაბანა და გადაცმა. ერთს სიფილი თმა, მსხვილკბილებიანი სავარცხლით ხნულებივით ზოლებად უკან ჰქონდა გადავარცხნილი. მეორეს ირიბად, დარდიმანდულად ეხ-

ურა კეფაზე მოგდებული წინწკლებიანი მაუდის კეპი. მას ფეხი ფეხზე შემოედო, მალიმალ სწევდა და წამდაუწუმ აყრევინებდა ფერფლს პაპიროსს. ბოლოს, მილეულ ნამწვავიდან თუთუნიც გამოუცვივდა, ცარიელი ღერო თითებში მოკეცა და წკიპურტით ღია ფანჯარაში გასტყორცნა. კეპიანიც და სველთმიანიც ისე თამამად საუბრობდნენ, ისე თავისუფლად გრძნობდნენ თავს, ცხადი იყო, როგორც გუშინდელი, ისე მათი დღევანდელი წარმატებითაც ხელმძღვანელები უთუოდ კმაყოფილნი იყვნენ და ხვალ კიდევ მეტს მოელოდნენ. დიდი ხანი არ იყო, რაც მეშახტეთა ქალაქში შტრეკების ეს ორი ახალგაზრდა, მარჯვე გამთხრელი დასახლდა, მაგრამ მათი სახელი უკვე ყველამ იცოდა.

ბოლოს, გარეთ ატუზულმა ბერიძემაც გაბედა და შეაღო კარი. მისთვის არავის შემოუხედნია. ბერიძე იმ ორი ცნობილი გამთხრელის შორიახლო, გრძელი მერხის ნაპირზე ჩამოჯდა. ბერიძეს უხერხოლად მიაჩნდა მათი თანდასწრებით ეთქვა, რაც ეწადა, მაგრამ რაკი განმარტოებით მთავარი ინჟინრის მოხილვება თითქმის შეუძლებელი იყო, მას მუდამ გარს ეხვია ხალხი, გადაწყვიტა, აოარავის მორიდებოდა. ახლა კიდევ ვინმეს შემომატების შიშით ადგილზე ვეღარ ისვენებდა, გული მოსდიოდა. მარქშეიდერი რომ ლაპარაკს აჭიანურებდა მთავარ ინჟინერთან, თან დროდადრო ყურს აპყრობდა კარს, ხომ არავინ მოდისო. დარწმუნებული იყო, უბნის უფროსი უსათუოდ მოაკითხავდა.

როცა მთავარი ინჟინერი მარქშეიდერთან თათ-ბირს მორჩა, საგანრიგოში მყოფთ თვალი სწრაფად მოავლო, პირველად ბერიძეს ჰკითხა: — რა გინდაო.

ბერიძე წამოდგა.

— ამხანაგო ლევან, სათხოვარი მაქვს თქვენთან, — ქუდი მოიხადა, მიშლილ-მოშლილი, გაოფლიანებული თმა გამურული თითებით შეისწორა. მერიანი თითების კვალი სუფთა შუბლზე ზოლებად დაეტყო. წარბებს ქვემოთ სახე მურით ჰქონდა გაშავებული, წარბებს ზემოთ კი ბუნებრივი ფერი შერჩენოდა. ამოშავებულ ფოსოში თვალის თეთრი გარსი ჭიქასავით უბრჭყვიალებდა. თეთრად იელვებდა ხოლმე ლაპარაკის დროს მისი კბილებიც. მურიან სახეზე ტუჩებიც ახლა სისხლისფრად უღვიოდა, გეგონებოდათ პომადა წაუსვამსო.

— გისმენ, გისმენ, — სწრაფად მიაძახა ინჟინერმა მაგიდასთან მოახლოებულ ბერიძეს და მაგიდაზე მოფენილი ქაღალდების ცალმხარეს გადალაგებას შეუდგა. ინჟინერი თითქო ბერტყავსო, ისე ანარცხებდა ქაღალდების დასტას თუ ბროშურებს მაგიდის ერთ მხარეზე, საითაც წიგნები სვეტებად ეწყო, ყოველ დანარცხებაზე ფანჯრიდან შემოჭრილ მზის შუქის ზოლში მტვერის კორიანტელი ჩნდებოდა.

ბერიძე კიდევ უფრო ახლოს მივიდა, ინჟინრის მაგიდის ნაპირს გამურული თითებით ფრთხილად შეეხო.

— ამხანაგო ლევან, — ხმადაბლა, მორიდებით, თხოვნის კილოზე დაიწყო ბერიძემ, — არ შეიძლება, სხვა უბანში გადამიყვანოთ?

ლევანმა სწრაფად გახედა მეშახტეს, ისევ დახარა თავი, მას ახლა უჯრა გამოეღო და იქ აფათურებდა ხელებს ქაღალდებში. როგორც თითქმის ყველა უჯრაში, აქაც სრული ქაოსი სუფევდა.

— რომელ უბანში ხარ?

— მესამეში.

— არაბიძესთან?! — ლევანმა გაკვირვებით გახედა მეშახტეს. — ჯერ კაცს არ უთხოვნია, არაბიძის უბნიდან გადამიყვანეო.

— არაბიძე კარგი კაცი და ხელმძღვანელია, მაგრამ... უბანში მარტო ის ხომ არ არის?

— მაინც, ვინ არ მოგდის თვალში?

ბერიძემ ყოყმანით მიუგო ლევანს:

— არავინ... ისე, სამუშაო არ მომწონს.

— დაიცა! შენ, მგონია... ამას წინათაც მთხოვე გადაყვანა და... გადაგიყვანე კიდეც!

— მართალია. — მიუგო დარცხვენით ბერიძემ და თავი დახარა.

— რაზე მუშაობ?

— ხე-ტყის მიმწოდებელი ვარ.

— არ მოგწონს ეგ საქმე?

— არა უშავს, მაგრამ თუ გადამიყვანთ, სხვაგან მომნგრევადაც შემიძლია ვიმუშაო...

— ამხანაგებს ვერ მონახავდა თავის შესაფერს, —

შენიშნა ღიმილით კეპიანმა. ის აქამდე ყურადღებით უსმენდა ბერიძეს.

— მერე, უბნის უფროსი გაგიშვებს? — ცნობისმოყვარეობით იკითხა ლევანმა.

— გამიშვებს!

— ნამდვილად?!

— დიახ.

კეპიანს და მის ამხანაგს ხმამაღლა გაეცინათ.

ინჟინერსაც სახეზე ღიმილი მოერია.

— თუ ასეა, ძალიან ვწუხვარ, — თვალის თვალში გაყრით მიუგო ლევანმა ბერიძეს, — შესახედავად კარგი ბიჭი ხარ, გეტყობა, ჯანიც მოგდევს, მაგრამ... — თითქო ეძნელება დანარჩენის თქმაო, ლევანმა სწორედ აქ შეწყვიტა სიტყვა, ისევ ქაღალდებს მიუბრუნდა, რომელიღაც ფურცელს ეძებდა და ვერ ეპოვნა. ბოლოს უჯრა გაჯავრებით მიაჯახუნა და წამოდგა.—ამხანაგო! უბნის უფროსი კარგ მუშას არასგზით არ შეელევა, შენ კი ისე თამამად მიცხადებ — გამიშვებსო, არც კი უფიქრდები...

მოულოდნელად შემოვიდა ნიკო არაბიძე.

თითქო არ შეუნიშნავსო, ისე ჩაუარა ბერიძეს და ლევანთან მივიდა.

— კაცო, რა არის, აღარ უნდა გაიძრო, მაგ ბრეზენტში ხომ არ დაბადებულხარ? — ხუმრობით შენიშნა ლევანმა ნიკოს და ვიდრე უბნის უფროსი რამეს ეტყოდა, მთავარმა ინჟინერმა ერთბაშად შეიცვალა კილოც და იერიც, საგონებელში ჩავარ-

დნილივით, თან ცნობისმოყვარეობით იკითხა, — ამხანაგო ნიკო, ვინ არის თქვენთან, უბანში, საუკეთესო მეშახტე, გინდ მომნგრევი, გინდ გამთხრელი, გინდ მებიგე!

უბნის უფროსმა გაკვირვებით შეხედა ლევანს.

— რომელი ერთი გითხრა?!

— მაინც?

— მე მგონია... — ნიკომ სიტყვა კი დაიწყო, მაგრამ დაბოლოვება, ეტყობოდა, უჭირდა.

— გარდა შენი ვაჟისა, — შენიშნა ლევანმა.

— ჩემი ვაჟი რა შუაშია! — ნიკომ თითქო იწყინა კიდეც მთავარი ინჟინრის ეს შენიშვნა, — მაინც, მე მგონია, საქმე რომ გაჭირდეს, ხორხომელიძე წინ არავის გაუშვებს. ასპროცენტიანი მეშახტეა! ლევან, გახსოვს ალბათ, წინა თვეში გეზენკის გაყვანაზე რა წარმატება ჰქონდა!

— ვიცი. — ლევანმა ცალი ხელი მაგიდას დააყრდნო, წითელი ფანქრით რეზოლუცია-წარწერილ ქაღალდის ფურცელს დააცქერდა. ერთ წუთს ისე დაჰყო, თითქო რამეს ფიქრობს და ვერ გადაუწყვეტიაო, მერე ქაღალდის ფურცელი ხელში აიღო და დინჯად, თითქო იმ ქაღალდის ტექსტს უკითხავსო, ისე მიმართა არაბიძეს:

— ამხანაგო ნიკო, უნდა დაგვითმო ეგ ხორხომელიძე... შახტის უფროსმა დამავალა... სხვა უბანში გა...

ნიკომ ამ სიტყვებზე სწორედ რომ იფეთქა — ხომ არ გაგიჟებულხართო — იყვირა. საგანრიგოში

მყოფთ ისე მოავლო თვალი, თითქო მომხრეს ეძებსო, მერე ისევ ლევანს მიუბრუნდა, ხმადაბლა, მაგრამ ბრაზმორეულის თავშეკავებით შენიშნა:

— მაშინ... ჯერ მე დამითხოვეთ ჩემი უბნიდან და მერე იფიქრეთ ხორხომელიძის გადაყვანაზე!

ოთახში მყოფთათვის ადვილი მისახვედრი იყო უბნის უფროსის გულისწყრომა. გუნებაში ყველა მას უჭერდა მხარს. კეპიანმა და მისმა ამხანაგმა, თითქო ერთმანეთში მსჯელობენო, ლევანის გასაგონად ჩაილაპარაკეს — ასე არ შეიძლებაო. ბერიძეც გაოცებული გამოიყურებოდა — უკვირდა — ეს რა ამბები ხდებაო. უკვირდა, როგორც მამა შვილს, ისე რომ ექომაგებოდა და არა თმობდა უბნის უფროსი ხორხომელიძეს.

მთავარი ინჟინრის წინადადებამ ისე ააღელვა და ააფორიაქა არაბიძე, რომ სათქმელიც კი გადააგიწყა, რისთვისაც შემოვიდა.

— ამხანაგო ნიკო, შენ შენი უბნის ინტერესები გალაპარაკებს, ჩვენ კი... მთელი შახტისა.

ნიკომ ჭკუის დამრიგებლის კილოზე თავდაჭერილი შენიშნა:

— ამხანაგო ლევან, შახტი უბნებისაგან შედგება! — მერე ისე შეხედა გაკვირვებით და დამცინავად, თითქო რაც არ უთხრა, უნდა აგრძნობინოს, ამდენი როგორ არ გესმისო.

— რა რისგან შედგება ეს ჩვენც კარგად ვიცით, ამ საკითხს კი უთქვენოდაც მოვაგვარებთ!

ამ სიტყვების გაგონებაზე ნიკომ ისეთი სიბრაზის

გამომხატველი თვალებით შეხედა მთავარ ინჟინერს, რაგინდ გულმაგარიც უნდა ყოფილიყავით, ფერს გაცვლევინებდათ. ლევანის სიტყვებმა დანარჩენებიც ისე ააღელვა, ახლა ყველას ნიკოს მხარე ეჭირა, ბერიძესაც კი; ისე წამოიწიეს ადგილიდან, თითქო მთავარ ინჟინერს ცემას უპირებენო. ლევანმაც მეტის მოთმენა ვეღარ შესძლო; იფიქრა — კაცი არ გავაგიჟოო და, ღიმილში, ჯერ ტუჩის კუთხეები შეუტოკდა, მერე უცებ ისე ხმამაღლა და გულღიად გადაიხარხარა, ყველა გაოცდა. ასეთი მოულოდნელობით გაშტერებულმა ნიკომაც ჯერ ქუთუთოები დააფახურა, მერე მიხვდა რა, ლევანმა მას ეს ამბავი განზრახ მოუწყო, გამოიწვია, გაეხუმრა, ისე უზომო გაფიცხებისათვის, ახლა თითქო თვითონაც შერცხვაო, ცალყბად, უხერხულად გაიღიმა.

— შე კაცო, რას მემართლებოდი? ახლა ეგ მეჭირვებოდა?—საყვედურით უთხრა ლევანს დღევანდელი მუშაობით არაქათგამოლეულმა უბნის უფროსმა და მაგიდასთან, სკამზე მოსხლეტით ჩამოჯდა.

როცა მთავარმა ინჟინერმა საგანრიგოში მყოფთ თვალი მოავლო, მათ შორის ბერიძე ვეღარ შენიშნა. მისი ასე შეუმჩნევლად გაპარვა ეწყინა, ლევანს უნდოდა დაერწმუნებინა ეს ყმაწვილი მეშახტე — თუ კარგად იმუშავებ, ყველა უბანი კარგია, ყველა საქმე გასახელებს, გაგიმართლებს, ამხანაგებიც შეგიყვარებენ, მხარში ამოგიდგებიან, დაგეხმარე-

ბიან, თუ დახმარება დაგჭირდება, გაგამხნევებენ, თუ გამხნევება დაგჭირდებაო. — მაგრამ იფიქრა, ბერიძე ამას ყველაფერს ალბათ თვითონაც მიხვდაო.

მთავარი ინჟინერი თავის ვარაუდში არ ტყუვღებოდა.

— ნიკო! — მიუბრუნდა მთავარი ინჟინერი მცირე დუმილის შემდეგ უბნის უფროსს, — ერთი მეშახტის გადაყვანაზე რა დღე გინდოდა დაგეწყია ჩემთვის... შენ, უბანს დაუთმობ ვისმეს?..

— ეგ სხვა ამბავია! უბანი იგივე ფრონტია და...— ნიკოს სათქმელი მთავარმა ინჟინერმა თავისთვის გუნებაში დააბოლოვა,—კარგ სარდალსაც სწორედ იმ ფრონტზე გაგზავნიან ხოლმე, სადაც მეტი გასაჭირიაო.

შატბია, მართალია, ძნელ საქმეში იყო ჩაბმული, მაგრამ თამარელას ერთი წუთითაც ვერ ივიწყებდა, სულ თვალწინ ედგა; რაც დრო გადიოდა, მისი სიბრალული თანდათან ღრმად იჭრებოდა ჭაბუკის გულში, მაგრამ ჯერჯერობით მეგის წინაშე შატბიას მისთვის უპირატესობა მაინც ვერ მიენიჭებინა.

შახტიდან გამოსვლის უმალ სალამფესაკენ გაეშურა, ლამფა პატარა სარკმელში ქალიშვილს გადა-

აწოდა, მაგრამ ახლა მას ლამფის ჩაბარებისათვის კი არა სცხელოდა, თამარელა უნდოდა ენახა, თამარელა იქ არსად ჩანდა. იფიქრა, — იქნებ ცოტა ხნით სადმე გავიდაო, თამარელა ამ დროს ყოველთვის აქ ხვდებოდა ხოლმე. ერთხანს დერეფანში ელოდა, მაგრამ მერე იქაურობასაც გაეცალა, ვინმე ახირებულის ან ცნობისმოყვარის თვალს რომ არ შეენიშნა ხანგრძლივად მისი იქ ყოფნა. დაღონებული შატბია ისეთ გუნებაზე იყო, გუშინდელივით, დღესაც კინაღამ დაუბანელი და ტანსაცმელ გამოუცვლელი წავიდა შინისაკენ, მაგრამ ჩაუარა თუ არა საგარდერობოს, გზაში წამოწეულმა ამხანაგებმა უნებლიეთ თან გაიყოლიეს. ჩვეულებამაც სძლია, სხვების მაგალითმაც წააქეზა, უმალ გაიძრო ჭუჭყიანი სპეცტანსაცმელი, როგორც იტყვიან — გული იჯერა ბანაობით, სუფთა ტანსაცმელი გადაიცვა და გასუფთავებული, გაკოხტავებული, ამხანაგებთან ერთად საგარდერობოდან გამოვიდა. დღევანდელი წარმატების აღსანიშნავად ყმაწვილებმა წაქეიფება გადაწყვიტეს, შატბიასაც გადახედეს, სახეზე ცოტა დაღვრემილობა რომ შეატყვეს, ჯერ გაკვირვებით ახედ-დახედეს, დაფარული ირონიით შენიშნეს — „შეყვარებულიაო“ და ისეთი სიცილი დააყარეს, იქაურობა გააყრუეს. შატბიასაც უნებლიეთ გაეცინა, ბიჭებს ხუმრობით მუშტი გაუქნ-გამოუქნია, აქეთ-იქით მიმოფანტა. მერე ისევ მხარზე ხელგადახვეულებმა განაგრძეს გზა. რამდენადაც შახ-

ტში მიმავალი კაცი საკუთარი თავისადმი მკაცრია და მისი გონება მარტო ერთი წადილით არის შეპყრობილი, რაც შეიძლება ფხიზლად იყოს და ცვლა ნაყოფიერად ჩაატაროს; თუ გული ცოტათი მაინც იჯერა, შახტიდან გამოსვლის შემდეგ ცა ქუდად არ მიაჩნია, უბრალო მიზეზია საჭირო, რომ შახტიდან გამარჯვებით გამოსვლა ჯიბის შესაბამისად ტოლ-ამხანაგებთან ერთად ლხინით აღნიშნოს.

შატბიას ახლა სამი ამხანაგი ახლდა. კაკო ზიბზიბაძე, სირბილაძე და ხაჭაპურიძე. სირბილაძეს უცნაური ჩვეულება ჰქონდა: ერთი ნაბიჯით ამხანაგებს მაშინაც კი უკან რჩებოდა, როცა ბებერები არ აწუხებდა. ახლა კი, მის სიარულს რომ დააკვირდებოდით, უნებლიეთ გაგეცინებოდათ — იფიქრებდით — სირბილაძე გასაჯავრებლად შერქმეული გვარია და არა ნამდვილია. ოდნავ წინ წახრილი, აბუზულ ქათმის ფრთებივით მხრებაწეული მკლავებმოხრილი, აქეთ-იქით ისე ქანაობდა, გეგონებოდათ გასაჯავრებლად ვინმეს ბაძავსო. რა ზომის ფეხსაცმელიც უნდა ჩაეცვა, მაინც იძახოდა — მიჭერსო. მის ბებერებს არაფერი აბ შველოდა. ერთხანს შახტში სამუშაოდ არ უშვებდნენ, რამე რომ მოხდეს, სად გაიქცევიო, ეკითხებოდნენ, აფრთხილებდნენ, მას კი პასუხი მუდამ მზად ჰქონდა — თუ ჩემი სირბილი გინდათ ნახოთ, მაშინ ჩანს, გაჭირვება მოგნატრებიათ და თქვენც მზად იყავითო. თუ სირბილაძე თავისი ნელი სიარულით და გან-გან ქანაობით იწვევდა ამხა-

ნაგებს შესახუმრებლად, ხაჭაპურიძის ღარიბობაზე ყველას უნებლიეთ ნერწყვი მოსდიოდა, რადგან უმალ ცხელ-ცხელ ხაჭაპურს წარმოიდგენდნენ ხოლმე, დანით რომ ზედაპირი ირგვლივ მზიანსხივებისებურად აქვს აჭრელებული, თანაც ჭიპთან ორთქლს ცომი რომ გაუხეთქია და გამდნარი ყველი ზევით ამოღვენთილა. დღესაც, პირში ნერწყვმომდგარი ამხანაგები ჯერ კიდევ საგარდერობოში იქამდე აქეზებდნენ და კბუმრებოდნენ ხაჭაპურიძეს — რა ხალხში ვართო — სირბილაძეა და ძლივს ღადის, ხაჭაპურიძეა და ერთხელ მაგასთან ხაჭაპური არ გვიგემნიაო, ვიდრე სწორედ ხაჭაპურზე არ დაჰპატიჟა ისინი. ხაჭაპურიძის ასეთი უჩვეულო გადაწყვეტილება ჯერ ყველას ხუმრობად ეგონა, ამიტომაც სამი ამხანაგის გარდა საგარდერობოს შესავალთან არავინ დალოდებია. არც შატბიას ეგონა, რომ ხაჭაპურიძე პირობას არ გადაუხვევდა, რადგან შეხუმრებისა და გამასხარავებისათვის ხარჯს ძვირად თუ გაიღებს ვინმე, მით უმეტეს, რომ ამხანაგების „ენის ქავილი“ ამით მაინც არ დაცხრებოდა. შატბიას ახლა თვითონ გადაეწყვიტა გუნებაში ამხანაგების გამასპინძლება, მხოლოდ საჭირო იყო, ვინმეს ჩაეთრია იგი ამ საქმეში და აკი მოთავეც გამოჩნდა.

დილანდელი გადაწყვეტილება, რომ დღეს უსათუოდ ენახა თამარელა, შატბიას ახლა უკვე უაზროდ მოეჩვენა; ის ჯერ კიდევ თუ სულ არა, ნაწილობრივ მაინც წუხანდელი განცდების ტყვე-

ობაში იყო და არ იცოდა, რა ეთქვა თამარელასთვის, როგორ შეხვედროდა, როგორ შეეხვედნა თვალებში.

ამხანაგებმა სხვებს ისევ ჭიკოლას სასადილო არჩიეს და გორაკზე წაბლის ხალვათ ტყეში ხის ჯიბეებს შეჰყვნენ. სასადილოს შენობა გორაკის თავზე იდგა და თუ იქამდე მიღწევა, ორას ორმოცდაათი საფეხურის უკან მოტოვება ცოტა ძნელი იყო, სამაგიეროდ, იქ რომ კაცი ავიდოდა, თითქო სულიერადაც ისვენებდა. იმ სიმაღლიდან ისეთი სანახაობა იშლებოდა თვალწინ, ზაფხულშიაც კი ისეთი სუფთა ჰაერი და სიგრილე იყო, სულაც რომ არ გშიებოდათ და დაღლილიც არ ყოფილიყავით, ჯერ ორასორმოცდაათი საფეხურის ათავება, მერე ისეთი ჰაერი და სიგრილე საჭმელის უნახავს გაგხდიდათ, მადას უმალ გაგიხსნიდათ. ჭიკოლას ბეკრჯერ უთქვამს — საჭმელს სხვაზე გემრიელს და უკეთესს ვამზადებინებ ჩემს არქიფო ლობჟანიძეს და, მზარეულის ხელობა მეტიც ეღირებოდა, ეს კიბეები რომ საქმეს არ მიჭირებდესო, აქ ამოსულ კაცს ფეხის ქირა ძალაუნებურად უნდა გამოუქვითო, თუ გსურს რომ შემოიჩვიოო. ეს, რა თქმა უნდა, მარტო სიტყვიერი შეღავათი იყო, გამოქვითვით არავის არაფერი ექვითებოდა, მავრამ სხვა სასადილოებზე უფრო მეტად მეშახტეები, ვინც ჭირის გემოს ჰატივს სცემდა, მაინც, „ცაში დაკიდულ“ ჭიკოლას ეტანებოდნენ.

გორაკს შუამდე რომ უწიეს, შატბიამ უცებ,

ქვემოთ, შარაგზაზე თამარელას მოჰკრა თვალი და მყის შედგა, მზერად იქცა. წინ წასულებმაც შენიშნეს შატბიას შეჩერება, ქვევით, გზისკენ დაჟინებული ცქერა; თვითონაც შედგნენ, შეისვენეს და გაიხედ-გამოიხედეს, ვერაფერს მიხვდნენ. შატბიამ უცებ მათ ხელი აუქნია, თითქო ემშვიდობებაო.

— იარეთ, ბიჭებო, მეც მალე მოვალ!

და თავქვე დაეშვა. კიბის სამ-სამ, ოთხ-ოთხ საფეხურზე ხტებოდა, იფიქრებდით, თავპირის დამტვრევა არ ასცდებაო, მაგრამ კიბე მშვიდობიანად ჩაირბინა და თვალს მიეფარა.

— ბიჭებო, მოდით ვნახოთ, იქნებ რა მოხდა?! — დაიძახა ხაჭაპურიძემ.

— არა, ბიძი, — გულმოსულივით მიუგო ჯაკომ, ვერ ხედავ, რა სიმაღლეზე ამოვსულვარ?.. ახლა ხაჭაპურის უჭმელად აქედან ფეხს არ მოვიცვლი!

— ბიჭი ხარ და, პირობას გადადი! — შეუწყრა სირბილაძეც, — აქედან კვახივით დაგაგორებთ!

— რა იყო, ვითომ რას ვეჭუქრებიო?! ჯაკო, მერ მაინც ასე მალე რამ დაგავიწყა... რა დღეში იყო ბუშინ შენთვის შატბია?

ხაჭაპურიძეს სირბილაძის ბოლო სიტყვებისათვის ყური აღარ უგდია. ამხანაგებისაგან დატუქსვა იწყინა, სწრაფად აირბინა რამდენიმე საფეხური.

— ვინც უკან დაიხიოს, უკანასკნელი კაცი იყოს — ჩამოსძახა ზიბზიბაძესა და სირბილაძეს. მათ პასუხს აღარ დალოდებია, თითქო ვინმე

მისდევსო, ისე არბოდა კიბეზე, ვიდრე გორაკს თავში არ მოექცა. მაგრამ რა უსაზღვრო იყო მისი გაოცება, როცა სული მოითქვა და კიბეს მედიღურად გადმოხედა... ზიბზიბაძე და სირბილაძე ისე სწრაფად ჩარბოდნენ ქვევით, ეტყობოდათ, აღარც ხაჭაპური ახსოვდათ, აღარც ხაჭაპურიძე.

•

რაკი შატბიას ძახილზე თამარელამ არ მოიხედა, ცხადი იყო, ან ადრე შენიშნა იგი, ან ხმაზე იცნო და ახლა აშკარად აგრძნობინა ჭაბუკს — შენთან ლაპარაკი არა მსურსო. ისე მარდად მიდიოდა თამარელა, ისე მიარხევდა ოდნავ აზიდულ მხრებს და, წელში გამოყვანილ კაბაშიაც ისეთი წერწეტა ტანი უჩანდა, შატბიას ახლა გულუბრყვილოდ უკვირდა, — ასე, ერთ დღეში შეცვლილა, გაკოხტავებულა, თუ მე ვერ ვამჩნევდი აქამდეო. გაუხვიეს თუ არა შოსე გზიდან გორაკის ფერდობისაკენ, ორღობეში, კაკო ზიბზიბაძის ეზოსთან შატბია დაეწია თამარელას; ჯერ მკლავში ეწადა ხელის წავლება, მაგრამ გადაიფიქრა, მოულოდნელად გვერდში ამოუდგა, თამარელა შეჩერდა, მწყრალის თვალით გადახედა ჭაბუკს და წასვლა დააპირა, მაგრამ შატბიამ გაშლილი მკლავით გზა მოუჭრა და, აქამდე, დამუნჯებულივით მდუმარემ ძლივს გაიღო ხმა.

— თამარელა!..

თამარელამ ისევ მწყრალად შეხედა, გაკვირვებით წამოიძახა:

— რა იყო?.. გამიშვი...

— რომ დაგიძახე, რატომ არ მოიხედე?!

— რა ვიცი...

— მემდური, თუ რა!?

— რა ვიცი...

თამარელამ კვლავ წასვლა დააპირა, მაგრამ შატბიას გაშლილ მკლავებს ვერსაით გაექცა.

— მეჩქარება! — ისე წარმოსთქვა და ისე შეხედა შატბიას, ადვილი მისახვედრი იყო, რომ გულში ნატრობდა: „ნეტავი არ გამიშვასო“.

— რა იყო, რა გეწყინა? — გაკვირვებით და თითქო გულგრილადაც იკითხა შატბიამ.

— არაფერი... რა უნდა მწყენოდა?! — მიამიტად უპასუხა თამარელამ და თვალებშიაც მიამიტად შეხედა; მხოლოდ როცა გაიღიმა, ცხადად შეეტყო — მისი პატარა გული რა დიდ ტკივილსაც მალავდა. თავი ჩაღუნა, ხან მიწას დასცქეროდა ჯიუტად, ხანაც წინ წამოცურებულ ნაწნავის ხვეულებს აწვალებდა თითებით, თითქო დაშლა სწადიაო.

ადრე, თამარელას ნატვრად ჰქონდა გადაქცეული შატბიას ნახვა და მასთან ლაპარაკი, ახლა კი ისე იბუზებოდა, თითქო არც მის სიახლოვეს ყოფნა სურდა, არც მისი ხმის გაგონება ესიამოვნებოდა. თვითონაც არ იცოდა, რაზე მოსდიოდა ასე გული. შატბიას მართალია მისთვის სიყვა-

რული არ შეუფიცნია, მაგრამ თითქო იგულისხმებოდა, ისე გადაწყვეტილად სთვლიდა ამ ამბავს თამარელა და, თავისი გულის სწორის უცხო ქალიშვილთან ახლოს გაელაც კი უკვე იდუმალი ფიცის დარღვევად მიაჩნდა. ახლა, რაც უფრო ცდილობდა თამარელა, თავისი გულისწყრომა დაეთრგუნა და ვაჟისათვის ღიმილით შეეხედნა, სახე მით უფრო ეღუშებოდა. რაც უფრო ცდილობდა, წუხანდელი ამბავი დაევიწყებინა, მით უფრო ცხადად ესახებოდა თვალწინ ყველაფერი და თავის სიყვარულსაც უკვე გამოტირებულად სთვლიდა. მისი ფიქრით შატბიას თავს ახლა ძნელად თუ ვინმე გამოსტაცებდა იმ უცხო ქალიშვილს, რომელიც თამარელასთვის ასე საბედისწეროდ მოევლინა აქაურობას და გამოუცდელი ვაჟი სიყვარულის ქსელში გახვია. ჯერ კიდევ გუშინ, რა ბედნიერად გრძნობდა თავს თამარელა, როცა შატბიამ ის მდინარის ზვირთებს გამოსტაცა; რა ბედნიერად გრძნობდა თავს იმ წუთამდე, ვიდრე ლელა მეგის ჩამოსვლის და შატბიასთან მისი გალაციცების ამბავს შეატყობინებდა.

შატბიას სიტყვის თქმა უჭირდა. არ იცოდა რა ეთქვა თამარელასათვის, რომელიც ასე გამწყრალი ჩანდა. მას ეგონა, თვითონ თამარელა გამოიწვევდა სალაპარაკოდ; თამარელას კი ეგონა შატბიას სურდა გუშინდელი საღამოსა და მეგის შესახებ ეთქვა რამე. ასე ელოდნენ ერთმანეთს რამდენიმე წუთს,

ვიდრე ფეხის ხმა და შემდეგ გაკვირვებული შეძახილიც არ მოესმათ.

— აქ რას ელოდებით?!

ახლა შატბიას დიდად არ ესიამოვნა, ნიკოს ხმა რომ გაიგონა; თამარელამაც უხერხულად იგრძნო თავი. წასვლაც დააპირა, მაგრამ არც ამისთვის ეყო ძალა და ნებისყოფა; ნიკოს ნაძალადევად გაუღიმა და მიესალმა.

— ბევრი გაქვთ სალაპარაკო? — იკითხა ნიკომ.

— რაზე კითხულობთ, ნიკო ბიძია?!

— შე ქალო, არ იცი თუ?! კაცი სამუშაოდან მოდის, დაღლილია, მოშივებულიც. ნეტავი განახვა და ერთი საათით გამუშავა სანგრევში... — კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხელი ჩაიქნია, შატბიას მიუბრუნდა, — შე დალოცვილო, თუ ქალიშვილებთან ლაპარაკი მოგენატრა, იმაზე უკეთესს ვის ნახავ, შინ რომ გელოდება!?

შატბიამ უცებ განცვიფრებით შეხედა მამას, შერე ისევ დახარა თავი და ყრუ ხმით წარმოსთქვა:

— მე არავინ არ მელოდება...

თამარელას თავის სიცოცხლეში ჯერ ისე არაფერი სწყენია, როგორც ახლა ნიკოს სიტყვები ეწყინა.

ნიკო სულ არ მოელოდა, თამარელაზე თუ ასე იმოქმედებდა მისი შენიშვნა. აშკარად დაინახა, როგორ ეცვალა ფერი ერთი წუთის წინ სახე წამოწითლებულ ქალიშვილს.

— იქნებ... შენც წამოხვიდე? თუ საქმე გაქვთ, იქაც შეიძლება ილაპარაკოთ თქვენთვის, მყუდ-

როდ. რა სჯობია ახლა ჩემი მუხის ჩეროს! — ვითომ ამ ხერხით სცადა ნიკომ თავისი მწვავე შენიშვნის შემსუბუქება, მაგრამ გვიანღა იყო.

— მადლობთ, ნიკო ბიძია! მადლობთ... სახლში რომ არ მეჩქარებოდეს!...

მიჩვეული არ იყო შემპარავი დაცინვით ლაპარაკს, მაგრამ ახლა, გაჭირვების წუთებში კარგად ნონახა საამისოდ მოხდენილი კილო თამარელამ, ნიკოს ნაძალადევად გაუღიმა; შატბიასკენ რომ მიიხედა, ცალი წარბი მედიდურად აზიდა და თანაც ისე შეხედა, რომ მისი მზერა ჭაბუკს უნებლიეთ გულში ჩარჩა. მერე დინჯად დაუქნია თავი მამა-შვილს და გზა განაგრძო. რამდენიმე ნაბიჯზე მამა-შვილი შორიახლოს მიჰყვებოდა თამარელას, ისინი ფიქრობდნენ, ჭიშკრამდე მივაცილებთ, და მერე ჩვენს გზას განვაგრძობთო, მაგრამ თამარელა წეუმჩნევლად ჩამორჩა მათ, თანდათან ღობეს დაუახლოვდა, მერე უცებ გასწია სარი, სწრაფად გადვრა ღობეში და მიიმალა. შატბიას და ნიკოს აზრად არ მოუვიდოდათ, თუ თამარელა ასე მოიქცეოდა, როცა მოიხედეს მათ გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. ვერ მიმხვდარიყვნენ, სად, როგორ უნდა გამქრალიყო თამარელა ასე უკვალოდ. ბოლოს მამა-შვილის მზერა რომ ერთმანეთს შეხვდა, ნიკომ ვაჟის თვალებში დიდი სინანული და გულისწყრომა ამოიკითხა.

„ძალიან კარგადაც მოხდა... რა გესაქმება მაგ უსაქმოსთან!...“ თავის გუნებაში გაესაუბრა ნიკო

მწყრალად მზირალ შატბიას და გზა განაგრძო. შატბია ორიოდე ნაბიჯის დაშორებით გაჰყვა მამას. სახლამდე ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ.

ნიკოს უადგილო ჩარევამ ძალიან გააბრაზა შატბია, ისეთ გუნებაზე იყო, ახლა ისე თანაუგრძნობდა თამარელას მისი გული, რომ თავმოყვარე ვაჟს უკვე მტკიცედ გადაეწყვიტა — დღეიდან, რამდენადაც შეიძლებოდა, მეგისაგან თავი შორს დაეჭირა.

სულიკომ დაინახა თუ არა შატბია, ისე გახარებული შეეგება, ყველას გაუკვირდა. როცა მუხის ჩრდილში ჩამოსხდნენ, სულიკომ შატბიას აუწყა— ცოტახნის წინ რაიკომში დავრეკე, ჩემს ნაცნობ გოგონას ველაპარაკე... რაიკომის მდივანი სასწრაფო საქმეზე სოფელში წასულა, აქედან შორსაი, თუ იცი? — სულიკომ სოფელი დაუსახელა.

— რვა კილომეტრია. — ისე მიუგო შატბიამ თითქო მისთვის ეს რვა კილომეტრი, რვა ნაბიჯიაო.

— არა უშავს! — გაიცა სულიკომ, — შორს ყოფილა, მაგრამ მაინც უნდა წავიდე! როგორც ვატყობ, რაიკომის მდივანს კაბინეტში ვერასოდეს ვერ ვინახულებ.

— რომ გამოგასწროს?

— ჩემმა ნაცნობმა, მდივნის თანაშემწემ თქვა — ალბათ საღამომდე დარჩებაო.

— მაშინ... ნასადილევს წავიდეთ.

— შენც წამოხვალ? — სულიკოს უფრო ის გაეხარდა, რომ წაყოლის სურვილი თვითონ გამო-

სთქვა შატბიამ და მას თხოვნა აღარ დასჭირდა. სულიკოს სოფელში წასვლა და რაიკომის მდივნის იქ მონახულება იმიტომაც აინტერესებდა — კოლმეურნეობის თავმჯდომარესაც გავიცნობ და იქნებ იქაც გამოვჩხრიკო რამე შესაფერისი სამუშაოო. რამდენიც უნდა დავუფასო, მილიონერები არიან, არ გაუკვირდებათო.

ნასადილევს, სუფრა რომ აალაგეს, მეგი კვლავ წამოწვა ნოხზე, მუხის ძირას და ბალახის ღერით დანიშნულ გვერდზე წიგნი გადაშალა. როცა სულიკომ და შატბიამ ჩამოუარეს, არც კი წამომდგარა, ერთი წუთით წიგნს თავი ანება, მშვიდობის მგზავრობა უსურვა მათ და კვლავ კითხვა განაგრძო; მაგრამ როგორც კი შატბია და სულიკო ჭიშკრისაკენ გაემართენ, მეგიმ მალულად გააყოლა თვალი შატბიას.

სულიკომ ერთი წუთით შინ შეირბინა, სახატავ ალბომს, ფერადი ფანქრების კოლოფს ხელი დასტაცა და შატბიას ჭიშკართან დაეწია.

შატბიას ძალიან ეუცხოვა მეგის მოჩვენებითი გულგრილობა, მაგრამ ეს გოგონა ჯერ კიდევ ისე ბოსწონდა, რომ გულმა ერთი წუთით მაინც მისკენ გადასძლია და მის გულგრილობასაც უმალ მოუნახა გასამართლებელი მიზეზი — „დაღლილი იქნე-

ბა, ან განგებ ინაზებაო", — გაიფიქრა თავისთვის. ეზოს კარი რომ გაიხურა, ერთხელ კიდევ გაიხედა მუხისაკენ, უნდოდა შეეტყო, მეგი მიყურებს თუ არაო, მაგრამ აქედან მუხას ვაშლისა და მსხლის ხეები ეფარებოდა, ვერაფერი დაინახა. დაწინაურებული სულიკო ეზოს ბოლოში, გზის პირას შეჩერებულიყო და ქვემოთ, ხეობაში — შახტის ცენტრალურ უბანს და გორაკის მოპირდაპირე ფერდობს ათვალიერებდა.

მთელი ეს მხარე ხევებით და გორაკებით არის განთქმული. კრიალოსნის ქვებივით ერთმანეთზე მიწყობილი გორაკები განშტოებებივით მთავარი ქედის ვერტიკალურად მოემართებიან. ზოგი თანდათანობით ეშვება დაბლობისაკენ, ზოგიც ერთბაშად არის ჩამოკვეთილი. შახტის უბანში, ვაკეზე აგებულ შენობას ვერსად შენიშნავთ, რადგან აქ ვაკე ადგილი არსად მოიპოვება. სამსართულიანი კომბინატი დახურულ ხეობაშია ჩამჯდარი, ტრესტის შენობა კი ერთ-ერთ ბოლო ჩამოკვეთილ გორაკის სიმაღლიდან დასცქერის აქაურობას. შენობის წინ ხელოვნურად შექმნილი, ხის მოაჯირით შემოზღუდული ბაქანი ჩანს. გორაკის ჩამოკვეთილ ნაპირზე, სწორედ მოაჯირის შუა ადგილას მაღალი კვარცხლბეკია აგებული, კვარცხლბეკზე ბელადის მონუმენტი დგას. როდესაც მონუმენტს ხევგაღმიდან უცქერით, იგი მთლიანად ცის ფონზეა ამართული და დიად სანახაობას წარმოადგენს. კვარცხლბეკის მარცხნივ და მარჯვნივ მოაჯირის გაყო-

ლებაზე, •ყვავებული ალიანდრის და აკაციის ხეებია გამწკრივებული, ბაქნის სიღრმეში ვარდებით გამშვენებული გაზონებია, გაზონების გასწვრივ ხის გრძელი სკამები დგას. მონუმენტის მარცხნივ, ღაშორებით ცაში აჭრილა რკინის მაღალი ანძა, რომლის თავზე გამართულია პროჟექტორი და რადიო. ღამღამობით რადიოს ხმა ხეობებს გუგუნით ეფინება, პროჟექტორი კი მუქი ლურჯი ცის ფონზე ზარნაშოსავით აბრიალებს თვალს.

ერთმანეთზე წაბმული გორაკების ფერდობები, ქედიდან შახტამდე და, შახტს აქეთაც, აჭრელებულია უწესრიგოდ შეფენილი, ფუტკრის ფიჭასავით დანაწევრებულ შუშაბანდიანი სახლებით. ზოგი, კრამიტით ახლად დახურული სახლი უზარმაზარი ნიყვი გეგონებათ, ისე გამოიყურება აქა-იქ ხალვათად მდგარ წაბლისა და წიფლის ხეებს შორის. ზოგი სახლის თეთრ კედელში ვიწრო ფანჯარა შორიდან შავ ლაქასავით მოჩანს. სახლების წინ, მწვანედ ქათქათებს მოლი. აქა-იქ ხელისგულისოდენა ფართობზე, ეზოს უკან შენიშნავთ სიმინდის ყანას, ვენახის მწკრივებს, ბოსტნის კვლებს. ქვემოთ, გორაკების გასწვრივ, ხევგაღმა მოჩანს რკინიგზის ლიანდაგი. აქ ხშირად მიდი-მოდის საბარგო მატარებელი. ჩამოაყენებს თუ არა მემანქანე უსახურავო საბარგო ვაგონებს, უმალ ატყდება ბუნკერში ხრიალ-გრიალი. ივსება ვაგონი ქვანახშირით, ორთქლმავლის თეთრი ფუნჩულა კვამლი კი ტაატით მიილალება მაღლა და ქედის გასწვრივ

გაფაფრულ ნისლს უერთდება. ერთი შეხედვით, ნისლიც, ქედის შუა წელი და ხეობა რომ დაუფარავს, ორთქლმავლის კვამლი გეგონებათ.

ნიკო არაბიძის სახლი რომ არის წამოჭიმული, იმ გორაკის ძირში, მოასფალტებულ შოსე გზაზე წამდაუწუმ დაქრიან მსუბუქი და საბარგო მანქანები. შატბია და სულიკო, როცა ჩამოქვეითდნენ, სწორედ ამ, შახტიდან სადგურისაკენ მიმავალ გზატკეცილს დაადგნენ. დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე მარჯვნივ და მარცხნივ, გზადაგზა ხვდებოდათ ახალი დამთავრებული შენობები, თუ ხარაჩოებში ჩასმული კედლები. ერთგან გზის ნაპირას ასფალტს ადუღებდნენ ვებერთელა ქვაბში, იქვე შორიახლოს იდგა ნაწვიმარზე, შეღებილიეით გადაყვითლებული — ჟანგმოკიდებული, ტრაქტორზე გამობმული, ასფალტის მოსატკეპნი საგორავი; დაახლოებით ორი კილომეტრის გავლის შემდეგ, შატბიამ და სულიკომ გზიდან გადაუხვიეს; გუშინ რომ ისე ინავარდა, იმ დიდი მდინარის ვიწრო ნაწილში აგებულ რკინა-ბეტონის ხიდით გაღმა გაკიღნენ, გაიარეს რკინიგზის გადაღმა მეშახტეებით დასახლებული უბანი და ბილიკით ხეობაში შევიღნენ. მათ უცებ იგრძნეს სიგრილე და უჩვეულო მყუდროება, მცხუნვარე მზეც თითქო მკრთალად ანათებდა აქაურობას. მისი შუქი აქა-იქ უხვ ჩრდილთა შორის ოქროსფერ, ნათელ ლაქასავით აჩნდა მიწას. როცა ხეობის სიღრმეში საკმაოდ შეიჭრნენ, პირველად გაიგონეს ნაკადულის ხმა,

რომელიც სასიამოვნოდ გაისმოდა აქ დამკვიდრებულ მყუდროებაში. ნაკადული აუარებელ ღორღში და ხის დამპალი ტოტების ნამტვრევებში მიიკვლევდა გზას, ათასნაირად ცდილობდა დასლტომოდა, შემოევლო, თავზე გადავლებოდა ქვებს, ტოტების ნამტვრევებს. ალაგ-ალაგ დაღმართებში აჩქარებული წყალი თითქო მიიმღერისო, უცნაურ ხმებს გამოსცემდა, შეუძლებელი იყო, მგზავრის ყურადღება არ მიექცია და სმენა არ დაეტკბო. სადაც წვრილად მიედინებოდა, იქ მისი ხმაც ნაზად და სუსტად გაისმოდა, სადაც ერთის წამით გუბდებოდა, თითქო ბუტბუტებსო, უფრო ბოხ, ფუყე ხმას გამოსცემდა. მარცხნივ და მარჯვნივ, გორაკის კალთებზე შეფენილიყვნენ მუხის, წაბლის, წიფელის, თხილის და კაპარის ხეები, თითქო გადმოხვეწილანო, ორ-სამგან თვალს მოჰკრავდით ნაძვის და ფიჭვის ხეებს, რომლებიც მკაფიოდ გამოირჩეოდნენ დანარჩენ ხეთა შორის; მუხის და წაბლის ხეები აქ უფრო ტანახოვანნი ჩანდნენ, თითქო ერთმანეთს გაჯიბრებოდნენ მზისკენ სწრაფვაში. ნაძვის ხეები ატუზულ ნაბდიან ჯაცებივით გამოიყურებოდნენ, გორაკის ფერდობის დაქანებაზე შვეულად იდგნენ. ყურადღებას იპყრობდა მათ გარშემო უამრავ ქვეწარმავალებივით დაკლაკნილი, მიწის ზედაპირზე განრთხმული უამრავი ფესვები. აქა-იქ ტანწერწეტი ფიჭვები სვეტებივით იდგნენ მუხის და წიფლის ტყეში. ღეროზე გამოწვდილი, გამხმარ-გადატეხილ ტოტის

ნარჩენები საფეხურებივით ისდევდა ხის ტანს. სულიკო ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ყოველ ხეს და ნატრობდა, დრო რომ იყოს, თვითეულ მათგანს ორ-ორჯერ მაინც დავხატავდიო. განსაკუთრებით მოეწონა ფიჭვის ქოჩორი. სულ მაღლა, ჩვეულებრივ კუნწუხოს ადგილას გამოსხმული უცნაურად დაკლაკნილი რტოები, ასეთივე უსწორმასწორო კეწეწებად დანაწევრებული და ნორჩი მწვანე ფერის წიწვებით დაფარული, ალაგ-ალაგ მზის შუქდაკრული, მართლაც მიმზიდველი სანახავი იყო. გატაცებულ თანამგზავრს, კმაყოფილებით მოღიმარი შატბია ხანდახან ხელს შეაშველებდა ხოლმე, როცა მას ნაკადულის პირად ფეხი ქვაზე დაუსხლტებოდა, თუ ნახერხივით გაფხვიერებულ მიწიდან ოდნავ ამოწვდილ და დამპალ ფოთლებით გაუჩინარებულ ფესვს წამოედებოდა. ალაგ-ალაგ, ნაკადულის პირას, ერთბაშად ჩამოქცეულ მიწის ფერდობზე შეაჭნევდით გაშიშვლებულ ფესვების უთვალავ ჟანგისფერ ბოლოების ხლართებს. აქა-იქ, ხეობის გასწვრივ, ნაკადულს ზემოდან წამოფარებოდნენ თარაზულად გაშლილი თხილის ტოტები. კაპარის წვრილი და უცნაურად დაკლაკნილ-გადახლართული ტოტებიც ნაკადულის კალაპოტისაკენ იყო გადმოფენილი. ხეობაში, კუთხურად, ხან მარცხნივ უხვევდა ნაკადული, ხან მარჯვნივ. გორაკის კალთები კონცხებივით ეშვებოდნენ ნაკადულის ვიწრო კალაპოტისაკენ. შატბია და სულიკო ხან ამ კალაპოტის გასწვრივ, ქვებზე ხტომით ეშურებო-

ღნენ წინ, ხანაც ფერდობზე აირბენდნენ. მიწა აქაც ნახერხმოყრილი გეგონებოდათ, ისე რბილად ეფლობოდა ფეხი წლობით ნაცვენ დამპალ ფოთლებში და წიწვებში. მიწას ასდიოდა ნესტის და თავისებური სიმჟავის სუნი. სულიკოს ჯერ ეუცხოვა იგი, მერე კი ისე შეეჩვია, რომ აღარც კი გრძნობდა; უცხო და მიმზიდველი სანახავი იყო სულიკოსათვის აქა-იქ მანჭკვალათი გადაჭრელებული კუნძები, თუ ბობოწვერათი შემკული ასწლოვანი ხეები. სულიკო უცებ შედგა, ცალი ხელი წიფლის ტოტს მოსჭიდა, დაწინაურებული შატბიაც შეჩერდა. ერთგან ნაკადულისათვის, მცირე კლდეს მოეჭრა გზა, მაგრამ წყალს ეს დაბრკოლება დაეძლია. ვერ მიხვდებოდით, თუ კლდეზე წყალი გადმოდიოდა; მის გასიპულ ნაპირზე რაღაც ლივლივებდა და ხანგამოშვებით აქა-იქ მცირედ გაიბრჭყვიალებდა, როცა ნიავისაგან შერხეულ ხეთა კეწეწებს მზის სხივი გამოუსხლტებოდა. რაც უფრო ღრმად იჭრებოდნენ ხეობაში სულიკო და შატბია, უნებლიეთ ამჩნევდნენ, რომ ალაგ-ალაგ დიდ, ხავერდოვან, მწვანე ლაქებად აჩნდა ხავსი ხის მობეჭებულ ქერქს. სულიკომ ერთ-ორგან ხელით მოსინჯა კიდეც ისინი და შატბიასაც სთხოვა:

— თუ ძმა ხარ, მოდი ერთი, ხელით გასინჯე, რა იქნება ამაზე უფრო წმინდა, ნაზი და სათუთი!!

სულიკოს ხათრისთვის შატბიაც შეეხო ხელით ხავსის ზედაპირს, მაგრამ ეს ამბავი მისთვის არ იყო განსაცვიფრებელი და ახალი. შატბიამ და

სულიკომ ხეობაში, ერთგან, ფერდობზე აუხვიეს, ტყის სიღრმისაკენ აიღეს გეზი. ასე, გორაკს რომ გადაივლიდნენ, იქიდან სოფლამდე უკვე ალარ იყო შორი. შუა ტყეში მიმავალთ ახლა სხვა სანახაობა იტაცებდა. ტყე აქ უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდა, სხვადასხვა ჯიშის და ასაკის ხეთა ფოთლების სიმწვანის ნაირფერობის გამო. ვებერთელა, ტოტებდაშვებული მუქი მწვანე, ალაგ-ალაგ კი ჩაშავებულ ნაძვს უკან დაინახავდით უფრო ღია ფერის მუხის ფოთლებს, სადმე ახლოს, კიდევ უფრო ღია, ვერცხლისფრად ტან აფორაჯებულ რცხილის ან კოპიტის ფოთლებს. მათ, ამ უხვ სიმწვანეში, თითქო უფრო ნაზი, უფრო მოყვითალო ფერიც გადაჰკრავდათ.

რამდენიმე წუთში სულიკო და შატბია უკვე გორაკს თავში მოექცნენ. აქედან თვალწინ ჩვეულებრივი სანახაობა იშლებოდა — ვენახი, სიმინდის ყანები, ერთგან ფერდობის მოზრდილ მონაკვეთზე ნიადაგი ჩაის ბუჩქისთვის მოემზადებინათ. შატბია და სულიკო ბილიკით თავქვე დაეშვნენ. დროდადრო თავს ძლივს იკავებდნენ წაქცევისაგან. გზატკეცილზე რომ ჩავიდნენ და სულისმოუთქმელად ერთი წუთით შესვენებას აპირებდნენ, უეცრად საბა გამთენაძე შემოეფეთათ.

შატბიამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე სულიკოს გააცნო. საბა დაღონებული გამოიყურებოდა; შატბია იმანაც გააკვირვა, საპას რომ მხარზე სანადირო თოფი ჰქონდა გადაკიდებული. გზაში საბამ

ორი სიტყვით უამბო შემოხვედრილთ, ამ ათოოდე წუთის წინ როგორ მოკლა ცოფიანი ძაღლისაგან დაკბენილი, თავისი ხელით შვილივით გამოზრდილი სეტერი. გზა რომ მოკლედ მოეჭრათ, ერთგან ბილიკით მდინარის ვრცელ, რიყით მოფენილ ნაპირისაკენ ჩაუხვიეს.

ისინი ჯერ კიდევ რიყეზე მიაბიჯებდნენ, რომ გზიდან ძახილი მოესმათ.

— ამხანაგო საბა... იჩქარეთ, გელოდებიან!..

საბამ იცნო კოლმეურნეობის კანტორის თანამშრომელი გოგონა, ხელი აუქნია, ანიშნა — მესმის, მოვდივარო და ისევ დინჯად განაგრძო გზა შატბიასა და სულიკოსთან ერთად. არ შეიმჩნია, მაგრამ ცოტა კი შეფიქრიანდა, გაუკვირდა — „რა მოხდა, რისთვის მეძახიანო“.

ვიდრე საბა ფერდობზე ავიდოდა, გოგონა თვითონ ჩამოეგება, აღელვებით აუწყა:

— რაიკომის მდივანი ამოვიდა მანქანით, კოლმეურნეობის კანტორაში იცდიდა, მე რომ აქეთ წამოვედი, ის მანქანაში ჯდებოდა, შეიძლება გზაში შეგხვდეს.

— მერე რა მოხდა?! რაიკომის მდივანი ამის მეტად არ გინახავს?..

— მინახავს, მაგრამ...

— რა? — მწყრალად წამოიძახა საბამ.

— ასე აღელვებული არ მინახავს.

— რა მოხდა?..

— ღღეს არაფერი, ამხანაგო საბა... იმას უნდა ნაღვლობდეს, ხე-ტყე წყალს როგორ გაატანეთო!

— ხე-ტყე?.. გავატანე რა, ჩემის ნებართვით კი არ წაუღია! მოვარდა და გაიტაცა. წყალი, წყალია!

საბამ უცებ მწყრალად გადახედა გოგონას, თითქო უნდა უსაყვედუროს, ამ ხალხის თანდასწრებით ასეთ ამბებზე რას მალაპარაკებო. საბა არ იმჩნევდა, მაგრამ, ეტყობოდა, ღელავდა. უნებლიეთ დაწინაურებული, უცებ შედგა, თანამგზავრებისაკენ სწრაფად შემობრუნდა და ხელებიც გაოცებით გაასავსავა ჰაერში.

— მოდი ახლა შენ და იმართლე თავი!.. კაცო, მდინარე ცხენი ხომ არ იყო, ლაგამი რომ მე მჭეროდა ხელში?! არა, ისე კი, რაც მართალია, მართალია, დიდი გლახა საქმე დაგვემართა! რა ხე-ტყე დავკარგეთ, რა...

— მაგრამ... სულ არა! — მოულოდნელად გააწყვეტინა სიტყვა და დინჯად, ღიმილით შენიშნა შატბიამ.

— სულ, სულ... ერთი მორიც აღარ დარჩენილა!..

— საბა, მაშ ის თქვენი კლუბის ასაშენებლად გამზადებული ხე-ტყე იყო, გუშინ ჩვენმა მეშახტეებმა რომ გამოზიდეს?!

საბამ, საკმაოდ მოსულმა, მხარბეჭიანმა ვაჟკაცმა, უცებ ისე შეჰყვირა, თანაც ისე მსუბუქად შეხტა, გაოცდებოდით.

— გამოზიდეს?! — საბამ მხარზე მარცხენა ხელი მოსჭიდა შატბიას, — მართლა ბიჭო?! — ახლა მეორე ხელითაც მობღუჯა მისი მხარი, — ვაჟკაცურად, — შესძახა და ამ შეძახილთან ერთად ისე შეანჯღრია, შატბიამ უცებ ფეხები გაჯგიმა, შეეშინდა — არ წავიქცეო.

უნებლიეთ, ფერდობის ძირას შეჩერებულნი კვლავ დაიძრნენ. საბას ახლა მხარზე ხელი გადაეხვია შატბიასათვის და ისე მიაბიჯებდნენ.

— რახან ასეა, — საბამ ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო, გაოფლილი სახე შეიმშრალა, — პატივისცემა ჩვენს კოლმეურნეობაზე და მის თავმჯდომარეზე იყოს! წამობრძანდით თქვენი ჭირიმე! კარგი ფეხით და კარგი ამბით მოსულხართ ჩვენს სოფელში!

საბამ შორიდანვე იცნო რაიკომის მდივანი, რომელსაც მანქანა ზემოთ დაეყენებინა, თვითონ კი ერთი კოლმეურნის თანხლებით გორაკის ფერდობზე ბილიკით, ქვემოთ ჩამოდიოდა. დროდადრო შედგებოდა, ქვემოთ, მდინარეს, ან გაღმა, მოპირდაპირე გორაკებს გახედავდა და კვლავ განაგრძობდა გზას.

საბა რაიკომის მდივანს რომ დაუახლოვდა, ნაბიჯს მოუჩქარა, სწრაფად მიეჭრა, სწრაფადვე შედგა ორიოდე ნაბიჯის სიშორეზე და მის გამოწვდილ მარჯვენას, ორივე ხელი ფრთხილად ჩასჭიდა; თან ხელს ართმევდა, თან თვალებში შესცქეროდა და შესცინოდა, როგორც მეტად ახლობელ

და საყვარელ ადამიანს. საბამ იცოდა-რა ახლა რაიკომის მდივნის გარჯის მიზეზი, დაასწრო, თვითონვე მოახსენა თავისი მარცხი და გასაჭირი. მდინარისაკენ გაიხედა, ნაძალადევი ღიმილით შენიშნა:

— ეს შეჩვენებული მაინც რა მოულოდნელად ნოვარდა... — უცებ იერი შეიცვალა, რაიკომის მდივანს უკიდურესად შეწუხებული და გაბრაზებული კაცის თვალით შეხედა, — რა დღე დაგვაყენა, სწორედ ჩასაფრებულივით გვეცა... წინა ღამით მაინც არ ჩამოეცურებინოთ ჩვენებს მორები.

საბა რამდენ სიტყვასაც იტყოდა, ხან რაიკომის მდივანს შეავლებდა თვალს, ხან მდინარეს გადახედავდა. მდინარე ახლა წყნარად მიედინებოდა, გუშინდელი გაშმაგებისა აღარა ეტყობოდა-რა. რაიკომის მდივანიც თითქო წყნარად უსმენდა საბას, მაგრამ ეტყობოდა ეს სიწყნარე დიდ ხანს არ გასტანდა. პაპიროსს ახლა მალიმალ სწევდა, კვამლი ნელა, თავისთავად მოედინებოდა მისი ოდნავ გახსნილი ბაგის კუთხეებიდან და ცხვირის ნესტოებიდან; გეგონებოდათ — შიგნით ცეცხლი გასჩენია და სადაცაა ალიც ავარდებაო. მართლაც, რაიკომის მდივნის გულს საბას ლაპარაკზე ნელ-ნელა ეკიდებოდა ცეცხლი.

საბამ იცოდა მისი ხასიათი და, ის მხნეობა, რომელიც აქამდე მოჰყვა, თანდათან ეკარგებოდა; ბოლოსაც ახლა ისე გაბედულად ვეღარ უსწორებდა.

რაიკომის მდივანმა შორიახლოს გაჩერებული შატბია და სულიკო თითქო ახლა შენიშნაო, ცნობისმოყვარეობით ჰკითხა საბას;

— ეს ჰაბუკები შენ გელოდებიან?

— უფრო... შენ გელოდებიან ამხანაგო ბეგლარ! ქალი, თბილისელი მოქანდაკე ყოფილა. მეშახტეთა კლუბისათვის ბარელიეფის გაკეთება მაქვს დავალებულიო.

— ვიცი. ეგ არის? — რაიკომის მდივანი ალბათ იმან უფრო გააკვირვა, რომ ეს ყმაწვილი აქ, სოფელში შემოხვდა ასე მოულოდნელად. ბეგლარმა საბას ისე გადახედა, ყველაფერი გასაგები იყო. საბამ უმალ მოიხმო შატბია და სულიკო, მერე მათ საზეიმო ხმით აუწყა: — იცნობდეთ რაიკომის მდივანსო.

რაიკომის მდივანმაც იცნო თუ არა შატბია, გაუღიმა, შატბიამაც გადადგა მისკენ ნაბიჯი, მაგრამ უცებ სულიკომ დაასწრო; ის მარჯვედ გაჩნდა რაიკომის მდივანთან, ხელიც თამამად ჩამოართვა, გვარი და სახელი, ჩამოსვლის მიზანიც აუწყა და ერთ წამში თავი გააცნო. ცოტა მორიდებით და ღიმილით ისიც მოახსენა — ორი საათის წინ რაიკომში დავრეკე და მითხრეს, რომ აქეთ წამობრძანებულხართო.

რაიკომის მდივანი სულიკოს სიმარჯვეს და სითამამეს არ გაუკვირვებია, მაგრამ ერთის შეხედვით რატომღაც მოეწონა ეს ვაჟი.

სულიკოს უეცარი გამოხტომით გაკვირვებული შატბია ერთ წუთს გაწბილებულივით იდგა განზე, ვიდრე რაიკომის მდივანმა მეორედ არ გაუწოდა ხელი.

საბა გამთენაძემ უცებ ცქვიტა ყური, როცა გაიგო — სულიკო ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის სტუდენტია და არა დასრულებული მოქანდაკე.

— რამხელას შეგიძლია მოერიო? დიდ ფიგურებზე გიმუშავნია?..

სულიკოს კინაღამ გაეცინა, თავი ძლივს შეიკავა. მხოლოდ ღიმილში გამოხატა თავისი დამცინავი გაკვირვება.

საბას გულუბრყვილო კითხვამ რაიკომის მდივანსაც უნებლიეთ მოჰგვარა სახეზე ღიმილი.

უცებ, თითქო რამე მოაგონდაო, რაიკომის მდივანმა პაპიროსი გადააგდო და სახეზედაც ისე შეიცვალა, საბას გააცია, ვერ გადავურჩებიო — გაიფიქრა. ტყუილად ინუგეშებდა აქამდე თავს, ამ უცხო სტუმართან როგორ ინებებს ჩემს დამუშავებასო.

— რა გიქნიათ კაცო, მართალია? — ცოტა მწყრალად იკითხა რაიკომის მდივანმა და გამომცდელის თვალით შეხედა საბას.

საბა კიდევ უფრო დაიბნა. ვერ მიმხვდარიყო, რაზე ეკითხებოდა რაიკომის მდივანი. გაურკვეველ კითხვაზე გარკვეული პასუხის გაცემა ვერ გაეხედა, — ვაითუ ის „ვახარო“, რის შესახებაც ჯერ

არაფერი სმენია და მთლად გავარისხოო, — ფიქრობდა გუნებაში.

მისი დუმილი რაიკომის მდივანმა თანხმობად ჩასთვალა; იფიქრა, დანაშაულს გრძნობსო და, ისევ თვითონ განაგრძო სიტყვა:

— იმოდენა ხე-ტყე რომ დაგიღუპიათ, რას აპირებთ?!.. ზარალი, ზარალია, სირცხვილიც სირცხვილად რჩება!..

დაწინაურებულ რაიკომის მდივანს საბა ფრთხილად, მოწიწებით მისდევდა ნახევარი ნაბიჯის დაშორებით, აბრეშუმის ყაბალახით წაკრული თავიკი ისე ეჭირა, გეგონებოდათ ღამით ან უხერხულად წოლილა, ან კისერი გასცივებია და თავისუფლად მოძრაობა უჭირსო.

შატბია და სულიკო რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით მიჰყვებოდნენ მათ და თავისთვის ერთმანეთში ჩურჩულებდნენ.

ორმოციოდე ნაბიჯი რომ გაიარეს, რაიკომის მდივანი შედგა.

საბამ უცებ რაიკომის მდივნის მანქანას მოჰკრა თვალი, რომელიც ჩრდილში დაეყენებინა შოფერს. გაიფიქრა — მეშველაო. რახან რაიკომის მდივანი აქეთ წამოვიდა, უთუოდ წასვლას აპირებსო. საბას აზრით, პაპიროსის მოკიდებაზე, გაბოლებაზე და საათის სინჯვაზედაც ეტყობოდა ბეგლარს, რომ ეჩქარებოდა. მაგრამ არ გამართლდა საბას ვარაუდი.

რაიკომის მდივანი შორიახლოს შეჩერებულ შატ-ბიასა და სულიკოს მიუბრუნდა.

— თქვენთან ბოდიში! კიდევ გნახავთ! .. ამხანაგო სულიკო, როცა რაიკომში შემოვლა, ჩემი ნახვა დააპიროთ, წინასწარ დარეკეთ, ტყუილად რომ არ მოგიხდეთ მოსვლა... რაიონი დიდია, საქმე ბევრი, ხშირად მიხდება წასვლა-წამოსვლა! მაშ ასე, ესკიზები, ჩანახატები, ყველაფერი მაჩვენეთ.

— უსათუოდ, უსათუოდ!...

სწრაფად მიუგო სულიკომ და გამოსამშვიდობებლად ახლოს მიეჭრა, მის გამოწვდილ ხელს უმალ თავისი ხელი შეაგება. შატბიაც გამოემშვიდობა.

— საით აპირებთ? — იკითხა რაიკომის მდივანმა.

სულიკომ უმალ დაუსახელა მასპინძლის გვარი. აქ, სოფელში, სულიკოს ერთი ამხანაგის ნათესავი მართლაც ცხოვრობდა და, იღბლად დროზე გაახსენდა იგი. რახან რაიკომის მდივანმა ბარელიეფის შესახებ ახლა არ ინება მოლაპარაკება, სულიკომ ისე მოაჩვენა თავი, თითქოს სოფელში სხვა საქმისათვის წამოსულიყოს.

— მაშ, კარგი დრო გაგეტარებინოთ! — უსურვა ახალგაზრდებს რაიკომის მდივანმა და ხელი ისე ასწია, ისე დაუქნია, თითქო უნდა აგრძნობინოს — დროა, საუბარი დავასრულოთო. შემდეგ ფრთხილი ნაბიჯით, დაქანებულ კლდოვან ფერდობზე გაჭრილ საცალფეხო გზით იწყო ქვევით სვლა. საბასთვის ეს ისე მოულოდნელი იყო, ძლივს მოასწრო

შატბიასა და სულიკოსათვის დაეძახნა — ჩემს უნახავად, იცოდეთ, სოფლიდან ფეხი არ მოიცვალოთო და, თვითონაც რაიკომის მდივანს მიჰყვა ფეხდაფეხ. რამდენჯერაც რაიკომის მდივანს ფეხი ოდნავ წაუსხლტებოდა ქვიშაზე, ან კლდოვან ქანის სიპ ზედაპირზე, იმდენჯერ შეშფოთებით წამოიძახებდა ხოლმე საბა — „მანდ ფრთხილად, ამხანაგო ბეგლარ", მაგრამ ამ, წამდაუწუმ სხვის გაფრთხილებაში, უცებ თვითონ ისე დაეცა, სიმწრისაგან და მოულოდნელობისაგან ისე სასაცილოდ აღმოხდა გაუგებარი ძახილი, გეგონებოდათ — ხმამაღლა დაახლოკინაო. ბეგლარმა გაიგონა და მიხვდა, როგორ დაეცა სხვისი მოამაგე, გამფრთხილებელი, მაგრამ არც მოიხედა, არც შეიმჩნია, თითქო არაფერი გაეგოს, კვლავ ფრთხილად განაგრძობდა გზას. საბას, ერთი მხრივ, ესიამოვნა კიდეც, რაიკომის მდივანს რომ არ მოუხედნია, და მისი სასაცილოდ მოღრეცილი სახე არ დაუნახავს.

ბეგლარმა გულდასმით დაათვალიერა ის ადგილი მდინარის პირას, საიდანაც წყალმა კოლმეურნეობის ხე-ტყე გაიტაცა. იგი დარწმუნდა; კოლმეურნეებს კიდეც რომ შეეტყოთ მდინარის მოდიდება, ვერაფერს იღონებდნენ; რიყით მოფენილი, ვიწრო ნაპირი, სადაც ხე-ტყე ეწყო, წყალს სწრაფად დაუფარავს, კლდოვან ქანობზე კი ფეხის მოკიდება და სტიქიასთან ბრძოლა წარმოუდგენელი იყო. რასაკვირველია, თუ ვინმე საბას ბრალს დასდებდა, მხოლოდ იმაში, რომ იმ საღამოსვე არ აბოზიღეს

მდინარის პირას დაგროვილი მორები. საბას, მართალია, გასამართლებელი საბუთი ჰქონდა — მანქანებს ვერ მოუცლიათ, თორემ მორების გამოზიდვა გუშინ დილითვე სდომებია; მაინც, ენაზე კბილს აჭერდა, რაიკომის მდივანი რომ არაფერში შედავებოდა. საბას აზრით, ასე უფრო სჯობდა. ბეგლარის თვალში მისი დანაშაული უფრო შემსუბუქდებოდა, შეღავათს კი წონა მოემატებოდა. საბას სული კბილით ეჭირა, სანამ მეშახტეების მიერ ხეტყის ერთი ნაწილის გადარჩენის ამბავს ახარებდა, მისი აზრით, ჯერ კიდევ არ დამდგარიყო ის წუთი, როცა ეს ამბავი ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა რაიკომის მდივანზე.

შატბიამ სულიკოს სოფელი დაათვალიერებინა. მერე ჭაბუკები მხიარულად გაუდგნენ გზას შინისაკენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რომ შეპირდნენ — გეწვევითო სულიკომ სხვა დროისათვის გადასდო. გზაში ტირიფს ახალი ამონაყარი ორ-ორი ტოტი ააჭრეს, ეროი ტოტის ტყავი მეორეს თავში ბათრახივით მოაბეს და ორღობეში ამ მათრახის შეხეილით, ხეხილის ფოთლებზე ცემით ირთობდნენ თავს. ტირიფის ტყავს ისეთი ტლაშუნი გაუდიოდა, სროლა გეგონებოდათ; ძაღლებიც ამ ხმაზე ხან ერთი ეზოდან გამოეგებებოდნენ გააფთრებული

ყეფით, ხან მეორედან. ერთმა ფინიამ მაინც ძალი-ან გამოიდო თავი.

სულიკო ისე ბედნიერად გრძნობდა თავს. ისე აგონებდა ბედნიერ ბავშვობას ეს ორღობე, ეს ხეხილი, ბაღ-ბოსტანი, კრამიტით დახურული სახლები, ძაღლების ყეფა, გზადაგზა ღობის ჩრდილში ჯგუფ-ჯგუფად თავშეფარებული, შუადღის სიცხისაგან შეწუხებული ქათმების, ინდაურების, ორ სამგან ეზოში, ჭასთან დაგუბებულ მღვრია ტბორში ბატების ჭყუმპალაობა, ფრთების ფართქუნი, რომ აქაურობის მიტოვება ეძნელებოდა. სულიკოს ისე მოეწონა ერთი მამალი იხვი, თავი და ყელი მუქი-მწვანე ხავერდისფერი ბუმბულით რომ ჰქონდა შემკული, თავი ვერ შეიკავა, ჯერ ფრთხილად, მიპარვით, მერე უფრო გაბედულად სცადა მისი დაჭერა, მაგრამ ქონით დამძიმებული, მენჯებმოშვებულივით აქეთ-იქით მოქანავე იხვის დაჭერა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. იხვებმა, ქათმებმა, ინდაურებმა ისეთი ალიაქოთი ასტეხეს, თითქო ქორმა ჩამოუქროლათო. შატბია გუნებაში სულ ნატრობდა, ნეტავი შინ მშვიდობით მივიდოდეთო, რადგან სულიკო არ ისვენებდა; მას ახლა ბავშვური ცელქობის ისეთმა ხალისმა და ჟინმა მოუარა, თავისი საქციელი იდუმალ თვითონაც აკვირვებდა. ერთგან მესრის ღობეზე შეხტა და დაიჟინა — ეზოში უნდა გადავიდე, ალუჩა დავინახე და მომინდაო. ბევრი უშალა შატბიამ, სახლამდე მიმაღწევინე და ალუჩას გოდრით დაგიდგამო; ბოლოს ცალ

ფეხში წაავლო ხელი და ძლივს ჩამოაგდო ძირს. სულიკო გზაში სულ ნერწყვს ყლაპავდა და შატბიას გულდაწყვეტით უსაყვედურებდა — რა მიყავი, აქაური ალუჩის გემო რომ არ გამასინჯეო. ორღობე რომ უკან მოიტოვეს და გორაკის ფერდობიდან გაშლილ სივრცეს გახედეს, სულიკო ახლა სხვაგვარმა ჟინმა და ოცნებამ შეიპყრო. ერთგან გზის პირას შეჩერდა, ხეობის გაღმა მხარეს დაუწყო ცქერა. გაღმა მთის, ხეობისაკენ მოქცეული კლდოვანი ფერდობი ისე აზიდულიყო, ძალაუნებურად სიდიადის და სიამაყის გრძნობას აღვიძებდა. დანარჩენი, ახლომახლო გორაკები ხეობებით ერთმანეთისაგან დაცილებული — თითქო ვებერთელა ხმლით გაჩეხილი, ყურადღებას იქცევდნენ ზღაპრული მოყვანილობით.

ჭაბუკები ერთხანს მდუმარედ გასცქეროდნენ თვალწინ გადაშლილ სანახაობას. შატბიასაც მოეწონა მოპირდაპირე მთის თითქმის შვეულად ჩამოკვეთილი კლდოვანი მკერდი, ამ კლდეს თითქმის შუაწელში ისეთი წავარნა გასდევდა ირიბად, მისი შორიდან ხილვაც კი ჟრუანტელის მომგვრელი იყო. მისი ფიქრით, ამ მთას უეჭველად დაამშვენებდა მონუმენტური ფიგურა.

ეს აზრი სულიკოსაც მოეწონა. იქვე, გზის პირას, ფერდობისაკენ წაქანებულ ხის ჩრდილქვეშ დაჯდა, სპეცშარვლის წინა ჯიბიდან ცარცის ფერების კოლოფი ამოიღო, პატარა ალბომი გაშალა და იმ კლდის გადმოხატვას შეუდგა. როცა ამ საქმეს

მორჩა, ზედ ორი ფიგურაც მოათავსა, მაგრამ კლდისა და ფიგურების შეფარდება ვერ მონახა. ნახატი სასაცილო გამოუვიდა. ფურცელი ამოხია და გადააგდო, მეორედ შეუდგა ხატვას. ერთი შეხედვით, ამ კლდის გადმოხატვაზე ადვილი არაფერი იყო, მაგრამ სულიკოს ნახატში მაინც ვერ მიეღწია იმ პროპორციისა და მონუმენტალობისათვის, რაც ამ კლდისთვის ასე დამახასიათებელი იყო.

შატბია, აქამდე რომ თავზე ადგა სულიკოს და ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს მისი ხელის მოძრაობასაც და გაჭირვებასაც, ახლა თვითონაც მოერია ეინი, თითქო კლდესთან შეჭიდებას აპირებსო, ისე მიაპყრო მას თავისი მზერა, მერე თვითონაც სულიკოს შორიახლოს ჩამოჯდა ფერდობზე, გადაგდებული ფურცელი აიღო და ფრჩხილით თავგადაჩიჩქნილი შავი ფანქარი მოიმარჯვა. ფურცლის სუფთა მხარეზე კლდის გადმოხატვას შეუდგა. ის ხან კლდეს გასცქეროდა, ხანაც თავის ნახატს უბრუნდებოდა, ფანქრის წვერს დროდადრო მარჯვედ გაჰკრავდა აქა-იქ, უკვე საკმაოდ გამორკვეულ ნახატს, ხაზებს ერთმანეთში ხლართავდა, რათა მათთვის უფრო მეტი ძალა და „მხატვრული დამაჯერებლობა“ მიეცა.

შატბია შუა ხატვაში იყო გართული, როცა სულიკომ მესამე ფურცელიც ამოხია, გადააგდო და მაშინ პირველად მიაქცია ყურადღება, ალმაცერად გააპარა შატბიასკენ მზერა. ამან უფრო გაუღვიძა

ინტერესი, თითქო შეჯიბრში გამოუწვევიათო, უფრო მეტის მონდომებით და დაკვირვებით შეუდგა მეოთხე ფურცელზე იმ საოხრე კლდის გადმოხატვას, მაგრამ ახლა სულ დაიბნა, თითქო სხვაგან იყურებაო, თვალი ერთს ხედავდა, ხელი მეორეს ხატავდა. სულიკომ მეოთხე ნახატსაც ბრაზით დაუსვა ჯვარედინად ფართო ხაზები და ალბომი დახურა. შატბიას ნახატს ახლა უფრო თამამად გადახედა, მიუხედავად პრიმიტიული შესრულებისა, მაინც მოეწონა, რადგან ნახატი გემოვნებით იყო გაკეთებული.

შატბია ჯერ კიდევ იმ ერთ ნახატს ჩასციებოდა; ისე განიცდიდა, რასაც აკეთებდა, არც კი შეუმჩნევია სულიკოს წამოდგომა. სულიკო შატბიას ზურგს უკან აეტუზა და მისი ხელის მოძრაობას დააკვირდა. შატბიას კარგად გადმოეცა კლდის ხასიათი. კლდის თავზე ფიგურებიც ისე მარჯვედ იყო მოთავსებული, სულიკოს ცოტა შურიც კი აღეძრა გულში. მან ამ ნახატშივე აშკარად იგრძნო, რომ შატბიას საგნის მხატვრულად დანახვის და გადმოცემის უნარი უხვად ჰქონდა მინიჭებული. სულიკო—აკადემიის მეორე კურსის წარჩინებული ფრიადოსანი სტუდენტი, უკვე მზად იყო, თავისი ფარ-ხმალი იმ ჰაბუკის წინაშე დაეწყო, რომელმაც ჯერ არც მხატვრობის აკადემიური ანბანი იცოდა და არც სამხატვრო აკადემიის მისამართი.

როცა შატბიამ ნახატს თავი ანება და გაიხედგამოიხედა, გაუკვირდა, სულიკოს რომ ვერსად

მოჰკრა თვალი; ზურგიდან უცებ სულიკო სწვდა მის ნახატს და ხელიდან გამოსტაცა.

შატბიაც უმალ მარდად წამოდგა.

— მოიტა, რას უყურებ, ერთი... — შესძახა შატბიამ და ნახატს ხელი წაატანა, მაგრამ სულიკომ არ დაანება.

„ვინ იცის, გუნებაში რამდენს იცინოდა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, როცა ჩემს ნაცოდვილარს დასცქეროდა“ — გაიფიქრა შატბიამ და თვალიც გაუსწორა სულიკოს, თითქო მის იერში უნდოდა ამოეკითხა დასტური; მაგრამ როცა შეხედა, გაუკვირდა; სულიკოს გამომეტყველებაში სულაც არ იგრძნობოდა დაცინვა. პირიქით, ეტყობოდა — შატბიას ნამუშევარი ძალიან მოსწონდა, რახან მისთვის თვალი ვერ მოეშორებინა. ახლა სრულებითაც აღარ ცდილობდა სულიკო რომ თავისი მოწონება დაეფარა. თვალები კეთილად ულიმოდა, ღაწვებიც ოდნავ წამოსწითლებოდა, დარცხვენილივით გამოიყურებოდა.

— ნიჭი კი ჩანს შენს ნამუშევარში, მაგრამ... ოსტატობას რომ დაეუფლო, ბევრი უნდა ივარჯიშო, თანაც ხატვის, ძერწვის, თუ ქვაში გამოკვეთის ოსტატობასა და კულტურასთან ერთად საჭიროა შენში განამტკიცო შრომის კულტურაც. ხომ იცი, რა თქვა მარქსმა: გენია — შრომაა!

შატბია ყურადღებით უსმენდა; როცა სულიკო რამეს იტყოდა, შატბიას კი არ უყურებდა, უფრო მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად — თითქო,

რასაც ამბობს, ეს ყველაფერი მისი შინაგანი რწმენის და პირადი გამოცდილების მხილებაა, შორს, ლაკვარდისაკენ იცქირებოდა. შატბია ჯერ კიდევ ვერა გრძნობდა მის მოჩვენებითს აღტაცებას, შთაგონების ხელოვნურობას, რადგან სხვადასხვა ოსტატების შეხედულებათა სიბრძნის ჭრელი ნიღაბი ფარავდა სულიკოს,—როგორც ხელოვანის უმწეობას.

— ასეთი ნიჭის პატრონი, — სულიკომ ნახატი მაღლა ასწია; — თავისთავად ბედნიერია!..

შატბიამ გადაიხარხარა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რა უნდა გამოეხატა ამით — გაკვირვება, სიხარული, თუ სულიკოს შეხედულების უსაფუძვლობა.

— რა გაცინებს? თუ ჭკუას იხმარ, დიდი მომავალი გაქვს!..

შატბიამ ერთი კი გაუღიმა, მერე ნელა დახარა თავი. აღარ იცოდა, რა ეპასუხა. როგორ მოქცეულიყო. სულიკოს ბოლო შენიშვნამ ის კიდეც გააწითლა, კიდეც ააღელვა.

სულიკო ერთხანს კიდევ ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ნახატს, მერე იგი ავტორს გაუწოდა, შატბიამაც უმალ ჩამოართვა იგი და ორად გაკეცვა დაუპირა, მაგრამ სულიკომ შეჰყვირა..

— ნელა, ბიჭო! გასაფუჭებლად კი არ დამიბრუნებია... აგერ კუთხეში წამიწერე — სახსოვრად. სულიკოს! სოფელი, თარიღი და შენი... გვარი!

შატბიამ ეჭვით ახედა და გაუღიმა, სულიკოს ნათქვამი ხუმრობა ეგონა.

— დამცინი?

— შენ როგორც გინდა, ისე იფიქრე, ოღონდ, რაც გითხარი, გარკვევით წამიწერე, არ მიჯღაბნო.

შატბიას მაინც ვერ გაებედა სულიკოს თხოვნის შესრულება. ხელი არ ემორჩილებოდა, ვიდრე სულიკომ მიძღვნა ძალით არ წააწერინა ფურცლის კუთხეში, შემდეგ შატბიას ნახატი ალბომის სუფთა ფურცლებს შორის ფრთხილად მოათავსა. ალბომი იღლიაში ამოიდო და მეოცნებე კაცის კილოთი შენიშნა:

— ვინ იცის, იქნებ ოდესმე ეს ესკიზი საფუძვლად დაედოს ჩვენს ოცნებას და იგი სინამდვილედ იქცეს!..

მათ ისევ მხიარულად განაგრძეს გზა და ბაასი. ახლა შატბია ცოტა უფრო თამამად გამოსთქვამდა თავის აზრებს და უფრო დაჯერებულიც იყო თავის გემოვნებაში, რახან სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი მას ასე ამხნევებდა.

სულიკო გარეგნულად კვლავაც მხიარული ჩანდა, მაგრამ რა წუთსაც მან შატბიას ნიჭის ძალა და აშკარა უპირატესობა იგრძნო, შატბიასთან ახლა რატომღაც ისე თავისუფლად ვეღარ ეჭირა თავი; გვერდით რომ მიჰყვებოდა, ხედავდა, რომ არა თუ ტოლი, ცოტათი მასზე უფრო მაღალიც იყო, მაგრამ თავის სიმაღლეში უპირატესობის

მაგივრად ახლა რაღაც სასაცილოს და არახელსაყრელ განსხვავებას ხედავდა მხოლოდ.

ერთხანს შატბია და სულიკო ისე მიაბიჯებდნენ გზაზე, გეგონებოდათ უბრად არიანო. წელან რომ სულიკო ბავშვივით ატაცებული იყო, ახლა ბრძენივით დინჯი ჩანდა; ეტყობოდა, ფიქრს გაეტაცნა. შატბიაც ჩაფიქრებულიყო. ის დროდადრო გადახედავდა ხოლმე ორიოდე ნაბიჯით ჩამორჩენილ სულიკოს და ისევ მდუმარედ განაგრძობდა გზას.

სულიკო ახლა იმაზე ფიქრობდა, მარტო ის აწუხებდა, რა ეღონა, როგორ მოეწყო შატბიასთან დაახლოვება, რომ მასზე გავლენა მოეპოვებინა და შეენარჩუნებინა. ერთადერთი, რაც პერსპექტივაში უკვე ბუნდოვნად ესახებოდა ყველა სხვა საშუალებაზე უფრო რეალურად და საიმედოდ ეჩვენებოდა, ეს, დამოყვრება იყო; და თუ სულიკოს წადილს გახორციელება ეწერა, უფრო ხელსაყრელი ვითარებისათვის ლოდინი აღარც შეიძლებოდა. როგორც სულიკომ შეამჩნია, მეგიმ პირველი ნახვის უმალ სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა შატბიაზე და თუ იმ ნაპერწკლის გაღვივებას შეეცდებოდა, გუშინ რომ აკიაფდა შატბიას გულში, მიზანს ალბათ ისე ადვილად მიაღწევდა, შეიძლება თვითონაც გაჰკვირვებოდა. მაგრამ თუ ამ შემთხვევას ვერ გამოიყენებდა, შატბიასთან დამოყვრების იმედი აღარ უნდა ჰქონოდა.

შატბია სულ სხვა რამეზე ფიქრობდა და ოცნებობდა. მისი ნატვრა იყო სამხატვრო აკადემიაში

მოწყობა, სწავლა, შემდეგ იმ ნააზრევის განხორციელება, იმ გმირების ხორცშესხმა, რომლებიც ჯერ მხოლოდ მის გონებაში, მის სულში ფათურობდნენ და ეს ერთი ხანია უკვე მოსვენებას აღარ აძლევდნენ ჭაბუკს.

ჩაის პლანტაციებიც რომ ინახულეს, საბამ სწორედ სოფლიდან გამგზავრების წინ ახარა ბეგლარს მეშახტეთა მიერ მდინარიდან ხე-ტყის გამოზიდვის ამბავი.

ბეგლარი და საბა ერთად გაემგზავრნენ შახტისაკენ. ნახევარი გზაც არა ჰქონდათ გავლილი, რომ ერთიგან ძალიუნებურად მოუხდათ შერერება. ვიწრო, მაგრამ ღრმა ხევზე გადებული ხის ხიდის შუა ბოძებისათვის მოვარდნილ წყალს საყრდენი გამოეთხარა. სიმძიმისაგან ხიდის ცალი კოჭი ჩაზნექილიყო. ნაპირსაც ისე დაეწია, ხიდზე გავლა აღარ შეიძლებოდა.

შოფერმა მანქანა ხიდის პირთან დააყენა; თვითონაც შენიშნა, მეორე მხრიდან მომდგარმა ხალხმაც ატეხა ყვირილი — ხიდი დაზიანებულიაო.

ბეგლარი და საბა უმალ მანქანიდან გადმოვიდნენ.

— როდის მოხდა ეს ამბავი? — იკითხა ბეგლარმა, როცა ხიდი გულდასმით დაათვალიერა.

გარკვევით არავის შეეძლო რამე ეთქვა. ხიდი, უთუოდ, წუხელ მოვარდნილ წყალს უნდა დაეზიანებია.

— რამდენი ხანი დასჭირდება მაგის აღდგენას? — კვლავ იკითხა რაიკომის მდივანმა და ფერდობზე ორი-სამი ნაბიჯით ჩამოქვეითდა, ხიდს გვერდიდან გახედა.

კოლმეურნეთა შორის ბჭობა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ბოლოს ერთი მათგანი წინ წადგა და დარწმუნებით თქვა:

— ამხანაგო ბეგლარ, რაც მალე იქნება, ჩვენთვისაც უკეთესია, მაგრამ... ხვალ ამ დრომდე მაგას, მგონია, არაფერი ეშველება!

თითქო ბეგლარი ამ სიტყვებმა ფიქრისაგან გამოარკვიესო, შუა და სალოკ თითს შუა შერჩენილ პაპიროსის ნამწვავს დახედა, ფერფლი გააყრევინა, სახეზედაც ღიმილი მოეფინა. მაგრამ ეს ღიმილი ახლა კმაყოფილებას და დასტურს კი არ გამოხატავდა, თითქო იმ კოლმეურნეს ანიშნებდა — ვარაუდში სცდებიო.

ბეგლარი ფერდობიდან კვლავ გზაზე ამოვიდა. მაჯის საათს აჩქარებით დახედა და გარსშემოკრებილ კოლმეურნეთ დინჯად ჩამოუთვალა, თუ რის გაკეთება უნდა მოესწრო დღეს.

— მაგრამ, როგორც ხედავთ, — განაგრძო მან, — აქედან ვერსად წავალ, ვიდრე ხიდს არ აღვადგენთ, ხიდი კი... — მან თვალი მოავლო ირგვლივ თავმოყრილ ხალხს, რომელსაც თითო-ოროლა

კაცი დროდაორ ემატებოდა. — ხიდი კი ერთ საათში უნდა იქნეს აღდგენილი!

მართალია, რაიკომის მდივნის სიტყვები ბეჯითად იყო წარმოთქმული, მაგრამ იქ მყოფთა სახეზე იმ სიტყვების გაგონების უმალ გაოცება აღიბეჭდა.

ბეგლარმა სწრაფად დარაზმა ხალხი, ყველას საქმე გაუჩინა. სწორედ ის დრო იყო, როცა კოლმეურნეთა ერთი ნაწილი სამუშაოდან სახლებისაკენ ეშურებოდა. ვინც გაღმიდან მოადგებოდა ხიდს, ან გამოღმა გამოჩნდებოდა ბეგლარი და საბა უმალ საქმეში აბამდნენ. ზოგს თქმაც არა სჭირდებოდა. დაინახავდნენ თუ არა გაცხარებულ მუშაობაში კოლმეურნეებთან ერთად ჩაბმულ რაიკომის მდივანსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, თვითონაც თავდაიწყებით ებმებოდნენ საქმეში. ყველა ცდილობდა მუშაობაში თავი გამოეჩინა და უფროსების ყურადღებაც მიეპყრო.

ქვემოთ, ხევში, ხიდისკენ დიდ ქვებს ეზიდებოდნენ ბოძების საძირკვლის გასამაგრებლად. მესამე საყრდენისათვის, საბარგო მანქანაზე გამობმული დიდი მორიც მოიტანეს. ბირდაბირი, ნაჯახები, თითო მტკაველა ლურსმნები, ბარები, წერაქვები ნანატრივით ერთბაშად გაჩნდა. ცოტა, საყრდენი ძელის აწევა და ხიდქვეშ შეყენება გაუჭირდათ. მაგრამ ამ საქმესაც მალე გაართვეს თავი. ყველა ცხადად ხედავდა რის შემძლეა ერთობა და სწორად

წარმართული ძალა. ბეგლარი და საბა, სადაც მეტი გასაჭირი იყო, სწორედ იქ გაჩნდებოდნენ ხოლმე, დანარჩენებს ხან მარჯვენით ეშველებოდნენ, ხან მარჯვე სიტყვით და რჩევით. ხანაც ამ დაძაბულ მუშაობასა და გასაჭირში უეცარი სახუმარო შენიშვნით ისეთ ხარხარს იწვევდნენ, გეგონებოდათ აქ სამუშაოდ კი არა, საოხუნჯოდ შეკრებილანო. როცა ხიდს ქვემოდან მესამე საყრდენი შეუყენეს, ჩაზნექილი ნაპირი ასწიეს და გამართეს, დურგლები უმალ შეცვივდნენ ხიდზე, ახლადშედგმულ საყრდენის ადგილას ორი ფიცარი ააძვრეს, თოკის კიბით ხიდის ქვეშ მოექცნენ და საყრდენის გულმოდგინედ გამაგრებას შეუდგნენ. ცოტა ადრე, ბოძის გამართვის უმალ, კოლმეურნეთა ერთი ნაწილი, ზემოთ რომ მუშაობდა, მერე ქვემოთ, საყრდენის გამმაგრებლებს ჩაეშველა, მუხლებზემოთ შარვალაკარწახებული კაცები წყალში შევიდნენ. ახლა ბეგლარიც ქვევით იყო, ბერკეტებით ლოდების გადაგორებასა და საყრდენის გამაგრებაში ეშველებოდა დანარჩენებს.

საქმეს რომ მორჩნენ და შუბლზე ღვარად დადენილი ოფლი გადაიწმინდეს, ზოგს ჯერ კიდევ არა სჯეროდა, თუ ბეგლარის სიტყვა გამართლდა, ასე მალე საქმედ იქცა.

იმ ერთ საათს ხალხი ისე გატაცებით და დაძაბული მუშაობდა, დაღლა მარტო მაშინ იგრძნეს, საქმეს რომ მორჩნენ და წელში გაიმართნენ. რასაკვირველია, რა. დაძაბულიც უნდა ყოფილიყო

ასეთი მუშაობა, მათ ვერ მოქანცავდა, რომ ეს საქმე უკვე მთელი დღის ნამუშევრებს არ შეხვდომოდათ გასაკეთებელი.

ბეგლარმა რამდენიმე ყმაწვილი, წეღან რომ ისე მარჯვედ და თავგამოდებით მუშაობდნენ, თავისთან მოიხმო, აქო. — ყოჩაღ! ყოჩაღ! თქვენისთანა მარჯვე ბიჭები კოლმეურნეობაში კი არა, შახტშიაც ივარგებდნენ.

ყმაწვილებმა ერთმანეთს გადახედეს.

— გამოვდგებოდით და კიდეც გვინდა შახტში მუშაობა, მაგრამ ვინ გვიშვებს! — წყენით თქვა ერთმა.

ბეგლარმა საბას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

— მართალია, ჩემთვისაც უთქვამს ზოგიერთს, მაგრამ... — საბას ენა დაება.

ბეგლარმა ერთხელ კიდევ გადახედა საბას, მერე ახალგაზრდებს მიუბრუნდა:

— გავაკეთებთ მაგ საქმეს!

ახალგაზრდებმა სიხარულით დაუკრეს თავი ბეგლარს.

რაიკომის მდივანი ახლა საბასთან ერთად, ღაწმენდილ რუს პირად იბანდა ხელ-პირს; მის შორიახლოს შეჯგუფულ, ფერდობის ბილიკზე მიმავალ, ხიდის თავზე გადმომდგარ კოლმეურნეებს, თუ წეღან ბეგლარის სიტყვებზე—ხიდი ერთ საათში იქნება შეკეთებულიო, — გუნებაში უნებლიეთ გაეღიმათ, ახლა გაკვირვებით და მოწიწებით გას-

ცქეროდნენ რაიკომის მდივანს. ის მხიარულად გამოიყურებოდა, ეტყობოდა კმაყოფილიც იყო, მაგრამ მის იერში ვერც აღტაცებას და გადაჭარბებულ თავმომწონეობას ამოიკითხავდით, ვერც მედიდურებას, რაც შეიძლება აღეძრა სხვაში ამ წარმატებას. მისთვის თითქო თავიდანვე ცხადი იყო — სხვების მიერ ერთ დღეში ნავარაუდევი საქმე, რომ ერთ საათში უნდა შესრულებულიყო.

ახლა ხიდის თავსა და ბოლოში, ქვემოთ ხეებშიაც იმდენი ხალხი მოგროვილიყო, ზეიმი ვეგონებოდათ. აკი განცვიფრდნენ კიდეც შატბია და სულიკო, როცა ამ ადგილს მოაღწიეს. შეიტყვეს თუ არა, რაშიაც იყო საქმე, გული დაწყდათ, რომ ან ამბავში მონაწილეობა ვერ მიიღეს.

ხევიდან, ბილიკით გზაზე ამოსულმა ბეგლარმა გაკვირვებით გადახედა შატბიასა და სულიკოს.

— დაიგვიანეთ! — ღიმილით, თანაგრძნობით შენიშნა დაღონებულ ჭაბუკებს. მერე ხალხს დაემშვიდობა, მანქანაში ჩაჯდა, შატბიასა და სულიკოსაც. თითქო უბრძანებსო, ისე ანიშნა ხელით — მანქანაში ჩასხედით, წაგიყვანთო. რაიკომის მდივანი არ შევაწუხოთო, ახლა ამ მიზეზით უარის თქმა აღარ შეიძლებოდა. მარცხნიდან შატბიამ გააღო „M—1"-ის კარი, მარჯვნიდან სულიკომ. მათ ისე მოიმწყვდიეს შუაში საბა, გეგონებოდათ, ცემას უპირებენო. როცა კარები მოიჯახუნეს, მანქანაც დაიძრა. ხალხმა მხიარული შეძახილებით გააცილა იგი. წვიმის დროს ურმის ბორბლებიდ

გაკვალული ტალახი ახლა ვიწრო ღარებივით აჩნდა მიწას. გამხმარი, დაფშვნილი ტალახის გოროხებზე მანქანა ისე ხტოდა და წამდაუწუმ უსიამოვნოდ ირწეოდა აქეთ-იქით, ძალიან ძნელი იყო წონასწორობის შენარჩუნება. უკან მსხდომნი წამდაუწუმ ეხლებოდნენ ერთმანეთს. ნიდაყვებით წინა სავარძლის ზურგზე დაყრდნობილ და ხელებ-ჩაფრენილ საბას მანქანის ერთი ღონიერი ჩაბუ-ქვნის დროს ცალი ნიდაყვი დაუსხლტა და შუბლი ისე დაჰკრა სავარძელს, რომ ერთ-ორ წუთს გა-ბრუებული ვეღარაფერს გრძნობდა. მერე შუბლზე ხელი შემოიდო, სიცილით რომ იგუდებოდნენ, ზატბიასა და სულიკოსაც გადახედა, თვითონაც გაეცინა.

— ბეგლარ ჩემო: აწი თუ კიდევ წამომიყვან ამ გზაზე შენი მანქანით, წამოსვლის წინ უსათუოდ ცოლ-შვილს გამოვეთხოვები.

— არ გვაცლი?.. — მოუბრუნდა მცირე დუმი-ლის შემდეგ ბეგლარი საბას, — მალე მოესწრები, აქეთაც დევის ქვაბებში ასფალტს ვადუღებდეთ და მანქანები ლავაშივით გაგებულ შავ ცხელ ფაფას ტკეპნიდნენ. გაღმა, გორაკების ფერდობებს კი სულ ჩაის ბუჩქებით მოვაჩუქურთმებთ, ერთ დიდ ხიდს ავაშენებთ, კლუბის ახალ შენობას ავა-შენებთ!.. ელსადგურს ავაშენებთ.

— ეგ მართლა დიდებული საქმე იქნება, — წამოიძახა საბამ და მუხლზედაც ხელი ისე დაიკრა, ტკაცუნი გაადენინა.

— შე კაცო! — ღიმილით შენიშნა ბეგლარმა, — რამდენი დიდებული საქმე გაგვიკეთებია, ამასაც გავაკეთებთ! — რაიკომის მდივანმა სულიკოსაც გადახედა,

— თქვენც არ იტყვით ალბათ უარს...

— რაზე, ამხანაგო ბეგლარ? — მკვირცხლად იკითხა სულიკომ.

— ჩვენი კუთხის გამშვენიერებაში მონაწილეობაზე.

— თუ გამოგადგებით... — სიტყვა აღარ დაასრულა სულიკომ.

— სწავლას როდის ამთავრებთ? — მცირე დუმილის შემდეგ ჰკითხა ბეგლარმა.

— მეორე კურსზე ვარ... ოთხი წელი კიდევ მიკლია დიპლომის მიღებამდე.

— ნამდვილ დიპლომს მაშინ მიიღებ, როცა ცხოვრებას გაეცნობი და ხალხს შეისწავლი! თუ ამ საქმეში როდისმე დაგჭირდე, არ მომერიდო, სიამოვნებით დაგეხმარები.

სულიკომ წამოიწია, თვალებში შესცქეროდა ბეგლარს, თითქო სულში უნდა ჩაუძვრესო.

— მინდა ბელადის ისეთი მონუმენტი დავდგა ჩვენს რაიონში, რომ მის სანახაოად საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიოდნენ!.. შეგიძლიათ, თქვენც იფიქროთ ამის შესახებ, — რაიკომის მდივანმა ღიმილით გადმოხედა სულიკოს. — თქვენ თქვით, ოთხი წელიწადი კიდევ უნდა ვისწავლოო? სწავლა კაცს, მგონია, ხელს არ უნდა უშლიდეს

მომავალზე, დიდ ამბებზედაც იფიქროს და თავის ოცნებას საფუძველი მოუმზადოს! ჰოდა, თქვენც ოცნებეთ!

— ძვირს თუ არ დაგვიფასებს! — ვითომ ხუმრობით, ნამდვილად კი მომჭირნე კაცის წინდახედულებით შენიშნა საბამ.

ბეგლარს არ მოუხედნია. საბას შენიშვნაზე ისე მიუგო, თითქო თავის თავს ელაპარაკებაო.

— ძვირი რასა ჰქვია?!.. კარგს ფასი არა აქვს!

— პატივცემულო ბეგლარ, თქვენ არა მარტო გიყვართ, გეტყობათ კარგად ერკვევით კიდეც ხელოვნების საკითხებში.

— რატომ არ უნდა მიყვარდეს?! განა ხელოვნების სიყვარული კაცს უშლის რამეს?..—დინჯად შენიშნა სულიკოს კითხვაზე ბეგლარმა.

სულიკო სმენად და მზერად იყო ქცეული; ბეგლარს როცა არ უნდა მოეხედნა, უმალ მის თვალებს წააწყდებოდა ხოლმე.

— მე დღეიდანვე შევუდგები თქვენს განზრახვაზე ფიქრს... დიდებული საქმე იქნება!

— ამხანაგო ბეგლარ, მერე იმხელა ქანდაკებას ერთი კაცი გაწვდება?.. — ეჭვით იკითხა საბამ.

— ეგ კაცზეა დამოკიდებული... უნარზე!—კვლავ დინჯად მიუგო ბეგლარმა და წინ წამოხრილ სულიკოს გაუღიმა.

— თუ ვერ გავწვდები, აგერ შატბიაც მომეხმარება! — არხეინად შენიშნა სულიკომ.

— შატბია? — უცებ იყვირა საბამ.

რაიკომის მდივანი ახლა უფრო საბას შეყვირებამ გააკვირვა, ვიდრე სულიკოს სიტყვებმა.

— ამხანაგო ბეგლარ, გაიგონე?

— შე კაცო, ყურს ხომ არ მაკლია?!

რაიკომის მდივანი უკანა სავარძლისაკენ შებრუნდა, სადაც საბა, შატბია და სულიკო ისხდნენ. მარცხენა იღლიით შოფრის სავარძლის საზურგეს ეყრდნობოდა, ხელიც მაგრად ჩაევლო მისთვის.

— პატივცემულო ბეგლარ, — დაიწყო სულიკომ, — ამხანაგმა საბამ, ეტყობა, არ იცის, რომ შატბიაც მოქანდაკედ გახდომას აპირებს და გახდება კიდეც!

— ჩვენის მხრივ ყურადღება არ მოაკლდება, თუ მაგ საქმეში უნარს იჩენს!..

ნიჭიერი ყმაწვილია! მაგის, ჯერ გაუწაფავი ხელით გამოძერწილი ბიუსტები, ზოგიერთი ცნობილი მოქანდაკის ნამუშევარს მირჩევნია.

— მე, თუმცა შატბიას ნამუშევრები არ მინახავს, არც იმ ოსტატების ნაწარმოებებს ვიცნობ, რომლებსაც თქვენ ამ შემთხვევაში გულისხმობთ, მაგრამ გეთანხმებით, სულ თუ არა, ნაწილობრივ, შეიძლება, მართლაც ასე იყოს.

— პატივცემულო ბეგლარ, ხელოვნებაში შეიძლება მოხერხებულმაც გაითქვას სახელი, მაგრამ საყვარელი მაინც მხოლოდ ნიჭიერია!

— ხანდისხან საკვირველია ადამიანის ახირება, რის უნარიც არ შესწევს, ზოგი სწორედ იმ საქმეს ეტანება და შეყვარების მაგივრად ყველას თავს

აძულებს. — ამ ზოგადი მოსაზრების შემდეგ ბეგ-
ლარი კვლავ შატბიას საკითხს დაუბრუნდა, —
მაშ, ამხანაგო სულიკო, შატბია თქვენის აზრით
იმედს გვაძლევს... — ვიდრე სიტყვას დაასრულებ-
და. ბეგლარმა ისეთი თვალით გადახედა შატბიას,
თითქო ამხნევებსო.

— ეს ჩემთვის უკვე დღესავით ცხადია.

— მერე... თუ ასეა საქმე, რას ფიქრობ აბლა?
კვლავ გადახედა ბეგლარმა შატბიას.

შატბიამ უბრალოდ, ხმადაბლა შენიშნა:

— ფიქრით ვფიქრობ... მაგრამ, — შატბია შეყო-
ყმანდა, — მარტო ფიქრით რა გამოვა?

— სწავლა არ გინდა?

შატბიას ხმა ვერ გაეღო. ისევ სულიკო ჩაერია
საქმეში.

— უნდა, მაგრამ, — შენიშნა ყოყმანით, უფრო
მეტი ინტერესი რომ აღეძრა ბეგლარისათვის, —
მამამისი, ცოტა, სხვა აზრისაა...

— რაო?

— სწორედ გუშინ გვეკამათებოდა... ჩემს გვარს
შახტში მუშაობის ტრადიცია აქვს და შატბიაც
შახტში სამუშაოდ უნდა დარჩესო.

ერთხანს კრინტი აღარავის დაუძრავს. ყველანი
ცნობისმოყვარეობით ელოდნენ — რას იტყოდა
რაიკომის მდივანი.

— საბა, როგორ ფიქრობ, — გაისმა ბოლოს მისი
ხმაც, — ერთ კაცს, შატბიას შემცვლელს, როგორ-

მე გამოვნახავთ, არა? — ხუმრობის კილოთი იკითხა ბეგლარმა.

— რასა ბრძანებ, ამხანაგო ბეგლარ! თუ საჭირო იქნება, ამ ერთში, — შატბიას მხარზე ხელი გადახვია საბამ, — ხუთ კაცს მივცემ! გამოწერილივით, სწორედ ახლა მსურველებიც რომ მყავს! თქვენც ხომ ესაუბრეთ!

— არ დაგავიწყდეს, მხედველობაში იქონიე! — გადასძახა ბეგლარმა საბას და მერე კვლავ შატბიას მიუბრუნდა, — თუ შენი ნამდვილი მოწოდება მოქანდაკეობაა, მამაშენს მე მოველაპარაკები. ხელს ვერაფერი შეგიშლის!

შატბიამ ისე შეხედა ნახევრად სახე მობრუნებულ რაიკომის მდივანს, რომ მან უმალ იგრძნო, უმალ ამოიკითხა ჭაბუკის მზერაში უსაზღვრო მადლობა და უსაზღვრო სიხარული.

ბუნკერის მხრიდან ის იყო დაიძრა ნახშირით დატვირთული ეშელონი. რაიკომის მდივნის მანქანას თავისუფლად შეეძლო გადაესწრო ეშელონისათვის, ლიანდაგს ათიოდე მეტრითღა იყო დაშორებული, მაგრამ ბეგლარმა შოფერს მანქანა გააჩერებინა და ცნობისმოყვარეობით იწყო ცქერა იქით, საიდანაც მატარებელი მოდიოდა. რახან მანქანა შეჩერდა, სულიკომ და შატბიამ დრო იხელ-

თეს, უმალ გიდმოვიდნენ, საბას და ბეგლარს და-ემშვიდობნენ და მატარებლის ჩამოვლას აღარ მოუცადეს, ლიანდაგზე გადაირბინეს.

ნახშირით დატვირთული მატარებელი დაღმართზე ფრთხილად მოჰყავდა მემანქანეს; ორთქლმავლის რიტმიული ქშენა ყურთასმენას ახშობდა, რძის ქაფივით აფუშფუშებული ორთქლი კი ბორბლებში იბლანდებოდა და ქრებოდა. ვაგონები ტაატით, ბორბლების ხმაშეწყობილი რაკრაკით, ნახშირით გამოტენილი ფერდების ჭრაჭუნით მისდევდა ორთქლმავალს.

ამ სურათის ხილვით კმაყოფილ, მანქანის საზურგეზე მიწოლილ ბეგლარს სახეზე ღიმილი მოჰფენოდა. ის კარგად იცნობდა მთელ მიწისქვეშა მეურნეობას, და ცხადად ჰქონდა წარმოდგენილი, რა თავგანწირვით, რა გმირული შრომით იყო მოპოვებული ყოველი ტონა ნახშირი.

როცა ეშელონმა ჩაიარა, შოფერმა ერთი კი გადახედა რაიკომის მდივანს, მერე მანქანა უცებ შეტოკდა ადგილზე და წინ გაიჭრა. გადაიარეს თუ არა ლიანდაგი, იქვე, შახტისაკენ გაუხვიეს. ძველი დაგებული ასფალტი გზადაგზა დაზიანებული იყო. ორი დღის წინ ჩამდგარი წვიმის წყალი ოღროჩოღროებში ჯერ კიდევ არ ამომშრალიყო. მანქანას ხან გზის მარჯვნით წამოუფრინდებოდა ხოლმე ქათამი გაკაპასებული კაკანით და ფრთების ფარფაქუნით, ხან მარცხნივ. ერთ-ორგან ბატებიც შემოხვდათ; მანქანის ხმაურზე მათაც იკადრეს

ფრთების გაშლა და ფეხის აჩქარება; ქვანახშირის მტვერით გადაშავებული ფრთები რომ გაშალეს, თითქო სარჩული აქვსო, შიგნიდან ისე უქათქათებდათ იგი.

შოფერი ცდილობდა, მანქანა ისე ეტარებინა, ასფალტის ღრუებში ბორბალი არ ჩავარდნოდა, მაგრამ დროდადრო „M—1“ მაინც ისე „ჩაბუქნავდა“, მგზავრები იძულებული იყვნენ ხელი უცებ სახელურისათვის, ან სავარძლის საზურგესათვის წაევლოთ. შახტისაკენ მიმავალ გზის მარცხნივ და მარჯვნივ აქა-იქ ეყარა გაუხვეწავი ძელები, ჭადრაკულად ნაწყობი რკინიგზის ლიანდაგის დასაგები ნამორები, საშახტო მანქანები და ვაგონების უვარგისი, დამტვრეული და წვიმაში ბუქყვითელი ჟანგით დაფარული ნაწილები. მარცხნივ, მანქანების შესაკეთებელ სახელოსნოდან ისმოდა ჩაქუჩების რიტმიული რაკუნი და რკინის ჟღრიალ-ზუზუნი. წინ, ბუნკერის უშველებელი კოშკი საღარაჯო ჯიხურივით ამართულიყო ცაში, საიდანაც ისეთი ხრიალ-გრიალი ისმოდა, ქუხილი გეგონებოდათ. ბუნკერის ახლო მობნეულ ქვანახშირს რამდენიმე ქალიშვილი აგროვებდა. შტოლნიდან დროდადრო, პაწაწინა ბორბლების რაკრაკით ჭიასავით გამოიკლაკნებოდა ხოლმე ნახშირით დატვირთული ვაგონეტების წყება. აკუმულატორული ელმავალი ზარის გაბმული წკარუნით მისრიალებდა ვიწრო ლიანდაგზე, რომელიც მიწას ძლივს აჩნდა.

ბეგლარის მანქანა კომბინატის მთავარ შესასვლელთან გაჩერდა. ბეგლარმა ერთი კი მოაკლო თვალი იქაურობას, შორიახლოს მდგარ მუშების ჯგუფს ხელის დაქნევით მიესალმა, მანქანიდან სწრაფად გადმოვიდა. საბას კი ცოტა შეაგვიანდა.

ბეგლარი ქვის დაბალ კიბეზე ავიდა, პირველი სართულის კარებთან შეჯგუფული მუშა-გოგონები და თანამშრომლები უცებ აქეთ-იქით გაიფანტნენ, რაიკომის მდივანს გზა მისცეს; სალამზე ზოგმა ღიმილით უპასუხა, ზოგმა გაბედულად შესძახა — ბეგლარს გაუმარჯოსო და მიმავალს თვალიც გააყოლეს.

ბეგლარი დინჯად ადიოდა კიბეზე. ორი საფეხურის დაშორებით, უკან, საბა გამთენაძე მისდევდა და საითაც რაიკომის მდივანი გაიხედავდა, ისიც უმალ იქით მიაპყრობდა თავის მზერას და ყურადღებას. სართულიდან სართულამდე კიბის ასწვრივ, კედელზე პარალელურად იყო გაკრული გრძელი, წითელი მატერია, რომელზედაც თეთრი ფერით ეწერა ლოზუნგი; ხოლო ბაქანს ზემოთ, კიბის პირდაპირ, დერეფანში შესავალ კარის თავზე ეკიდა პლაკატი — პნევმატურ ჩაქუჩმომარჯვებული მეშახტის გამოხატულებით.

რაიკომის მდივანი მეორე სართულს რომ გაუსწორდა, დერეფნის სიღრმიდან ყვირილი მოესმა, წამით შეჩერდა, ერთმა მუშამ ბეგლარის გასაგონად თქვა — რა აჯაჯღანებს ამ ბრაჭულსო და თვითონაც დერეფანში შევიდა, ბეგლარმა კი განა-

გრძო კიბეზე სვლა. ბრაჭულის ქაქანი ისევ ისმოდა. ბეგლარი და საბა მესამე სართულის დერეფნის ბოლოში, შახტის უფროსის კაბინეტის წინ, მოსაცდელ ოთახში შევიდნენ. მოსაცდელ ოთახში, ფანჯარასთან ყმაწვილი მდივანი გოგონა მანქანაზე -რაღაცას ბეჭდავდა, შემოსულთათვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან მომსვლელი დღის განმავლობაში იმდენი იყო, თუ არაფერს ჰკითხავდნენ, თავს არ აიღებდა.

ბეგლარმა სახელური მოსწია, მაგრამ კაბინეტის კარი დაკეტილი დაუხვდა. როცა მდივნისაკენ გაიხედა, ის უკვე ფეხზე წამომდგარიყო, კარის გასაღებიც ხელში ჰქონდა მომარჯვებული.

— ახლავე გავაღებ, — სწრაფად წამოიძახა მან და კარს მიაშურა. — თვითონ კი არ გახლავთ, შახტშია — შენიშნა ბეგლარს და კაბინეტის კარი ფართოდ გაუღო.

ბეგლარს კაბინეტისკენ აღარ გაუხედნია, ისე იკითხა:

— მალე თუ დაბრუნდება?

— ვერ მოგახსენებთ. — გაიღიმა მდივანმა და თვალები აახამხამა, — კარგა ხანია წავიდა...

— მოხდა რამე? — კვლავ იკითხა ბეგლარმა.

— მე მგონია, — ყოყმაწით დაიწყო მდივანმა, — მე მგონია, არაფერი. ამხანაგი ლუკა თითქმის ყოველდღე ჩადის ხოლმე შახტში.

ბეგლარმა პაპიროსს მოუკიდა და კაბინეტში შევიდა. მდივანი ქალიც შეჰყვა, სკამი შესთავაზა.

— ერთი, შემიტყვე, რომელ ჰორიზონტზე იმ-ყოფება ლუკა, — დაავალა ბეგლარმა მდივან ქალს და ფანჯრისაკენ გაემართა.

მდივანმა დარეკა. აცნობეს, რომ შახტის უფროსი უკვე წამოვიდაო. ეს ამბავი ბეგლარს მოახსენა თუ არა, როგორც შევიდა, ისე სწრაფი ნაბიჯით გამოეშურა უკან, კაბინეტის კარი ფრთხილად გამოიხურა და კვლავ საბეჭდ მანქანას მიუჯდა. ერთი წუთის შემდეგ ისევ გაიღო მოსაცდელი ოთახის კარი. ძველი მეშახტე გერასიმე სოფრომაძე ფრთხილი ნაბიჯით შემოვიდა, კარიც ფრთხილად მიხურა და ბეჭდვით გართულ მდივან გოგონას ყურადღება რომ მიეპყრო, ერთი-ორჯერ ფრთხილად ჩაახველა. მდივანმა სწრაფად შეავლო მას თვალი, მისალმებაზედაც, თითქო სხვათა შორის, სწრაფადვე უპასუხა და კვლავ აათამაშა თითები საბეჭდი მანქანის კლავიშზე.

გერასიმემ, მდივნის ასეთი „ყურადღებით" ცოტა ნაწყენმა, ფრთხილად აუარ-ჩაუარა წინ, კაბინეტის კარებსაც შეავლო თვალი, საკეტში გასაღებიც შენიშნა და დარწმუნდა, რომ ლუკა კაბინეტში იყო.

— ლუკა მინდა ვნახო, შევალ, — ხმადაბლა გადაულაპარაკა ბოლოს მდივანს.

— არ გახლავს, — სწრაფად, კლავიშისათვის თვალის მოუშორებლად უპასუხა მდივანმა.

ამ პასუხზე უცებ საკვირველად შეეცვალა იერი ძველ მეშახტეს. მან ჯერ სასაცილოდ წაიგრძელა

კისერი მდივან გოგონასკენ, მერე ამაყად გასწორდა წელში და მწყრალად თქვა:

— თუ საქმე აქვს, მითხარი, თუ არა და, რას მატყუებ!.. ეზოდან, ფანჯარაში ჩემი თვალით რომ არ დამენახა... ა! ლაპარაკიც ისმის!

მდივნის პასუხს აღარ დაელოდა, სწრაფად წვდა სახელურს, კარი გააღო და სახტად დარჩა. უკან გამობრუნება აღარ შეიძლებოდა, ბეგლარმა უკვე დაინახა გერასიმე, მიესალმა და თავისთან იხმო.

— ჩემთან გაქვს საქმე? — ჰკითხა ბეგლარმა შუა ოთახში შეგებებულ მეშახტეს.

— ჯერ არა, მაგრამ... მერე შეიძლება თქვენი შეწუხებაც დამჭირდეს, ამხანაგო ბეგლარ!

— რაღა მერე, ახლა მითხარი, იქნებ არ შევწუხდე! — თვალი გაუსწორა, გაუღიმა, გაამხნევა, — ხომ არავინ გაწყენინა? მოხუცებს უბრალო რამეც კი ბავშვივით ადვილად სწყინთ ხოლმე!

— იქნებ მართლა... მაგრამ ჯერ თავს რომ ვერ ვატყობ მოხუცებას? არა, ამ საკითხზე ექიმსაც არ შევაწუხებ, მე იმის მეშინია, ვაითუ... ლუკასთან ჩხუბს ვერ ავცდე!

— კაცო, მენავესთან ჩხუბი გაგონილა, როცა მის ნავში ზიხარ? — სიცილით შეეკითხა ბეგლარი, მერე კვლავ თვალი გაუსწორა გერასიმეს და თანაგრძნობით ჰკითხა, — ჩხუბსო?! რატომ, რისთვის, კაცო?.. როგორც ვიცი, ჩხუბის მომხრე, არც შენ იყავი აქამდე, არც ლუკა!

— არ ვიყავი, მაგრამ... შე კაი კაცო, რიყის ქვა ხომ არა ვარ, წყლის ფსკერზე ვიქნები თუ ნაპირზე, სულ ერთი იყოს! ჩემი სიცოცხლე მიწის გულში გამიტარებია, ფრჩხილებით რომ ვპოტნიდი ქვანახშირს, მაშინ არ მიმიტოვებია იქაურობა და ახლა მივატოვო, როცა საათივით მოეწყო ყველაფერი?! იცი, რამდენი ოფლი ჩამიქცევია?..

— ახლა ხომ დაგიფასდა!

— ძალიანაც დამიფასეთ, მაგრამ... ახლა ლუკა ნიორაძემ რომ გადაფასება მომინდომა, ეს როგორ იქნება?..

ამ ლაპარაკში კაბინეტის კარი უცებ გაიღო და ზღურბლზე შეჩერებულმა ლუკამ ხმამაღლა დაიძახა:

— ამხანაგ ბეგლარს გაუმარჯოს!

ბეგლარმა მოიხედა, მაგრამ სახეგამურული კაცი უმალ ვერ იცნო. ზრდილობისათვის თვითონაც უპასუხა — გაგიმარჯოსო, მერე, იცნო რა, გაუცინა და ხუმრობით ჰკითხა:

— გამდიდრებას აპირებ?!

— ახლა მართლაც გავმდიდრდით, ამხანაგო ბეგლარ, შახტი დიდის გადაჭარბებით ასრულებს გეგმას.

— თუ ამ წარმატებას შეინარჩუნებთ, გარდამავალი დროშები, იცოდეთ, თქვენს უბნებში იფრიალებს!

— რომ გავწყდეთ, უნდა შევინარჩუნოთ!

— გაწყვეტას არ გირჩევთ! — დარიგების კილოთი შენიშნა ბეგლარმა.

ამ ლაპარაკში ლუკა ისე, თავისდაუნებურად შემოსულიყო კაბინეტში, უცებ რომ მიიხედ-მოიხედა, თვითონვე გაუკვირდა.

— ამხანაგო ბეგლარ, ხუთმეტიოდე წუთით თუ გამიშვებთ, ისე დავბრუნდები, თქვენს თვალს რომ ესიამოვნოს...

— არა, ვინ გითხრა, რომ შენი ცქერა ასე არ მესიამოვნებაო!.. სწორედ ახლა გავხარ ქვანახშირის ფრონტზე გამარჯვებულ გმირს!

— მაშ არ გამიშვებთ?

— არ შემიძლია. — ბეგლარმა მაჯის საათს დახედა. — პურის საჭმელად ხომ არა ვსხდებით! რომ იცოდე, ეგ გამურული სახე და ტანსაცმელი რა ღიმაჯერებლობას აძლევს შენს სიტყვას!..

ლუკამ მეშახტის ქუდი მოიხადა, ფანჯრის რაფაზე დასდო. თავის რბილ სავარძელზე დაჯდომას რომ აპირებდა, უცებ გადაიფიქრა, ბეგლარისაკენ გადადგა ნაბიჯი.

— მაშ იქ, შენს დარბაზებში ზეიმია! — თქვა ბეგლარმა და ორი ნაბიჯის დაშორებით შეჩერებულ ლუკას კოლოფით პაპიროსი შესთავაზა. საბა და გერასიმე, იცოდა, რომ თუთუნს არა სწევდა.

— ზეიმისა რა მოგახსენო, ძალიან მაგარი სიტყვაა! — თითქო პასუხით თავი მოსწონსო, ამ სიტყვებზე ისე გაუღიმა ლუკამ ბეგლარს და, შუბლზე, შემდეგ თმებზე დინჯად გადაისვა

ხელი. ბეგლარის გამოხედვაზე და საბას შენიშვნაზე — „რას ილამაზებ სახესო“, — ლუკასაც უმალ მოაგონდა, სახე რომ ნახშირის მტვერით ჰქონდა გაშავებული, იქ მყოფთ ცალყბად გაუღიმა. ხელზედაც დაიხედა, — კიდევ კარგი ხელის ჩამორთმევა მოვასწარიო, — იხუმრა და მყის სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— ამხანაგო ბეგლარ, — დაიწყო მან საქმიანი კილოთი, — ამ თვეში ყველა უბანი ისე შეწყობილად მუშაობს, რომ გაგეხარდებათ. ყველა ბრიგადა, ყველა მნგრეველი, მტვირთავი, მებიგე გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას. გადაჭარბებით სრულდება მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმებიც. გარდა იმისა, თქვენ რომ ერთი კვირის წინ ინახულეთ ორმოცდამეათე ჰორიზონტზე, უკვე მზად არის ოთხი ახალი სამუშაო ლავი...

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ... თქვენი მთავარი ინჟინერის სიტყვით, შახტში ჯერაც თურმე არა ეკონომიურად ხარჯავენ მასალებს, ცუდად უვლიან მანქანა-იარაღებს.

— მართალია, მაგრამ ჩვენ უკვე სასტიკად გაკიცხეთ როგორც უბნის, ისე ცვლის უფროსები და ბრიგადირები და ახლა მასალის ხარჯვისა, თუ იარაღების მოვლის საქმე უკეთ არის მოგვარებული.

— ზოგან ძველ გამონამუშევარ უბნებში დასტოვეს რელსები, ახლად გახსნილ უბნებში კი რელსების დიდი ნაკლებობაა. — შენიშნა გერასიმემ.—

ბეგლარმა და ლუკამ ერთმანეთის შეხედეს. ორივეს გაეცინა.

— შენმა გაფრთხილებამ ცოტა დაიგვიანა, ჩემო გერასიმე, — თავმომწონედ მიუგო ლუკამ,—ნაწილობრივ ახლა ეგ შეცდომაც უკვე გამოსწორებულია.

თუ ჯერ კიდევ არ გამოგისწორებიათ, გერასიმეს გაფრთხილება დაგვიანებული არა ყოფილა!— ბეგლარმა ჩამქრალ პაპიროსს მოუკიდა, გააბოლა. მერე, თითქო მნიშვნელოვანი რამ მოაგონდაო, უცებ ისევ მაჯის საათს დახედა და სწრაფად წამოდგა. — ლუკა! მოსკოვის ქვანახშირის აუზის შახტმშენებელთა მოწოდებას თუ გაეცანი?

— როგორ არა!

— მაშინ შეგვიძლია პრაქტიკული ნაბიჯიც გადავდგათ! საჭიროა მოეწყოს შახტების მშენებელთა სოციალისტური შეჯიბრება.

— ვიფიქრებ და მოგახსენებთ, ამხანაგო ბეგლარ.

— ოღონდ მალე, — გაფრთხილების კილოთი შენიშნა ბეგლარმა ლუკას და მერე გერასიმესაც გადახედა.

გერასიმემ ბეგლარის შემოხედვაზე მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და თავი დახარა, მიხვდა რომ მისი საკითხის განხილვის ჯერიც დადგა.

— ლუკა! — კვლავ მიუბრუნდა ბეგლარი შახტის უფროსს, ბრეზენტის კურტკის ფოლაქზე ორი თითი მოსჭიდა და ჯერ მოსწია, შემდეგ ნელა,

მსუბუქად უბიძგა. — რა გინდა ამ კაცთან, ცუდი მებიგეა, ცუდი მუშაა, რომ არ ასვენებ?! — ბეგლარი თან ლაპარაკობდა, თან იღიმებოდა და პაპიროსს ნებივრად სწევდა.

ლუკამ გაოცებით დაახამხამა თვალები.

— მე სწორედ მოსვენებას ვურჩევ და ვთავაზობ, ეგ კი, — ლუკამ ცალყბად გაუღიმა ბეგლარს, — არ ისვენებს!

— კაცო, თუ მაგისთვის მოსვენება მეასე ჰორიზონტზე ყოფნაა, იყოს... შენ რომ თავაზობ ნოლ ჰორიზონტს, იქნებ ეგეც დიდი თევზივით ზღვის სიღრმისაკენ ისწრაფვის, იქნებ არ უნდა ნაპირზე, ოხელ წყალში ცერცეტი!

— ამხანაგო ბეგლარ! რასაც მე ვთავაზობ, მაგისთვის ახლა ისე სჯობია. — ლუკამ გერასიმესაც გადახედა, თავი დაუქნია, თითქო აფრთხილებდა, ურჩევდა — დამიჯერეო, — ეგეც, რა, ნუ გაცივდებოდა! ჩემი ბრალია? გვერდი სტკივა...

— გვერდი? — გაოცებით, განგებ გაზვიადებული კილოთი იკითხა ბეგლარმა და თვითონაც გადახედა გერასიმეს.

— მაისობას, ნაქეიფარი ნოტიო მიწაზე წამოწოლილა და... ახლა მე რა შუაში ვარ, ამხანაგო ბეგლარ, მე რომ დავრთო ნება, ექიმი არ გაუშვებს!

— თუ ასეა, მაშინ... — ბეგლარმა ერთხელ კიდევ დახედა მაჯის საათს. — მაშინ, მოდით, ასე შევთანხმდეთ... ლუკა, შენ წინააღმდეგი ხომ არ იქნები? მივცეთ ერთი თვით ამხანაგ გერასიმეს

საგზური ზღვის კურორტზე. სწორედ კარგი დროა... დაისვენოს, იმკურნალოს და, მერე, ვნახოთ!..

— არ შემიძლია, — გადაჭრით თქვა ლუკამ.

— რატომ?! — ცოტა არ იყოს, გაკვირვებით იკითხა ბეგლარმა.

— ამხანაგო ბეგლარ! — გულმოსული კაცის კილოთი დაიწყო ლუკამ, — რამდენჯერაც მივეცით საგზური, იმდენჯერ, ხან ცოლი გაგზავნა, ხან ქალიშვილი, თვითონ კი აქედან ფეხი არ მოიცვალა!

ყველას გაეცინა.

— ალბათ, მაშინ ცოლ-შვილს ესაჭიროებოდა კურორტი, ახლა კი გერასიმე წავა. მივცეთ. — ბეჯითად თქვა ბეგლარმა და გერასიმეს ბეჭზე ხელი დაჭერა.

გერასიმე თავჩაღუნული, დამუნჯებულივით იდგა, ლუკას და ბეგლარის ლაპარაკს უსმენდა, თან გუნებაში ფიქრობდა — ახლა კი აღარ ამცდება კურორტზე წასვლაო. — იგი ისე იყო აქაურობას მიჩვეული, ვერ წარმოედგინა, სხვაგან, ისიც ერთი თვე, როგორ უნდა გაეძლო.

— ერთი საკითხიც! — ბეგლარმა კვლავ მოსჭიდა ლუკას ბრეზენტის კურტკის ფოლაქზე ორი თითი — კაცო, შენს მეშახტეებს გუშინ ძალიან უმარჯვნიათ, დიდძალი ხე-ტყე გამოუზიდავთ!..

ლუკამ თავმომწონედ გაიღიმა.

— ამ წყალდიდობამ შეიძლება ვინმე დააქცია, მაგრამ... მე კი ამაშენა!.. უზომო ხე-ტყე გამოზი-

დეს ბიჭებმა... სულ ფიქვის ძელებია! ბეგლარ, სასწაულივითაა — საიდანაც არ მოველოდი, იქიდან მოვიდა!

ბეგლარმა ისე გადახედა საბას, რომელიც ადგილზე უკვე ველარ ისვენებდა, რომ ლუკა უმალ ეჭვით მიხვდა, რაშიაც იყო საქმე.

— კაცო, შენ ხომ არ მოგტაცა წყალმა ის ხე-ტყე?.. — გაკვირვებით ჰკითხა საბას ლუკამ.

— მომტაცა, მაგრამ... — საბამ ცალყბად გაიღიმა, ირონიით განაგრძო, — ჩემს დაქცევას რაღას ვჩივი, რაკი შენ აუშენებიხარ!

— მართლა, თუ?! — გაოცებით, ცოტა წყენითაც იკითხა ლუკამ. — არა, შე კაცო, მე ისე ვთქვი, ვიხუმრე, თორემ... შენი დაქცევა ხომ ჩემი დაქცევა იქნებოდა, ჩვენი ქონება და ოჯახი ვინ გაჰყო!? ყველაფერი ხალხისაა!

— ახლა როგორ იქნება, — იკითხა ბეგლარმა, — ატან, თუ არა?

ლუკამ უცებ სერიოზული იერი მიიღო, მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ბეგლარს.

— ამხანაგო ბეგლარ, ჩვენი ბიჭების მიერ წყლიდან გამოზიდული ხე-ტყე სახალხო ქონებაა და კიდეც მოხმარდება სახალხო საქმეს, მაგრამ...

ერთი, წუთით დუმილი ჩამოვარდა.

— შენ რომ ელოდი, ხე-ტყე უკვე მიიღე?

— ჯერ არა. ეტყობა... დაიგვიანებს!

— მერე, რას აპირებ?

— ტკიდურეს შემთხვევაში, ძველი გამონამუშევრებიდან მოგვიხდება ხის მასალის გამოტანა.

ბეგლარმა პაპიროსს ფერფლი გააყრევინა, მოსწია და ოთახსაც თვალი მოავლო, მზერა სტალინის პორტრეტზე შეაჩერა, რომელიც ლუკას მაგიდის ზემოთ, ნოხჩამოფარებულ კედელზე ეკიდა. ერთხანს უცქირა პორტრეტს რაიკომის მდივანმა, მერე ისევ ლუკას გადახედა.

— რამდენ დღეში მოელი ხე-ტყეს?

— ლოდინით, გუშინაც ველოდით, დღესაც არა ჩანს. მე მგონია, ორ დღეს მაინც დააგვიანდება... ტრანსპორტს აბრალებენ!..

— როცა ვინმეს თავის გამართლება სწადია, მიზეზსაც ადვილად მონახავს. — დინჯად შენიშნა ბეგლარმა.

— ეგეც მართალია! — დაემოწმა ლუკა. — ამხანაგო ბეგლარ, თუ საბას ამით საქმე არ წაუხდება, ორი დღით მასესხოს ჩვენი მეშახტეების მიერ გაღარჩენილი ხე-ტყე. ამასობაში მეც მომივა... ჩემი ფიჭვის ძელები, მაგის ხე-ტყეზე ნაკლები არ იქნება!

— ორი დღით? — ღიმილით იკითხა საბამ, — სამით იყოს, ოთხით.

— მეც მგონია, რომ აგრე აჯობებს, ამხანაგო საბა! — დაემოწმა ბეგლარი, — კლუბის აშენება დიდი ამბავია კოლმეურნეობისათვის, მაგრამ ორი დღით რომ ამ ამბავს დააგვიანდეს, არაფერია,

ქვანახშირის გამოღება კი ორი წუთითაც ვერ შეჩერდება! — ბეგლარმა კვლავ დახედა მაჯის საათს, მხნედ გაიმართა, — მაშ, ამ საკითხშიაც შევთანხმდით, არა?..

— რასაკვირველია, შევთანხმდით! — სიხარულით წამოიძახა ლუკამ და ბეგლარის გამოწვდილ ხელს თავისი ხელი შეაგება.

— თუ სულ ასე შეთანხმებულად იმუშავებთ — საქმეც კარგად იქნება! მარჯვედ იყავით! — დაიძახა ბეგლარმა და შახტის უფროსის კაბინეტიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

ყველანი მას მიჰყვნენ. მანქანა, რომელშიაც ბეგლარი ჩაჯდა, ხელისქნევით გააცილეს.

როცა შატბია და სულიკო შინ დაბრუნდნენ, ახალი შებინდებული იყო. ქროდა სიო. ქედის შუა წელს ნისლი ებურა. ნისლი თანდათან მოიწევდა დაბლა, გორაკებს შორის, ვიწრო ხევებში.

მეგი შინ არ დაუხვდათ. ლელასთან ერთად კლუბში წასულიყო ახალი კინოსურათის სანახავად. ჭაბუკებმა ვახშამს არ მოუცადეს; არც ასმათს დაუტანებია ძალა. ერთი-ორჯერ თუმცა სთხოვა — დარჩითო, მაგრამ გუნებაში უფრო მათი წასვლის მომხრე იყო, ეფიქრებოდა — სტუმარს — უცხო

ქალიშვილს ამ ღიმეში არაფერი შეემთხვესო. შატბიამ და სულიკომ ხელ-პირი დაიბანეს, ტანსაცმელი გამოიცვალეს, შარვლის ცალი ჯიბე ალუჩით გამოიტენეს, რომელიც ასმათს მათთვის მოეკრიფა თავის ბაღში და, კლუბისაკენ გაეშურნენ. სულიკო წამდაუწუმ მაჯის საათს სინჯავდა, თან შატბიას ეკითხებოდა — მივუსწრებთ თუ არა სეანსის დაწყებასო. ჭიშკარში რომ გავიდნენ და რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს, სულიკო სიბნელეში შეუმჩნევლად ჩამორჩა მასპინძელს. როცა შატბიამ მოიხედა, უკვე გვიანღა იყო. ინსტინქტურად, თითქო დაყვირებას აპირებსო, პირი გაეღო, მაგრამ ეტყობოდა, შიშს ხმა წაერთმია მისთვის. სულიკომ, ის იყო, მოსტეხა ბროწეულის აყვავებული ტოტი, განზე მოქცეული საყელო და ჰალსტუკი გაისწორა და გზა ისე განაგრძო, თითქო აქ არაფერიაო. მისთვის მართლაც არაფერი არ იყო ბროწეულის ერთი პატარა ტოტის მოტეხვა. შატბიას გამომეტყველებამ, ცოტა არ იყოს, გააკვირვა, მაგრამ, როცა მიზეზი შეიტყო, უდარდელად ჩაიცინა, ხელიც ჩაიქნია — „ნიკო ბიძია ალბათ მაინც არაფერს მეტყვის, ერთი ძირი ბროწეული სულაც რომ მოვთხაროო". შატბია ერთხანს ეხვეწებოდა: „შენი ჭირიმე, არ გაამხილო! ეგ ტოტიც, ხიდზე რომ გავალთ წყალში გადააგდეო... მანამდე კი თვალი ფხიზლად გეჭიროს, მამაჩემი არ შემოგვხვდესო". სულიკომ კიდევ უფრო მოუმატა სიცილს. მოტეხილი ტოტი ორივე ხელის სალოკი

თითით და ცერით ეჭირა, ნელა ატრიალებდა, თან შატბიას წამდაუწუმ აქეზებდა — შეხედე, რა ლამაზია! რა ხელოვნება შეედრება...

კლუბის შენობას რომ მიუახლოვდნენ, სულიკომ ბროწეულის აყვავებული ტოტი შატბიას გაუწოდა, თანაც, თითქო სხვათა შორის, მაგრამ დაფარული ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— გიყვარს ვინმე?..

შატბიამ უმალ გაკვირვებულის თვალით გადახედა სტუმარს, სულ არ მოელოდა მისგან ასეთ შეკითხვას, უცებ ვერაფერი უპასუხა; უნებლიეთ, თვალი გამოწოდებულ ბროწეულის ყვავილზე შერჩა. ასევე უნებლიეთ და უანგარიშოდ ჩამოართვა იგი სულიკოს და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, გაუცინა.

— ვინ იქნება ისეთი, რომ.. არ უყვარდეს, ბიჭო!—ძლივს გასაგონად ბუტბუტით წარმოსთქვა შატბიამ და ბროწეულის ყვავილს უცებ ხელი ისე მოაფარა, თითქო იგი მისი სიყვარულის ლამპარი იყო და სიოს ქროლვაზე ჩაქრობისა შეეშინდაო.

— მეც სწორედ შენთვის მოვტეხე ეგ ტოტი! ვინც გიყვარს... იმას გადაეცი! — დარიგების კილოთი შენიშნა სულიკომ და ბეჭზე ხელი მოხვია. კლუბის განიერ კიბეზე მსუბუქი, მწყობრი ნაბიჯით აირბინეს; ფოიეში, საბილეთო სალაროს წინ, ხანმოკლე ჭიდილის შემდეგ სულიკომ მოლარესათვის ფულის მიწოდება ამხანაგს დაასწრო. შატბია ცოტა ნაწყენი დარჩა ამ ამბით; სულიკოს სი-

ცილით დაემუქრა—აუცილებლად სამაგიეროს გადაგიხდიო, ბილეთები თუმც სულიკოს ეჭირა, მაგრამ ხალხის მოსაცდელ დარბაზში თვითონ შეუძღვა, როგორც შინაური. სეანსი ახალი დაწყებული იყო, ჯერ ისევ ქრონიკას უჩვენებდნენ. კონტროლიორმა ჭაბუკებს ბილეთები გამოართვა და ეკრანის ახლოს პირველი სათადარიგო კარიდან შეუშვა ისინი ბნელ დარბაზში. სიბნელეს შეუჩვეველი თვალით, დარბაზში ჭაბუკები, მართალია, ვერაფერს არჩევდნენ, მაგრამ რახან შატბიამ აქაურობა კარგად იცოდა, ამახანაგს წინ გაუძღვა; ერთ წუთს ისინი ბრმებსავით ხელგაწვდილი მიაბიჯებდნენ შუა დარბაზში, ბოლო რიგებისაკენ. უცებ შატბიას ვიღაც უხილავის ხელი შეეხო და თავისკენ მიიზიდა, შატბიამაც უფრო დაჭყიტა თვალი, ხელიც მოაფათურა ფრთხილად, რიგის ნაპირიდან მეორე, თუ მესამე თავისუფალ სკამზე დაჯდა და გაკვირვებული, თან იმის ვარაუდით გულაძგერებული, რომ მიხვდა, ვინც იყო ხელის გამწოდებელი, ახლა კინო სულაც აღარ აინტერესებდა, არც უყურებდა, რა ხდებოდა ეკრანზე, თუმცა სახე იქით ჰქონდა მიბრუნებული.

შატბიას გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა სიბნელეს შეჩვეული თვალით იმ ქალიშვილს გაღახედა, რომელმაც წეღან ხელი შეაგება. შატბიამ, შეიძლება ცოტა ნაჩქარევად, თავისი გაოცების, მადლობის და თანაგრძნობის გამოსახატავად სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, უცებ ბროწეულის აყვა-

ვებული ტოტი გაუწოდა. თამარელა ტოტს დაა-კვირდა, მაგრამ ვიდრე გამოართმევდა, შატბიას ისე შეხედა, თითქო ეკითხებოდა — რას ნიშნავს ესო და ყვავილებიანი ტოტი მოწიწებით ჩამოართვა. ერთი წუთის შემდეგ ისევ შეხედა ვაჟს, უფრო გაბედულად, გამომწვევად, ალერსით, მერე თავი დახარა და აყვავებულ ტოტს დააცქერდა, თითქო ნორჩ ფურცლებში უნდოდა ამოეკითხა გარკვეული პასუხი. როცა ქრონიკა დასრულდა და ღარბაზი ორიოდე წუთით გაანათეს, შემოსასვლელ კართან, დაგვიანებულ მაყურებლებს თავთავიანთი ადგილი რომ მოენახათ, სულიკო უმალ წამოდგა, დარბაზში რიგებს თვალი გადაავლო. უცებ დაინახა შატბია, რომელიც სამი თუ ოთხი რიგით წინ იჯდა. ის იყო, დააპირა ადგილის მონაცვლება, შატბიასთან მისვლა, მაგრამ ახლა შატბიას გვერდით თამარელაც შენიშნა... თამარელას ხელში ეჭირა ბროწეულის ტოტი. ამასობაში სინათლეც ჩაქრა. კინოსურათიც დაიწყო, დარბაზში გაისმა ნაცნობი ჰანგი, მაგრამ ახლა სულიკოს თითქო სულაც არ ესმოდა იგი, გაშტერებულივით კვლავ ფეხზე იდგა და ისევ იქით იცქირებოდა, სადაც წელან შატბია და თამარელა შენიშნა. ის ანგარიშს არ უწევდა ხალხის შეძახილებს — „ამხანაგო!.. დაჯექით!.. რას აყუდებულა!..“ სულიკო ვერასგზით ვერ შერიგებოდა იმ ამბავს, რომ მის გეგმებს ჩაშლა მოელოდა.

შატბიამ და თამარელამ კინოდან გამოსვლა

უმალ დაინახეს, რომ მეგი, ლელა და სულიკო მათ უკვე გარეთ ელოდებოდნენ.

მეგიმ თვალი მოჰკრა თუ არა შატბიას, რატომ-ღაც ისეთი მედიდური — დამცინავი იერი მიიღო, ახლა ისეთი მიუკარებელი ჩანდა, ვაქმა უნებლიეთ გაიფიქრა — „ეტყობა, მსახიობად დაბადებულაო“. თამარელასაც არ აკლდა შნო და ტანადობა, მაგრამ მეგი მაინც სულ სხვა იყო. მისი ისედაც მიმზიდველი სახისა და წერწეტი ტანის ყოველი ნაკვთი ისე ეხამებოდა მის ზრახვებს და სურვილებს, უნებლიეთ გაოცდებოდით. თუ მაგალითად, მეგის რამე ახარებდა, ან სწყინდა, ამ სიხარულსაც და წყენასაც მთელი თავისი არსებით, შინაგანადაც, გარეგნულადაც, ისე მარჯვედ გამოხატავდა, რომ ყველაფერს მიხვდებოდით უსიტყვოდ, აუხსნელად; აუწერელი სანახავი იყო მეგი ისეთი გარდატეხის წუთებში, როცა სიხარულით გასხივოსნებული სახე, ნელა, თითქმის შეუმჩნევლად, თანდათანობით მოეღუშებოდა და ერთი წამის წინ მისი ბავშვური უმანკო სახე ისეთ ელფერს მიიღებდა, სხვა ადამიანი გეგონებოდათ. მაგრამ როგორც უმანკო, ბავშვური, ისე პირქუში იერი ერთნაირად იყო მოსილი რაღაც გამოუცნობი მიმზიდველობის მადლით.

თუ წეღან შატბიამ თვალი შეასწრო მეგის პირქუშ იერს, ახლოს რომ მივიდნენ, მას ახლა სახეზე ღიმი მოჰფენოდა. მეგიმ არც კი შეხედა შატბიას, უმალ თამარელას შეაგება მკლავები, ცალი ხელი

წელზე მოხვია და ისე ეკოცა ლოყაზე, თამარელას თითქმის არც კი უგრძვნია მისი ტუჩების შეხება.

როცა მარტო იყო და შატბიაზე ფიქრობდა, თამარელა ისე გრძნობდა, თითქო მკერდქვეშ ვეფხის გული მიცემსო, ახლა იგი თაგვის გულივა ეგონა, ისე გამალებით, საცოდავად უფანცქალებდა. თუ ცალკე, თავისთავზე ლამაზი არავინ ეგონა, ახლა მეგის გვერდით თავს მორჩილად ხრიდა დაბლა, თითქო უსიტყვოდ აღიარებდა მის უპირატესობას.

.შატბია კარგად გრძნობდა ამას და თამარელასადმი თანაგრძნობა სიბრალული მატულობდა მის გულში.

მეგი მოესიყვარულა თუ არა თამარელას, თითქო ახლა შენიშნაო, შატბიასაც მიუბრუნდა, თავისებური ღიმილით გაუშტერა თვალი ჭაბუკს.

— ნეტავი მეც წამოგყოლოდით, მართალია, შინ ცოტა დავისვენე, მაგრამ უთქვენოდაც... მომწყინდა.

შატბიამ არაფერი უთხრა, მხოლოდ გაუღიმა და დამნაშავესავით თავი დახარა.

მეგის შენიშვნაზე — „აქ რაღას ველოდებითო“, ყველანი დაიძრნენ; საუბრით და ნელი ნაბიჯით გაეშურენ შინისაკენ. წინ ხელიხელგაყრილი მეგი და თამარელა მიდიოდა, უკან შატბია, ლელა და სულიკო. სულიკო ერთთავად სულ თამარელას ზურგს მიშტერებოდა, თვალს არ აშორებდა მის

გრძელ ბოლოგაჩეჩილ მსხვილ ნაწნავებს, რომლებიც ნაბიჯის ტაქტზე ნელა ირხეოდა ბეჭებს შუა.

სულიკო დღეს რატომღაც განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა თამარელას, ახლაც, შემთხვევას არა ჰკარგავდა, თუ კი თამარელა მათკენ მობრუნდებოდა, მისთვის თვალებში გამომწვევად შეეხედნა. თამარელამ გვიან მიაქცია ყურადღება სულიკოს ამ იდუმალ, ჟინიან ცქერას და თუკი მოსახერხებელი იყო, ცდილობდა მისთვის თვალიც მოერიდებინა და ყურიც.

მეგი და თამარელა ისე ახლოს იყო უკან მიმავალ ჯგუფთან, რომ შატბიას გარკვევით ესმოდა მათი ლაპარაკი.

ხიდზე რომ გავიდნენ და ალმართს შეუყვნენ, სულიკო დაწინაურდა, მეგისა და თამარელას შუა თითქმის ძალით შეიჭრა, იმ მიზეზით, რომ ალმასკლაში შეგეშველებითო, მკლავში ხელის გაყრა დაუპირა ქალიშვილებს, მაგრამ მეგიმაც, თამარელამაც უარი განაცხადეს მის ამგვარ სამსახურზე. სულიკოც იძულებული შეიქნა თავის ჯგუფს დაბრუნებოდა. ამასობაში კაკო ზიბზიბაძის ეზოსაც გაუსწორდნენ. თამარელას მცირე მანძილზე კიდევ ეწადა მეგის გაჰყოლოდა გაცილების საბაბით, მაგრამ მეგიმ ნება არ მისცა, — გამცილებლები გვყავსო, — სიცილით მიუგო და პირველმა ჩამოართვა ხელი თამარელას, გამომშვიდობების წინ ერთხელ კიდევ სთხოვა გვინახულეო. ლელამ, როგორც შინაურმა, ზედმეტად ჩასთვალა ხელის ჩამორთ-

მცვა. შატბიამ და თამარელამ მხოლოდ ერთხელ შეხედეს ერთმანეთს დ თვალის ამ ერთი შეკვლებით ყველაფერი გამოხატეს, აგრძნობინეს ერთმანეთს — კვლავ შეხვედრის იმედიც, შერიგების წადილიც.

როცა სულიკო თამარელას ხელს ართმევდა, უცებ ისე ჩაბუქნა, ყველას გაეცინა, ეგონათ ხუმრობსო; სანამ სხვები იცინოდნენ, თამარელამ ძლივს გაითავისუფლა სულიკოსაგან ხელი. სულიკო ჯერ მას ხეირიანად არც დალაპარაკებოდა, მაგრამ თამარელას მგრძნობიარე გულმა უკვე მოასწრო ამ ვაჟის შეძულება.

ნიკო ამ კვირა დღესაც ჩვეულებრივ, ალიონზე გაეშურა შახტისაკენ; დასვენება სამშაბათობით უწევდა. ასმათისათვის კი სულ ერთი იყო, რა დღე იქნებოდა; იგი, ჩვეულებრივ, ქმარზე ადრე დგებოდა. საქმე სულაც რომ არ ყოფილიყო ოჯახში, მაინც რაღაცას გამოიხრეკდა, გაიჩენდა. მუშაობაში გართულს უყვარდა ბავშვობაში ნასწავლი სიმღერების გახსენება, ღიღინი.

დღეს ნიკოს გული სხვაგვარად უძგერდა, გადაწყვიტა ახალ უბანს დაპატრონებოდა. ელიზბართან საუბრის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო. ელიზ-

ბარის სიტყვები — ნუ გაგიტაცებს და თვალს ნუ აგიხვევს ის ამბავი, რომ შახტში ყველაზე მოწინავე უბნის უფროსი ხარ! იფიქრე შახტის სახელზედაც... რკინის ჯაჭვში ოქროს ერთი რგოლი დანარჩენებს ოქროდ ვერ აქცევსო — ახლაც ყურში ჩაესმოდა ნიკოს და მტკიცედ გადაეწყვიტა, რომ ახალ უბანშიაც თავი ესახელებინა.

შატბიასაც, მართალია, ჩვეულებრივ ადრე გაეღვიძა, მაგრამ იმის შიშით, რომ საწოლის ჭრიალმა გუშინდელივით სტუმარს ძილი არ გაუფრთხოსო, უძრავად იწვა და მოთმინებით ელოდა სულიკოს გაღვიძებას. თავქვეშ ხელებშემოწყობილი ხან აივნის ჭერს მისჩერებოდა, ხანაც ხის ტოტებს შორის ცის ლაჟვარდს გასცქეროდა ოცნებით. ლაჟვარდში ქარაფანივით წაბმით მიზოზინებდნენ ათასნაირი ფორმის, ალაგ ბაცი, ალაგ მუქი ღრუბლის ქულები.

როცა სულიკომ გაიღვიძა, შატბია უმალ წამოიჭრა ზეზე, სტუმარს დილა მშვიდობისა უთხრა და სწრაფად ჩაიცვა. კიბეზე ჩასულ შატბიას აივნის მოაჯირზე გადაყუდებულმა სულიკომ გაოცებით შენიშნა:

— ფეხშიშველი დადიხარ?!..

— მერე რა იყო?... — შატბიას უნებლიეთ მოაგონდა თავისი საყვარელი ლექსიდან რამდენიმე სტრიქონი და თავმომწონედ, ხელის აქნევით ასძახა სულიკოს, — „თუ ფეხშიშველა ცვრიან მდელოზე არ გავიარე, რაა მამული?“

— ბიჭოს, შენია? — ჩამოსძახა სულიკომ. შატ-ბიას გაეცინა.

— პოეზიასთან მწყრალად ხომ არ ხარ?

— რაზე ამბობ? — გულუბრყვილოდ იკითხა სულიკომ.

შატბიას პასუხს აღარ დაელოდა, ცნობისმოყვარის კილოზე დაუმატა ნათქვამს, — ჩემს სიცოცხლეში არ მიცდია.

— ლექსის დაწერა? — კვლავ ღიმილით იკითხა შატბიამ.

— შენც, ერთი... რა მელექსება. ფეხშიშველა, მიწაზე გავლა...

— ახლა სცადე!

— მაშ, ერთი, მანდ მომიცადე!

სულიკომ სწრაფად ჩაიცვა პიჟამოს ცისფერზოლიანი შარვალი და პერანგისამარა ჩავიდა კიბეზე. თითქო მიწაზე ფეხის დაბიჯება ვერ გაუბედიაო, ერთხანს ასე იდგა კიბის ბოლო საფეხურზე და ყოყმანობდა. მოულოდნელად შატბიამ სტაცა ხელი და ძალით ჩამოახტუნა ძირს. სულიკომ მიწას რომ ტერფი დააბიჯა, უცებ ისე შეპყვირა — დაიცაო, თითქოს რამემ უჩხვლიტაო. სულიკოს მართლაც ეგონა, რაღაც შემესოო, ისე ეუცხოვა მის ჩვილ ტერფს კენჭებსა და მიწის ზედაპირის ხორკლთან შეხება.

შატბიამ მკლავში ხელი ჩასჭიდა, რამდენიმე ნაბიჯი ძალით გადაადგმევინა.

სულიკო რომ ჭიჭყინებდა, თან სიმწრისაგან ეცინებოდა და კიდეც იმუქრებოდა, შატბიას ეს კიდევ უფრო ახალისებდა და ათამამებდა.

ასე დიდის წვალებით, ახალფეხადგმულივით გაიარა სულიკომ ათიოდე ნაბიჯი და როცა შატბია მოეშვა, ისე შემოიყარა დოინჯი და ისე ამოისუნთქა, გეგონებოდათ, დიდი გმირული საქმე ჩაიდინაო. შატბია სიცილს ვეღარ იკავებდა. ასმათიც ღია სამზარეულოდან უთვალთვალებდა ამ სანახაობას. თან ცდილობდა, სტუმარს არ შეენიშნა, მისთვისაც რომ ასე სასაცილო იყო ეს ამბავი.

უცებ ჩამობნელდა. გეგონებოდათ მზე სარკმელში იცქირებოდა და ფარდა ჩამოაფარესო შატბიამ და სულიკომ სიცილი შეწყვიტეს. ასმათმაც გააფრთხილა თავისი ვაჟი და სტუმარი, — შინ შედითო. როცა შატბიამ ცას გახედა, ახლალა შენიშნა, რა შეუმჩნევლად მოღრუბლულიყო. ერთი-ორი წამის შემდეგ შორეული ქუხილის ყრუ ხმაც ისე მოისმა, გეგონებოდათ ხის იატაკზე ცარიელ კასრს მიაგორებენო. შორს, ქედს ზემოთ თითქო ზეცა გაიბზარაო, ერთის წამით ტეხილ ხაზივით გამოისახა ელვა და უმალ გაქრა. კვლავ მოისმა ყრუ გრგვინვა. გრგვინვის შორეული გამოძახილი ჯერ არ მიმწყდარიყო, რომ ერთხელაც ისე დაიჭექა, კაცს ეგონებოდა, ცის თაღი გასკდა და უნდა ჩამოიქცესო. ცის გამოძახილმა თითქო მიწაც შეარყია, ყველაფერი გამოფხიზლდა, აფორიაქდა, მაგრამ იმ წამსვე ისეთი სიწყნარე ჩამოვარდა, ისე

გაყუჩდა მიდამო, იფიქრებდით, შიშმა ყველაფერს სული გააკმენდინა და ახლა ცის რისხვას უგდებს ყურსო. დუმილში კანტიკუნტად გაისმა წვიმის წვეთების ფოთლებზე დაცემის ხმა. ქუხილს მოჰყვა წვიმა. ალაგ-ალაგ ბალახით დაუფარავი, ეზოს ხრიოკი ადგილები და შარაგზა — მოყვითალო მიწა, მსწრაფლ გაშავდა. ოღრო-ჩოღროებში წყალი ჩადგა. აივნის ქვეშ თავშეფარებული ჭაბუკები ცნობისმოყვარეობით გასცქეროდნენ ამ სანახაობას. წყლის გუბეებში წვიმის წვეთები ცეკვავდნენ. წვიმას ხის ფოთლებში ისეთი შხუილი გაუდიოდა, გეგონებოდათ, სადღაც ახლოს წყალვარდნილი გადმოსჩქეფსო.

როგორც მოულოდნელად დაიწყო, ისევე მოულოდნელად მისწყდა ქუხილი, წვიმამაც თანდათან იკლო და ბოლოს გადაიღო; ცამაც თითქო გამურული პირი მოიწმინდა, გაიცრიცა მუქი ღრუბლები; აქა-იქ ლურჯად გამოანათა ცის თაღმა, მზის შუქიც ხან ერთგან გამოაჭყეტდა თვალს, ხან მეორეგან. მზის შუქზე ბალახის ღეროებმა და ხის ფოთლებმა ლაპლაპი დაიწყეს. ახლა უკვე დაწმენდილ, წვიმის წყლის გუბეების სიღრმეში თავდაყირა მოჩანდა ცა და ღრუბლების მოზოზინე ფთილები.

აქამდე ხმაგაკმენდილმა ჩიტებმაც ფრთები შეიბერტყეს, თავშესაფრებიდან გამოფრინდნენ, ხის ტოტების კეწეწებზე თამამად ჩამოსხდნენ და ისეთი გამაყრუებელი ჟივჟივი ასტეხეს, თითქო — ეს

მათ „უკუაქციეს“ ჰექა-ქუხილი და ახლა გამარ-ჯვებას ზეიმობენო.

შატბიამ ერთხელ კიდევ უყო ოინი სულიკოს. წვიმამ რომ გადაიღო, უცებ ხელი სტაცა მაჯაში, ღონივრად გასწია და გაიტაცა, ძალით გაარბენინა ეზოში სველ ბალახზე. შატბია თან ეწეოდა სულ-იკოს, თან ხარხარებდა, სულს არ ათქმევინებდა; სულიკოც იცინოდა და თან ყვირიოდა — „დაიცა, გეყოფა, დაიცა გეყოფაო, გუნებაშიაც შიშობდა— არ გავციოდეო“. მაგრამ შატბიას არ ესმოდა მისი ხვეწნა-მუდარა, თუ მუქარა. როცა მათ მუხას მიაღ-წიეს და მის ტოტებს შეაფარეს თავი, შატბიამ აქაც არ მოასვენა სულიკო, შეუმჩნეველად მისწვდა ტოტს და უცებ დაარხია. ფოთლებზე შერჩენილი წვიმის წვეთები ღვარად წამოვიდა; სულიკოს ერთი ისე შეჰყვირა, მეზობლის ეზოში მედიდურად მოსეირ-ნე, გაფხორილი ინდაური უმალ ისე გამოეხმაურა ამ შეძახილს, თითქო წყრომით იკითხა — რა ამბა-ვიაო!

სულიკო თან კისერს იმშრალებდა, სველ თმებს თითებით ივარცხნიდა, თან ცერებაბზეკილ ფე-ხებს დასცქეროდა. მიუჩვეველს მალე შესცივნო-და, ფეხის ფრჩხილები გალურჯებოდა. ეშინოდა, არ გაცივებულიყო, მაგრამ ამის გამხელაც ესირ-ცხვილებოდა; იდუმალ გული მოსდიოდა შატბია-ზე. შატბია სრულებით არ უწევდა ანგარიშს სუ-ლიკოს გასაჭირს, არხეინად გამოიყურებოდა,

ბოლოს, თითქო სულიკოს საეჭვო დუმილმა შატ-ბია მის გასაჭირს მიახვედრაო, ხუმრობით ჰკითხა:

— ხომ არ შეგცივდა?

სტუმარმა არც ახლა გასცა ხმა.

— წამო, ჩაიცვი, — უმალ შესძახა შატბიამ, რა-წამს მის ტერფებს შეაცლო თვალი, — ხომ არ მოგეშველო, შენით ივლი? — სახლისაკენაც რომ გაიხედა უცებ შეჰყვირა, — ცისარტყელა!

ახლა სულიკომაც გაიხედა და აივანზე გამოსუ-ლი მეგი რომ დაინახა, ეგონა შატბიამ ცისარტყე-ლა ჩემს დას უწოდაო. მაგრამ იმავ წამს მაღალ ხეთა კენწეწებს ზემოთ ცის სიღრმეში ცისარტყე-ლას ირიბ რკალსაც რომ მოჰკრა თვალი, შატბიას წყენით გადახედა, რახან სურვილს ვარაუდი არ დაემთხვა. უცებ რაღაც მოაგონდა, სახე გაებადრა, თვალები აუციმციმდა.

— შენ მაინც რომელი ცისარტყელა უფრო მოგ-წონს? — იდუმალის ხმით ჰკითხა შატბიას.

შატბია ერთ წუთს გაოცებით შესცქეროდა, ვერ მიმხვდარიყო, რას ეკითხებოდა სულიკო, მაგრამ ხელმეორედ რომ გაიხედა სახლისაკენ და ახლა თვითონაც შენიშნა კიბის ბაქანზე გამოსული მე-გი, სტუმარს ღიმილით გადახედა, ცალი მკლავი კისერსა და მხარზე გადახვია, ღონივრად მოიზიდა, მოსწურა და შეანჯღრია. სულიკოს წინააღმდეგობა არ გაუწევია, ესიამოვნა, რის თქმაც ეწადა, რომ მიახვედრა. ერთხანს ასე იდგნენ ხელგადახვეულნი, მერე დინჯი ნაბიჯით გაეშურნენ სახლისაკენ.

სულიკო უკვე შეჩვეოდა ფეხშიშველა სიარულს და აქა-იქ ბალახებში მიმალულ კენჭებზე ფეხის უნებლიე დაბიჯება ისე აღარც ეუცხოვებოდა, აღარც ემწვავებოდა.

მეგიმ ღრუბლიდან გამოსულ მზესავით შემოსცინა კიბის ბაქნიდან შატბიას, უცებ ისიც შენიშნა, რომ სულიკო ფეხშიშველა იყო, წარბები მწყრალად მოზიდა, მწყრალადვე ჩამოსძახა:

— შე სულელო... რომ გაცივდე?...

თმააბურდული, ძილისაგან წარბსქვედა ბორცვებ შესივებული, ჭრელი ხალათით კიბის ბაქანზე გამოსული მეგი ისე გამოიყურებოდა, გაგიკვირდებოდათ, აგრე ყველაფერი როგორ უხდებოდა, როგორ იფერებდა. გრძელ ხალათში ის ახლა უფრო მაღალიც ჩანდა, უფრო მიმზიდველიც.

შატბიას და სულიკოს დანახვაზე, მეგიმაც მოისურვა ეზოში სველ ბალახზე გასეირნება. ტყავის ძირიანი ქოშები ჩაიცვა, უცებ მოურიდებლად გაშალა, გააფრიალა ხალათის ფართო კალთები, მაგრამ ეს ისე მოხერხებულად მოიმოქმედა, რომ ქვემოთ კიბის ძირას შეჩერებულ ვაჟებს მისი, შავ საბანაო კოსტუმში გამოკვართული სხეული არ ღაუნახავთ. როცა კიბეზე ჩამოდიოდა, მხოლოდ მაშინ დააკვირდა შატბია მჭიდროდ შემოხვეულ ხალათში მის მკაფიოდ გამოკვეთილ სხეულის ნაკვთებს და უნებლიეთ ინატრა, ნეტავი ეს ქალიშვილი თიხაში გამომაძერწინაო. ხელოვანის ალღოთი

წინასწარვე ხვდებოდა შატბია, რომ მეგი მოქანდაკისათვის პირველხარისხოვანი „მასალა“ იყო.

თუმცა მეგის ნაწვიმარ ბალახში ხალათის კალთის ბოლოები უსველდებოდა, მაგრამ ახლა ისე სიამოვნებდა ბალახზე გავლა, რომ ხალათისათვის ყურის საგდებად თითქო აღარ ეცალა. ცალი ხელით ხალათის ბოლომდე ჩახსნილ პირს იმაგრებდა, მეორეთი დოინჯი შემოეყარა, ამაყად თავაწეული, ამ წუთში შეიძლება უდარდელი ადამიანის თვალით შეჰხაროდა ცას, შორეულ მთებს, ბუნების აუწერელ მრავალფეროვანებას, აქეთ-იქით, შორიახლოს, ნორჩ, თუ ბებერ ხეებს, რომელთა ფოთლები ახლა მზეზე ხალისიანად ლაპლაპებდა, აქა-იქ კი ფოთლების უხვ სიმწვანეში ამოწვდილ ცის ფონზე მკაფიოდ გამოკვეთილ, ხმელ წიწვებზე, ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული წვიმის წვეთები ალმასის მარცვლებივით ციმციმებდნენ. ლავაშებივით პრტყელი ფოთლების საფარქვეშ შავ ლეღვს უკვე სიმწიფის ფერი გადაჰკრავდა, ნამგლისებურ ფოთლებიან ატმის ხეს ჯერ ისევ მწვანე, კაკლისოდენა ნაყოფი ესხა. შავქლიავები ისე დახუნძულიყო ნახევრად მომწვანო, ნახევრადმოლურჯო ნაყოფით, ტოტები იზნიქებოდნენ. კატა რომ ერიდება ფეხის დასველებას, მეგი ახლა სწორედ ისე დააბიჯებდა ცვრიან ბალახში, ფოთლებს, ნაყოფს ხელს ფრთხილად შეახებდა და იტყოდა, „რა ლამაზია“.

ამ დილით მართლაც ყველაფერი ლამაზი და

განსაკუთრებით მომხიბლავი იყო, მეგის სიხარული კი — გულწრფელი.

სულიკო და შატბია შორიახლოს მიჰყვებოდნენ მეგის. ერთიც და მეორეც სულ იმის ცდაში იყო, თუკი რომელიმე ხის ახლოს გაივლიდა, ტოტი დაერხიათ და ერთმანეთი გაეწუწათ. სულიკო ძალიან ცდილობდა შატბიასთვის წელანდელი გაწუწვის სამაგიერო გადაეხადნა, მაგრამ ყველა შემთხვევაში დაზარალებული თვითონ გამოდიოდა. მათ სიცილს და მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა. ხანდახან მეგიც მოიხედავდა ხოლმე და გაკვირვებით შენიშნავდა — „რა ამბავია, ღმერთო ჩემო, ნეტავი ასე რა გიხარიათო". — „სიცოცხლე, ქალბატონო!", — მეგის, ყოველ შენიშვნაზე პასუხობდა სულიკო; თან ცდილობდა, შატბიას ყურაღღებაც მეგისაკენ მიეპყრო და შეუმჩნევლად მახლობელ ხისკენ წატყუებული გაეწუწა.

მეგიმ ცვრიან ბალახზე სირბილით გული რომ ოჯერა, სულიკოს და შატბიას ხელი დაუქნია და კიბისკენ გაეშურა. შატბიამაც სულიკოსთან თამაშს მალე თავი ანება და თვითონაც კიბისაკენ გაეშურა, რომლის ზედა ბაქანზე მეგი გადმომდგარიყო. გონების გადაწყვეტილებით თითქო მეგისთან ახლო მიკარებასაც ცოდვად უთვლიდა თავს შატბია, მაგრამ გული მაინც მისკენ მიუწევდა, უიმისოდ გაძლება აღარ შეეძლო, სულ ეწადა ეცქირნა, ელაციცნა; მეგი კი პირიქით, თითქო შატბია მოდიდან გასულ კაბასავით მოსწყინდაო, სულაც

არ აინტერესებდა, აქცევდა თუ არა ვაჟი ყურადღებას, მისკენ აღარც კი იცქირებოდა. სამაგიეროდ, თავის გარეგნობის, თავის ჩაცმულობისადმი ახლა უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა, და, ერთ მხრივ, თავისი გულგრილობით, მეორე მხრივ, თავისი კოკლუცობით ჭაბუკს ახლა უფრო აღიზიანებდა და იმედავდა. მეგი დღეს უკვე მასპინძელივით ნამამი ჩანდა, შატბია კი სტუმარივით მორცხვი და მოკრძალებული.

შატბია დანახვის პირველი წუთიდანვე მთელი არსებით, გულწრფელად და გულუბრყვილოდ გაიტაცა მისმა სილამაზემ. ახლა იგი გაშტერებული იყო ამ ქალიშვილის გულგრილობით და ფერიცკალებით. არ იცოდა, რით აეხსნა ეს ამბავი. თავისი გულისტკივილის გამხელა და გაზიარება არავისთვის შეეძლო. მეგისაც, ცხადია, განმარტებას ვერ მოსთხოვდა, რადგან არავითარი ვალდებულება მათ ერთმანეთთან არ აკავშირებდა; ასეთ დაუფიქრებელ ნაბიჯს შეეძლო შატბია უფრო სასაცილო მდგომარეობაში ჩაეგდო.

— შატბია, ხედავ? !— ჩამოსძახა ზემოდან მეგიმ კიბის ძირას შეჩერებულ ვაჟს, ცალი ხელით დოინჯი შემოიყარა, მეორეთი სივრცე მოხაზა და ოცნებით განაგრძო, — რა დილა გათენდა, რა ლამაზია აქაურობა!

შატბიამ მოკრძალებით გაიღიმა, მეგის მრავალმნიშვნელოვნად მიუგო: — ბუნების სილამაზე მახინჯებისათვის ვერაფერი ნუგეშია, მაგრამ... —

სიტყვა არ დაასრულა, ქალიშვილს გაუღიმა, ხმა
უფრო აუწია, საზეიმო კილოთი განაგრძო, — ვინ
თავისი სილამაზით ასე ბედნიერია, მისთვის რატო
მაც არ იქნება ლამაზი ყველაფერი!..

ვიდრე შატბია ლაპარაკობდა, მეგის ცისკე
ოცნებით მიეპყრო მზერა, მერე, თითქო უცე
საკუთარი ფიქრებიდან გამოერკვაო, ვაჟს ერთ
მომხიბლავად გადმოხედა ზემოდან და ჩქარი ნა
ბიჯით კიბეზე ჩავიდა. თითქო გაუწოდაო, წინა
შეერილი ხელები უცებ მის მხრებს მოსჭიდა.

— რა თქვი? — თითქო ემუდარებაო, ისე ჰკითხ
მეგიმ, — გაიმეორე!

— უკეთესს გეტყვით! — ღიმილით, ფარულ
სიხარულით შენიშნა შატბიამ, მაგრამ ამ დრო
ჭიშკრის ჭრიალზე მობრუნდა თუ არა, თვალ
მოჰკრა ეზოში შემოსულ ლელას და მეგისთ
მისი საუბარიც ამით დასრულდა.

ლელამ მეგის ერთი პატარა კალათა ნიყვი მოარ
ოვა, რომელიც ამ დილით მახლობელ ტყეში დაე
კრიფა. მეგის ამის მეტად არ ენახა სოკოების მეფ
და დიდ ხანს ატრიალებდა ხელში ლამაზ ნაყოფს
შესაწვავად და შესაჭმელად ენანებოდა. ლელამ შე
ატყო რა, რომ ამ მცირედი ძღვენით დიდად ასია
მოვნა სტუმარი, შეჰპირდა — რახან ასე მოგეწო
ნათ, ერთი-ორჯერ კიდევ მოგიკრეფავთ და მოგ
რთმევთო.

— როცა წასვლას დააპირებ, უსათუოდ შემ
ტყობინე, მე თვითონ მინდა მოვკრიფო!.. თავ

სამფლობელოში ეგ სოკო ალბათ უფრო ლამაზი სანახავი იქნება!..

— რასაც იწვალებ, იმდენს რას ისიამოვნებ, — მზრუნველის კილოთი შენიშნა ლელამ. მერე რაღაც საქმე მოიმიზეზა, იქ მყოფთ გამოემშვიდობა და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ჭიშკრისაკენ.

მეგიმ ნიყვი დეიდა ასმათს მიუტანა; თან გააფრთხილა — როცა მის გაკეთებას შეუდგებით, ცამიძახეთ, უნდა ვუცქიროო.

ულამაზესი მიწის დამამშვენებელ ნაყოფს მეგი ერთხელ კიდევ მოეალერსა, მისი ცქერითაც გული იჯერა.

უცებ ყველას ყურადღება ქალის კივილმა მიიქცია. ყველანი იქით გაიქცნენ, საიდანაც კივილი მოესმათ. შატბია წინ მირბოდა. მეგის სირბილში ქოში წასძვრა და ძალაუნებურად სველ ბალახზე რომ დააბიჯა შიშველი ფეხი, მსუბუქად შეჭკიელა, მის უკან მომავალმა სულიკომ უმალ წაჰბაძა კივილში დას, შველაზე კი ყურიც არ გაიბერტყა. მეგიმ განზე გადავარდნილი ქოში ფეხის წვერით ახლო მოსწია, ჩაიცვა და კვლავ სირბილით გაეშურა შემთხვევის ადგილისაკენ.

ასმათი, დარეჯანი, სულიკო და შატბია ახლა პატარა მარნის შორიახლოს იყვნენ შეჯგუფულნი და რაღაცაზე გამალებით ბჭობდნენ, თანაც მალამალ შეშფოთებით იმზირებოდნენ შენობისაკენ. მიუახლოვდა თუ არა მათ მეგი, ასმათმა სულიკოს და შატბიას ხელი წაავლო, ძალით სცადა მათი მო-

შორება, მეგისაც უმალ შესძახა—„ნუ მოდიხარ, საშიშიაო“. თვითონ კი ისევ შენობისაკენ მიბრუნდა, თვალთვალი განაგრძო.

სახლის უკანა მხარეს, დარეჯან-ბებია აივანზე ლოგინებს რომ ამზეურებდა, უცებ გაუგონია და კიდეც დაუნახავს, რომ ღობის გასწვრივ ჩიტი გაძწარებით რაღაცას თავს დასჭახჭახებდა და, ასე, ფრენით, ფრთხიალ-ფრთხიალით მიჰყვებოდა შორიახლოს. როცა ბოლოს, დარეჯან-ბებიას თვალი მოუკრავს, ძელყორის მხრიდან მარნისკენ როგორ მოიკლაკნებოდა ქვეწარმავალი, როგორ შეძვრა მისი კარის კუთხესთან, ხვრელში, მაშინღა მიმხვდარა — გველს, უთუოდ, სადმე ბუჩქში ჩიტის ბუდისათვის მიუგნია და ბარტყი გადაუსანსლავს. მიტომაც ასე მოსთქვამდა საბრალო დედა-ჩიტი.

ქვეწარმავალის დანახვის უმალ დარეჯანმა კივილი მორთო. ის სულ ჩიოდა ახლოს ვეღარაფერს ვხედავ, ნემსში ძაფს ვეღარ ვუყრიო, მაგრამ ახლა დარწმუნდა, რომ შორს მხედველობა სიბერეშიც კი საჭირო ყოფილა.

ქათმის გასაფუფქი, სპილენძის ქვაბით შუაცეცხლზე შემოდგმული წყალი უკვე ხვარხვალებდა, მაგრამ ასმათს ახლა ქათმისათვის აღარ ეცალა. რომ არაფერს მოეტაცნა, დაკლულ ქათამს ხის დიდი გობი წააფარა; მერე, სადღაც, გამდნარ გოგირდში ამოვლებული ქაღალდის გრძელი ნაჭრები გამონახა, ჯაშში ჩასდო და ცეცხლი მოუკი-

და. ნელა იწყო რხევა მოლურჯო ალმა. გოგირდის ჯამით ასმათი მარნისაკენ გაეშურა. კარებთან შატბია შეეგება, ჯამის გამორთმევა ეწადა, მაგრამ დედამ ხელისკვრით მოიშორა იგი და მარნის კარი ფრთხილად გააღო. სულიკო და მეგი, შიშით შეპყრობილნი, მარანს ახლო აღარ ეკარებოდნენ, შატბია კი ასმათს უკან იდგა, დედას თავს არ ანებებდა. დედა დროდადრო, სტუმრებს რომ არ გაეგონათ, ხმადაბლა, მწყრალად უმეორებდა — „მომშორდი, ბიჭო, წადი აქედანო!“ მაგრამ შატბია ფეხს არ იცვლიდა. ასმათი ღია კარში შევიდა, თან ჯამს დაბლა სწევდა, მკრთალ ალს რომ გზა გაენათებინა. წინ, ახლომახლო არაფერი ჩანდა. ასმათმა ფრთხილად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, ალმოდებული გოგირდიანი ჯამი შუა მარანში დადგა, კიდევ გაიხედ-გამოიხედა, მერე, აუჩქარებლად, თითქო აქ არაფერიაო, გამობრუნდა უკან. კარი მაგრად გამოიხურა და ახლა კი, შვებით ამოიოხრა, სულის მოთქმაზე შეეტყო, რომ არც ისე ადვილი იყო ხისთვის მარანში შესვლა, როგორც მნახველს ერთი შეხედვით შეიძლება მოსჩვენებოდა.

ახლა ყველანი მარნის შორიახლოს იდგნენ და მოუთმენლად ელოდნენ უწმინდურის გამოჩენას; ღრო გადიოდა, ის კი არა ჩანდა. ასმათი ფიქრობდა—„რაკი ამდენ ხანს არა ჩანს, უსათუოდ კასრში ან დაყირავებულ ჭურში შეძვრებოდაო“. თუ ასე

იყო, ვიდრე გოგირდის სუნი ძალიან არ შეაწუხებ-ლა, იქაურობას არ მიატოვებდა.

პირველად მეგიმ შენიშნა იგი და თუმც ხიფათი არაფერი მოელოდა, მაინც, უნებლიეთ შეჰკივლა. უმალ, სახლის უკანა აივნის კიბეს მიაშურა; სამი საფეხური ისე აირბინა, ეტყობოდა, შიშისაგან ახლა არა მარტო ხმა, მუხლებიც უკანკალებდა; გულიც ისე უძგერდა, თვალებიც ისე გაფართოვებოდა, შატბიამ რომ შეხედა, შეშინებული მეგი სასაცილოდაც ეჩვენა და შესაბრალისადაც. უფრო საოცარი კი ის იყო, რომ მისმა შიშმა, შატბია ახლა ისე გაამხნევა და გაათამამა, ყველაფრისათვის მზად გახლდათ, რაც მეგის თვალში უშიშარი ჭაბუკის სახელს მოუხვეჭდა.

უსახო შავი გველი ამასობაში, ოდნავ მაღლა თავაწეული, ასხმულ რგოლებივით შავად მბზინავ ტანის ელასტიური ჭიმვით და კუმშვით ძვრებოდა ხვრელიდან. ჯერ ის ნელა, ფრთხილად მოიწევდა, მერე, უეჭველად, შენიშნა რა შორიახლოს ადამიანები სწრაფად გამოცურდა, თავი ჯერ მაღლა ასწია, მზერა აქეთ-იქით მიმოატარა, მერე ტანთან ერთად თავიც მიწას გააკრა, ბალახბულახში მიმალული, კვლავ იქით გასრიალდა, საიდანაც წელან ვამოვიდა.

სულიკო ახლა მეგიზე უფრო შეშინებული ჩანდა, კიბის თავიდან უთვალთვალებდა ამ სანახაობას. თუ ვინმე ჰკითხავდა — „კიბეზე რატომ

ასულხარო?“ — პასუხი მზად ჰქონდა — „აქედან უფრო უკეთესად ჩანსო“ — ეტყოდა.

ასმათმა სარს დასტაცა ხელი და გაბედულად გაეშურა უწმინდურისაკენ. შატბიამ დაინახა თუ არა დედა, სარი უმალ გამოგლიჯა ხელიდან და ძირს ფრთხილად დასდო. იცოდა, გაშოცდილი იყო, ვიდრე ასმათი დაჰკრავდა, ის შეიძლება, ელვის სისწრაფით სარს შემოხვეოდა, ხელმეორედ მისი აწევის დროს თავზე დასცემოდა კაცს და დაეგესლა. უწმინდურს ამასობაში კიდეც მიეღწია ყორემდე. შატბიას ზრახვა წინასწარ არავის გამოუცვნია. როცა ის ყორისაკენ სწრაფად გაეშურა, ასმათსაც, დანარჩენებსაც შიშისა და მოულოდნელობისაგან ხმაც ჩაუწყდათ, მუხლიც მოეკვეთათ. მათ ძლივს შეასწრეს თვალი — ყორეში თავშეყოფილ გველს როგორ სწვდა კუდში შატბია... მერე რაღაც შავმა გაიელვა ჰაერში და, თავით რიყის ქვებზე დათხლეშილი გველი, ახლა კუპრში ამოვლებულ ბაწრის ნაგლეჯივით ეგდო ყორესთან, ბალახებში.

გამარჯვებულმა, თუმცა ოდნავ შემკრთალმა და ფერწასულმა შატბიამ, უკან რომ მოიხედა, გაეცინა. ასმათს თმებში წავლებული ხელი კვლავ ისევ ისე ეჭირა, მეგი კიბის საფეხურზე იჯდა და გულშელონებულ ადამიანს ჰგავდა, რომელიც ეს-ეს არის მობრუნებულიყო; სულიკო კი ისე იყო წახრილი, ეტყობოდა, ერთი წუთის წინ აივნის მოაჯირს ეფარებოდა.

შატბიას მარცხენა ხელით დოინჯი შემოეყარა,

მარჯვენა ხელი კი გასვრილივით ცოტა განზე ეჭირა.

ასმათმა უცებ დარეჯანს ტარიანი, ეზოს ცოცხი გამოსტაცა, შატბიას მიაშურა... გაქცეულს რომ ვერ დაეწია, ცოცხი ფეხებში ესროლა, მაგრამ ვერ უწია. შატბია სიცილით გარბოდა, თან უკან იხედებოდა — დედაჩემი კიდევ ხომ არ მომდევსო.

წინა ეზოში გასვლის უმალ შატბიამ თვალი მოჰკრა მამას. ნიკო ცალი ხელით დაქანცულივით მუხას მიბჯენოდა, მეორე მკერდზე ედო, თან ისე შეშფოთებული გამოიყურებოდა, ძალაუნებურად გაოცდებოდით. შატბიამ, მართალია, მყის გაიფიქრა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი იყო — ნიკოს კიდეც რომ ეხილა — მისმა ვაჟმა როგორ სტაცა გველს ხელი და ყორეზე დასთხლიშა, ამ ამბის ხილვას რომ ასე შეეკრთო თავათ გულადი და გულადებისაც ესოდენ მოყვარული.

შატბიამ უმალ მამასთან მიირბინა — რა დაგემართაო, ჰკითხა. ნიკომ არაფერი უპასუხა, შვილს თავისუფალი ხელი მხარზე გადახვია, თავისკენ ახლო მიიზიდა, მოულოდნელად საფეთქელთან აკოცა და მერე რადიოსკენ ანიშნა—ყური უგდეო. მამა-შვილმა ერთად მოისმინა მოლოტოვის განცხადების ბოლო სიტყვები — ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი დამარცხებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

— ომია?! — გაოცებით იკითხა შატბიამ და მამას თვალებში შეაცქერდა.

ნიკოს შინ აღარ მოუცდია, უმალ შახტისაკენ გაეშურა. ჯერ ერთი, მომხდარი ამბის დაწვრილებით შეტყობა სურდა, მეორეც, ახლა თავის სადარაჯოზე, თავისიანებთან ყოფნას საქმე ითხოვდა.

შატბიასაც ეწადა მამასთან ერთად წასვლა, მაგრამ ასმათმა არ გაუშვა—„აცალე მამაშენს, ვნახოთ, რა ამბავს ამოიტანსო“.

დედა ისეთი თვალებით შესცქეროდა შვილს, რომ შატბიამ ძალაუნებურად დახარა თავი და უკვე შარაგზაზე გასული, ეზოში შემობრუნდა. ომის ესოდენ ვერაგული, მოულოდნელი დაწყებით განცვიფრებული სულიკო და მეგი უკვე თავიანთი ნივთების ჩალაგებას შესდგომოდნენ; თუმცა გარკვევით, საბოლოოდ ჯერ მაინც ვერაფერი გადაეწყვიტათ — წასულიყვნენ, თუ რამდენიმე დღე კიდევ მოეცადათ, ვიდრე ქალაქიდან ღედა რამეს აცნობებდათ.

ერთხელ უკვე ჩალაგებული ნივთები სულიკომ ხელახლა ამოჰყარა. მეგი ჯერ გააკვირვა მისმა საქციელმა, მაგრამ მალე მიხვდა, რაშიაც იყო საქმე და მალულად გაიღიმა. სულიკო ასე, ყველაფერს ჩალაგებულს და მომზადებულს რომ ხედავდა, ეგონა, საქმე უკვე გასაქცევად ჰქონდათ და ძალაუნებურად ღელავდა. თავი რომ დაემშვიდებინა, დაწყნარებულიყო, ამისთვის თურმე ისიც კმაროდა, რომ თავისი ნივთები, როგორც ადრე ჰქონდა დალაგებული, ისევ ისე ეხილა: ჩინჩლი-

ანი, ქათქათა პირსახოცი ოთახის იმ კუთხეში ყოფილიყო ჩამოკიდებული, რომელიც ასმათმა მიუჩინა, შარვალი სკამის საზურგეზე გადაფენილი, პიჯაკიც საზურგეზე წამოხურული, ხოლო ძვირფასი საზაფხულო პერანგები ასმათის კარადაში შენახული, სახატავი ალბომი, ორიოდე წიგნი, ფანქრები, პლასტელინი, სტეკები გაზეთგადაფარებულ პატარა მაგიდაზე დაწყობილი.

შატბია ერთ ხანს მოუსვენრად წრიალებდა ეზოში დედის თვალწინ, სამზარეულოს ახლოს. ხან რას წამოჰკრავდა ხელს, ხან რას, მაგრამ გული ვერაფრისთვის დაედო. ერთხანს მუხის ძირას იჯდა და რადიოს უგდებდა ყურს. ხანგამოშვებით კვლავ გადმოსცემდნენ დილის ცნობას. უეცრად შატბია ზეზე წამოიჭრა და თითქო ვინმე ეძახისო, სირბილით ჭიშკარს მიაშურა. ეზოდან რომ გავიდა, ერთხელ კი გაიხედა სამზარეულოსაკენ, სადაც დედა ეგულებოდა და უმალ თავქვე დაეშვა; სული კბილით ეჭირა ვიდრე შახტის ცენტრალურ უბანში მივიდოდა, ამხანაგებს შეხვდებოდა, მათ აზრს და გადაწყვეტილებას შეიტყობდა. შატბიას გუნებაში უკვე მტკიცედ გადაეწყვიტა ფრონტზე წასვლა, ის დარწმუნებული იყო, რომ მისი ამხანაგებიც ამასვე ფიქრობდნენ. ღრმად სწამდა მშობლიური არმიის ძლიერება და ხალხის ერთსულოვნება. რამდენადაც უფრო მუხანათური იყო მტრის თავღასხმა, იმდენად უფრო ძლიერი იყო ჭაბუკის გულში სამშობლოს დაცვის წადილი.

ცენტრალური შახტის უბანში, კომბინატის წინ თავი მოეყარათ მეორე ცვლაში მიმავალ მეშახტეებს, მოსამსახურე პერსონალს, ახლომახლო მცხოვრებთ, დიასახლისებს, მოზარდებს. რადიოთი გადმოცემულ განცხადების მოსმენის შემდეგ, შეკრებილთ პირველი სიტყვით მიმართა მეშახტის პარტორგანიზაციის მდივანმა ცნობილაძემ. შემდეგ გამოვიდნენ სტახანოველი მეშახტეები, ახალგაზრდები, ხნიერები. მათს სიტყვებში გაისმოდა უსაზღვრო ზიზღი მტრისადმი, რომელმაც მშვიდობიან შრომაში ჩაბმულ საბჭოთა ხალხს თავს მოახვია ომი. ყოველი გამოსული ორატორი პირობას სდებდა ხალხის, სტალინის წინაშე, რომ ღირსეულად, მოიხდიდა თავის წმინდა ვალს, სადაც კი მოუწევდა ყოფნა, ზურგში თუ ფრონტზე.

შატბია, თუმც სულგანაბული უსმენდა, როგორც უფროსი ამხანაგების, ისე ტოლების მგზნებარე სიტყვებს, მაგრამ სული კბილით ეჭირა, ველარ ისვენებდა... მასაც უნდოდა ეთქვა რამე, მასაც უძგერდა გული სამშობლოსათვის, მასაც ეწადა ფიცი დაედო ხალხის წინაშე, რომ ვალს პირნათლად მოიხდიდა, ჩვენი ხალხის მტერზე გამარჯვებისათვის თავის ძალ-ღონეს არ დაიშურებდა. გუნებაში ის კიდეც მიმართავდა აღფრთოვანებით იქ მყოფთ, მაგრამ ამ ჭაბუკურ თავდავიწყებაში, კეთილშობილურ ფიქრებში გართული ვერც კი ამჩნევდა, როგორ გადიოდა დრო.

მიტინგი დასრულდა. მეორე ცვლა გაათკეცებუ-

ლი ენერგიით გაეშურა შახტისაკენ. შატბიამ სხვა რომ ვერაფერი იღონა, თავისი თავგანწირულებისა და ერთგულების გამოსახატავად დღეს თუმც ისვენებდა, მაგრამ საგარდერობოში სწრაფად გადაიცვა ბრეზენტის სამუშაო ტანსაცმელი, სალამფეში ქალიშვილს აკუმულიატორული ნათურა გამოსტაცა და არც კი გაუსინჯავს იგი, ისე გაეშურა ამხანაგებთან ერთად შახტისკენ.

არც ნიკო, არც შატბია ღამით შინ არ დაბრუნებულან. მათს ლოდინში ასმათი სანთელივით ჩამოდნა. ღამე ისე გაატარა, თვალი არ მოუხუჭავს; თვალი ჭიშკრისაკენ ეჭირა, ყური ტელეფონისაკენ.

დილით კი, როცა ნიკომ პირველი ცვლის გასტუმრების შემდეგ შინ ერთი წუთით შეირბინა, უძილობით თვალებდაწითლებულ და გაფითრებულ ასმათს აუწყა, რომ წუხელ შატბიამ ღამე მასთან ერთად შახტში გაათია. ამხანაგებთან პირობა ჰქონდა დადებული, რომ ორ ცვლას ზედიზედ იმუშაებდა. როგორც პირობა, ისე გეგმა ახალგაზღებმა პირნათლად, ორმაგად შეასრულეს, მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილებულან და მესამე ცვლის გამოსვლის შემდეგ შახტიდან პირდაპირ სამხედრო კომისარიატში წასულან. ახალგაზრდების ერთ ნაწილს

დაქინებით მოუთხოვია ფრონტზე გაგზავნა, ანგარიში არ გაუწევია უფროსი ამხანაგების სიტყვისათვის — რომ ახლა ქვეყანას თავდადებული ადამიანები ისევე ესაჭიროება შახტში სამუშაოდ, როგორც უშიშარი მებრძოლები ფრონტზე, რადგან ერთნიც და მეორენიც მტერზე გამარჯვების საქმეს ეისახურებიან. შატბიაც ამ ახალგაზრდებს შორის ყოფილა.

ასმათს კრინტი არ დაუძრავს. ყურადღებით მოისმინა ქმრის სიტყვები; ერთი კი შეხედა ნიკოს უძილობისგან დაწითლებულ თვალებში, მერე სწრაფად დახარა თავი და სამზარეულოს მიაშურა. როგორც კი ნიკო ასაუზმა და გაისტუმრა, უმალ მზადებას შეუდგა. სულიკო იხმო, ორი ქათამი დააკვლევინა. პურის მოზრდილი ცომი სწრაფად მოზილა, დანაკვერჩხლებულ შუაცეცხლის პირას შემომწკრივებულ, კარგახნის მიფიცხებულ კეცებზე სწრაფად დააკრა ცომი. რამდენიმე წუთის შემდეგ ჰაერში ახალი გამომცხვარი პურის სუნი დატრიალდა.

შუადღემ მოატანა. ასმათი შატბიასათვის გზაში გასატანებელი საჭმლის მზადებას მორჩა. ცეცხლში შეკეთებული, ნახევრად მომწვარი შეშის ნაპობი ცოტა მოშორებით ბალახზე დააგდო და წყალი ღაასხა. მუგუზალმა უცებ დაიშხივლა და თეთრი კვამლი ეზოს მოედო, ხის ტოტებსა და ფოთლებში გაიბლანდა, გაიყურსა. დიდი, თეთრი ბოლქვები, სადაც კი ხის ტოტებსა და ფოთლებს შო-

რის მზის სხივი ატანდა, ნათელი, ირიბი ზოლებით იყო დასერილი. ასმათი ახლა მარტო იმაზე წუხდა, რომ შატბია ჯერ კიდევ არა ჩანდა. შინ ახლა მარტო ასმათი, დარეჯანი და სულიკოლა იყვნენ. მეგი დაზღვეული ბარათის და დეპეშის ხელმეორედ გასაგზავნად წავიდა ფოსტაში.

დარეჯანი ეზოს გარეთ, ღობის ძირებში ძროხას ბალახს აძოვებდა, თან ჭინჭარს ჭრიდა მოსახარშად, ინდაურებისათვის. სულიკო მოუსვენრად სცემდა ბოლთას აივანზე. რა ხანია ესმოდა ასმათს აივნის იატაკის გაუთავებელი, ერთფეროვანი ჭრიალი. ვერც ვერაფერი ეთქვა სტუმრისათვის, არა-და მოთმინება აღარ ჰყოფნიდა ამ ჭრიალის მოსასმენად.

აივნის ერთ თავში წამით შეჩერებული სულიკო უკვე მტკიცედ რომ გადაწყვეტდა გუნებაში დღესვე თბილისში უნდა გავემგზავროო, ვიდრე აივნის მეორე თავამდე მივიდოდა, ის მტკიცე გადაწყვეტილება უკვე ჭკუაში აღარ უჯდებოდა.

ახლა საქმეს რომ მორჩა და წელში გაიმართა, ასმათმა შებოლილ ეზოსა და ხეებს გახედა. უცებ მუხის ძირას წამოწოლილი კაცი შენიშნა. რახან აივნის იატაკის ჭრიალი კვლავ მოისმოდა, ასმათი დარწმუნდა, რომ ის კაცი სულიკო არ იყო. ასმათი ჯერ შუბლზე ხელმოჩრდილებული იცქირებოდა მუხისაკენ, მერე ფრთხილი ნაბიჯით და ფარული გულისძგერით გაეშურა იქით.

ჭილოფზე წამოწოლილ შატბიას ხელები თავქვეშ შემოეწყო; თვალები რომ დახუჭული არ ჰქონოდა, იფიქრებდით — ცას შესცინისო; მაგრამ მას ახლა ისე ეძინა, არც დედის მიახლოვება უგრძვნია და არც განცვიფრების გამომხატველი მისი უნებლიე ამოძახილი გაუგონია.

გუშინდელი საღამო და მთელი ღამე შატბიამ შახტში გაატარა. მიტინგზე მოსმენილი სიტყვების შემდეგ ისე იმუშავა, არც დაღლას უთმობდა, არც დედის მიერ ორჯერ გაგზავნილ საჭმელს დაჰკარებია. შახტიდან იმ ამხანაგებთან ერთად, რომლებსაც გაწვევა არ უწევდათ, სამხედრო კომისარიატისაკენ გაემართა.

საწადელმიღწეული. შინ რომ ბრუნდებოდა, თვითონვე უკვირდა, ცხოვრებაში ასე სხვის უკითხავად რომ პირველი გაბედული, ვაჟკაცური ნაბიჯი გადადგა.

ახლა ჭიშკარში კი არ შევიდა, თითქო ცა ქუდად ალარ მიაჩნიაო, სარებს მოეჭიდა, ბროწეულის ტოტებიც თამამად განზე გადასწია და ეზოში გადახტა. შორს თვალი მოჰკრა დედას, რომელიც საქმიანობდა ღია სამზარეულოში. მუხას რომ გაუსწორდა, სულიკოც დაინახა. აივანზე ის ისევ ისე ბოლთის ცემით იყო გართული. შატბიას მუხის ძირას, ჩრდილში გაფენილ ჭილოფის დანახვაზე გულმა ვეღარ მოუთმინა, ერთი შესძახა — „ეჰო“ და უმალ გულაღმა გაიშოტა, თავქვეშ ხელები შემოიწყო. ასე ყოფნა ძალზე ეამა, ვერც-კი

მიმზვდარიყო. იმ სიამოვნებას, რასაც ახლა განიცდიდა, რა უფრო გვრიდა — თექვსმეტ საათს შახტში მუშაობის შემდეგ სხეულის ასე მოსვენება, თუ იმაზე ფიქრი, რომ ვინ იცის, როდის ეღირსებოდა კიდევ ასე უდარდელად მუხის ძირას ჭილოფზე წამოწოლა, ფოთლების ნელ შრიალში და ჩიტების ჭიკჭიკში ჩაძინება. ახლა მამის ამოჩემებული თქმაც მოაგონდა, შახტიდან დაბრუნებისას რომ იტყოდა ხოლმე ის ხანდახან — „რა გემოზე დავიღალეო," — და გაუკვირდა, რომ დღეს პირველად მიხვდა, ჩაწვდა, თუ რას ნიშნავდა ეს მამისეული თქმა.

შატბიას, ჯერ ვეება ფრინველის ფრთებივით გაშლილმა, მუხის, უხვადშეფოთლილმა ტოტებმა, ფოთლებს შორის ჭუჭრუტანებში მზის სხივების ელვარებამ და ლაჟვარდის უსაზღვროებამ მოსტაცა თვალი, მერე ფიქრებიც შემოუჩნდნენ, მოგონებებიც აიშალნენ და თვალთან ერთად მისი სულიც და გულიც გაიტაცეს. ვიდრე წამოწვებოდა, შატბია დაღლას არც კი გრძნობდა, კიდეც იშიტომ იფიქრა — რამდენიმე წუთს დავყოფ ასე და ხელახლა ფეხზე წამოვხტებიო. მაგრამ თექვსმეტ საათს შახტში მუშაობას, ღამის გათევას, დღევანდელ შთაბეჭდილებებსაც ისე მოექანცათ ჭაბუკი, რომ მას სწრაფად ჩაეძინა და ცხადში მისი ოცნება, ახლა სიზმარში გრძელდებოდა.

შატბიას უეცრად გაეღვიძა, დაფეთებულივით წამომჯდარმა, თვალები ჯიუტად მოიფშვნიტა და

ხელი რომ წამოსადგომად ძირს დააბჯინა, ეოცა, ახლა იგი ნოხზე იწვა, თავქვეშაც მუთაქა სდებია, ფეხზედაც ისე გაუხდიათ მისთვის, არაფერი გაუგია. წელამდე თხელი საზაფხულო საბანი ეფარა. ზურგს უკან ფეხის ხმა მოესმა, როცა მოიხედა, დაინახა: შორიახლოს მაგიდასთან ისხდნენ ნიკო, მეგი და სულიკო. მათ შორის დედა რომ ვერ შენიშნა, ეოცა, მაგრამ იმავ წამს ასმათიც მყის მის გვერდით გაჩნდა. თითქო უნდა წამოაყენოსო, მკლავში ხელი მოსჭიდა. შატბია სწრაფად წამოიჭრა ზეზე, დაჭმუჭვნილი ტანსაცმელი შეისწორა, ფეხზე ჩაიცვა და შეშფოთებით იკითხა:

— რომელი საათი იქნება?

— სწორედ კარგ დროს გაიღვიძე, შვილო! გელოდებით, უშენოდ არც ჩვენ ვისადილეთ, სტუმრებიც დავამშიეთ.

— დედაჩემო, რა მესადილება, თუ იცი, ბარემ მითხარი, რომელი საათი იქნება...

თითქო ნიავმა მოჰბერაო, უცებ ზურგიდან ისე მოესმა ნაზის ხმით წარმოთქმული — ჯერ მხოლოდ ექვსია, შატბია!

შატბიამ უმალ იცნო ხმაზე მეგი, სწრაფად მობრუნდა. მათ უცებ ისე შეხედეს ერთმანეთს, თითქო უცნობები არიანო. ასმათმა აღარ აცალა, ორივეს შემოხვია წელზე ხელი და ფრთხილად უბიძგა. მეგიმ ისარგებლა ასმათის ბიძგით, შატბიას მკლავში ხელი გაუყარა და მაგიდისაკენ წაიყვანა.

— ნიკო ბიძია! — უცებ გაღაიხარა მისკენ და წაუჩურჩულ-წაუსისინა ყურთან სულიკომ, — ხედავ, როგორ უხდებიან ერთმანეთს?!..

ეს სიტყვები განსრახ ისე წარმოსთქვა სულიკომ, შატბიას რომ გაეგონა.

მას მერე, რაც მეზობელ სოფლიდან დაბრუნდნენ, სულიკო მუდამ ეძებდა ხელსაყრელ წამს, ეს აზრი რომ შატბიასთვის ყურში ჩაეწვეთებინა და ახლა დიდად კმაყოფილი იყო, რომ ხელსაყრელი დროც იხელთა და თავისი გულის ფარული ზრახვაც ნაწილობრივ შეისრულა.

სულიკოს სიტყვების გაგონებაზე შატბია მყის გაწითლდა, სულიკოს მიერ მიწოდებულ სკამზე დაჯდომას რომ აპირებდა, უმალ გადაიფიქრა, ის სკამი თავის მხრივ მეგის შესთავაზა. როცა მეგი მიწოდებულ სკამზე წკიპად ჩამოჯდა, თვითონაც, შატბია, სულიკოსთან ერთად მაგიდის მეორე მხარეს, მეგის პირდაპირ დაჯდა. ნახევარ წუთსაც არ გაევლო, თითქო რამე მოაგონდაო, უცებ კვლავ ზეზე წამოიჭრა, ყველა გაოცებით მიაშტერდა, თვალი გააყოლა. შატბიამ ჭის წყლით ხელ-პირი დაიბანა, ნამძინარევი გამოცოცხლდა, ვიდრე ის ხელ-პირს იბანდა, მეგი სახლისაკენ გაიქცა, შატბიას პირსახოცი გამოურბენინა და როცა შინისკენ მიმავალი მაგიდას გაუსწორდა, მეგი უცებ გზაზე გადაუდგა და პირსახოცი შესთავაზა.

შატბია ყურებამდე გააწითლა ამ მოულოდნელობამ, მეგი მაცდურად იღიმებოდა, სულიკო კი

ტაშსა სცემდა. მეგი ახლა სწორედ მის წისქვილზე ასხამდა წყალს.

როცა სუფრაზე ყველამ კვლავ თავ-თავისი ადგილი დაიკავა, მეგიმ თითქოს სხვათაშორის იკითხა:

— შატბია, დავიჯერო, მართლა დღეს მიდიხარ?!!

— დიახ, დღეს! — შატბიამ ოდნავ წამოიწია და თავაზიანად მიუგო მეგის.

— ჯერ გაწვევა არ უწევს, მაგრამ... ჰგონია რომ უმაგისოდ ომს ვერ მოვიგებთ და...

ნიკოს შენიშვნა სხვას შეიძლება დაცინვად მოსჩვენებოდა, მაგრამ მის გულში თუ ჩაიხედავდით, მიხვდებოდით, რომ შატბიათი ახლა უფრო მეტად ესახელებოდა თავი ძველ მეშახტეს, ვიდრე აქამდე.

— სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ უეცარი, მუხანათური თავდასხმა! — თავისი აღშფოთების გამოხატულება სულიკომ ჰაერში მკლავების აქნევით დაასრულა.

— მუხანათი მხოლოდ მუხანათურად დაგესხმის თავს! — დინჯად, მცოდნე კაცის კილოზე შენიშნა ძველმა მეშახტემ.

— რა ბედნიერად ვცხოვრობდით, რა სამაგალითო შრომა და ლხინი გვქონდა... — გულისტკივილით წამოიწყო სულიკომ.

— ნუ გეშინია! ბრძოლაც სამაგალითო ვიცით! — ნიკომ თავი ოდნავ უკან გადასწია, თვალები მოჭუტა და პაპიროსი ერთი-ორჯერ ნებიერად გააბოლა. — ჩვენ ხალხს ვერავინ ასწავლის ლხინში

მოლხენას, ჭირში გაძლებას და ბრძოლაში შემართებას!

აქამდე რომ მოუსვენრობა ეტყობოდა, შატბია ნიკოს სიტყვის დასრულებისთანავე წამოდგა.

— დაჯექი, რა იყო?! — საყვედურის კილოთი გადასძახა ნიკომ.

— რა იყო და... — ყოყმანით დაიწყო შატბიამ, ჯერ მამას, შემდეგ მეგის ისე შეხედა, თითქო რამეს უსაყვედურებსო, — ჩემი წასვლის დრო დადგა! — თქვა მან ბოლოს.

მეგიმ უცებ ასწია მკლავი, მაჯაზე ორი თითით შეეხო ოქროს საათის ჩარჩოს.

— ჯერ მხოლოდ შვიდის ათი წუთია!

— რას ამბობთ, ჩემი მოცდა აღარ შეიძლება... სრულ შვიდ საათზე ამხანაგები უკვე სადგურისაკენ დაიძვრებიან... საბარგო ავტოებით მიდიან, მე ხომ არ დამელოდებიან?..

— რატომაც არ დაგელოდებიან! — გასამხნევებლად შეეკამათა სულიკო.

— დაიცა, ბიჭო! რა ამბავია?.. ამ წასვლის წინ მაინც ერთად აღარ ვისადილოთ!? — ჩაერია ნიკოც, გუნებაში კი გაიფიქრა — „ნეტავ ესმის კია სად მიდის? მაგას ხომ არ ჰგონია, როცა მოესურვება, შინ შემოირბენს და ჩვენთან ერთად ლუკმას გასტეხს, ჭაში ხელადით ჩაცივებულ ღვინოს გადაჰკრავს?“

ამასობაში დედაც მოვიდა. სუფრა საგანგებო საჭმელებით გაავსო; თუმცა, საგანგებო ეს საჭმე-

ლები ახლა უფრო იმით იყო, რომ, რაც შატბიას უყვარდა, მარტო ის მოემზადებინა ასმათს.

ყველა გრძნობდა, რომ ახლა ჭამა-სმის დრო არ იყო. რა დიდებულადაც უნდა მოემზადებინა ასმათს ქათამი, თუ თიხის ქოთანში ამოზელილი წითელი ლობიო, გემოს მაინც ვერ ჩაატანდნენ; მაგრამ, რაკი სადილობის დრო იყო და შვილისთვისაც ქართულად გზა უნდა დაელოცათ, ის კეთილი სურვილები სად გამოიხატებოდა ისე მოხდენილად, როგორც ქართულ სუფრაზე.

სადილიც და სადღეგრძელოებიც უფრო მალე დასრულდა, ვიდრე შატბიას ეგონა; მაგრამ მოულოდნელად, ახალმა „დაბრკოლებამ" იჩინა თავი. როცა თითქო ყველაფერი მზად იყო, მეგიმ განაცხადა — მეც უნდა გავაცილო შატბიაო.

შატბია ახლა ისეთ გუნებაზე იყო, ლამის ყველანი მიეტოვებინა, გაცილებაზე უარი ეთქვა. წამლაუწუმ დიდი ოთახის კარისაკენ იცქირებოდა, სადაც მეგი ახლა იქნებ თავისი შიფონის კაბის ნიოჭების ლამაზად დაყენებაზე უფრო მეტს ზრუნავდა, ვიდრე იმაზე, რომ შატბიას არ დაგვიანებოდა.

გორაკიდან დაბლა რომ ეშვებოდნენ, შატბიამ გაიხედა თუ არა, დაინახა, რომ შენობის წინ, სადაც

ომში მიმავალ ახალგაზრდებს უნდა მოეყარათ თავი, უზომო ხალხი ირეოდა. ცოტა გული დაუმშვიდდა, იფიქრა — ეტყობა ამხანაგებს თავი ჯერ კიდევ არ მოუყრიათო. გორაკის მიხვეულ-მოხვეულ შარაგზით მოასფალტებულ ფართო გზატკეცილზე რომ ჩავიდნენ, მოპირდაპირე მხრიდან ჯგუფ-ჯგუფად მომავალი ხალხის დანახვაზე უმალ ეჭვმა გაჰკრა გულში. ხალხი ხმამაღლა, გატაცებით ლაპარაკობდა ომში მიმავალთა შესახებ. ნაცნობთაგან, შატბიას ზოგმა შორიახლოდან შემოსცინა, ზოგმა ხელის გამამხნევებელი ქნევით ჩაუარა, ზოგიც გიჟივით ეცა და გადაჰკოცნა, განშორებისას ბეჭზეღაც მაგრად დაჰკრა ხელი და გზა დაულოცა. ყველა ერთი და იმავე სიტყვით ეგებებოდა, აცილებდა. მხნედ მისძახოდა მიმავალს—„ძალე გამარჯვებით დაბრუნებული გვენახეო!“ შატბიაც თავისუფალი, მარცხენა ხელის ქნევით ესალმებოდა თანამემამულეთ, მისი მხნე იერი თითქო ყველას უსიტყვოდ არწმუნებდა, რომ ეს ასეც იქნებოდა.

შატბიას იმედი, რომ ამხანაგები მას უთუოდ ელოდებოდნენ, ზოგი კი, შეიძლება ჯერაც არ იყო მოსული, გზაშივე გაუცრუვდა. მისი ახლო მეგობრები, ამხანაგები, ნაცნობები შინაურებითურთ სულ რამდენიმე წუთის წინ წასულიყვნენ საფგურისაკენ მანქანებით. გზაში შემოხვედრილი სირბილაძე შატბიას ამ გამოთხოვების ჟამს გადასაკოცნელად რომ მოეხვია, ყურშიაც უჩურჩულა „ბიჭო, შენს გასაცილებლად თამარელაც მოსული-

ყო... სულ ბოლო მანქანაში იჯდა... ალბათ ძის იმედი ჰქონდა, რომ იმ მანქანაში დარჩენილ თავისუფალ ადგილებს შენ და შენი გამცილებლები დაიკავებდით, მაგრამ... რომ ცოდე, რა გულდაწყვეტილი იცქირებოდა, მანქანა რომ დაიძრა... არაუშავს, სადგურზე ხომ შეხვდები!"

შატბიამ მაგრად ჩამოართვა ხელი სირბილაძეს და რამდენიმე ნაბიჯით გასწრებულ თავისიანებს დაედევნა. გაოფლილი სახე სიბრაზისაგან ხან გაუფითრდებოდა, ხან წამოუწითლდებოდა; ბოლმაც ყელში ძვალივით გასჩხეროდა. როცა თავისიანებს დაეწია და მათაც ფეხის ხმაზე მოიხედეს, შატბიამ ჯერ მამას, მერე მეგის ისეთი შწყრალი თვალით გადახედა, რომ ისინი ადვილად მიხვდნენ, რის თქმაც ეწადა ჭაბუკს.

მეგი ცოტა ჩამორჩა სხვებს და პირველად თვითონ შეეგება შატბიას, ერთი თავისებურად შესცინა, მკლავშიაც მოხდენილად გამოსდო ხელი და, ასე ორივემ, ერთად განაგრძეს გზა. შატბიას თუმცა სიამოვნებოდა იმ ქალწულთან ახლოს ყოფნა და ხელგაყრილი სიარული, მაგრამ თანაც დიდ უხერხულობას გრძნობდა. ისედაც წარმოსადეგ და ეშხიან ჭაბუკს, ახლა მეგის წყალობით, ნაცნობიც, უცნობიც—ყველა უცნაური ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა. ყველანი ისე იყვნენ გატაცებულნი და გაოცებულნი ამ ქალ-ვაჟის ერთად ხილვით,

რომ წელან გზად შემოხვედრილთა მსგავსად, ესენი, არც შორიდან სთავაზობდნენ სალამს, არც გამამხნევებელ ძახილით ისტუმრებდნენ ომში მიმავალს; საკოცნელად, გამოსამშვიდობებლად სხვებსავით მასთან ახლო მისვლასაც ვეღარ ბედავდნენ.

რახან შატბიამ ადრევე შეიტყო ამხანაგების დაწინაურება, სამხედრო კომისარიატის შენობასთან აღარ შეჩერებულა.

მეგიმ და მან სხვებთან ერთად გზა განაგრძეს; მარტო ნიკო გამოელაპარაკა ერთ-ორ მეშახტეს, რომლებიც თავიანთ ახლობლებს ელოდნენ და, ისიც მალე დაეწია დაწინაურებულ თავისიანებს. შატბია და მეგი ახლა ყველაზე წინ მიაბიჯებდნენ. მათ უკან მიჰყვებოდნენ ასმათი და ლელა, რომელსაც შატბიას ჩემოდანი მოჰქონდა. მისი წამოღება სახლიდანვე თვითონ ისურვა და გზაშიაც აღარავის დაანება.

ამხანაგებს რომ ჩამოარჩინეს, შატბიას გულისწყრომა შინაურების მიმართ ჯერ კიდევ არ განელებოდა, წელან გუნებაში მეგისაც თუ ისე დაუზოგავად კიცხავდა, თანდათან რწმუნდებოდა, რომ ეს კიცხვა მართებული არ იყო, სწორედ ახლა, შატბიას გაცილების ჟამს უნდა გამოეჩინა მეგის თავისი სიკეკლუცეც, მორთვა-მოკაზმვის დიდი ხელოვნებაც, რომ სიცოცხლის ძალა და სილამაზე უფრო მეტად ეგრძნო ომში მიმავალ ჭაბუკს და

სიცოცხლისადმი ტრფიალს აემხედრებინა იგი მტერზე.

მეგი ახლა თეთრი შიფონის კაბაში მართლაც ძლიერ მიმზიდველი იყო. ულამაზეს ქალწულს, გულზე ერთი თავისი ულამაზესი სამკაულთაგანი — ბროწეულის ყვავილი დაებნია, რომლის კვირტი და ფურცლები მარჯნისა იყო, სამიოდე ფოთოლი ზურმუხტისა და ღერო ოქროსი. წეღან, შინ ამ სამკაულს მეგის მკერდზე ნიკომ რომ მოჰკრა თვალი, დიდად ეოცა და უფრო მეტად ეწყინა; ეგონა — მეგიმ მის ბროწეულს დაუკითხავად მოსწყვიტა ყვავილი, მაგრამ სასაყვედუროდ მომზადებულმა ახლოდანაც რომ გასინჯა იგი, თავის უსაფუძვლო ეჭვზე უცებ თვითონვე გაეცინა და ამ აუხსნელი, უმიზეზო სიცილით შინაურების გაოცება გამოიწვია.

მეგი რამეს ეტყოდა თუ არა, შატბია უმალ მისი კაბის გულისპირზე დაბნეულ ბროწეულის ხელოვნურ ყვავილს დააკვირდებოდა და ისე უსმენდა. მეგის ეგონა — ვაჟი ეშმაკობს, ჩემს უბეში ჩახედვას ცდილობსო. კაბის სამკუთხედივით ჩაჭრილი გულისპირი, რამდენიმე ნაოჭით კიდევ შეამჭიდროვა, ბროწეულის ყვავილის ქინძისთავით დაამაგრა. ამის შემდეგ, ყოველ გადმოხედვაზე მეგი, შატბიას თითქო იდუმალ, ნიშნის მოგებით გაუცინებდა ხოლმე. შატბიას ამ ღიმილის აზრი არ ესმოდა, მაგრამ თავს მოვალედ სთვლიდა ქალიშვილისათვის თვითონაც ღიმილით ეპასუხნა. ვაჟს,

რასაკვირველია, თვალს სტაცებდა მოხდენილად მზირალ ქალიშვილის სხვა სამკაულებიც, მაგრამ ახლა მის ყურადღებას მარტო ბროწეულის ხელიენური ყვავილისა და თოვლივით თეთრი ქსოვილის გემოვნებით შეხამება იქცევდა.

შატბიას თითქო ეწყინა, როცა სადგურის შენობა დაინახა. გაუკვირდა, მეგისთან ერთად ასე ხელიხელ ჩაკიდებულთ, რა ნეტარებაში და შეუმჩნევლად გამოუვლიათ ოთხი კილომეტრი. ახლა შატბიას ნატვრა მარტო ის კი აღარ იყო, რომ ომში მიმავალ ტოლმეგობრებისთვის მხარი დაემშვენებინა, ეს წადილი უკვე ასრულებულად მიაჩნდა; მას უნდოდა, გზა, რაც გამოიარეს, ერთი იმდენით კიდევ გაგრძელებულიყო, მეგისთან ერთად ისე ხელჩაკიდებული ევლო და ეცქირა მისი თოვლივით თეთრი კაბისა და მისი, გულისპირზე კოხტად დაბნეულ ბროწეულის ყვავილისათვის. ყოველი წუთი ელვის სისწრაფით ააცლოვებდა მათი განშორების ჟამს და ვაჟს სანატრელად ისღა დარჩენოდა, რომ იქ, ბრძოლაშიაც მისი ხატება ლანდად მაინც გაჰყოლოდა...

სადგურს რომ უახლოვდებოდნენ, შატბიამ შორიდანვე, ერთ ქალიშვილში თითქო თამარელა შეიცნო, ცოტა შეკრთა, აიწურა, მაგრამ მეგისა-

თვის ხელი მაინც არ გაუშვებინებია. შატბიას უმალ მოაგონდა თავისი ახირებული გადაწყვეტილება— მეგის არასოდეს ახლო არ გაკარებოდა, მაგრამ რამდენადაც მკაცრი და, შეიძლება უაზროც იყო ეს აღთქმა, იმდენად ძნელი იყო მისი წმინდად შენახვა.

ბაქანი და რკინიგზის გასწვრივ ახლომახლო ადგილები სავსე იყო ხალხით. მისვლის უმალ შატბიამ გულდასმით მიიძ-მოიძია თამარელა ბაქანზე მოფუსფუსე ხალხში, მაგრამ რახან თვალი ვერსად მოჰკრა, გულდაწყვეტილი და იმედდაკარგული, რომ მას ვეღარ გამოემშვიდობებოდა, წასვლის წინ სანუგეშო სიტყვას ვერ ეტყოდა, კვლავ თავისიანებთან დაბრუნდა. გულში მტკიცედ გადაეწყვიტა — თამარელასთვის გზიდანვე მოეწერა ბარათი.

ახალგაზრდები ვაგონში უკვე დაბინავებულიყვნენ. ზოგს ზედასაწოლი უკვე გაემართა, წამოწოლილიყო და ფანჯარასთან მისეულ ამხანაგებიან ერთად თვითონაც თავი გარეთ გადმოეყო. მშობლები, ცოლები, დები, ძმები, ნაცნობები ვაგონის გასწვრივ ყოველ ფანჯარასთან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და თავისიანებს ხმამაღლა, თითქმის ყვირილით ელაპარაკებოდნენ, რადგან ბაქანზე მოზღვავებულ ხალხის ყაყანში ყურთასმენა აღარ იყო. ზოგი რას აბარებდა თავის შვილს, ქმარს, ძმას, თუ ნათესავს, ზოგი რას. ერთმანეთს არ

აცლიდნენ. ერთნი ერთ მხარეს იკვლევდნენ გზას ხალხში ჯიკავ-ჯიკავით, მეორენი — მეორე მხარეს. ზემოდან რომ დაგეხედათ, ხალხის ეს ვებერთელა მასა წყნარი ზღვის ნელი ტალღებივით მიირწ-მოირწეოდა.

ვიღრე მატარებელი დაიძვრებოდა, ასმათს კიდეც უნდოდა, ასე, გულში ჩაკრული ჰქონოდა შატბიას თავი, თანაც გული შიშით უძგერდა, მატარებელი არ დაიძრას და შატბიამ რამე არ მოიწიოსო, ენაც ვეღარ დაეძრა. რამდენი რამის თქმას ლამობდა გული, მაგრამ ყველაფრის გამოსათქმელად ახლა სიტყვებიც ვეღარ ეპოვნა, გამომშვიდობების წუთში ერთხელ კიდევ დაერიგებინა, დაეკოცნა. შატბია აქამდე მალიმალ უსხლტებოდა ხელიდან დედას, ალერსის ნებას არ აძლევდა. ვაგონის ფანჯრებიდან ამხანაგები უცქეროდნენ და, რცხვენოდა, არ დამცინონ, ძუძუმწოვრად არ ჩამთვალონო. როგორც ზედა, ისე ქვედა ვაგონის ფანჯრიდან შატბიას კარგა ხანია თავისკენ უხმობდნენ, ხელს უქნევდნენ ძმაბიჭები... ყველა ცდილობდა შატბიას გადაბირებას. თუ ეს ჭაბუკები აქამდე მარტო ამხანაგებად სთვლიდნენ ერთმანეთს, ახლა უკვე თავი ერთმანეთის ძმებად მიაჩნდათ და ერთმანეთის იჩედი, სიახლოვე ასულდგმულებდათ. რამდენიმე წუთით ადრე, ერთ-ერთ მათგანს — ხორხომელიძეს, შატბიამ თავისი ჩემოდანი და პალტო მიაწოდა ფანჯარაში. შემდეგ, როცა სასტვენის ხმა

გაისმა, შატბია ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში ასმათმა, მაგრამ მისი თავი მოულოდნელად ნიკომ გამოსტაცა, თავისი ვაჟკაცი აუჩქარებლად გადაჰკოცნა და ბეჭზედაც ისე შემოჰკრა ხელი, თითქოს ამით აგრძნობინა, გაამხნევა — ნუ გეშინიაო; გულაჩუყებული და თავბრუდახვეული შატბია უცებ ლელამ მიიზიდა თავისკენ, აკოცა, თავზე ხელი გადაუსვა, თვალებზე მომდგარი ცრემლი, ხედვას რომ უშლიდა, სწრაფად ამოიმშრალა და ერთხელ კიდევ აკოცა ძმასავით ახლობელ და საყვარელ ჭაბუკს. მეგიმ, აქამდე რომ მოთმინებით ელოდა, ახლა ცალბეჭზე მოჭიდებულ ხელით შატბია თავისკენ შემოაბრუნა და თითქო სახსოვრად ატანსო, ერთი ისე აკოცა თვალთან, ღაწვზე, რომ შეუძლებელი იყო ეს კოცნა ვაჟს თავის სიცოცხლეში დავიწყებოდა. მერე ორივე ხელი მკლავებში ჩასჭიდა, თვალი შეავლო, აღუთქვა, მის საბუთებს თბილისში ჩასვლის უმალ სამხატვრო აკადემიაში შეიტანდა, ვინ იცის, იქნებ სწავლის დაწყებამდე. გამარჯვებული დაბრუნებულიყო შატბია ფრონტიდან და, მაშინ ყველაფერი მზად დახვდებოდა. მეგიმ უცებ გაკვირვებით ჰკითხა—„შატბია, წერილს არ მომწერ?“.. — ამ სიტყვებზე უცებ გახსნა მუჭში მომწყვდეული პატარა საფულე, ქაღალდის პაწაწინა ფურცელი ამოიღო, მაგრამ უცებ მოაგონდა, რომ ფანქარი არა ჰქონდა და დაღონდა, ფანქარი არც შატბიას აღმოაჩნდა, არც

ნიკოს; თითქო გამოსავალი იპოვნაო, მეგის სახეზე უცებ იდუმალმა ღიმილმა შეითამაშა, ის კვლავ ეცა საფულეს, ოქროსფერ ნეკისტოლა ლულაში ჩასმულ პომადის ბლაგვი წვერით ძლივს გასარჩევად დაუწერა შატბიას თავისი მისამართი და ფურცელი ისე გადასცა ვაჟს, როგორც მომავალ განსაცდელში მფარველი თილისმა. შატბიამ უკანასკნელად, ერთხელ კიდევ აკოცა მისკენ ხელებგაწვდილ დედას და უკვე დაძრულ ვაგონის კიბეზე მსუბუქად შეახტა. ასე, კიბეზე მდგარი, დიდხანს უქნევდა ხელს ბაქანზე დარჩენილთ. შატბიასთან ერთად, სხვებიც, კიბის საფეხურზე ჩამწკრივებულნი, თუ ვაგონების ფანჯრებში გადმოყუდებულნი, ხელის ქნევით, ძახილით ემშვიდობებოდნენ მათ, ვინც რჩებოდა. მატარებლის დაძვრასთან ერთად, ბაქანზედ ხალხიც მატარებლის მიმართულებით დაიძრა და ნელა, ტორტმანით მიიწევდა წინ. ახლა ველარც მიმავალნი არჩევდნენ ხალხის ამ ნელა დაძრულ ვებერთელა მასაში თავისიანებს, და ვერც ხალხი არჩევდა მიმავალთა შორის საკუთარს — შვილს, ქმარს, თუ ძმას. ყველანი აცილებდნენ მიმავალთ და ყველანი ემშვიდობებოდნენ მათ, ვინც რჩებოდა. ახლა, არა მარტო იმიტომ რომ გარჩევა აღარ შეიძლებოდა, არამედ, ერთად რომ მიდიოდნენ განსაცდელთან შესაჭიდებლად, მტერთან საბრძოლველად, ყველა უკვე თავისიანი და თანაბრად ძვირფასი იყო ხალხისათვის.

რა იდუმალის გულისძგერით ელოდა წეღან თამარელა შატბიას გამოჩენას! სწორედ იმ იმედით, რომ შატბიასთან ერთად იმგზავრებდა სადგურამდე, სულ ბოლო მანქანაში ჩაჯდა; მანქანა რომ დაიძრა, ერთხანს თამარელა იმედს არა ჰკარგავდა, ერთთავად, სულ გზატკეცილს გასცქეროდა — აი ახლა გამოჩნდება ის, აი ახლაო, მაგრამ არ გამოჩნდა მისი გულის სწორი. მერე, სადგურში ელოდებოდა. იქაც ლოდინით გული გადაელია. ბოლოს, როგორც იყო, ეღირსა... მაგრამ ვაი იმ გამოჩენას... ის და მეგი კვლავ ერთად, ხელიხელგაყრილნი მოაბიჯებდნენ. სახე ორივეს ისე უცინოდა, თითქო მათზე ბედნიერი ქვეყნად აღარავინ მოიპოვებოდა. მათს ერთად ხილვაზე თამარელას ისე ეტკინა, ისე გაებზარა გული აღარ ეგონა თუ იგი ოდესმე გამთელდებოდა. გუშინ წინ შატბიას ნაჩუქარ ყვავილს აქამდე ნიავს რომ არ აკარებდა, ახლა ბრაზმორეულმა უნებლიეთ ერთი ფურცელი მოგლიჯა და თითებში მოსრისა. შურისძიების ჟინით შეპყრობილმა ერთხელ კიდევ რომ დახედა ყვავილს, ხელი აუკანკალდა; ახლა ისე ლამაზი ეჩვენა იგი, ავად ხელის ხლება ვეღარ გაბედა.

მეგისთან ერთად მომავალ შატბიას დანახვის უმალ, თამარელამ შინ გაბრუნება დააპირა, მაგრამ გაუკვირდა, განზრახვის შესასრულებლად ძალა რომ არ ეყო. ხედავდა, რომ სხვას ეკუთვნოდა, სხვისთვის ძგერდა შატბიას გული, მაგრამ ამის

შემდეგაც თითქო ვერ დაეთმო, ვერ გაემეტებინა. იმ ბროწეულის ყვავილმაც რომ გაუჭირა საქმე... თითქო ამხნევებს, შემოსცინისო, ისე ეტანებოდა თეალებში მისი ხალისიანი, ნაზი მოწითალო ფერი. თამარელამ, როგორც იყო, ერთხელ კიდევ სიძლია თავის ეჭვებს, გულისტკივილს, თავი ძალით ისუგეშა — ახლა ყველაფერი გაზვიადებულად მეჩვენებაო, ბროწეულის ყვავილი უცებ გულში ჩაიკრა და გადაწყვიტა — რახან ნიკოს, ასმათისა და მეგის თანდასწრებით შატბიასთან გამომშვიდობება ვერ გაბედა, შორს დახვედროდა მატარებელს. თამარელას ვარაუდით, შატბიაზე დიდ შთაბეჭდილებასაც მოახდენდა ასეთი გამოთხოვება და ვაჟის ცნობიერებაშიაც ამ, სიყვარულისათვის თავგანწირული ქალწულის სახეც უკანასკნელად აღბეჭდილი თან გაჰყვებოდა, როგორც ძვირფასი და მფარველი ხატება. შატბია რომ მატარებლიდან უეჭველად შენიშნავდა მას, ამაში თამარელა ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა.

საითაც მატარებელს უნდა გაევლო, ერთი კილომეტრით დაწინაურებული თამარელა ლიანდაგთან ახლოს ბორცვზე ჩამოჯდა. ლოდინში გულის გადასაყოლებლად ნელის ხმით წამოიწყო — „გინდ მეძინოს“... ამასწინათ წვეულების დროს, მათს სახლში მეგიმ რომ ისე თავდავიწყებით უმღერა შატბიას.

ჯერ კიდევ შორიდან შენიშნა თუ არა გორაკებს შორის მიხვეულ-მოხვეულ ლიანდაგის გასწვრივ

ხეების კეწეწებში გაბლანდული თეთრი კვამლი, თამარელას გული აუძგერდა, უნებლიეთ წამოიძახა — „მოდისო“. მატარებელი სწრაფად უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც თამარელა იდგა; ულცებ ორთქლმავალიც გამოჩნდა მოსახვევში, შემდეგ ვაგონებიც, ერთი, მეორე... და ისევ ყველაფერი მიიმალა, მხოლოდ ჰაერში ავარდნილი კვამლის ახალ-ახალი ბოლქვები და ახლა უკვე მკაფიოდ გასაგონი ბორბლების ხმა მოწმობდა, რომ მატარებელი კვლავ წინ მოჰქროდა. „მოდის“ — ისევ გაიმეორა თამარელამ, როცა ბორბლების ხმა კიდევ უფრო მკაფიოდ მოესმა, შემდეგ კვლავ უეცრად გამოიჭრა მოსახვევიდან მძვინვარე მხეცივით თვალებ გაბრდღიალებული, ვებერთელა ორთქლმავალი, რომელიც საღამოს ბინდბუნდში სილუეტად ჩანდა მწვანით ალაგ-ალაგ დაფარულ კლდოვან ფერდობის ფონზე. თითქო უკან მოსდევენო, ორთქლმავალთან ერთად მოსახვევიდან ზედიზედ გამოიქროლეს სამგზავრო ვაგონებმა. აფართქალებულ გულის ოდნავ მაინც დასაშოშმინებლად თამარელამ სულის მოთქმაც ვეღარ მოასწრო, ისე სწრაფად გაუსწორდა მის ბორცვს ორთქლმავალი. თამარელას ცალი ხელით შუბლი მოეჩრდილებინა, მეორე, მაღლა აწეულ ხელში კი ბროწეულის ყვავილი ეჭირა, მაგრამ საღამოს ბინდბუნდში ახლა ვერც ვერაფერს არჩევდა, ორთქლმავლის ძალუმ დგან-დგარსა, შიშინსა და ბორბლების ხმაურში, აღარც არაფერი ესმოდა.

მის წინ საოცარი სისწრაფით ჩაიქროლეს ვაგონებმა, თვალში ისე აერია ყველაფერი, გარკვევით ერთი სახეც არ დაუნახავს ფანჯრებზე მომდგარ თუ კიბეებზე შეხურხლულ მგზავრებისა; ისინი თითქო რაღაც გაუგებარს გაჰყვიროდნენ და ხელსაც იქნევდნენ, მაგრამ თამარელას ვერ გაერკვია, ვის ეხებოდა, ან ეს ძახილი, ან ხელის ქნევა. ყველაფერი ერთ წუთში გაქრა თვალიდან, როგორც მოჩვენება; მიწყდა ხმაურიც. ფანჯრებში გადმოყუდებულ ადამიანების მაგივრად გარდა ნათელი და ბნელი ლაქებისა, თამარელას არაფერი დაუნახავს, ისე დაიბნა — ისე აერია გონება, ისე ღელავდა. თამარელა სახტად დარჩა, როცა მატარებლის ბოლო ვაგონის სახურავის კუთხეში მიმაგრებულ წითლად აკიაფებულ ნათურას მოჰკრა თვალი. საღამოს ბინდბუნდში ეს წითელი სინათლეც ისე გამოიყურებოდა, ისე შორდებოდა წამიწამს, როგორც უკვე მიუწვდომელი იმედი. ერთ წამში ყველაფერი გათავდა. მაგრამ თამარელა ისევ ისე უძრავად იდგა ბორცვზე და ამაოდ ცდილობდა გაერკვია, რა მოხდა. ხელები უღონოდ დაეშვა ძირს; ცრემლმორეული, თვალებს კი დროდადრო უნებლიეთ კვლავ იქით მიაპყრობდა ხოლმე, საითაც მატარებელი მიჰქროდა, ხანაც ხელში შერჩენილ ბროწეულის ყვავილს დასცქეროდა საცოდავად. ბოლოს დარწმუნდა-რა აქ ყოფნა ვეღარაფერს უშველიდა, ყვავილი მკერდში ჩაიკ-

რა. ყელში ბოღმამობჯენილი ნელა დაეშვა ბორცვიდან დაბლა. ერთხანს ლიანდაგის გასწვრივ მიაბიჯებდა, მერე გადაუხვია, ბილიკით გორაკზე გადავიდა, გზა მოკლედ მოჭრა, ახლა ყანას ნაპირნაპირ მისდევდა. გულმოკლული, თვალზე ცრემლმომდგარი ახლა მარტო ტირილის გუნებაზე იყო, მაგრამ ტირილსაც ვეღარ ახერხებდა, მდუღარე ცრემლებისათვის მაინც რომ გაეტანებინა დარდი და გულზე მოწოლილი ბოღმაც შეემსუბუქებინა. მიდიოდა და სულ იმის ფიქრში იყო, რა ეღონა, რა გაეკეთებინა, რომ შატბიას თვალში კვლავ ამაღლებულიყო, რა საქმე უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ თამარელა შატბიას სახელით არ შეჭიდებოდა, არ დაეძლია და თავი არ ესახელებინა. აღარ იცოდა, რით გამოეხატა თავისი წმინდა სიყვარული ამ ვაჟისადმი, რით დაემსახურებინა ხალხის პატივისცემა და ყურადღება, რით მოეგო ნიკოს გული, აქამდე ისე დაუმსახურებლად, ალმაცერად რომ უყურებდა ეს ძველი, დამსახურებული მეშახტე.

თამარელა ახლა იმდენად დაღლას არ გრძნობდა, რამდენადაც შინაგანად აშლას და აფორიაქებას. ათასი ფიქრი და ზრახვა უტრიალებდა თავში. ამ ფიქრებში იხატებოდა მისი წარსული, აწმყო და მომავალიც. თვალწინაც სულ ის სახე ელანდებოდა, ძვირფასი, ახლობელი, მარადის დაუვიწყარი— შატბიას სახე.

შახტის ცენტრალურ უბანს რომ უახლოვდებოდა, ძალიან ეუცხოვა ის უჩვეულო მყუდროება, რომელიც ახლა იქ სუფევდა. არა თუ ამ დროს, საღამოხანს, ნაშუალამევსაც ამ გზაზე ხალხი განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდა; ლაპარაკი, მანქანების ხმაური არც დღისით წყდებოდა, არც ღამით. ამ მყუდროებაში თითქო ძახილის მსგავსი, ადამიანის შორეული ხმა რომ გაისმა, თამარელა შედგა, ყური მიუგდო, ჯერ ეგონა, სმენა მატყუებსო, მერე, რადგან დარწმუნდა, ის ხმა ნამდვილად მოისმოდა, იფიქრა, რადიოში თუ ლაპარაკობენო და გზა განაგრძო, გორაკის ძირას, რომლის სიმაღლიდან ამ მადამოს ბელადის მონუმენტი და ტრესტის შენობა გადმოსცქეროდა, გზატკეცილიდან გადაუხვია, რახან დაღლილი იყო, იფიქრა, გზას მოკლედ მოვჭრიო და შემოვლას, ბილიკით გორაკზე გადასვლა ამჯობინა. გადაღმა კლუბი იყო, კლუბთან ხიდზე გავიდოდა და ათ წუთში შინამდე მიაღწევდა. გორაკის ფერდობზე რომ ფეხი შედგა, ხმა, წელან რომ ოდნავ ისმოდა, ახლა უფრო მკაფიოდ გაიგონა, თუმცა სიტყვების გარჩევა ჯერ კიდევ ძნელი იყო. დააყურა, შემდეგ, ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი და ცოტა გამხნევებულიც, გორაკის ფერდობზე სწრაფად ავიდა, კიდევ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და მეორე მხარეს, ხევისაკენ რომ გადაიხედა, თვალწინ საოცარი სანახაობა გადაეშალა. კლუბის შენობიდან მოყოლებული, მთელი სასეირნო მოედანი და გორაკის ფერდობის ტერა-

სები ხალხით იყო გაჭედილი. კლუბის ორსართუ-ლიანი შენობის მთავარი შესასვლელის წინ სამას სანთლიანი ნათურის შუქით განათებული ზღვა ხალხი საღამოს ბინდში ირგვლივ სილუეტებად გამოსახულ შენობების, გორაკების, თუ ასწლოვან ხეების გარემოცვაში მკაფიოდ ჩანდა. კლუბის შენობაში, თაღიან შესასვლელთან, კიბის ბაქანზე რამდენიმე კაცი იდგა; ერთი მათგანი სიტყვით მიმართავდა ხალხს. ცემენტის მოაჯირს ხან ორივე ხელით ეყრდნობოდა, ხანაც რიგრიგობით შლიდა ჰაერში მარჯვენა თუ მარცხენა მკლავს. მოედანზე, კლუბის შენობის წინ თავმოყრილ და, გორაკის ტერასებზე მჭიდროდ შეფენილ ხალხში ქალები სჭარბობდა. მამაკაცებს აქა-იქ თუ მოჰკრავდით თვალს, ნაწილი ცვლაში გასასვლელად ემზადებოდა, ნაწილი თავგანწირვით იბრძოდა, რაც შეიძლება მეტი ქვანახშირის მოსაპოვებლად და გამოსატანად.

თამარელა ისე გააოცა და მოხიბლა ამ სანახაობამ, ერთი წუთით თავისი დარდიც კი გადაავიწყდა. ორივე ხელით მკერდში, შატბიას ნასახსოვრებ ყვავილ ჩახუტებული, გაქვავებულივით იდგა გორაკის თავზე, სულ ზედა ტერასის პირას და სულგანაბული უსმენდა ორატორს. რამდენიმე წუთში თამარელასათვის უკვე ყველაფერი გასაგები გახდა. წელან ასე დაღონებული და სასოწარკვეთილი, ახლა აშკარად გრძნობდა ორატორის სიტყვებზე როგორ უბრუნდებოდა ჩვეული მხნე-

ობა და იმის შეგნება, რომ თავის გამოჩენის შემ-
ოხვევა ეძლეოდა, რაც განუზომელი სიხარულით
უძგერებდა გულს.

როცა ამ ორატორმაც სიტყვა დაასრულა და
ზღვა ხალხის ერთსულოვანი მოწონების გამო-
ძახილმა, გაცხარებული ტაშის ხმამ ერთბაშად
შესძრა ერთი წამის წინ მყუდროებით გარემოცუ-
ლი კლუბის მოედანი, იგივე ორატორმა, რომელიც
მხოლოდ ახლა იცნო თამარელამ, დაწყნარების ნი-
შნად ხალხს ხელი რამდენჯერმე დაუქნია. როცა
კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, მყუდროებაში ისევ გა-
ისმა ორატორის დინჯი, მაგრამ ქალებისადმი მო-
წოდების პათოსით აღსავსე ძახილი:

— ამხანაგო ქალებო! ვის სურს, დაიკავოს ომში
წასულ მეშახტეთა ადგილი?..

თამარელა მოუთმენლად ელოდა ამ მოწოდებას,
და გაისმა თუ არა იგი, თითქო ყველას წადილს,
გულისთქმას გამოხატავსო, უცებ ისეთის ხმით
დაიძახა: „მე წავალო“, რომ თავისი გამბედაობისა
თვითონაც გაუკვირდა და სხვებიც გააკვირვა.
მოედანზე შეკრებილმა და ტერასებზე შეფენილმა
იმოდენა ხალხმა, აქამდე ორატორს რომ მისჩერე-
ბოდა, ამ უეცარ ძახილზე უცებ იბრუნა პირი და
გორაკის თავზე გადმომდგარ ქალიშვილისაკენ
იწყო ცქერა.

თამარელა ერთ წამს კიდევ იდგა ასე. ჰაერში
ამაყად გაშლილი ხელით, ხელში კი შატბიასაგან ნა-
სახსოვრები ბროწეულის ყვავილი ეჭირა, თითქო

იმ ყვავილის სახით თავის სიყვარულს ფიცავდა, რომ მისი წადილი ისევე წრფელი და მხურვალე იყო, როგორც მისი სიყვარული შატბიასადმი. ეს ზღვა ხალხი ჯერ კიდევ გაკვირვებით შემოსცქეროდა ქალიშვილს, და ვისაც უკვე ეცნო იგი, თვალს არ უჯერებდა, რომ ის ნამდვილად თამარელა იყო, ახლობელი და შინაური, ლამაზი, თავმომწონე, ხანდახან თამამიც, მაგრამ არც ისე გაბედული, რომ ახლა შახტში მუშაობაზე პირველს გამოეთქვა სურვილი.

თამარელა ახლა ამ ზღვა ხალხის თვალში ისე აწაღლებული ჩანდა, (არა იმიტომ რომ მაღლობზე იდგა) გულის სიღრმეში ყველა ნატრობდა მის ბედს, და ყველა ცდილობდა მისი მაგალითისათვის მიეგბაძა.

პატრიოტულ მოწოდებაზე თამარელას მხურვალე გამოხმაურებამ ხალხზე ისე იმოქმედა, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, ყველა ცდილობდა სხვაზე აღრე და უფრო ხმამაღლა გამოეთქვა თავისი წადილი. სხვებთან ერთად ნიკოც გაოცებით რომ უცქეროდა თამარელას, თვალს კიდევ არ უჯერებდა, მერე, რატომღაც, გული ბავშვივით აუჩუყდა, შემჭიდროვებულ აყაყანებულ, ამოძრავებულ ხალხში გორაკზე ტერასები ჯიკავ-ჯიკავით ავლო, თამარელას მამაშვილურად გაუღიმა თავისი აცრემლებული თვალებით, მერე ხელი მოხვია და საფეთქელთან მოწიწებით აკოცა.

(პირველი წიგნის დასასრული)

Л. АВАЛИАНИ

НОВЫЙ ГОРИЗОНТ

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси
1952

რედაქტორი ს. ჩიქოვანი
მხატვარი ნ. ...ურშვილი

მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექრედაქტორი ან. ღვინიაშვილი
გამომშვები შ. დოლიძე
კონტროლიორ-კორექტორი ე. ოქროპირიძე

გადაეცა წარმოებას 12-III-52 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23 X-52 წ. ანაწყობის ზომა $4^1/_2 \times 7^1/_2$. ქაღალდის ზომა 70×92. სასტამბო ფორმა 10 რაოდენობა 20 5 შეკვეთის № 65 ტირაჟი 7000 ფფ 01099.

სტამბა „ჩ...ი ვოსტოკა ,ტბილისი, რუსთაველის, 42.

შეცდომების გასწორება

გვერდ.	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზემ.	ქვემ.		
9	9		ვაგონებზე	გაგონებაზე
25		4	ამხანაგებს	ამხანაგების
28		8	გადამხედა	გადამეხედა
55	9		მკერდს	მკერდისა
86	1		მოზიდავს	მიზიდავს
94		12	გამგრძელებული	გამგრძელებელი
173		2	დიდმანქანიან	დიდფარფლებიან
389	7		იმედავდა	იზიდავდა
299	6		მეშახტის	შახტის
318	10		შეახტა	შეხტა